

ნაშრომი განკუთვნილია მეცნიერებისა და  
მკითხველთა ფართო წრისათვის

რედაქტორი: თამაზ ფეიქრიშვილი  
კორექტორი: დიმიტრი მაისურაძე

“თუ ჩემი სიტყვა შენს ხვედრს გაიყოფს,  
მართლაც მქონია ქვეყნად სათქმელი,  
იმაზე დიდი რა უნდა იყოს,  
კაცს თაფლი მისცე, ღმერთს კი სანთელი”.

შ. ნიშნიანიძე

## შესაბალი

“რამდენ კილოგრამ თაფლს იძლევა ფუტკრის ერთი ოჯახი”?

აი, პირველი კითხვა ახალბედა მეფუტკრისა, რაზეც ხელდახელ პროფესიონალ მეფუტკრესაც კი უჭირს პასუხის გაცემა, ხოლო მცირედი დაფიქრების შემდეგ უხსნის, რომ ეს დიდად არის დამოკიდებული მრავალ ფაქტორზე, მათ შორის: ფუტკრის ოჯახების სიძლიერეზე, ამინდზე, (არ უნდა იყოს გვალვა ან ხშირი წვიმები გარემოს დაბალი ტემპერატურით, ხანგრძლივი ქარები და ა.შ.) ფუტკრის ოჯახების მთაბარობაზე და ბოლოს, რაც მთავარია, მეფუტკრის პროფესიონალიზმზე.

არის წლები, როცა ფუტკრის ერთი ოჯახი 20,30,40 კილოგრამ თაფლს იძლევა და ასე გასინჯეთ განთქმულმა მეფუტკრემ ბატონმა არჩილ ლოლუამ 1999 წელს, მარტო წალკაში მთაბარობიდან თითოეული ფუტკრის ოჯახზე 50 კილოგრამამდე სასაქონლო თაფლი მიიღო.

მაგრამ 2000 წელი ისეთი არნახული გვალვიანი გამოდგა, რომ პროფესიონალი მეფუტკრებიც კი იმის ფიქრში იყვნენ მომავალ სეზონამდე შიმშილით დახოცესაგან როგორ გადაერჩინათ ფუტკრის ოჯახები.

“მაინც საშუალოდ?” - არ ეშვება ახალბედა, “საშუალოდ ... ჩაფიქრდა პროფესიონალი, 10 კილოგრამი”.

მაგრამ ამ ათი კილოგრამის მისაღებად ცოდნაა საჭირო, ჯერ თეორიული, მერე კი პრატტიკული და ასე ნაბიჯ-ნაბიჯ ახალბედამ უნდა გაითავისოს ეს საოცარი და საინტერესო ფუტკრის სამყარო.

სწორედ ამ მიზანს ემსახურება ჩვენი ბროშურის გარკვეული ნაწილიც.

და ბოლოს, მეფუტკრეობა მარტო 10 კილოგრამი თაფლის მიღებით არ ამოინურება. საფუტკრეში საქმიანობა ავითარებს ადამიანის აზროვნებას, ნებისყოფას, რეაქციას, ვაჟკაცობას, ბუნებისა და შესაბამისად ადამიანების სიყვარულს.

აი, საით უნდა წარიმართოს ჩვენი ნიჭიერი ახალგაზრდობის უშრეტი ენერგია.

ყოველივე აღნიშნულის გარდა საფუტკრეში მოფუსფუსე  
მეფუტკრე იმყოფება ბუნებისა და ღვთიური ფუტკრისაგან შექმნილ  
იდეალურ მიკროკლიმატში, რომელიც თავისთავად მის ჯანმრთელობას  
და დიდხანს სიცოცხლეს ემსახურება.

მოგეხსენებათ, ქართულ ენაზე ძალიან მცირეა ლიტერატურა,  
რომელიც გარევეულ რჩევებს მისცემს დამწყებ მეფუტკრეს და ამ  
დარგით დაინტერესებულ ადამიანებს. ამდენად, გთავაზობთ მცირე  
ნაშრომს, რომელიც მოიცავს ჩვენი შთამომავლობის, კერძოდ, ჩვენს  
პირად, როგორც მოყვარული მეფუტკრეების, პრაქტიკულ გამო-  
ცდილებას, ასევე ქართველი და უცხოელი სპეციალისტების ლიტე-  
რატურული წყაროების მიმოხილვას.

ნაშრომის მომზადებაში თავისი რჩევებითა და კონსულტაციებით  
დიდი დახმარება გაგვიწიეს დარგის სპეციალისტებმა: იროდი მუმლაძემ,  
ირაკლი რაზმაძემ, მოლერა შანიძემ, ვენერა სტეფანიშვილმა; ასევე  
პროფესიონალმა და მოყვარულმა მეფუტკრეებმა: შიო თოფურიძემ,  
არჩილ ლოლუამ, მალხაზ აზარაშვილმა, როლანდ ზირაქიშვილმა, თამაზ  
ფეიქრიშვილმა, დავით ჯაშმა და სხვებმა.

ამასთან ავტორები დიდი ყურადღებით განიხილავენ  
მკითხველთა ყოველ საქმიან შენიშვნას თუ წინადადებას, რასაც  
შემდგომ მუშაობაში გაითვალისწინებენ.

ავტორისაგან

# I - დამზადი მეცნიერებლის ანგარი და ქაღალდები

## თუ მეცნიერებლის აპირები

საქართველოს ხვალინდელი ეკონომიკური სიძლიერის მიღწევისათვის დიდი შრომა და სათანადო რეზერვების ძიება რომ გვმართებს, ეს ყველასათვის ნათელია, მაგრამ არც ძველი ტრადიციული, მამა-პაპური დარგების მივიწყება გვეპატიება, რომელიც საუკუნეების მანძილზე შემონმებული, გამართლებული და საიმედოდ მორგებული იყო ჩვენი ქვეყნის უნიკალურ ბუნებას. მათ შორის კი სოფლის მეურნეობის ისეთი დარგის მიმართ როგორიც მეუკურნეობაა. რა უპირატესობა გააჩნია ამ დარგს სოფლის მეურნეობის სხვა დარგებთან შედარებით?

სანიტარულ-ჰიგიენური და, თუ გნებავთ, ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების შესაძლებლობა შედარებით ნაკლები, არა სისტემატური, არამედ სეზონური შრომითი საქმიანობა საფუტკრეში თავისთავად აკაუებს ადამიანის ჯანმრთელობას; ამასთან ღალიან წლებში თაფლისა და ფუტკრის სხვა პროდუქტების საკმაოდ მნიშვნელოვანი შემოსავალი კიდევ უფრო საინტერესოს ხდის ამ დარგში საქმიანობას: ეს პროდუქტები ხომ არა მარტო საკვებს, არამედ ეფექტურ სამკურნალო საშუალებებსაც წარმოადგენენ.

მეფუტკრეობის დაწყებისათვის საჭიროა რამდენიმე ძირითადი პირობა.

**პირველი:** საფუტკრეში საქმიანობისას არც თუ იშვიათად ფუტკარი ინესტრება და ადამიანის ორგანიზმში შეჰყავს 0,1-დან 0,3 მილიგრამამდე შხამი. ძველი გამოცდილი მეფუტკრეების ორგანიზმი შხამის მიმართ გამოიმუშავებს იმუნიტეტს და მათზე ის ნაკლებად მოქმედებს. არის ასეთი აზრიც, რომ მათ შემდგომში შხამიანი გველის კბენაც კი ვერაფერს აკლებს; მაგრამ ისიც არის ცნობილი, რომ ყოველი 100 ადამიანიდან 2 ან 3 ფუტკრის დანესტვრაზე ალერგიულობას ამჟღავნებს (სახისა და ტანის შედარებით მერძნობიარე ადგილების ნამონითლება, ჭინჭროვანი გამონაყარი და ქავილი, მაჯისცემის მომატება და ა.შ.). ზოგიერთ შემთხვევაში კი ერთი დანესტვრა შეიძლება საბედისნერო გამოდგეს. ამიტომ ასეთმა პირებმა და იმათაც, ვისაც გულსისხლარღვთა და სხვა მძიმე დაავადებები აწესებს, საფუტკრეში არ უნდა იმუშაონ.

**მეორე:** საფუტკრის მოსაწყობად საჭიროა შესაფერისი ადგილი, ეს უნდა იყოს მყუდრო, მშრალი, მოცილებული დიდ დასახლებებს,

ოჯახს ვაძლევთ ყოველდღიურად 3 კვირის განმავლობაში 0,25 ლიტრის ოდენობით. თუ მკურნალობას ზამთრის ბოლოს ვატარებთ, როცა ფუტკარი შაქრის სიროფს ვერ იღებს, მაშინ კანდში შერევით, შემდეგი პროპორციით 20გრ. ფუმაგილინი 5კგ. კანდში. თითო ჩარჩო ფუტკარზე 100-150გრ. ანგარიშით 3-ჯერადად 10-15 დღის ინტერვალით. ამასთან კანდი გამოყენებამდე უნდა მომზადდეს არა უმეტეს 1-3 კვირისა.

პროფილაქტიკის მიზნით ერთ ფლაკონს ხსნიან 25 ლიტრ შაქრის სიროფში და თითოეულ ოჯახს აძლევენ 1-2 ლიტრის ოედნობით 3-5-ჯერ 7 დღის ინტერვალით.

სულფადიმეზინით (დიაზოლი) მკურნალობისას 1 ლიტრ შაქრის სიროფს უმატებენ 1გრ. პრეპარატს და თითოეულ ოჯახს აძლევენ 0,5 ლიტრის ოდენობით 3-4-ჯერ 4-5 დღის ინტერვალით. სულფადიმეზინს სიროფში შერევამდე ხსნიან 50მლ. ნელთბილ წყალში, რომელშიც ნინასწარ არის გახსნილი 3-5 წევთი ძმარმჟავა.

სამკურნალოდ გაზაფხულზე და პროფილაქტიკისათვის შემოდგომაზე იყენებენ პრეპარატ ნოზემატოლს. ნინასწარ ჩარჩოებს შორის მანძილს ზრდიან 2 სმ-ით და აეროზოლის ნაკადს ჩაასხურებენ ერთ ჩარჩო ფუტკარზე გაანგარიშებით 1,5 ნამის განმავლობაში 3-ჯერადად 3-4 დღის ინტერვალით, გარემოს ტემპერატურის არანაკლებ 14°-ის დროს.

ბოლო პერიოდში ნოზემატოზის სამკურნალოდ გამოვიდა რამდენიმე ახალი პრეპარატი და მათ შორის მოსკოვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ რეკომენდებული პრეპარატი “ნოზემატი”, რომელიც ნოზემატოზის გარდა, როგორც სამკურნალო-პროფილაქტიკური საშუალება გამოიყენება შერეული ბაქტერიალური დაავადებების ნინააღმდეგაც.

აღნიშნული პრეპარატის გამოყენების მეთოდი შემდეგია: ადრე გაზაფხულზე პრეპარატის 5 გრამი შეერევა 10კგ. კანდს და მიეცემა თითოეულ ოჯახს 0,5კგ. ოდენობით. გაზაფხულზე კი, როდესაც ფუტკარი სიროფის აღებას შესძლებს 1:1-ზე დამზადებულ 20ლ. შაქრის სიროფში შეერევა 5 გრამი პრეპარატი, რომელიც თავდაპირველად უნდა გაიხსნას მცირე ოდენობის გადადუღებულ და 30-40°C განეღლებულ წყალში.

ასეთანირად გამზადებული პრეპარატი მიეცემა თითოეულ ოჯახს ერთ ჩარჩო ფუტკარზე 100მლ. ოდენობით 2-ჯერადად 5-6 დღის შემდგომი განმეორებით.

მორგებული სახურავით, რომ შიგ ფუტკარი არ ჩავიდეს და არ ჩაიხრჩოს. კასრის ქვედა ნაწილში დაყენებული უნდა იყოს ონკანი წყლის სადენად. კასრი სადგამზე უნდა შევდგათ და ონკანის ქვევით დაქანებულად დავაყენოთ დახრილღარებიანი ფიცარი, რომელზეც ონკანიდან წვეთ-წვეთობით იდენს წყალი.

საფუტკერეში სამუშაოდ დაგვჭირდება შემდეგი ინვენტარი: პირბადე, საბოლებელი, საფხეკი-ასტამი, საფუტკრის დანა, ფრინველის ფრთა (საგველა) ან ჯაგრისი ფიჭიდან ფუტკრების მოსაცილებლად; ფანერისაგან დამზადებული, მსუბუქი, სახელურიანი, ჩარჩობის ჩასაწყობი და გადასატანი ყუთი, რომლის გვერდების გარეთა მხარეზე მოხერხებულად დავამაგრებთ ყველა ჩამოთვლილ სამუშაო ინვენტარს, რათა მუშაობის დაწყებისას ისინი საძებარი არ გავვიხდეს და თანაც მათი გადატანა ერთი ადგილიდან მეორეზე თავისუფლად შეგვეძლოს; შემდგომში უნდა შევიძინოთ თაფლის გამოსაწური ციბრუტი, საკონტროლო სასწორი და სანთლის სადნობი მოწყობილობა.

უნდა მოვერიდოთ ფუტკრის ოჯახების ხშირ გასინჯვას, რადგანაც ამით ხელს ვუშლით ფუტკარს ნორმალურ მუშაობაში; ასევე არ შეიძლება ფუტკრის ოჯახების გასინჯვა ქარიან ან წვიმიან ამინდში. ამ დროს ფუტკარი გაღიზიანებულია და ინესტრება.

როდესაც ბუნებაში ღალიანობაა და მოზრდილი-მფრინავი ფუტკარი ადრიანად გადის სამუშაოდ, მაშინ სკების გასინჯვა უმჯობესია დილის საათებში, რადგანაც სკაში დარჩენილი ახალგაზრდა ფუტკარი უფრო თვინიერია, ადვილად არ ღიზიანდება და არ ინესტრება. თუ ღალიანობა არ არის, მაშინ ფუტკრის ოჯახები საღამოს უნდა გავსინჯოთ იმიტომ, რომ თუ ფუტკარმა ქურდობა დაიწყო დაბინდებისას მალე დაწყნარდება. ფუტკრის ოჯახების ხილვისას გარემოს ტემპერატურა - ჩრდილში 12-14 გრადუსზე ნაკლები არ უნდა იყოს და ამ დროს ფუტკარი უნდა ფრინავდეს.

საფუტკერეში მუშაობის დაწყებამდე საჭიროა სათანადოდ მოვემზადოთ: უნდა დავიპანოთ ხელ-პირი და ტანზე ჩავიცვათ თეთრი ფერის ხალათი ან შედარებით ღია ფერის ტანსცმელი, რადგანაც შავი ფერი ფუტკარს აღიზიანებს და დაწესტვრისაკენ განაწყობს. ასევე არ სიამოვნებს მას ოფლის, სუნამოს, ნივრის და ალკოჰოლის სუნი; თმები, რომელიც მასზე დაუძინებელი მტრის, დათვის ასოცირებას ახდენს, უნდა დავმალოთ ქუდში.

როდესაც ასეთნაირად მოვემზადებით, პირბადეს მოვირგებთ და შესამოწმებელ ფუტკრის ოჯახს საფრენიდან ბუდეში 2-3-ჯერ შევაპოლებთ, რომ ფუტკარი დაწყნარდეს და მასთან შემდეგ ადვილი

იყოს საქმიანობა, ვიწყებთ სკოლის სახურავის ახდას, საფარი ტილობრივი გადახდას.

ფუტკართან უნდა ვიმუშაოთ დინჯად, არ შეიძლება საფუტკრეში ჩქარი სიარული, ხელების ქნევა და ლაპარაკი; ფუტკრის ოჯახის ხილვის დროს უნდა დავდგეთ სკოლის გვერდითა მხარეს, რომ მფრინავ ფუტკარს წინ არ ავეთაროთ და მუშაობაში ხელი არ შევუშალოთ. ფუტკრის ოჯახთან მუშაობისას ხელთ უნდა გვქონდეს საფუტკრის უურნალი, სადაც ჩავნერთ შემონმებული ოჯახის მონაცემებს: ჰყავს თუ არა დედა ფუტკარი, რამდენი აქვს თაფლი, ჭეო, ბარტყის რაოდენობა და ა.შ. ეს ყველაფერი შემდეგ იმისათვის გამოგვადგება, რომ ვიცოდეთ რომელ ფუტკრის ოჯახში რა მდგომარეობაა და რა საჭირო ღონისძიებაა ჩასატარებელი.

დამწყები მეფუტკრისათვის სასარგებლოა განევრიანება საქართველოს მეფუტკრეთა კავშირში, რომელიც ქ. თბილისში თამარაშვილის ქ. №15ა-ში ფუნქციონირებს. ასევე პროფესიონალ მეფუტკრეთა ასოციაციაში - ოფისი გოგებაშვილის 28-ში.

დღევანდელი მეფუტკრე სრულყოფილად უნდა იცნობდეს ფუტკრის ცხოვრებას, დაუფლებული უნდა იყოს მეფუტკრების ხელოვნებას, შეეძლოს მექანიზმების მართვა; იცნობდეს თაფლოვან მცენარეებს, სად, როგორ ნიადაგზე ხარობენ ისინი, როდის ყვავიან, რამდენ ნექტარს გამოყოფენ, როგორ ამინდში, ასევე უნდა იცოდეს ფუტკრის დაავადებები და ფლობდეს მკურნალობის ტექნიკას. ყოველივე ჩამონათვალიდან ნათელია, თუ რაოდენ დიდ მოთხოვნებს უყენებს მეფუტკრეობა ამ საქმის მიმდევარს; თანამედროვე მეფუტკრე უნივერსალური სპეციალისტი უნდა იყოს.

## ზუტბრის რაციონალური პშება

ფუტკრის მოვლა - პატრონობის კომლექსურ ღონისძიებათა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია კვებას, რომლის სპეციფიკაც დამოკიდებულია წელიწადის დროსა და მოცემული ადგილის პირობებზე.

ფუტკრის კვების ყველაზე რაციონალური საშუალებაა მთელი წლის განმავლობაში ნატურალური საკვებით - ფიჭიანი თაფლითა და ჭეოთი კვება.

ნორმალური კვებისათვის, რეგიონების მიხედვით, დადგენილია საჭირო საკვები მარაგის დიფერენცირებული ნორმები 17-დან 30 კგ-

მდე. საქართველოს პირობებისათვის ეს ნორმა 19 კგ-ს შეადგენს.

გამოცდილი მეფუტკრე ზამთრისათვის საშუალოდ თითო ფუტკრის ოჯახზე იმარაგებს 19 კგ. საკვებს, მაგრამ ბუდეებში ფუტკრის ოჯახების სიძლიერის მიხედვით მხოლოდ 10-14 კგ. თაფლს სტოვებს (2-2,5 კგ. ჩარჩო ფუტკარზე), დანარჩენი კი გაზაფხულამდე ფიჭებით სასაწყობო მეურნეობაში ინახავს.

დიდი რაოდენობით შემონახული საკვები მარაგი საშუალებას გვაძლევს მთელი გაზაფხულის განმავლობაში უზრუნველვყოთ ფუტკრის ოჯახების ნორმალური განვითარება და ღალისათვის მომზადება.

თუ საფუტკრე ისეთ ადგილზეა განლაგებული, სადაც საკმაოდაა გავრცელებული თაფლოვანი მცენარეები და ფუტკარი, ამ დროს საკვების მარაგის შევსებას არ საჭიროებს (რაც ჩვენში იშვიათი მოვლენაა), მაშინ შემონაახული თაფლი ფუტკარს უნდა მივაწოდოთ ინტენსიური განვითარების ოპტიმალურ პერიოდში, რაც ძირითადი ღალიანობის დაწყებამდე 40-50 დღით განისაზღვრება.

შემონახული თაფლი შეიძლება ეფექტურად გამოვიყენოთ ამანათნაყრების ფორმირების დროს, როცა ფუტკრის ძირითადი ოჯახებიდან ამანათნაყრებში ფუტკართან და ბარტყთან ერთად საკვებიც გადაგვაქვს. ფუტკრის ძირითად ოჯახს თაფლის სახით საკვები უნდა შევუვსოთ ისე, რომ მისი რაოდენობა ბუდეში 6 კგ-ს აღემატებოდეს.

ხარისხიანი დედა ფუტკრების გამოყვანის მიზნით, აღმზრდელი ფუტკრის ოჯახებს აკომპლექტებენ დადგენილ ნორმებზე გაცილებით მეტი თაფლის მარაგით, რისთვისაც შემონახულ ფიჭებს ხსნიან და სკაში ტიხარი ფიცრის გარეთ ათავსებენ.

უნდა გვახსოვდეს, რომ ნატურალური თაფლით ფუტკრის გამოკვების დროს მნიშვნელოვნად იზრდება მათი ზამთარგამძლეობა, იმუნიტეტი, პროდუქტიულობა (20-25%-ით) და სხვა.

ფუტკრის ნახშირნყლოვანი საკვები ფუტკრის ძირითადი ნახშირნყლოვანი საკვებია შაქარი. შაქრის სიროფით ფუტკრის ოჯახების ხელოვნურ გამოკვებას კი ბევრი უარყოფითი მხარე აქვს.

შემოდგომაზე, ზამთრის საკვები მარაგის შევსების მიზნით, შაქრის სიროფით ფუტკრის ოჯახების გამოკვება იწვევს მოზამთრე ფუტკრის სიცოცხლისუნარიანობის დაქვეითებასა და ზამთრისათვის მზადების პროცესის დარღვევას, რადგან ახალგაზრდა ფუტკარი ზამთრისათვის მზადების მაგივრად შაქრის სიროფის გადამუშავებაზე და კვების შედეგად გაჩერნილი ბარტყის აღზრდაზე გადადის. ამ დროს ბარტყიდან გამოსული ახალგაზრდა ფუტკარი ვერ ასწრებს გამოზამთრებისათვის მზადებას, რაც შემდეგში უარყოფითად მოქმედებს ფუტკრის ოჯახების საგაზაფხულო განვითარებაზე.

შაქრის სიროფით ფუტკრის გამოკვება, უარყოფითი მოვლენების მიუხედავად, რიგ შემთხვევაში აუცილებლობას წარმოადგენს, მაგალითად:

1. ზამთრის საკვებად ფუტკრისათვის გამოუსადეგარია სუროს თაფლი, რომელიც აუცილებლად უნდა შევცვალოთ შაქრის სიროფით, რადგან იგი მაღლე კრისტალდება და ფუტკარი ვერ ითვისებს. მაღლე კრისტალდება ცხელ, გვალვიან წელს მზესუმზირისაგან მიღებული თაფლიც; არ შეიძლება ზამთრის საკვებ მარაგად მანანას თაფლის გამოყენებაც.

2. საქართველოში ფუტკარი ძირითადად ინტენსიური მინათმოქმედების ზონებშია განლაგებული, სადაც ჯერ კიდევ ფართოდ იყენებენ შეხამქიმიკატებს, ჰერბიციდებისა და პესტიციდების ნარჩენები ხშირად თაფლში გადადის და ინვევს ფუტკრის დაავადებას. ამ უარყოფითი მოვლენის თავიდან აცილების მიზნით, თაფლის საკვები მარაგი აუცილებლად ჰერბიციდებისა და პესტიციდების შემცველობაზე უნდა გაისინჯოს და მათი აღმოჩენის შემთხვევაში, თაფლის ნაწილი (6 კგ-მდე) შაქრით უნდა შეიცვალოს.

3. მეფუტკარები იძულებული არიან ფუტკარი შაქრის სიროფით კვებონ ბუნებრივი საკვები მარაგის სიმცირის შემთხვევაში.

შაქრის სიროფით ფუტკრის გამოკვების შედეგად გამოწვეული ზამთრის უარყოფითი შედეგები შეიძლება მინიმუმადე დავიყვანოთ, თუ:

- დროულად შევავინროვებთ ბუდეებს და კვებას ჩავატარებთ 15 სექტემბრამდე შემჭიდროვებულ ვადებში;

- ფუტკარს გამოკვებავთ 60% შაქრის წყალს ნარით. (3 ნილი შაქარი და 2 ნილი წყალი). შაქრის განსაზღვრულ რაოდენობას ყრიან ადულებულ წყალში და ურევენ სრულ გახსნამდე, როდესაც სიროფი 35-30 გრადუსამდე გაცივდება, მასში უმატებენ ყოველ კგ. შაქარზე 0,3 მლ. წინასწარ წყალში განზავებულ კონცენტრირებულ ძმარმუავას;

- ფუტკარს საკვები ეძლევა დღის მეორე ნახევარში (საღამოუამს), საკვებურებით 3-5 ლიტრის რაოდენობით, დღე გამოშვებით, ისე რომ კვება დასრულდეს სწრაფად, 3-5 დღის განმავლობაში.

- ქურდობის თავიდან აცილების მიზნით კვების წინ საფრენები უნდა შევინროვდეს 3-5 სმ-მდე.

- შაქრის სიროფთან შედარებით უკეთეს შედეგს იძლევა ზამთრის საკვები მარაგის შევსება ინვერსიული საკვებით. ინვერსიულ საკვებს ამზადებს მეფუტკარების სამეცნიერო საწარმოო რესპუბლიკური გაერთიანება და მსურველს მიტანილი შაქრის ფხვნილის ნაცვლად შეუძლია მიღოს ინვერსიული საკვები ექვივალენტური რაოდენობით.

ფუტკრის გამოკვება ზამთარში მეტად არასასურველია, რადგან ფუტკარი ღიზიანდება, ტემპერატურა მაღლა ინვეს და სკაში

უდროოდ ჩინდება ბარტყი, რაც ფუტკრის ოჯახის დასუსტებისა და ზოგ შემთხვევაში დახოცვის მიზეზი ხდება.

თუ აუცილებელია ზამთარში ფუტკრის კვება, ამისათვის უნდა მოვამზადოთ შედარებით სქელი სიროფი (2 ნილი შაქარი - 1 ნილი წყალი) და მივცეთ ის ფუტკარს ფიჭებით, პირდაპირ ბუდეებში, საფარი ჩარჩოს გარეთ. ერთი თვის შემდეგ კვლავ გავიმეოროთ აღნიშნული წესით კვება. საკვებურად შეიძლება გამოვიყენოთ მინის ქილა, რომელსაც შევავსებთ სიროფით, თავზე მოეჭირება 3-4 ფენა დოლბანდი, გადმოპირქვავდება ჩარჩოებზე, იქ სადაც გუნდია შეკრული, და ზევიდან კარგად დათბუნდება. ასე მიცემული საკვები ფუტკარს ნაკლებად აღიზიანებს.

უკეთესია თუ ზამთრის პირობებში ფუტკარს გამოვკვებავთ კანდით. კანდი უნდა შეიცავდეს 26% თაფლს, 73,8% შაქრის პუდრას, 0,18% წყალს და 0,02% ძმარმუავას. კანდი შეიძლება მომზადდეს ინვერსიულ საკვებად.

კანდს 1,0-1,5 კგ-ის რაოდენობით ადებენ ჩარჩოებზე, იქ, სადაც გუნდია შეკრული. საკვების ათვისების შემდეგ კვებას იმეორებენ. ფუტკარი ზამთარში უნდა ვკვებოთ შედარებით თბილ ამინდში, როცა ჰაერის ტემპერატურა +3 გრადუსს აღემატება. ფუტკრის კვება გაზაფხულზე - ამ პერიოდში ფუტკრის ოჯახების შაქრის სიროფით გამოკვება ააქტიურებს ფუტკრის ფრენასა და ზრდის დედა ფუტკრების კვერცხმდებლობას, რაც თავის მხრით ინტენსიურს ხდის საკვები მარაგის ხარჯვას.

ფუტკრისათვის არახელსაყრელ ბუნებრივ-კლიმატურ პირობებში, როცა ბუდეში საკვები მარაგის სიმცირეა, უხარისხმოთაობა იზრდება. დამშეულ ოჯახში გამოზრდილი მფრინავი ფუტკარი მალე ცვდება და კვდება, რის გამოც ხშირად მოსალოდნელი განვითარების ნაცვლად, მთელი ოჯახების დასუსტებისა და ზოგჯერ დაღუპვის ფაქტებსაც აქვთ აღვილი. ამიტომ, თუ ფუტკრის ოჯახები გაზაფხულზე საკვების ნაკლებობას განიცდიან, საჭიროა სხვა ფუტკრის ოჯახებიდან (სადაც მისი სიუხვეება) გადაეუნანილოთ თაფლი დამშეულ ოჯახებს.

თუ საფუტკრეში საკვები მარაგის მასობრივი დეიფიციტია, ფუტკარი ადრე გაზაფხულზე უნდა გამოვკვებოთ კანდით (100-150გრ. ჩარჩო ფუტკარზე). თხევადი კანდი ჩარჩოებს შორის რომ არ ჩაიღვაროს, მას ლითონის ბადეებზე ათავსებენ ან დოლბანდში გახვეულს დებენ ჩარჩოებზე.

გაზაფხულზე, სიცივისა და უამინდობის დროს, ფუტკარი შეიძლება სქელი სიროფითაც ვკვებოთ, ისე როგორც ზამთარში.

გაზაფხულზე საკვები მარაგის შევსება უნდა დავინყოთ

ფუტკრის ფრენისათვის ოპტიმალურ პირობებში, როცა ადრე გაზაფხულზე თაფლოვანი მცენარეები იწყებენ ყვავილობას. კვებისათვის ამზადებენ სქელ სიროფს (2:1) და აძლევენ ნორმალური სიძლიერის ოჯახებს საკვებულებით დღის მეორე ნახევარში 1,5-2,0 ლიტრის რაოდენობით.

ფუტკრის ოჯახების გამაღიზიანებელი კვება შაქრის სიროფით ტარდება მთავარი ღალიანობის შესახვედრად, ფუტკრის ოჯახების მაქსიმალური განვითარების თვალსაზრისით.

ცდებით დადგენილია, რომ ის ფუტკრის ოჯახები, რომლთაც გაზაფხულზე კვება ჩაუტარდათ განვითარებით ვერ უსწრებენ იმ ფუტკრის ოჯახებს, რომელთაც გაზაფხულზე კვება არ ჩაუტარდათ, მაგრამ საკმაოდ ჰქონდათ ჭეოსა და თაფლის მარაგი.

ცილოვანი საკვებით ფუტკრის მომარაგების ყველაზე რაციონალური საშუალებაა ჭეოიანი ჩარჩოების ამოცლა და შენახვა ბუდეების შევიწროვებით, რომელიც ფუტკრის ოჯახებს გაზაფხულზე, ინტენსიური განვითარების პერიოდში უბრუნდებათ.

გაზაფხულზე, ცილოვანი საკვების ნაკლებობის დროს) ჩვენში იშვიათია), კარგ შედეგს გვაძლევს ჭეოსა და თაფლის 50% ნარევით ფუტკრის ოჯახების გამოკვება. ასეთი კვება სასურველია შემოდგომაზეც, ზამთრობისათვის მზადების პერიოდში.

ზემოთ აღნიშნული საკვების მომზადების მიზნით იღებენ ერთ ეგ. ყვავილის მტვერს (ან ჭეოს), ასველებენ 150მლ. წყალში, უმატებენ 20გრ. თაფლს და კარგად ზელავენ. ამ მასას უმატებენ შაქრის პუდრას, პროპორციით 1:2, და 500-800 გრამის რაოდენობით აძლევენ ფუტკარს ჩარჩოების ზედა თამასებზე, კვებას იმეორებენ საკვების ხარჯვის მიხედვით.

ცილოვანი საკვებით შიმშილობის დროს ფუტკარს შეიძლება მივცეთ შაქრისა და ცილოვანი საკვების ნარევი შემდეგი პროცენტული შემადგენლობით: თაფლი - 22, შაქარი - 64, საკვები საფუარები - 5, ყვავილის მტვერი (ჭეო) - 5, წყალი - 4, ძმარმჟავა - 0,03%.

ფუტკრის ოჯახების კვება ნახშირწყლოვანი და ცილოვანი საკვებით ხელს უწყობს გაზაფხულზე ფუტკრის ოჯახების განვითარებას და შესამჩნევად ამაღლებს ახალგაზრდა ფუტკრის სიცოცხლის უნარიანობას, რის შედეგადაც იზრდება ფუტკრის ოჯახების შენარჩუნების პროცენტი (შემოდგომა-გაზაფხულის პერიოდში), აგრეთვე მეფუტკრის შრომის ნაყოფიერებაც.

## ქველი ვიშების შეცვლა სელოვნერ ვიშიანი ჩარჩოებით

დროთა განმავლობაში ბარტყის გამოჩეკვის შემდგომ ფიჭის უჯრედები ჯერ მუქდება და შემდგომ შავდება. ასეთი ფიჭის უჯრედების მოცულობა მცირდება და იქიდან უფრო პატარა ზომის ფუტკარი იჩეკება, თანაც ძველ ფიჭებში თანდათან გროვდება მავნე მიკროორგანიზმები, რომლებიც შემდგომში სხვადასხვა დაავადების საწყისს წარმოადგენს.

ამიტომ საჭიროა ყოველწლიურად ძველი ფიჭების შეცვლა ახლით. ძველი ფიჭები თანდათანობით სკის ნაპირისაკენ უნდა გადავიტანოთ, მათი შემდგომი ამოღებისათვის და სკაში ღალიანობის დაწყებიდან ასაშენებელი ფიჭები უნდა ჩავდგათ უკანასკნელი ბარტყისა და თაფლიან ჩარჩოებს შორის, როდესაც ფუტკრები ფიჭის ორივე გვერდზე უჯრედებს ნახევრამდე ააშენებენ. ის ბუდის შუაში უნდა გადავიტანოთ და მის ადგილას ახალი ფიჭა ჩავდგათ.

კარგი ღალიანობის პეროდში ძლიერ ოჯახებს ერთი ფიჭის აშენება თავისუფლად შეუძლიათ. ამიტომ ასეთ ოჯახებს ერთდროულად შეიძლება 2-2 ფიჭაც კი ჩავუდგათ.

## ფუტკრის ოჯახების მთაბარობის სიპათა

თაფლის უხვი მოსავლის მისაღებად საჭიროა ფუტკრის ოჯახების მთაბარობა, რაც იმაში გამოიხატება, რომ როდესაც საფუტკრის მიღამოებში არსებული ძირითადი თაფლოვანი მცენარეები დაამთავრებენ ყვავილობას, ფუტკრის ოჯახები შედარებით მაღალ ზონაში გადავიყვანოთ, სადაც თაფლოვანი მცენარეები ყვავილობას იწყებენ ან, პირიქით მთიდან ბარში ადრეულ ღალიანობაზე ჩამოვიყვანოთ. ყველაფერი ეს კი ხორციელდება წინასწარი “დაზვერვის”, თაფლოვანი მცენარეების ყვავილობის პერიოდის განსაზღვრის შემდეგ. საქართველოს გეოგრაფიულ-კლიმატური პირობები და თაფლოვან მცენარეთა ნაირსახეობა იმის საშუალებას იძლევა, რომ ფუტკრის ოჯახები ორ-სამ ადგილას ვამთაბაროთ, თაფლისა და ფუტკრის სხვა პროდუქტების უხვი მოსავალი რომ მივიღოთ.

საქართველოში ფუტკრის მთაბარობას მე-19 საუკუნის

მიწურულიდან ჩაეყარა საფუძველი, ამიერკავკასიის მეაპრეშუმეობისა და მეფუტკრეობის საცდელი სადგურის ინიციატივით, რომელიც ტერიტორიულად თბილისში იმყოფებოდა.

საქართველოს გეოგრაფიულ-კლიმატური პირობები და თაფლოვან მცენარეთა ნაირსახეობა ხელსაყრელ პირობებს ქმნიან ფუტკრის მთაბარობისათვის, მაგრამ ამასთან სამთაბარო მეფუტკრეობას დიდი ცოდნა, გამოცდილება და დაკვირვების უნარი სჭირდება, რადგანაც მეფუტკრეობის პრაქტიკში შეფასებისას არც თუ იშვიათად ყოფილა შემთხვევები, როდესაც არსებული ბუნებრივი სიტუაციის არასწორი შეფასების შედეგად სიკეთის მაგირ, მოყვარული მეფუტკრე საგრძნობლად დაზარალებულა - ფუჭად ჩაუვლია ძვირფას დროს, ენერგიას, სატრანსპორტო და სხვა ხარჯებს.

ამიტომაცაა ფუტკრის მთაბარობაში უპირველესი და მთავარი ამოცანა, სამთაბარო ადგილის „კვალიფიციურად“ შერჩევა მისი წინასწარ დაზვერვის მეშვეობით, რაც გამოიხატება: ამ ადგილებში თაფლოვანი მცენარეების რაოდენობის განსაზღვრაში, მათი ყვავილობის ვადებისა და ხანგრძლივობის პერიოდის დადგენაში. ამასთან, მეფუტკრე უნდა გაითვალისწინოს, რომ ერთსა და იმავე ადგილას სხვადასხვა ნელს, ერთი და იგივე თაფლოვანი მცენარის ყვავილობის პერიოდი იცვლება კლიმატურ პირობებთან დაკავშირებით, თუ ცივი ამინდები გრძელდება მცენარე გვიან იწყებს ყვავილობას და პირიქით. ასევე უარყოფითად მოქმედებს თაფლოვანი მცენარეების ნექტრის გამოყოფაზე გვალვიანი მშრალი და ხანგრძლივწვიმიანი, ცივი ამინდები.

სამთაბარო ადგილის შერჩევის შემდეგ უნდა შევარჩიოთ საფუტკრის მოსაწყობი ადგილი. სასურველია იგი იყოს თაფლოვან მცენარეებთან რაც შეიძლება ახლოს, რომ ფუტკარმა სკიდან ნექტრის წყაროებამდე დიდ მანძილზე არ იფრინოს, უნდა ვერიდოთ სკების მზის გულზე ან ქარიან ადგილებში დადგმას, მაგრამ არც მუდმივად ჩრდილიანი ადგილია გამოსადევი. თუ მაინცდამაინც ტრიალ მინდორში მოვიწია გაჩერება, მაშინ სკების სახურავები გათიბული ბალახით, ფიჩით ან სხვა საშუალებით უნდა დავჩრდილოთ.

ფუტკრის მთაბარობა ძირითადად ზაფხულის პერიოდში წარმოებს, როდესაც ჰაერის ტემპერატურა მაღალია. სიცხისა და ტრანსპორტირებისაგან შეწუხებული ფუტკარი კი ღელავსს და სკაში ტემპერატურა საგრძნობლად მატულობს, რაც ხელს უნყობს ბუდეში წყლის ორთელის წარმოქმნას, ამან კი შეიძლება ფუტკრის „ჩახარშვა“ გამოიწვიოს. ასევე მოსალოდნებისა ფიჭების გალლობა, თაფლით სავსე ფიჭები კი ფუტკრების სიმძიმის გავლენით შეიძლება ჩამოტყდეს და

დიდი რაოდენობით ფუტკარი გაიჭყლიტოს.

ყველივე აღნიშნულის თავიდან ასაცილებლად საჭიროა, ფუტკრის ოჯახები სათანადოდ მოვამზადოთ. ყველა მძიმე თაფლიანი ფიჭა უნდა გამოიწუროს, გარდა იმ ფიჭებისა, რომლებზედაც თაფლთან ერთად ღია ბარტყიც არის. ამის შემდეგ, ჩარჩოები ისე უნდა გავამაგროთ, რომ ტრანსპორტირების დროს არ გადაადგილდნენ. იმისათვის, რომ ფუტკარს მგზავრობის დროს საკმარისი თავისუფალი სივრცე ჰქონდეს, საჭიროა ძლიერ სკებს საკუჭნაოები დავადგათ.

ბუდის გადახურების თავიდან ასაცილებლად და წყლის ორთქლის მოცილების მიზნით, სკაში უნდა მოვაწყოთ ვენტილაცია, რისთვისაც ბუდის კორპუსზე ან თუ მას საკუჭნაო ადგას, მასზე უნდა დავაკრათ 1,5-2,0მ. უჯრედებიანი ბადე, რომელიც სკის ზომის ჩარჩოზე იქნება დამაგრებული.

სკის ძირი, ბუდის კორპუსი და საკუჭნაო ერთმანეთთან კარგად უნდა დავამაგროთ, თუ სკის ამ ნაწილებში ჭუჭრუტანები ან ნაპრალები შევნიშნეთ, საიმედოდ უნდა შევაკეთოთ, რომ მგზავრობისას იქიდან ფუტკარი გარეთ არ გამოვიდეს.

მოყვარულმა მეფუტკრემ სამთაბაროდ გამგზავრებისას თან უნდა იქმნიოს სავეტერინარო სამსახურის მოწმობა ფუტკრის ოჯახების ჯანმრთელობის დადასტურების შესახებ, ასევე თან უნდა წაიღოს შემდეგი ინვენტარი: საბოლებელი, პირბადე, ასტამი, ლურსმნები, ჩაქუჩი, ვედრო თიხის ან მიწის ტალახით, იმ შემთხვევისათვის თუ რომელიმე სკიდან ფუტკარი გარეთ დაიწყებს გამოსვლას დაზიანებული ადგილის ამოსალესად.

საღამო ხანს, როცა ფუტკარი ფრენას დაამთავრებს სამთაბაროდ გამგზადებულ სკებს მტკიდროდ უნდა ჩავუეტოთ საფრენები, მოვხსნათ ბადურას ზევიდან დაფარებული ტილოები და დასათბუნებელი ბალიშები, ფრთხილად შევაწყოთ სატრანსპორტო საშუალებაზე. ფუტკრის ოჯახები, როგორც წესი, გადაგვყავს ღამით, ხოლო თუ დიდ მანძილზე გვიწევს მგზავრობა, მაშინ შეიძლება დილისა და საღამო საათებშიც გავაგრძელოთ მოძრაობა, რომ ფუტკრის ოჯახები შუადლის სიცხეში არ გადახურდნენ.

სამთაბარო ადგილზე მისვლისას და ფუტკრის ოჯახების საფუტკრის ადგილზე დაწყობის შემდეგ, მცირე ხანს უნდა ვაცალოთ, სანამ ფუტკარი დაწყნარდება, შემდეგ კი თითოს გამოტოვებით სკების საფრენებს გამოვაღებთ, ასეთნაირად სხვადასხვა ოჯახებიდან გამოფრენილი ფუტკარი ერთმანეთში ალარ აირევა, რამდენიმე ხანში დანარჩენ სკებსაც გავუდებთ საფრენებს. მეორე დღეს ფუტკრის

ოჯახები უნდა გადაისინჯოს და ტრანსპორტირების შედეგად თუ რამეც ნაკლი აღმოჩნდა, დროულად გამოსწორდეს.

რა მანძილზე უნდა გადავიყვანოთ ფუტკარი, რომ თავის ძველ ადგილს არ დაუბრუნდეს?

სასურველია არანაკლებ 10 კილომეტრისა.

ფუტკრის მეშვეობით ხეხილის ბალებისა და სხვა კულტურული მცენარეების ჯვარედინი დამტვერვა საგრძნობლად ზრდის მოსავალს, აუმჯობესებს მის ხარისხობრივ მაჩვენებლებს და ეს საქმიანობა ორმხრივ სასარგებლოა.

ფუტკრის ოჯახების რამდენიმე ადგილზე მთაბარობა საშუალებას აძლევს მოყვარულ მეფეტკრეს, საერთო ჯამში თაფლისა და ფუტკრის სხვა პროდუქტების კარგი მოსავალი მიიღოს; ამიტომ ამ საქმიანობას მეტი ყურადღება და თანადგომა სჭირდება.

## აღმოჩენა ფუტკარსა და დანესტორაზე

ადამიანთა 1-2%-ს საფუტკრეში შეიძლება განუვითარდეს სხვადასხვა სახის ალერგიული მოვლენები.

სასუნთქი გზების ალერგია ვითარდება სასუნთქ გზებზე საფუტკრის ჰაერის შესუნთქვისას, რომელშიც შეიძლება განზავებული იყოს ფუტკრის სხეულის ნაწილაკები ან მათი ცხოველმყოფელობის პროდუქტები.

ამ შემთხვევაში ვითარდება ცხვირის ლორწოვანი გარსის გაღიზიანება, ინყება ცემინება და ლორწოვანი გამონადენი, მშრალი გამაღიზიანებელი ხველა, რომელიც შეიძლება გადაიზარდოს მახრჩობელა ხველის შეტევაში; შესაძლებელია გამოიწვიოს ბრონქიალური ასთმის შეტევა. ყველა ეს მოვლენა პროგრესირდება ფუტკართან შემდგომი კონტაქტის დროს.

კონტაქტური ალერგია ვითარდება კანის ღია ადგილებში, ჯერ იწყება ძლიერი ქავილი, შემდეგ ნითლდება და აღინიშნება გამონაყარი. ამას შეიძლება მოყვეს ცრემლდენა, ცხვირცემინება, სურდო და ეს მოვლენები შეიძლება განვითარდეს არა მარტო ფუტკართან მუშაობისას, არამედ საფუტკრეში დასვრილ ტანსაცმელთან, ჩარჩოებთან, ფიჭასთან, დინდგელთან შეხების დროს.

ამასთან საინტერესოა, რომ ასეთი ფორმის ალერგიით დაავადებული, ბევრი მეფუტკრე, კარგად იტანს ფუტკრის დანესტვრას.

შემჩნეულია, რომ ბავშვები და ქალები უფრო მგრძნობიარენი არიან ფუტკრის შხამის მიმართ, ვიდრე მამაკაცები, ხოლო “სტაჟიანი”

მეფუტყრეები, ნაკლებად მგრძნობიარენი არიან.

ფუტყრის დანესტვრის შედეგად ორგანიზმში მოხვედრილმა შხამმა შეიძლება გამოიწვიოს სხვადასხვა სახის აღერგოული რეაქციები.

1. მსუბუქი რეაქცია, რომელიც გამოიხატება კანის ქავილში, ჭინჭროვანი გამონაყარი ტანზე, სახისა და ყურების შეწითლებით, ენის შესიებით და ქავილი; ამ დროს აღინიშნება მსუბუქი თავპრუსევევა, წნევის დაქვეითების შედეგად.

2. საშუალო სიძლიერის - როცა ჭინჭროვანი გამონაყარის გარდა, აღინიშნება ფალარათი, გულისრევა, გაძნელებული სუნთქვა, წნევის დაცემა, ძლიერი სისუსტე და ხანმოკლე დროის განმავლობაში გონების დაკარგვა.

3. მძიმე ფორმა - შოკი, რომელიც ვითარდება მყისიერად დანესტვრისთანავე. ის გამოიხატება მძიმე კლინიკური მოვლენებით. წყვეტილი თავის ტკივილით, ავადმყოფი ღელავს და კარგავს გრძნობას 1-2 საათის განმავლობაში. ხანდახან ამ მოვლენებს თან სდევს უნებლიერად და კრუნჩხვები. ავადმყოფს ფერი ეკარგება, და სილურჯე გადაჰკრავს, სდის ცივი ოფლი. პულსი არ ისინჯება, არტერიული წნევა ეცემა 80/40-ზე.

ასეთ მდგომარეობაში ავადმყოფის სიცოცხლე დამოკიდებულია სწორ და დროულ ოპერატიულ დახმარებაზე.

ამ რამდენიმე წნის წინ ამ წიგნის ავტორები სოფელ ტაბახმელაში ასეთი ფაქტის მოწმენი გავხდით: სახლის პატრონთან, სადაც ფუტყარი გვყავდა ოთხი სასწრაფო დახმარების მანქანა იდგა.

როცა მიზეზი ვიკითხეთ, გვითხრეთ: ფუტყრის ნაყარი ხის ტოტზე დაეხვითა და ანზორ იაშალაშვილმა (რომელიც მეფუტყრე არ იყო) გადაწყვიტა მისი ჩამოსხსნა; ოთხმა ფუტყარმა დანესტრა (სწორი არ არის ის აზრი, რომ თითქოს ნაყარი ფუტყარი არ ინესტრებაო) შედეგად იგი მძიმე შოკურ მდგომარეობაში აღმოჩნდა და მედპერსონალმა ძლივს იხსნა ამ მდგომარეობიდან ერთიანად გალურჯებული კაცი.

ამიტომ ფუტყარში გაუცნობიერებელმა ადამიანმა ხელალებით არ უნდა აიღოს თავის თავზე ისეთი საქმიანობა, რაც მხოლოდ გამოცდილ მეფუტყრეს ხელენიფება.

მეფუტყრებმა, რომლებსაც ფუტყრის დანესტვრის შედეგად უვითარდებათ ალერგიული მოვლენები, ფუტყართან არ უნდა იმუშაონ.

რა უნდა გააკეთოს პიროვნებამ დანესტვრის შემთხვევაში? უპირველესად ფრთხილად, ფრჩხილით, დანის წვერით ან წემით უნდა ამოიძროს კანიდან წესტარი შხამიან ბუშტულასთან ერთად. ამოძრობა უნდა მოხდეს ქვევიდან ხევით, ისე, რომ შხამიან ბუშტულას არ დავაწვეთ, თორემ ორგანიზმში უფრო მეტი შხამი

შევა. შემდეგ დანესტრილი ადგილი უნდა მოვიბანოთ წყლით და დავიდოთ რაიმე ცივი საგანი (ყინული). საჭიროა მივიღოთ დიმედროლის ან სუპრასტინის ტაბლეტი.

მძიმე ფორმის შემთხვევაში დაუყოვნებლივ უნდა მივმართოთ სამედიცინო პერსონალს. მანამდე კი ავადმყოფისათვის საჭიროა წოლითი რეჟიმი, დღიური რაოდენობით წყლისა და ჩაის დალევა.

10 წვეთი ნიშადურის სპირტის მიღება ცენტრალური ნერვული სისტემის აღგზნებისათვის: გულსისხმარვთა მუშაობის უკმარისობის შემთხვევაში კოფეინის, ქაფურის ან კორაზოლის ინექციები. კარგია აგრეთვე 0,1 პროცენტიანი ადრენალინის ინექცია. მაგრამ 60 წლის ზევით ასაკიანთა და გულით დაავადებულთათვის ამ ინექციის გაკეთება არ შეიძლება. ავადმყოფს თბილად უნდა დავაფაროთ და შემთხვევულყოთ თბილი წყლის სათბურები.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე ყოველ მეფუტკრეს საფუტკრეში უნდა ჰქონდეს მოწყობილი მცირე ფორმის აფთიაქი ასეთ შემთხვევაში საჭირო პრეპარატებით სწრაფი დახმარებისათვის.

## მეზუტპრის პალენდარი

### 01 ნოვენტი

ზამთრის პერიოდში, როდესაც გარემოს ტემპერატურა დაბლა ინევს და ფუტკრის ოჯახში ბარტყი აღარ არის, ფუტკარი გუნდს კრავს და ნახევრად მიძინებულ მდგორეობაში გადადის.

ცნობილია, რომ ზამთრობით ფუტკრის გუნდს უფრო მეტად იზიდავს ისეთი ჩარჩოები, სადაც თაფლთან ერთად ცარიელი უჯრედებიც საკმარისად არის, რამეთუ ზამთარში თაფლიანი უჯრედები შედარებით ცივია და ფუტკრის გუნდი ცარიელ უჯრედებზე, ჩარჩოს ქვედა ნანილში ამჯობინებს დაბუდებას. ასეთ ჩარჩოებზე თაფლის რაოდენობა 2-2,5 კილოგრამზე ნაკლები არ უნდა იყოს, თორემ ნახევრად მიძინებულ ფუტკარს სხვა გვერდითა თაფლიან ფიჭებზე გადასვლა არ ძალუდს და შიმშილივ იღუპება. თაფლით სავსე 3-4კგ. ჩარჩოები ჩვეულებრივ ბუდის ნაპირებისკენ იდგმება.

საინტერესოა ფიჭაზე ფუტკრის გუნდის განლაგება. ის სახლის კრამიტიანი სახურავის წყობას ნააგავს. ქვევით მსხდომ ფუტკრებს ზედა რიგის ფუტკრების მუცლის ქვეშ თავები აქვთ შეყოფილი და ასეთნაირი კრამიტისებური წყობა ჩასდევს ზევიდან ქვევით. ამასთან გუნდის ზედა რიგის ფუტკრები, რომლებიც

თაფლთან ახლოს არიან, ქვევით გადასცემენ თაფლს და ასე ჯაჭვისებურად გრძელდება მთელ გუნდზე საკვების განაწილება.

გუნდის შეკვრისას ბუდეში ტემპერატურა მკვეთრად კლებულობს და ამ დროს ფუტკარი გუნდში ნელ-ნელა გადაადგილდება გარედან, სადაც ტემპერატურა შედარებით დაბალია, გუნდის შიგნით სითბოსენ და პირიქით. ასეთნაირად ის თავის თბილ ადგილს სხვა “შეციებულ” თანამოძმებს უთმობს. ასეთი მოძრაობის წყალობით ფუტკარი ინარჩუნებს იმ მინიმალურ ტემპერატურას, რომელიც მის ორგანიზმს ნახევრად მიძინებულ მდგომარეობაში ცხოველმყოფელობისათვის ესაჭიროება. თუ პარტყიანობის დროს ფუტკარის ბუდეში  $34-35^{\circ}\text{C}$  ტემპერატურაა, ზამთარში ფუტკარის გუნდისათვის  $14-25^{\circ}\text{C}$  ტემპერატურაა საჭირო.

ცნობილია, რომ ფუტკარი სხვა მნერებივით სხეულში ვერ იგროვებს ცხიმს და ამიტომ ზამთრის ძილს “ანაბიოზს” ვერ ეძლევა, რის გამოც მას ზამთარში გარკვეული რაოდენობის საკვები სჭირდება. და თუ ის შემოაკლდა, სიცივით და შიმშილით იღუპება.

პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც მეფუტკრის გამოუცდელობის ან სხვა მიზეზის გამო ოჯახს ზამთარში საკვები ეძლევა. ასეთი შემთხვევები უფრო მეტად ზამთრის მიწურულს აღინიშნება. და თუ მეფუტკრემ დროულად არ მიიღო სათანადო ზომები, შედეგი სავალოა.

უპირველესად უნდა დადგინდეს, საფუტკრეში, განსაკუთრებით ისეთში, სადაც ფუტკარის ოჯახების სიმრავლეა, თავდაპირველად რომელ ოჯახს ესაჭიროება დახმარება. ამისათვის საჭიროა წყნარ ამინდში, შუადღისას, როცა გარემოს ტემპერატურა შედარებით მაღალია, სკას მოვხადოთ სახურავი და ფრთხილად, საფარებელი ტილოს ნაწილობრივი გადახდით და ჩარჩოების დათვალიერებით დავადგინოთ, ფუტკარის გუნდი სად იმყოფება. თუ ის დაბლაა და ჩარჩოების ზედა ნაწილში თაფლიანი ფიჭების მოზრდილი ზოლი გასდევს, მაშინ ასეთ ოჯახში ნორმალური მდგომარებაა, ხოლო თუ ფუტკარის გუნდი ჩარჩოების ზედა თამასასთანაა ამოსული, ეს იმაზე მიგვანიშნებს, რომ ფუტკარს საკვები გამოლევია და სასწრაფოდ დახმარება სჭირდება.

ზამთრის პერიოდში ოჯახის გამოსაკვებად რამდენიმე ხერხი გამოიყენება, მაგრამ ყველაზე ეფექტურად და პრაქტიკულად გამართლებულად კანდით კვება ითვლება.

როგორც წესი ჩვენს საფუტკრეში ნებისმიერი წლის იანვრის 15-დან ვიზყებთ ფუტკარის ოჯახების კანდით კვებას. სასურველია კანდში ცილოვანი საკვების, კერძოდ ყვავილის მტვრის, ხოლო პრეპარატებიდან

ოქსიტეტრაციკლინის შერევა, რომელმაც ამერიკული, ევროპული სიდამპლებისა, ვირუსული და სხვა დაავადებების მიმართ კარგი შედეგები აჩვენა. კანდიტ კვებას ვაგრძელებთ ადრეულ გაზაფხულამდე, მანამდე, სანამ ფუტკარი შაქრის სიროფის აღებას და გადამუშავებას შესძლებს, ე.ი. გარემო ტემპერატურის 15° და ზევით, მაშინ, როდესაც ფუტკარი გუნდს დაშლის და გარეთ გამოფრენას დაიწყებს.

კანდის მოსამზადებლად ვიღებთ 4 წილ შაქრის პუდრს და 1წილ თაფლს. ვინაიდან ამ პერიოდში თაფლი ხშირად გამაგრებულია, ის უნდა გავადნოთ ცეცხლიდან გადმოღებულ ცხელი ნელის აბაზანაში.

როცა ყველა კომპონენტს მოვამზადებთ მოზრდილ თასში ჩავყრით პუდრს, ხოლო შუაში კი ჩავასხამთ გამდნარ თაფლს, თავდაპირველად შაქრის ფქვილს და თაფლს ერთმანეთში შევურევთ ხის კოვზით, შემდეგ კი გადავდივართ ხელით ზელვაზე. ვზელვათ ისე გულდასმით, როგორც ხინჯლის ცომი იზიღება. მოზელვა საჭიროა მანამდე, ვიდრე ცომიდან ამოღებული გუნდა მაგიდაზე დადებისას თავის ფორმას შეინარჩუნებს და არ გაიშლება.

მოზელილი ცომიდან ვიღებთ იმდენ მასას, რომ დაახლოებით 1-1,5 კგ. იწონიდეს და მივცემთ ელიფსური, თონის პურის ფორმას და მოვავთავსებთ ერთჯერად ცელოფნის პარკში, რომელსაც ქვედა მხრიდან რამდენიმე ნახვრეტი აქვს გაკეთებული. სკას სახურავს გადავხდით, გადავწევთ საფარებელ ტილოს, ზუსტად დავაფიქსირებთ ფუტკრის გუნდის მდებარეობას და მის თავზე ჩარჩოების ზემოდან ვდებთ კანდის ულუფას და აკურატულად ვაფარებთ ტილოს, ბალიშს და სკის სახურავს.

დაახლოებით ორი კვირის შემდეგ ვამოწმებთ ოჯახებს და იქ, სადაც კანდი მთლიანად ათვისებულია, იგივე პროცედურას ვიმეორებთ მანამდე, სანამ ფუტკარი შაქრის სიროფის ათვისებას შესძლებს.

მართალია, კანდიტ კვება შრომატევადი სამუშაოა, მაგრამ ის კვებითი, სამკურნალო-პროფილაქტიკური დანიშნულების გარდა ბრწყინვალე სტიმულატორია ფუტკრის ოჯახების დროული განვითარების დაწყებისათვის, როგორც ხელოვნური გამაღიზიანებელი საშუალება.

## თებერვალი

თებერვალი დადგაო...

თებერვალი ზამთრის ბოლო თვეა. ჰაერის ტემპერატურა კვლავ დაბალი და ცვალებადია, ფუტკრის ოჯახი გუნდად არის დაბუდებული. მხოლოდ ხანდახან, დღისით, როცა სითბო 12-14 გრადუსამდე აიწვეს,

ფუტკარი მაშინ შლის გუნდას და იწყებს გამოფრენას კუჭის გასაწმენდად. ამავე დროს მას წყალი სჭირდება ბარტყის საკვების დასამზადებლად. ის იძულებულია უფრო დაბალი სითბოს პირობებშიც კი (+7 +8 გრადუსი) გამოფრინდეს და წყალი ეძებოს. ზოგჯერ მას ცივი წყლის აღება უხდება, ცივდება და იღუპება.

ამიტომ საფუტკრეში სასმელი წყალი მზიან ადგილას უნდა დავდგათ. მისთვის ვარგისია ჩვეულებრივი ხის კასრი, რომელსაც ძირში ონკანი უკეთდება. ის იდგმება შემაღლებულ ადგილზე. ონკანს ქვემოდან დახრილი კლავნილარზიანი ფიცარი უკეთდება, რომელზეც წვეთავს წყალი და მიედინება დაბლა. ფუტკარი მას კარგად იყენებს.

თებერვალში სასურველია გავაგრძელოთ ფუტკრი მასტიმულირებელი ხელოვნური კვება. რადგან ლამით დაბალი ტემპერატურის გამო ფუტკარი შაქრის სიროფს არ იღებს, ვაგრძელებთ კანდით კვებას.

გაზაფხული კარს გვიკავუნებს. მეფუტკრემ ინტენსიური საქმიანობით უნდა დაამთავროს ზამთარში დაწყებული მოსამზადებელი სამუშაოები: წესრიგში მოიყვანოს სკები, დაამზადოს ჩარჩოები, ფიჭები ჩააკრას ჩარჩოში, მოიმარაგოს დასათბუნებელი ბალიშები, გადაცვალოს ცვილი ხელოვნურ ფიჭაზე.

დაბლობ ადგილებში, სადაც გარემოს ტემპერატურა შედარებით მაღალია, თბილ და წყნარ ამინდებში საჭიროა დავიწყოთ ფუტკრის ოჯახების მეურნალობა ტკიბა ვაროას წინააღმდეგ.

ზოგი მეფუტკრე მხოლოდ ხსნარის შესხურებით კმაყოფილდება და აღარ ამონტებს შედეგს, რამდენად იმოქმედა წამალმა ტკიბაზე. საჭიროა შენამვლის შემდეგ მეორე-მესამე დღეს დავაკვირდეთ საფრენს, მავნებლის არსებობის პირობებში ფუტკრები გარეთ ყრიან დახოცილ პარაზიტებს, რაც თვალით ადვილად შეიმჩნევა.

თებერვლის ბოლო რიცხვებში ფუტკრის ცხოველმოქმედებასთან ერთად გუნდში ტემპერატურა მატულობს და იგი 28-29 გრადუსს აღწევს.

## მარტი

სრული ჭეშმარიტებაა, რომ მარტი ჭირვეული თვეა. ამინდი დღეში რამდენჯერმე შეიძლება შეიცვალოს; არც თუ იშვიათად წაყინავს ხოლმე სითბოში ნაადრევად გამოტანილ-გამოტყუებულ ხეხილის ყვავილს. ამ დროს ფუტკარი შფოთავს, წუს მეურნე-მეფუტკრე კაციც, მაგრამ მარტი მაინც გაზაფხულის პირველი თვეა - სითბოს, მზიანი დღეების, შრომისა და ცხოვრების გააქტიურების პერიოდი და ჰაერის საშუალო ტემპერატურაც თანდათანობით მაღლა იწევს, თვის მეორე ნახევრიდან

ზოგიერთი ხე-მცენარე ყვავილობას იწყებს და ფუტკარს მართალია, მცირე რაოდენობით, მაგრამ მაინც შეაქვს ბუდეში ყავილის მტვერი და ახალი ნექტრის სურნელოვანი წვეთები.

ამ დროს მეფუტკრე თავდაპირველად ზერელედ შემოწმებას ატარებს, ამისათვის საჭიროა შეირჩეს წყნარი, მზიანი ამინდი, როცა ფუტკარი სკიდან გამოფრენას ასრულებს და გარემოს ტემპერატურა ჩრდილში  $+12^{\circ}$ -ის ქვევით არ არის.

მეფუტკრემ საფუტკრის უურნალში უნდა ჩაინიშნოს ფუტკრის ოჯახების მდგომარეობის შემდგი ძირითადი მონაცემები: მან პირველ რიგში უნდა დაადგინოს ფუტკრის ოჯახს საკვები აკლია, თუ თითქმის აღარ აქვს, ჰყავს თუ არა ბარტყი და რამდენ ჩარჩოზე, ამასთან თუ ბარტყი არ შეინიშნება შეიძლება ოჯახში დედა ფუტკარი არ იყოს; ხომ არ არის ფიჭებში ჩაშაქრებული თაფლი, ან ფაღარათით დასვრილი ჩარჩოები და სკის შიგნითა კედლები, ხომ არ შეინიშნება მინდვრის თაგვის სკაში შეღწევა და ფიჭების დაზიანება და სხვ. ყოველივე ამის დასადგენად საჭირო არ არის ფუტკრის ოჯახის მთლიანად გასინჯვა, ჩარჩოების ამოღებით, არამედ ასტმის საშუალებით ჩარჩოების გამოწევით და გვერდიდან შეხედვით შეიძლება აღნიშნული საკითხების დადგენა.

განვიხილოთ ჩამოთვლილი საკითხები ცალ-ცალკე.

საკვების ნაკლებობის ან უქონლობის შემთხვევაში საჭიროა ფუტკარს დროულად მივაშველოთ თაფლიანი და ჭეოიანი სათადარიგო შემონახული ჩარჩოები, ამასთან თაფლიანი ჩარჩოები ალაგ-ალაგ უნდა აითალოს გადაბეჭდილი ფიჭისაგან, რომ ზამთრისაგან დასუსტებულ ფუტკარს მისი ათვისება არ გაუძნელდეს. თაფლიანი ჩარჩოები ნინასწარ უნდა შეთბეს თბილ შენობაში და შემდეგ ჩაიდგას ბარტყიანი ჩარჩოების გვერდით.

თუ ასეთი მარაგი არ მოგვეპოვება, მაშინ ფუტკარს უნდა გაუშმიადოთ კანდი ან 1:1-ზე გახსნილი შაქრის სიროფი, ორივე შემთხვევაში სასურველია, პროფილაქტიკის მიზნით პრეპარატ ოქსიტეტრაციკლინის გამოყენება შემდეგი დოზით 1კგ. კანდში ან 1 ლიტრ სიროფში 0,5 გრამი პრეპარატის გახსნა.

ამასთან საღამოთი მიცემული სიროფის დოზა გათვლილი უნდა იყოს ფუტკრის ოჯახის სიძლიერეზე, იმ ვარაუდით, რომ დილამდე იქნეს ათვისებული. იმისათვის, რომ ფუტკარი ნაკლებად შევანუხოთ და ერთდროულად ორი საქმე გაკეთდეს, კანდის მიცემის ნინ სასურველია ფუტკარი შეიწამლოს ვაროატოზის ტკიპის სანინააღმდეგო პრეპარატებით.

ფუტკრის იმ ოჯახებში, სადაც ბარტყი არ შეინიშნება და

შესაბამისად დედა ფუტკარი არ არის, უნდა ჩავატაროთ შემდეგი ღონისძიება: თუ ფუტკრის ოჯახი ძლიერია მას უნდა მივცეთ დედა ფუტკარი სათადარიგო ნუკლეუსიდან, ხოლო ამ ნუკლეუსის ფუტკარი უნდა შევურთოთ სხვა ნუკლეუსსა ან სუსტ ოჯახს.

თუ ფუტკრის ოჯახი საშუალო სიძლიერისაა, მას ვუერთობთ დედიან ნუკლეუსს.

სუსტი, უდედო ოჯახის გამოსწორებას აზრი არა აქვს, ვინაიდან ის ყოველთვის იქნება ქურდობის გავრცელების საშიში კერა, ამიტომ ის უნდა შევურთოთ სხვა სუსტ დედიან ოჯახს ან ნუკლეუსს.

უდედო ოჯახების შეერთება წარმოებს საღამო ხანს, როცა ფუტკარი ფრენას შეწყვეტს.

იმისათვის, რომ სხვადასხვა ოჯახების ფუტკარი შეერთების დროს ერთმანეთს არ დაერიოს, მათ აძლევენ საერთო სუნს პიტნის წვეთების, პუდრის და ა.შ. შეფრევევით.

ამასთან სასურველია შეერთების დროს, დედა ფუტკარი 2-3 დღით მოვათავსოთ სადედე ხუფის ქვეშ ფიჭის თაფლიან ნაწილში. თუ სკის ფართობი საშუალებას იძლევა, კარგია მისაერთებელ ოჯახებს შორის საზღვარზე დროებით ცარიელი ჩარჩო ჩაიდგას ან გაზეთი ჩაიფინოს.

ნოზემატოზის - ფუტკრის ფაღარათის შემთხვევაში, ოჯახი სხვა სკაში უნდა გადაისხას და განავლით დასვრილი ჩარჩოები გამოიცვალოს. ამის შემდეგ უნდა მიეცეს სამკურნალო პრეპარატით განზავებული თბილი სიროფი.

უნდა ვიცოდეთ, რომ ფუტკრის ოჯახების შეერთება ან ფუტკრის ოჯახის სხვა სკაში გადაყვანა ზერელე შემოწმებისაგან განსხვავებით უნდა ვანარმოოთ არანაკლებ +15°-ის პირობებში.

ადრე გაზაფხულზე, როდესაც ბუნებაში ღალა არ არის ან მცირე რაოდენობითაა, ადვილად იწყება ფუტკრის ქურდობა, ამიტომ საფუტკრეში საქმიანობისას სიფრთხილეა საჭირო, რომ ფუტკარს ამის მიზეზი არ მივცეთ.

თუ სკაში თაგვია შემძვრალი და "ნამუშევარი", საჭიროა ფუტკარი სხვა სკაში გადავსხათ, დალრღნილი ფიჭები გამოვაცალოთ და გადავადნოთ.

ზამთრობისას სკის ძირებზე გროვდება დახოცილი ფუტკარი და სხვა ნარჩენები, ამიტომ სკის ძირები უნდა შეიცვალოს სუფთა დეზინფიცირებული ძირებით, ხოლო შეგროვილი ნაგავი დაინვას.

## პრილი

აპრილში საქმაოდ თბილა და ხეხილის ბალებში მრავლად ყვავიან თაფლოვანი ხე-მცენარეები, იწყება მცირე ღალიანობა, რაც სტიმულს აძლევს ფუტკრის ოჯახების ცხოველმყოფელობას. დედა ფუტკარი იწყებს გაძლიერებულ კვერცხმდებლობას, რისთვისაც აღნიშნული ნექტარი საქმარისი არ არის და საჭიროა ფუტკარი 1:1 განზავებული შაქრის წყალსნარით ვკვებოთ.

ასევე საჭიროა ფუტკრის ოჯახებისათვის ასაშენებელი ხელოვნური ფიჭის მიცემა, რაც ძველი ჩაშავებული ფიჭების შეცვლის საშუალებას მოგვცემს. ეს აუცილებელია როგორც ბუდის გაფართოებისათვის, ასევე სანიტარულ-ჰიგიენური და თუნდაც ესთეტიკური თვალსაზრისითაც. ცნობილია, რომ ახალ აშენებულ ფიჭაში დედა ფუტკარი უფრო ხალისით დებს კვერცხს და ბარტყიც უფრო მოზრდილი იჩეება, ვიდრე ძველი ფიჭიდან, რომლის უჯრედები ადრე გამოჩეკილი ბარტყის პერანგის ნარჩენებით თანდათანობით პატარავდება.

აპრილში ფუტკრის ოჯახის ცხოვრების გააქტიურებასთან ერთად განვითარებას იწყებენ სხვადასხვა სახის ინფექციური თუ ინვაზიური დაავადებები, როგორიცაა: ამერიკული და ევროპული სიდამპლე, ნოზემატოზი, ვაროვატოზი, ასკორიფეროზი და ა.შ.

ამიტომ ამ პერიოდში მეფუტკრემ დიდი ყურადღება უნდა დაუთმოს ფუტკრის ოჯახების ჯანმრთელობას და იზრუნოს სამკურნალო-პროფილაქტიკური სამუშაოების დროულ ჩატარებაზე.

თბილ მზიან ამინდში მეფუტკრე იწყებს ოჯახების ხილვა-შემოწმებას. ეს ღონისძიება შეიძლება ორ ფაზად დაიყოს: პირველ შემთხვევაში ოჯახის შემოწმებას უფრო ზერელე ხასიათი ექნება და ეს იმისათვის არის საჭირო, რომ წარმოდგენა გვქონდეს რა მდგომარეობაა ბუდეში. ამ დროს ჩარჩოების ამოღება და ხილვა აუცილებელი არ არის. სკის შიგნით ფიჭების გადაადგილებითა და დაკვირვებით შესაძლებელია დავადგინოთ ფუტკრის ოჯახის სიძლიერე, საკედების მარაგი, ჯანმრთელობის მდგომარეობა და ა.შ. თუ კი სკებს ძირები ესხნება, ისინი უნდა მოვხსნათ, ნაგვისა და ნარჩენებისაგან გავასუფთაოთ, დეზინფექცია ჩავუტაროთ, ცეცხლის აღზე მოვწვათ და კვლავ შევუდგათ სკას.

ზერელე შემოწმების შემდეგ, როცა წყნარი, უქარო ამინდი ამის საშუალებას გვაძლევს და ჩრდილში +15-16 სითბოა, საჭიროა მთავარი საგაზფხულო შემოწმების ჩატარება.

საფუტკრეში მუშაობისათვის საჭირო ინვენტარის მომზადების

შემდეგ, მეფუტკრემ გარკვეული დრო უნდა დაუთმოს პირად ჰეგიენას. გულდასმით უნდა დაიბანოს ხელები, სახე; ფუტკრები ასევე ღიზიანდებიან სუნამოს, ხავის, ნივრის, ოფლის, ალკოჰოლის მკვეთრი სუნით. მეფუტკრემ ამინდის შესატყვისად მსუბუქად უნდა ჩაიცვას, რომ არ გაოფლიანდეს და გადაიცვას თეთრი ხალათი.

ოჯახების ხილვა, ფუტკარს გარკვეული ხნით აღაგზნებს, რაც გავლენას ახდენს მათ შრომის ნაყოფიერებაზე, ამიტომ თუ საფუტკრე მცირე მოცულობისაა, სასურველია ეს სამუშაოები დღის მეორე ნახევრიდან დავიწყოთ.

სანამ ფუტკრის ოჯახებთან მუშაობას დავიწყებდეთ, უნდა ვიცოდეთ, თუ რა სამუშაო უნდა შევასრულოთ კონკრეტულად მოცემულ ოჯახში, სწორედ აქ გამოგვადგება ის ჩანაწერები, რომლებიც შევიტანეთ უურნალში საგაზაფხულო ზერელე შემოწმების დროს. მეფუტკრემ უნდა იცოდეს, რომ რაც უფრო ხშირად და დიდხანს შეაწუხებს იგი ფუტკრის ოჯახებს, მით უფრო ნაკლები იქნება თაფლის მოსავლის ბარაქა.

ამიტომ საჭიროა დავიხსომოთ, რომ ფუტკრის ოჯახის მთლიანი შემოწმება მხოლოდ რამდენიმეჯერ შეიძლება მთელი სეზონის განმავლობაში.

საგაზაფხულო შემოწმების მთავარი მიზანია განისაზღვროს საკვები მარაგის რაოდენობა და ხარისხი; ფუტკრის ოჯახის სიძლიერე, ბარტყის რაოდენობა და დედა ფუტკრის ხარისხი, ასევე ბუდის სანიტარული მდგომარეობა.

თუ აღმოჩნდა, რომ თაფლის მარაგის გარკვეული ნაწილი დაკრისტალდა ან ამჟავდა, ის უნდა ამოვაცალოთ და მივცეთ სამარგოდან თაფლიანი ფიქები ან გამოვევებოთ 1:1-ზე შეფარდებით შემზადებული სიროფით.

დედა ფუტკრის ხარისხი დგინდება ბარტყის მიხედვით, თუ მამალი ფუტკრების რაოდენობა ბევრია, ან ბარტყი გაბნეულად არის ფიქაზე და ჩანაკვერცხი, ჭია და გადაბეჭდილი ბარტყი ერთმანეთშია უწესრიგოდ განლაგებული, მაშინ დედა ფუტკრის შეცვლაზე უნდა მივიღოთ გადაწყვეტილება.

თუ ფუტკრის ოჯახში დედა ფუტკარი არის, მაგრამ ბარტყი არაა, ეს მიგვანიშნებს ფუტკრის ნოზემატოზით დაავადებაზე, აქაც დედა ფუტკარი შესაცვლელია, ფუტკარი კი სამკურნალო.

თუ ფუტკრის ოჯახში მხოლოდ გადაბეჭდილი ბარტყია და ჩამოშენებული სადედები და ჩაკვერცხილი ფიქები არ არის, ესეც დედა ფუტკრის დაღუპვაზე მიგვანიშნებს.

თუ სკის სანიტარული მდგომარეობა ნოზემატოზით დაავადების

გამო არადამაკმაყოფილებელია, ის უნდა გასუფთავდეს, ან ფუტკარი უნდა გადავიყვანოთ სუფთა, დეზინფიცირებულ სკაში, ხოლო ძველი სკა გასუფთავდეს ფაღარათის კვალისაგან ასტმით ან სხვა სახის საფხელით. სკის ძირი გაირეცხება ხსნარით, რომელიც შემდეგნაირად მზადდება: 10 ლიტრ წყალში ვხსნით 6 კგ. შეშის ნაცარს და 1 კგ. ახალ ჩამქრალ კირს. მიღებულ ხსნარს ვურევთ დღეში 3-4-ჯერ, შემდეგ კი გამოვიყენებთ დანიშნულებისამებრ. ასევე კარგია სკის გამოწვა სარჩილავი ლამფით.

გაზაფხულზე სუსტი და უდედო ოჯახები უნდა შევაერთოთ. შეერთების რამდენიმე წესი არსებობს. ზოგჯერ ოჯახებს შორის ტიხრად ცარიელ ფიჭიან ჩარჩოს იყენებენ, ზოგჯერ ქალალდს ჩამოაფარებენ ისე, რომ ფუტკრებს არ შეეძლოთ ერთი ოჯახიდან მეორეში გადასვლა, ლამით ფუტკრები გაზეთს გახვრეტენ და შეერთდებიან.

შეერთება უმჯობესია სალამოს საათებში, რომ ფუტკრები მალე დაწყნარდნენ. კარგია, თუ შეერთებისას ორივე ფუტკრი ოჯახს ერთნაირ სუნს მივცემთ, ეს შეიძლება სახის პუდრის შეფრქვევით ან პიტინის ნაყენით, ზოგი სიროფის შეფრქვევასაც იყენებს, მაგრამ ამ შემთხვევაში სიფრთხილეა საჭირო, რათა ქურდობას არ მივცეთ სტიმული.

გაზაფხულზე, მაშინ, როდესაც განაპირო ჩარჩოზეც ბარტყი გამოჩნდება, ბუდე უნდა გავაფართოოთ ახლად აშენებული ოდნავ მოყავისფრო ჩარჩოებით. ცარიელი ჩარჩოს ბუდის შუაში ჩადება არ შეიძლება, იმისათვის რომ ბუდე არ გავაციოთ; ხოლო მაშინ, როცა მცირე ღალიანობა დაიწყება, უკვე შეიძლება ასაშენებლად ხელოვნური ფიჭიანი ჩარჩოები ჩავუდგათ იქ, სადაც ბარტყი თავდება, ხოლო როცა ფუტკარი მის ერთ მხარეს ამოაშენებს, ჩარჩო უნდა შემოვატრიალოთ, მეორე მხარის აშენების შემდეგ კი უკვე შეიძლება მისი ბუდის შუაში ჩადგმა.

ზოგიერთი მეფუტკრე, უმთავრესად ის, ვისაც დიდი მოცულობის საფუტკრე არა აქვს, მიმართავს ფუტკრის ოჯახების საგაზაფხულო გამაღიზიანებელ კვებას შაქრის სიროფით, რომელიც მზადდება 1:1-ზე შეფარდებით და საკვებურებით ფუტკარს მცირე დოზებით ეძლევა დღეგამოშვებით სალამო ხანს 0,2-დან 0,5 კგ-მდე ოჯახების სიძლიერის შესაბამისად. შედეგად დედა ფუტკარი იწყებს ინტენსიურად კვერცხის დებას და მთავარ ღალიანობას ფუტკრის ოჯახები გაძლიერებულ მდგომარეობაში ხვდება. აღნიშნული საქმიანობა უნდა შევაჩეროთ მთავარი ღალიანობის დაწყებამდე რამდენიმე კვირით ადრე, რომ გამორიცხული იყოს შაქრის სიროფის შერევა სასაქონლო თაფლში.

## მაისი

მეფუტყურეობის სეზონის იმ პერიოდს, როდესაც თაფლოვანი მცენარეები ნექტრის ყველაზე მეტ რაოდენობას გამოყოფენ, მთავარი ღალიანობა ეწოდება.

ჩვენში ეს პერიოდი ძირითადად ემთხვევა მაისის პირველ დეკადას, როდესაც თეთრი აკაცია იწყებს ყვავილობას. ღალიანობა დასავლეთ საქართველოში შედარებით ადრე იწყება, აღმოსავლეთში კი ოდნავ მოგვიანებით.

კი, მაგრამ, სადაც აკაცია არ არის, რა ნიშნებით უნდა განვსაზღვროთ მთავარი ღალიანობის დაწყება?

სწორედ ამისათვის არის საჭირო საკონტროლო სკის მაჩვენებლების ყოველდღიური აღრიცხვა, რომლის მკვეთრი მატება მიგვანიშნებს მთავარი ღალიანობის დაწყებაზე.

აღნიშნულზე მიგვითითებს ფუტყრის ქცევის შეცვლაც.

ფუტყარი ადრიანად და დიდი რაოდენობით გადის ღალაზე და იქიდან მძიმედ დატვირთული კი არ დაფრინდება, არამედ ეცემა საფრენ ფიცარზე და მის ქვევითაც. საღამოთიც კი, როცა საფუტყრეში გაივლით, სასიამოვნო ნექტრის არომატითა და სურნელებით არის გაუღენილი მიდამო.

რა უნდა გააკეთოს ამ მეტად პასუხსაგებ პერიოდში მეფუტყურემ? პირველ ყოვლისა ნაკლებად უნდა შეანუხოს ფუტყარი. მაგრამ თუ ეს აუცილებელია, მხოლოდ დღის მეორე ნახევარში უნდა შეასრულოს საჭირო სამუშაო.

როდესაც სკის მთლიანი მოცულობა ფუტყრით შეივსება, მას უნდა დაედგას საკუჭნაო აშენებული ფიჭებით.

თუ ფუტყარი ჯიუტობს და საკუჭნაოში არ ადის, მაშინ ბუდიდან საკუჭნაოს შუაში უნდა ავიტანოთ 2-3 დაბეჭდილბარტყიანი ჩარჩო, ასევე შეიძლება ღია თაფლიანი ჩარჩოს ატანაც.

ძლიერი ღალიანობის დროს ფუტყრები საკუჭნაოს რამდენიმე დღეში ავსებენ, მაგრამ იმისათვის, რომ თხელი თაფლი არ გამოვწუროთ, საჭიროა მეორე საკუჭნაო დავადგათ გახლეჩის მეთოდით ე.ი. ბუდისა და პირველ საკუჭნაოს შორის. თაფლის გამოწურვა შეიძლება მაშინ, როდესაც თაფლიანი ფიჭის 1/3 ნაწილი გადაბეჭდილი იქნება.

იმისათვის, რომ დედა ფუტყარმა არ ჩაგვიყენებოს საკუჭნაოს ფიჭები, ისინი იქ ნაკლები რაოდენობით უნდა ჩავდგათ და მათ შორის მანძილი გავზარდოთ. ფუტყრები ფიჭის უჯრედებს დააგრძელებენ და დედა ფუტყარი კვერცხს ვეღარ ჩადებს.

თუ დედამ მოასწრო ჩაკვერცხვა, მაშინ ასეთ ჩარჩოებს

ცივწყლიან ჭურჭელში ვდგამთ 10 წუთის განმავლობაში, შემდეგ დავძერტყავთ და უკანვე ჩავდგამთ, ფუტკრები გაცივებლ კვერცხებს გარეთ გამოყრიან.

მთავარი ღალიანობის დროს, ზოგიერთი მეფუტკრე ცდილობს ბარტყის რაოდენობის შემცირების ხარჯზე გაზარდოს მოღალე ფუტკრის რაოდენობა. ამისათვის დედა ფუტკარს იზოლატორში ამწყვდევს, სადაც კვერცხის დასადებად ერთი ან ორი ფიჭა მოთავსებული.

გალიაში ან სადედე ხუფის ქვეშ დედის მოთავსება არ შეიძლება, რადგანაც მთლიანად კვერცხდების შეწყვეტა, დედის შემდგომ პროდუქტიულობაზე მოქმედებს, განსაკუთრებით ხანგრძლივი ღალიანობის დროს.

ასევე შეიძლება ამ პერიოდში ხნიერი დედის შეცვლა გადაბეჭდილი მწიფე სადედეთი. თუ ღალიანობა დღეში 2კგ. თაფლზე ნაკლები არ არის, თორემ ფუტკარმა შეიძლება იყაროს.

ძველ დედას არ ვაშორებთ, მწიფე სადედეს კი ვათავსებთ გალიის გარეშე საკუჭნაოს ჩარჩოებს შორის. ახალგაზრდა დედა განაყოფიერებამდე 10 დღის განმავლობაში კვერცხს არ დებს, რაც ბარტყის რაოდენობას შეამცირებს და შესაბამისად ოჯახში ღალის შემოტანა გაიზრდება.

ზოგიერთი მეფუტკრე ბარტყის შემცირების ხარჯზე და მოღალე ფუტკრის რაოდენობის გაზრდის მიზნით ფუტკრის ოჯახს დედა ფუტკარს აცლის. ეს მეთოდი მეტად სარისკოა და გამართლებული არ არის, რადგანაც, ჯერ ერთი, ფუტკარი ნერვიულობს და შესაბამისად მცირდება შრომის ნაყოფიერება, ამასთან, თუ კლიმატური პირობების შეცვლასთან დაკავშირებით ღალიანობა მკვეთრად შემცირდა, ასეთი ოჯახი ფუტკრის ქურდობის ობიექტი გახდება.

აპრილის მეორე ნახევრიდან მოყოლებული და მაისის ჩათვლით თბილი ქვეწებიდან მოფრინავენ სხვადასხვა ჯურის ფრინველები და მათ შორის ხატულა-ოქროსფერი და მომწვანო-ზურმუხტოვანი კვირიონები. მაისის წვიმიან ან მოღრუბლულ ცივ ამინდებში კვირიონების გუნდი საფუტკრებს ესტუმრება ხოლმე, ისინი ფუტკარს ჰაერშივე იჭერენ და ისე შეექცევიან. კვირიონების გუნდური გამოჩენისას ფუტკრის ოჯახები ღალაზე ფრენას ნაწილობრივ ან მთლიანად წყვეტენ და მეფუტკრე იძულებულია რაიმე იღონოს მათ დასაფრთხობად. ამ დროს მიზანშეწონილია ცარიელი ვაზნით გასროლა, სხვა საგანგაშო ხმის გამომცემ საგნებზე დარტმები, აუღარუნება და ა.შ.

მაისში ხელსაყრელი პირობებია დედების გამოსაყვანად და ამანათნაყრების შესადგენად და ეს დრო მეფუტკრემ მაქსი-მალურად უნდა გამოიყენოს.

კარგ, ლალიან წელიწადს მაისის თვეში ფუტკარისა კუჭნაოს გარკვეულ-  
ნაწილს თაფლით ავსებს და შესაძლებელი ხდება პირველი გამოწურვაც.

ამ პერიოდში თაფლი ჯერ კიდევ დამნიფებული არ არის და  
ამიტომ ბიდონებში მოთავსების შემდეგ თავი ჰერმეტულად არ უნდა  
დავასუროთ, თორემ ახალ თაფლში წყლის დიდი შემცველობა მას  
დაამჟავებს და გააფუჭებს. ამიტომ ბიდონს თავზე უნდა მოვაკრათ  
რამდენიმე ფენიანი დოლბანდის ნაჭერი და ისეთ მდგომარეობაში  
დავტოვოთ, სანამ თაფლი შესამჩნევად არ შესქელდება, შემდეგ კი  
უკვე შეიძლება ჭურჭელს დავასუროთ.

მაისის თვეში ნამატის მიღებაც ინარმოებს, როგორც ბუნებრივი,  
ისე ხელოვნური გზით. ბუნებრივი ნაყრობა სტიქიური პროცესია და  
მეფუტკერეს ხელს არ აძლევს. ჯერ ერთი, ოჯახიდან ნაყრის გამოფრენის  
მომენტში მეფუტკერე შეიძლება ადგილზე არ იყოს, მეორეც - იმიტომ,  
რომ ბუნებრივი ნაყრის ჩამოხსნა, განსაკუთრებით ტანმაღალი  
ხეებიდან ერთობ მძიმე შრომას და პრაქტიკულ გამოცდილებას  
საჭიროებს, მესამეც, ბუნებრივი ნაყარი პრაქტიკულად უბარტყოდ  
იწყებს ცხოვრებას, მაშინ, როდესაც ხელოვნური ნაყრის შედგენის დროს  
ეს პრობლემა არ არსებობს.

## 0360ს0

ივნისი ზაფხულის პირველი თვეა და დაბალი ზონის რაიონებიდან  
იწყება მთაბარობა. ფუტკარის სამთაბაროდ გადაყვანა და სასურველი  
ადგილის მოძებნა მეფუტკერის დიდ გამოცდილებას მოითხოვს.  
მეფუტკერემ კარგად უნდა გაითვალოს მიმდინარე ნლის კლიმატური  
პირობები, ფუტკერის ოჯახების გაყვანის დრო, თაფლოვანების  
ყვავილობის დაწყება და ხანგრძლივობა, ფუტკერის ოჯახების, სკების  
დასაწყობი ადგილ-მდებარეობის მომგებიანობა და ა.შ. რომ საბოლოოდ  
სასურველი შედეგი მიიღოს.

რეკომენდებულია უსვ საკვებ ბაზაზე 120-150 ოჯახის,  
საშუალოზე - 70-75, უფრო მცირე შემოსავლიან საკვებ ბაზაზე კი - 40-  
45 ფუტკერის ოჯახის მოთავსება.

საფუტკერე ეწყობა გზატკეცილიდან 1-2კმ. მოშორებით, აქ  
ფუტკარი უფრო წყნარ გარემოში იქნება, თანაც ეკოლოგიურად სუფთა  
პროდუქტებს მივიღებთ. სასურველია მთის ძირში, რომ უტვირთო  
ფუტკარი ზევით მიღიოდეს, ტვირთიანი კი ქვევით ეშვებოდეს.

მგზავრობა, როგორც წესი, მიმდინარეობს ღამით. რომ ფუტკარი  
დღის სიცხეში არ ჩახურდეს და არ ჩაიხოცოს.

ფუტკარი სამთაბაროდ გადაგვყავს მაშინ, როდესაც ადგილზე  
ღალიანობა არ შეწყვეტილა ან ძალზე მცირეა.

## 03ლისი

ივლისი ზაფხულის შუაგულია, მასობრივად ყვავის  
თაფლოვანები: ნაბლი, ცაცხვი, ძიძო, სალბი, მზესუმზირა, ნათესი და  
მინდვრის სარეველა თაფლოვანები.

თუ უხვი ღალიანობა, ფუტკარი მთელი დღე ეზიდება ნექტარს  
და საფრენში მდგომ მიმღებ ფუტკარს გადასცემს.

ზოგი მეფუტკრე ცდილობს სხვადასხვა ხერხით დედა ფუტკარს  
ხელი შეუშალოს ჩაკვერცხვაში, რომ ფუტკარი ბარტყის აღზრდაში არ  
მოცდეს, მაგრამ ამ საქმეს თვითონ ქართული რუხი ფუტკარი აკეთებს  
ბუდეში თაფლის ჩასხმით.

მთავარი ღალიანობის დღეებში, ფუტკარი ძალზე არ უნდა  
დავტვირთოთ ხელოვნური ფიჭის მშენებლობით. უნდა ვერიდოთ ფუტკრის  
ოჯახების ხშირ და ხანგრძლივ ხილვას, რადგანაც ეს ყველაფერი ხელს უშლის  
ფუტკარს ღალაზე მუშაობის პერიოდში. თუ ფუტკრის ოჯახები მზის გულზეა,  
ისინი ხის ტოტების ან მოთიბული ბალახეულით უნდა დაიჩრდილოს.

არ არის გამართლებული ფუტკრის ოჯახის ზამთრის სამარავო  
საკვებიდან დიდი რაოდენობის თაფლის ნართმევა და მის ნილ შაქრის  
სიროვთის მიცემა. შაქარი თაფლთან შედარებით არასრულფასოვანი  
საკვებია ფუტკრის ოჯახისათვის, რადგანაც შაქრისაგან განსხვავებით  
თაფლში მოიპოვება ვიტამინები, ფერმენტები, მჟავები, მინერალური  
ნივთიერებანი და ა.შ. ამასთან შაქრის სიროვთს გადამუშავება სჭირდება,  
რაც ფუტკრის ცვეთას იწვევს.

ამიტომ ფუტკარს ზამთრის საკვებად თავისი ნილი თაფლი და ჭეო  
უნდა დაგუტოვოთ.

იმ შემთხვევაში თუ მთავარი ღალიანობა დამთავრდა  
სასურველი შედეგებით შეიძლება შემოდგომის ნამატების შედგენა  
და თუ შესაძლებლობის ფარგლებშია, საშემოდგომო სამთაბარო  
ადგილების ამორჩევა.

## აგვისტო

ამ თვეში ღალიანობა ძირითადად შეწყვეტილია, მხოლოდ  
ზოგიერთი თაფლოვანი მცენარელა ყვავილობს. ფუტკრის ოჯახები

მამალ ფუტკარს უკვე სკის გარეთ ერევებიან. ოჯახები ძველებური ხალისით აღარ მუშაობენ და შუადღის შემდეგ საერთოდ აღარ მიდიან ღალაზე. მართალია, აქა-იქ გრძელდება მცირეოდენი ღალიანობა უმეტეს ნილად მაღალ მთაში, მაგრამ ზამთრის მარაგის შექმნაზე ეს ძირითად გავლენას ვერ ახდენს. შემოტანილი ღალა იმავე დღესვე იხარჯება, ამიტომ აგვისტოს ღალაზე იმედი არ უნდა ვიქონიოთ. თუ აქამდე ვერ შეაგროვა ფუტკარმა ზამთრის მარაგი, ახლა უკვე ვეღარ მოიტანს.

საფუტკერ როგორღაც ყუჩდება და აღარ იგრძნობა ფუტკრის პროდუქტების არომატი. ეს კი იმის ნიშანია, რომ ღალიანობა დამთავრდა. ამის შემდეგ საკუჭნაოებს ვხსნით, თუ შიგ თაფლიანი ჩარჩოებია, გამოვწურავთ და საღამოხანს ისევ სკებს დავუბრუნებთ, რომ თაფლგამოწურული ჩარჩოები ფუტკარმა გაასუფთაოს და გამოამშრალოს, რადგანაც გამოუმშრალი ჩარჩოების საფუტკრის საწყობში შენახვა დაშუცვებელია: ჯერ ერთი, თაფლის სუნი თაგვებსა და სხვა მღრღნელებს იზიდავს, ჭიანჭველაც შეიძლება დაეხვიოს, და მეორეც, ასეთი ფიჭები ზამთარში ადვილად ობდება.

ამასთან, ჩარჩოების გამომშრალებისას ფუტკარი თაფლის გარკვეულ რაოდენობას იღებს და ამიტომ მიზანშეწონილია იმ ოჯახებს, რომლებსაც თაფლის მარაგი ნაკლებად აქვთ, ჩარჩოების უფრო მეტი რაოდენობა ჩავუდგათ. თუ საფუტკრეში რაიმე გადამდები დაავადებაა გაჩენილი, მაშინ თითოეულ ოჯახს თავისივე ჩარჩოები უნდა ჩაედგას გასამშრალებლად.

რამოდენიმე დღის შემდეგ საკუჭნაოები უნდა მოიხსნას და გამშრალებული ფიჭებისაწყობში უნდა შევინახოთ. თუ დიდი სიცხეები ისევ გრძელდება, მაშინ საკუჭნაოებს თავისი ფიჭებით სკებზე, ვტოვებთ, რათა ფუტკარი შედარებით გრილად იყოს და არ ჩახურდეს.

ამ პერიოდში დედა ფუტკარი კვერცხმდებლობას განაგრძობს. ამის სტიმულს მას საკუჭნაოების გასაშრობი ჩარჩოებიდან ბუდეში შემოტანილი თაფლი აძლევს.

ასე, რომ ახლად გამოჩეკილი ფუტკარი თანდათანობით ცვლის მთავარ ღალიანობაში მონაწილე და “ჯანგატეხილ” ფუტკარს. ამ პროცესის გახანგრძლივებას ხელი უნდა შეუწყოს მეფუტკრემაც ხელოვნური კვებით-შაქრის წყალსნარის მცირე დოზების მიწოდებით. ამასთან დიდი სიფრთხილეა საჭირო, რათა ფუტკრებმა ქურდობა არ დაიწყონ. საფუტკრეში კი ამის პირობა არის, რადგან ღალიანობა დამთავრებულია და მფრინავი ფუტკარი აუთვისებელი შაქრის წყალსნარის სუნმა შეიძლება მიიზიდოს. ქურდი ფუტკრის დაცემის უპირველესი ობიექტები კი, როგორც წესი, სუსტი ან

უდედო ოჯახები ხდებიან, რომელთა წინააღმდეგობის გაწევის უნარი ერთობ დაქვეითებულია.

ამიტომაც არის საჭირო, რომ საფუტკრეში ყოველთვის ვიყოლიოთ ძლიერი ოჯახები და დროულად, ზომიერად დავუპატარავოთ სკებს საფრენი ხერელები. თუ სკის კედლებზე ან სხვა ადგილებში შევამჩნევთ ნაპრალებს ან ჭუჭრუტანებს, დაუყოვნებლივ შევაკეთოთ.

ამ თვეში ერთხელ კიდევ გვესტუმრებიან კვირიონები, რომლებიც სამხრეთის თბილი ქვეყნებისაკენ მიერშურებიან.

აგვისტოში მთავარი ღალიანობა ძირითადად მთავრდება, თაფლი იწურება და იწყება ფუტკრის ოჯახების პროფილაქტიკური დამუშავება ვაროატოზა და სხვა დაავადებებზე. ასეთი სამუშაოები განსაკუთრებით უნდა ჩატარდეს იმ საფუტკრეებში, რომელთა ფუტკრის ოჯახები სამთაბაროდ იყვნენ გაყვანილი.

მოგეხსენებათ, რომ 2000 წელს ღალიანობის თვალსაზრისით საქართველოში ძალზე ცუდი მდგომარეობა იყო. გამოცდილი მეფუტკრეების სიტყვით ნეტტარის თითქმის არნახული სიმცირე აღინიშნა.

ფუტკარი რომ მაისის ბოლოს მამალი ფუტკრის გარეთ გამოყრას დაიწყებს, რა სიკეთეს უნდა ელოდეს კაცი.

ყოველივე ამან კი ის გამოიწვია, რომ იმ ადგილებში, სადაც მცირე ღალიანობა იყო, დიდი რაოდენობით მოიყარა ფუტკრის ოჯახებმა თავი. სსწორედ აქედან ეძლევა საწყისი სხვადასხვა დაავადებების გავრცელებას.

ამასთან, უღალობას მოსდევს ფუტკრის ოჯახების დაკინიება და სწორედ სუსტ ოჯახებში იფეტქებს ხოლმე ნაირგვარი დაავადებები.

რა სამუშაოები უნდა ჩავატაროთ ფუტკრის ოჯახებში?

უპირველეს ყოვლისა, თაფლის გამოწურვიდან არაუგვიანეს ერთ კვირაში უნდა დავიწყოთ ვაროატოზე მკურნალობა. ტკიპის საწინააღმდეგო მკურნალობა ტარდება შვეიცარიული პრეპარატით ვაროკომით არანაკლებ 2-3-ჯერადობით, ერთი კვირის ინტერვალით.

ასევე საჭიროა პროფილაქტიკურ-სამკურნალო სამუშაოების ჩატარება ასკოსფეროზულ ჩაკირულ ბარტყზე პრეპარატებით: უნისანი, ასკო, დიკობინი, ასკოცინი და ა.შ. ამერიკულ და ევროპულ სიდამპლეებზე პრეპარატებით: ვესტა (იგივე ბიოვეტინი), დიკობინი, ოქსიტრაციკლინი და სხვ. ამ დაავადებებზე მრავალი უახლესი პრეპარატი არსებობს. ამასთან საჭიროა გავითვალისწინოთ, რომ მარტო პრეპარატების იმედზე ყოფნა სამკარისი როდია. საჭიროა მკურნალობის დაწყებამდე ფართო პროფილაქტიკური სამუშაოების ჩატარება, რაც გამოიხატება დაზიანებული ან დაავადებული სკის.

შეცვლაში, ისეთი ფიჭების გადადნობაში, სადაც დაავადება მასობრივად არის მოდებული. ასევე სასურველია, დედა ფუტკრის შეცვლაც, რამეთუ დედა ფუტკარი კვერცხის დების პროცესში ითვლება დაავადების გადამტან აგენტად.

და ბოლოს, ვუფრთხოლეთ შემთხვევითი პირებისაგან ფუტკრის სამურნალო პრეპარატების შეძენას, რადგანაც იყო შემთხვევები ამ წესით “იაფად” შეძენილი პრეპარატების გამოყენების შედეგად ფუტკრის ოჯახების დალუპვისა.

## სექტემბერი

სექტემბერი შემოდგომის პირველი თვეა და ამინდი საგრძნობლად იცვლება. დიდ სიცხეებს ზომიერად გრილი ამინდი ცვლის და გარემოც თანდათანობით ყვითელ-ნარიჯისფრად იმოსება.

ხშირმა წვიმებმა თითქოს გამოაცოცხლა ბალახოვანი ყვავილები, მაგრამ მცირე ნექტრის გამო ფუტკარი ნაკლებ ეტანება. სექტემბერშიც შეიძლება მთაბარობა, დასავლეთ საქართველოში ველურ ქონდარზე, წყალნანყენზე, თეთრ სამყურაზე და სხვა. აღმოსავლეთში კი ცოცხზე და სუროზე (ფათალო).

სექტემბერშიც შეიძლება ფუტკარმა მანანა თაფლი შემოიტანოს, მაგრამ არ უნდა დავშუვათ მისი ზამთრის სამარაგო საკვებში მოხვედრა, რომელმაც შეიძლება ფუტკრის ფალარათი გამოიწვიოს. მანანას თაფლი მუქი ფერისაა, სქელია და სიტყბო ნაკლები აქვს. თუ მეფუტკრეს მისი ამოცნობა უჭირს, მაშიან დახმარებისათვის ლაპორატორიულ სამსახურს უნდა მიმართოს.

წლის ამ დროს მეფუტკრის მთავარი ამოცანაა ფუტკრის ოჯახებისათვის კომპაქტური, თბილი ბინით უზრუნველყოფა, ხარისხიანი საკვებით მომარაგება, ქურდი ფუტკრებისაგან და მინდვრის თაგვების შეღწევისაგან დაცვა.

ფუტკრის ოჯახებისათვის ზამთრის სამარაგო საკვების ოდენობის დადგენისას მხედველობაში უნდა მივიღოთ ოჯახის სიძლიერეც. თუ ვნახეთ, რომ თაფლის მარაგი საკმარისი არ არის, მას უნდა დავუმატოთ სარეზერვო თაფლიანი ფიჭები.

ისინი თუ არ გვაქვს, მაშინ იძულებული ვიქნებით ფუტკარს ხელოვნური კვებით - შაქრის წყალსხნარით - 3:2-ზე შეფარდებით შევუვსოთ ზამთრის სამარაგო საკვები. (3კგ. შაქარი 2 ლიტრ წყალზე).

მეფუტკრე უნდა ეცადოს, რომ ყოველ ოჯახს ზამთრისათვის რაც შეიძლება კომპაქტური ბუდე მოუწყოს, რადგან მისთვის საჭირო

ტემპერატურის დაცვა ასე უფრო შესაძლებელი იქნება, ამიტომ ბუდეში უნდა დავტოვოთ მხოლოდ ფუტკრებით დაფარული თაფლიანი ჩარჩოები, დანარჩენები კი ამოვილოთ და საწყობში შევინახოთ.

ძლიერი ოჯახის ბუდე სკის გვერდითა ნაწილში უნდა მოვაწყოთ, სამხრეთის მიმართულებით, ხოლო საშუალო სიძლიერისა და სუსტი ოჯახის, შუა ნაწილში. გვერდით ტიხრებსა და სკის კედლებს შორის დასაბუნებელი მასალისაგან გავსებული ბალიში იდგმება. თუ ტიხრით გაყოფილ წოლელა სკაში ორი ოჯახი ზამთრობს, მაშინ ისინი ერთმანეთის სიახლოვეს უნდა მოვათავსოთ.

მანანა თაფლის გარდა არ შეიძლება ფუტკარს ზამთრის სამარაგოდ დაკრისტალებული თაფლი დავუტოვოთ. ესენია: სუროს (ფათალოს), მზესუმზირის, ესპარცეტის თაფლი. ასევე ღია თაფლიანი ფიჭები, რომელებიც შეიძლება ზამთარში ამჟავდეს. ასეთი ფიჭები უნდა გამოვწუროთ.

იმის გამო, რომ ამ დროს ბუნებაში ნექტარი ნაკლებადაა და იწყება ფუტკრის ქურდობა, სასურველია ოჯახები საღამოს საათებში გადავსინჯოთ. იმ ოჯახს, რომელსაც ქურდი ფუტკარი ეტანება, საფრენის წინ დავუდგათ ანთებული საბოლებელი და საფრენის ხვრელი შევუმციროთ 1-2 ფუტკრის გამოფრენის დონემდე, სკის საფრენს, კედლებსა და სასურავს ჯოხზე დამაგრებული ნავთიანი ჩვარი წავუსვათ, ხოლო სკის ხვრელები, საიდანად ქურდი ფუტკარი სკის შიგნით მიძვრება, დროებით ტელახით ამოვგლისოთ. თუკი ეს ღონისძიებები ქურდობის აღსაკვეთად არასაკმარისი აღმოჩნდა, მაშინ სკას საფრენი მთლიანად ჩავუკეტოთ და რამდენიმე დღით საფუტკრის შენობაში ან სარდაფში შევიტანოთ, ხოლო მის ადგილზე მბოლავი საბოლებელი დავდგათ და ნავთის წვეთები მოვასხუროთ.

სექტემბერში უნდა ვიზრუნოთ იმაზე, რომ ფუტკრის ოჯახს ზამთრისათვის შედარებით ახალგაზრდა ფუტკარი შეჰყვეს, რადგანაც ის ფუტკრები, რომლებიც მთავარ ღალიანობაში მონანილეობდნენ, გაზაფხულამდე ვერ ძლებენ და ზამთარში იხოცებიან, ხოლო სექტემბერში და შემდგომ პერიოდში გამოჩეკილი ფუტკარი კარგადაც ზამთრობს და გაზაფხულზეც დიდხანს საქმიანობს.

თუ ამ პერიოდში მცირე ღალიანობა მაინც არის და დედა ფუტკარი კვერცხმდებლობას აგრძელებს ხომ კარგი, თუ არა და მაშინ ეს უნდა გამოვიწვიოთ ფუტკრის ოჯახის ხელოვნური კვებით - შაქრის წყალხსნარის მცირე გამაღიზიანებელი დოზებით.

ცნობისათვის 2000 წლის მეფუტკრეობის საზონში არნახული გვაღვის გამო დედა ფუტკარებმა ადრიანად შეწყვიტეს კვერცხმდებლობა და გამოუცდელ მეფუტკრეებს, რომლებმაც

ფუტკრის ოჯახებს ზაფხულის მიწურულს გამაღიზიანებელი ფუტკარი კვება არ, ან ვერ ჩაუტარეს და ზამთარს ხანდაზმული ფუტკარი შუაყოლეს, მასობრივად დაეხოცათ ფუტკარი, როგორც ზამთარში, ასევე ადრიან გაზაფხულზეც.

ამრიგად, საშემოდგომო სამუშაოების დროულად და ხარისხიანად ჩატარება აუცილებელი პირობაა ფუტკრის ოჯახების ნორმალურად და უდანაკარგოდ გამოზამთრებისათვის.

## ოქტომბერი

ოქტომბერი ხვავიანი შემოდგომის შუაგულია, ფრინველები თბილი ქვეყნებისაკენ მიემურებიან. მთისა და ბარის სიმწვანე ოქროსფერში გადადის. მაღალ მთაში თოვლიანობა იწყება. აქ საჭიროა ფუტკარის სკებზე თოვლის შემოყრა, რადგანაც ფუტკარი ასე უფრო თბილად იქნება და ყინვა არ შეანუხებს, საფრენ ხვრელში რომ თოვლი არ შეიყაროს, საფრენის ხვრელს დახრილად უნდა მივადგათ ფიცრის ან ფანერის ნაჭერი.

საქართველოში მაღალი მთის გარდა დიდი ყინვები იშვიათობაა და თუ მეფუტკრებ შემოდგომიდანვე იზრუნა ფუტკრის ოჯახების კარგ დათბუნებაზე და ხარისხიანი, საკმაო რაოდენობის საკვებით მომარაგებაზე, ფუტკარს ზამთრის სიცივე ვერაფერს დააკლებს. მთავარია სკაში ნესტიანი გარემო არ იყოს.

სიცივის მიუხედავად მზიან ამინდებში დაბლობ ადგილას ფუტკარი გარეთ გამოფრენას განაგრძობს, კუჭს ისუფთავებს, სურო-ფათალოს ყვავილს და ვენახში სიმნიფისა თუ სხვა მიზეზით დამსკდარ ყურძენს ეტანება, ხოლო თუ ღამ-ღამობით აცივდა და ტემპერატურა  $+12^{\circ}$  -  $10^{\circ}$ -ზე ჩამოვიდა, ფუტკარი ბუდეში გუნდსა კრავს. მეფუტკრე საფუტკრეში ფუსფუსებს, ამონმებს სკის სახურავებს, კედლებს წვიმის წყალმა ბუდეში რომ არ გაუონოს და სხვ. თვის მეორე ნახევრიდან გარემოს ტემპერატურა უკვე სტაბილურად იწევს დაბლა და ეს პერიოდი სწორედ ის დროა, როცა სიცივისა და შიმშილისაგან შეწუხებული მინდვრის თაგვი ცდილობს როგორმე სკაში შეაღწიოს და იქ დაიბუდოს. ამიტომ მისგან დასაცავად მეფუტკრეს სკების საფრენები ამ დროს მთლიანად უნდა ჰქონდეს ჩარაზული შეტრიალებული ჩამკეტი ლითონის კბილებიანი ფირფიტებით. ე.ი. იმ ნაწილით, სადაც მხოლოდ ფუტკრის გასაძრომი ხვრელებია დატოვებული. ფუტკარს ხელსაყრელ ამინდში შეუძლია ამ ხვრელიდან გარეთ გამოსვლა, თაგვი კი ვეღარ შევა სკაში.

ფუტკრის ოჯახებს ზაფხულის მიწურულს გამაღიზიანებელი კვება არ, ან ვერ ჩატარეს და ზამთარს ხანდაზმული ფუტკარი შუაყოლეს, მასობრივად დაეხოცათ ფუტკარი, როგორც ზამთარში, ასევე ადრიან გაზაფხულზეც.

ამრიგად, საშემოდგომო სამუშაოების დროულად და ხარისხიანად ჩატარება აუცილებელი პირობაა ფუტკრის ოჯახების ნორმალურად და უდანაკარგოდ გამოზამთრებისათვის.

## ოქტომბერი

ოქტომბერი ხვავიანი შემოდგომის შუაგულია, ფრინველები თბილი ქვეყნებისაკენ მიეშურებიან. მთისა და ბარის სიმწვანე ოქტომბერში გადადის. მაღალ მთაში თოვლიანობა იწყება. აქ საჭიროა ფუტკარის სკებზე თოვლის შემოყრა, რადგანაც ფუტკარი ასე უფრო თბილად იქნება და ყინვა არ შეანუხებს, საფრენ ხვრელში რომ თოვლი არ შეიყაროს, საფრენის ხვრელს დახრილად უნდა მივადგათ ფიცრის ან ფანერის ნაჭერი.

საქართველოში მაღალი მთის გარდა დიდი ყინვები იშვიათობაა და თუ მეფუტკრემ შემოდგომიდანვე იზრუნა ფუტკრის ოჯახების კარგ დათბუნებაზე და ხარისხიანი, საკმაო რაოდენობის საკვებით მომარაგებაზე, ფუტკარს ზამთრის სიცივე ვერაფერს დააკლებს. მთავარია სკაში ნესტიანი გარემო არ იყოს.

სიცივის მიუხედავად მზიან ამინდებში დაბლობ ადგილას ფუტკარი გარეთ გამოფრენას განაგრძობს, კუჭს ისუფთავებს, სურო-ფათალოს ყვავილს და ვენახში სიმწიფისა თუ სხვა მიზეზით დამსკდარ ყურძენს ეტანება, ხოლო თუ ღამ-ღამობით აცივდა და ტემპერატურა  $+12^{\circ}$  -  $10^{\circ}$ -ზე ჩამოვიდა, ფუტკარი ბუდეში გუნდსა კრავს. მეფუტკრე საფუტკრეში ფუსფუსებს, ამონმებს სკის სახურავებს, კედლებს წვიმის წყალმა ბუდეში რომ არ გაუზონოს და სხვ. თვის მეორე ნახევრიდან გარემოს ტემპერატურა უკვე სტაბილურად იწევს დაბლა და ეს პერიოდი სწორედ ის დროა, როცა სიცივისა და შიმშილისაგან შენუხებული მინდვრის თაგვი ცდილობს როგორმე სკაში შეაღწიოს და იქ დაიბუდოს. ამიტომ მისგან დასაცავად მეფუტკრეს სკების საფრენები ამ დროს მთლიანად უნდა ჰქონდეს ჩარაზული შეტრიალებული ჩამკეტი ლითონის კბილებიანი ფირფატებით. ე.ი. იმ ნაწილით, სადაც მხოლოდ ფუტკრის გასაძრომი ხვრელებია დატოვებული. ფუტკარს ხელსაყრელ ამინდში შეუძლია ამ ხვრელიდან გარეთ გამოსვლა, თაგვი კი ვეღარ შევა სკაში.

თუ მეფუტკრის დაუდევრობით სკის საფრენი ხვრელიდან მოინც სხვა ნაპრალიდან და ჭუჭრუტანიდან თაგვმა ბუდეში მაინც შეღწია, ის ძალზე დიდ ზიანს მიაყენებს ფუტკრის ოჯახს: დაღრღნის ფიქებს და დასათბუნებელ ბალიშებს. შეჭამს თაფლს, მისი სპეციფიკური სუნი შეაწუხებს ოჯახს, ამ დროს ფუტკარი ნახევრად მიძინებულ მდგომარეობაში იმყოფება და არ შესწევს უნარი მღრღნელის დანესტვრისა. როცა თაგვი თავის მეკობრულ საქმიანობას მოათავებს და კარგად დანაყრდება, ჩარჩოებს ზემოდან მოექცევა და დასათბუნებელ ბალიშში იმაღება. ასე ნებივრობს გაზაფხულამდე და როგორც კი ფუტკარი გამოფხიზლდება და გააქტიურებას დაიწყებს, ნოუნუნა სკიდან გამოდის და ისევ თავის სტიქიას უბრუნდება, მეფუტკრეს კი გაჩანაგებულ ფუტკრის ოჯახს უტოვებს.

ოქტომბერში მეფუტკრის ძირითადი საქმიანობა მომავალი სეზონისათვის მზადებაა: სკების შეკეთება, ჩარჩოების და საკვებურების დამზადება-აწყობა, ჩარჩოების მვთულის გაბმა, ძველი, გამოწუნებული ფიქების სანთლად გადაწონბა და სხვა.

ფუტკრის ოჯახი გუნდს რომ შეკრავს, დაბალ ტემპერატურას უფრო ადვილად იტანს, ვიდრე გადაჭარბებულ სიცხეს, შეხუთულ ჰაერსა და სინესტეს.

კარგი საკვებით უზრუნველყოფილ ფუტკრის ოჯახს გარეთ ურჩევნია ზამთრობა, ვიდრე შენობაში, თუნდაც ჰაერის ტემპერატურა დაბალი იყოს. ამ დროს მას საშუალება ეძლევა თბილ მზიან ამინდში გამოიმდეროს და კუჭი გაისუფთაოს.

საფუტკრის მოსაწყობად ირჩევენ მზიან და ქარისაგან დაცულ, მყუდრო ადგილს. კარგია, თუ სკებს ეფარება შენობები, ტყე, სქელი ბუჩქნარიან მაღალი ღობე. სკებს ადგილზე დადგმისას ოდნავ წინ ხრიან, რათა საფრენიდან ნალექებმა არ შეაღწიონ. ფუტკრიან სკებს საჭიროების შემთხვევაში გარედან ათბუნებენ ტოლით, ნამჯის ან ლელის ჭილობით, მხოლოდ საფრენთან უტოვებენ ხვრელებს.

თუ ოქტომბერში სუსტი ან უდედო ოჯახები შემოგვრჩა, ისინი სხვა ფუტკრის ოჯახებს უნდა შევუერთოთ, თორემ გაზაფხულამდე დაიღუპებიან.

მაღალმთიან ზონებში იქტომბრის მეორე ნახევრიდან მოყოლებული უნდა ჩატარდეს სეზონის ბოლო წამლობა ტკიპა-ვაროას წინააღმდეგ; დაბალ ტემპერატურაზე და უბარტყო პერიოდში გამოსაყენებელი პრეპარატებით, როგორიცაა ბიპინი, ან ფირფიტიანი პრეპარატებით, ესენია: აპიფიტი, აპისტანი, ფუმისანი და ა.შ.

## ცოდნები

ნოემბერი შემოდგომის ბოლო თვეა, ახლოვდება ზამთარი, ჰაერის ტემპერატურა კიდევ უფრო დაბლა იწევს, მთაში თოვს. საფუტკრეში სინცნარეა, მაგრამ დაბლობში მზიან და თბილ ამინდში ფუტკრები ახერხებენ გარეთ გამოფრენას და კუჭის გასუფთავებას, ძირითადად კი განსაკუთრებით ღამით ფუტკარს გუნდი აქვს შეკრული და ბუდეში 14-25° ტემპერატურას ინარჩუნებს. კვერცხის დება დედა ფუტკარს შეჩერებული აქვს და ბუდეში ბარტყი აღარ არის.

ნოემბრის პირველ ნახევარში სუბტროპიკულ მხარეში ფუტკრებს ჩაისა და ევკალიპტის ყვავილი იზიდავს.

ზამთრის დადგომამდე კიდევ ერთხელ უნდა გამოვუცხადოთ ბრძოლა ტკიპა ვაროას; მხოლოდ ამჯერად ფუტკრის ოჯახები ისეთი პრეპარატით უნდა დავამუშაოთ, რომელიც უბარტყო პერიოდში გამოიყენება.

აპიფიტის ფირფიტების გამოყენება შემდეგნაირად ხდება: პარტყიან პერიოდში ფუტკრის ოჯახის მე-2 და მე-3, მე-7 და მე-8 ჩარჩოებს შორის ჩაიკიდება აპიფიტის თითო ფირფიტა 20 დღის განმავლობაში.

უბარტყო პერიოდისათვის საკმარისია 3 დღე, რის შემდეგაც ფირფიტებს ამოვილებთ სკიდან და ცელოფნის საფარველში ჰერმეტულად გავახვევთ და შევინახავთ შემდგომ პერიოდში გამოყენებისათვის.

აპიფიტის ფირფიტების გამოყენება შეიძლება წელიწადში 2-3-ჯერ. მხოლოდ ყოველი გამოყენების წინ ასტმის წვერით უნდა გავფხნოთ სიგრძეზე ორივე მხრიდან და დავასხუროთ წყლის შხეფები. იმ მეფუტკრეებმა, რომლებმაც ფუტკრის ოჯახებს დროულად ვერ შეუვსეს საკვების ზამთრის მარაგი, ამჟამად კი სირფიანი საკვების მიცემა ძალზე დაგვიანებულია და ფუტკარი აღარ იღებს მას, საჭიროა ჩატარდეს კანდით კვება.

## დეკემბერი

დეკემბერი ზამთრის დასაწყისია, გარეთ ცივა ღამით ყინავს და ფუტკარს გუნდი აქვს შეკრული. მთიან ადგილებში სკებს ჭილობს შემოახვევენ ან თოვლს შემოქუჩებენ სითბოს შესანარჩუნებლად.

თუ ფუტკრის ოჯახი ზამთრისათვის კარგად არის მომზადებული,

მას ყინვის არ ეშინია. მაგრამ თუ საკვები აკლია, მაშინ მეფუტყრები კანდის ცომი უნდა გაამზადოს და უტკრის ოჯახებს ჩამოურიგოს.

მეფუტყრები პერიოდულად უნდა შეამონმოს სკების მდგომარეობა, სახურავი რომ ქარმა არ გადახადოს, დროულად განმინდოს თავლისა და ყინულისაგან სკის საფრენები.

ამ პერიოდში ფუტყარს ნაწლავი გადატვირთული არა აქვს, მაგრამ თუ თბილი, მზიანი დღე გამოერია, გამოფრენას ახერხებს კუჭის გასამართვად.

დეკემბერში მეფუტყრე აგრძელებს სკების სარემონტო საქმიანობას და სხვა სახის მოსამზადებელ სამუშაოებს, რომ გაზაფხულს მზად შეხვდეს და ძვირფასი დრო არ დაკარგოს. ამასთან სათანადო ლიტერატურით იმაღლებს თეორიულ ცოდნას.

## II - მოყვარულ მეფუტყრეთათვის

### ფუტყრის ოჯახის მიერ სპის მიტოვება

არის შემთხვევები, როდესაც ფუტყარი ბუდეს ტოვებს და გაურკეველი მიმართულებით მიფრინავს. ზოგიერთი მოყვარული მეფუტყრე ამას ფუტყრის რაიმე პრეპარატით დამუშავებას უკავშირებს და ამიტომ შევეცდებით ჩამოვთვალოთ ამ მოვლენის მიზეზები.

ფუტყარმა შეიძლება სკა მიატოვოს, თუ ის მეფუტყრისაგან მოუვლელია; სახელდობრ: როცა ბუდეში ძველი, შავი, უვარებისი ფიჭებია, ან ცვილის ჩრჩილისაგან შეჭმული და აბლაბუდა მოდებული, განავლით დასკრილი და დაობებულია.

ამის მიზეზი შეიძლება იყო ბუდის სიმცირე, სადაც ფუტყარი ვეღარ ეტევა ან სიდიდე, რომელსაც ვეღარ ათბობს;

როდესაც საკვები ალარ აქვთ და ბუნებაში არ მოიპოვება. ეს ხშირად ხდება ცივ და გვიან გაზაფხულზე.

და ბოლოს, როცა გაუნაყოფიერებელი დედა ჰყავთ და გრძნობენ დალუპვის მოახლოვებას. ისინი გასანაყოფიერებლად გამოფრენილ უცხო დედას დაედევნებიან და უკან ალარ ბრუნდებიან.

მეორე წელია მეფუტყრეებისაგან, მათ შორის პროფესიონალებისაგან მოდის ერთობ საგანგაშო ინფორმაციები იმის შესახებ, რომ ფუტყარი ერთიანად ტოვებს ბუდეს და იკარგება. ზოგან შეინიშნება სკის წინ მღოღავი ფუტყრები, რომელსაც აფრენისა და

სკაში დაბრუნების უნარი დაკარგული აქვს; ამასთან ფუტკრის ფრთხოებზე არ შეინიშნება რაიმე დეფექტი, რაც ტკიპა ვაროს მოქმედებისთვისაა დამახასიათებელი.

ასეთი სიგნალები ძირითადად მოდის ჭიათურიდან, საჩხერიდან, ყვარლიდან, დელფილისწყაროდან და სხვა რაიონებიდან.

აქ შევჩერდებით ერთ მაგალითზე: ქვემო ქედელ მეფუტკრეს ბატონ ბორის თედევეს, რომელიც თავისი საქმის ნამდვილი პროფესიონალია, არა მგონია ვინმერ ასწავლოს ფუტკრის მოვლა-ბატრონობა და მკურნალობა, მაგრამ მასაც კი 100 ოჯახიანი საფუტკრიდან 60-მდე ძლიერმა ოჯახმა თაფლით სავსე ჩარჩოებით სკები მიატოვა და უკალოდ გადაიკარგა.

ცნობილი მეფუტკრეების როლანდ ზირაქიშვილის, თემურ ლოლობერიძის, თამაზ ფეიქრიშვილის, დავით ჯაშის და სხვების ვარაუდით, აქ, ალბათ საქმე გვაქვს რაღაც ფორმის ვირუსულ დაავადებასთან, რომელიც ფუტკრის ნერვულ სისტემას აზიანებს და უკარგავს მას ორიენტაციის უნარს, სკიდან გამოფრენილი უკან ვეღარ ბრუნდება.

ვარაუდი ვარაუდად, მაგრამ დროა თავისი დასაბუთებული სიტყვა თქვან ამ დარგის მეცნიერებმა, თორემ, თუ ასე გაგრძელდა, საქართველოში ფუტკრის ოჯახები სანთლით საძებარი გაგვისდება.

მანამდე კი აი, რას გვირჩევენ პროფესიონალი მეფუტკრეები:

1. ფუტკრის ოჯახები დროულად, დადგენილი ჯერადობით უნდა დამუშავდეს ტკიპა ვაროს სანინაალმდეგო პრეპარატებით. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ბატონი თემურ ლოლობერიძე წელინადში ვაროატოზის წინააღმდეგ 6-ჯერ ატარებს სამკურნალო-პროფილაქტიკურ ლონისძიებას; ასევე იქცევა ამ დარგის მეცნიერი-სპეციალისტი ქალბატონი ვენერა სტეფანიშვილიც. მათ მიაჩინიათ, რომ ტკიპა ვაროა სხვადასხვა დაავადების გადამტანია და გამორიცხული არ არის, რომ მათ მიერ ხდება ჯანმრთელ ფუტკარზე ვირუსების გადატანა.

2. არ უნდა დაუუშვათ ფუტკრის ოჯახების ქურდობა და ერთმანეთზე დაცემა, რაც დაავადების გავრცელების კიდევ ერთი არხია.

3. კარგ შედეგს იძლევა პრეპარატ ოქსიტეტრაციკლინის გამოყენება, რომელიც შაქრის სიროფში (კანდში) ეძლევა.

4. მთაბარობის დროს უნდა მოვერიდოთ იმ რაიონებს, საიდანაც აღნიშნული დაავადების სიგნალები მოვიდა. ამასთან დავიცვათ ერთ ადგილზე ნორმით განსაზღვრული ფუტკრის ოჯახების განლაგების რაოდენობა. აღსანიშნავია, რომ 2000 წელს ეს მოთხოვნა არ იქნა გათვალისწინებული ლაგოდების, ყვარლის და დუშეთის რაიონებში,



სადაც ძალიან მჭიდროდ იქნა თავმოყრილი ფუტკრის ოჯახს განებრივდება უამრავი რაოდენობა. კიდევ კარგი, რომ სერიოზული არაფერი მომხდარა. ხომ შეიძლება აქ რაიმე საშიში დაავადების აფეთქება მომხდარიყო და ფუტკარი მასობრივად გამხდარიყო ავად!

ჩვენ ვურჩევთ მეფუტკრებს, თუ კი ისინი საფუტკრეში საეჭვო დაავადების სიმპტომებს შენიშნავენ, დაუყოვნებლივ მიმართონ თბილისის გარეუბან სოფ. ოქროყანაში არსებულ მეფუტკრების სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ფუტკრის დაავადებათა განყოფილებას, სადაც მაღალევალიფიციური სპეციალისტები დაადგენენ მიზეზს და საჭირო რეკომენდაციებს მისცემენ მკურნალობის ჩასატარებლად.

## ფუტკრის ოჯახის პიოლოგის ზოგიერთი საკითხი

პიოლოგია ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს: ბიო - სიცოცხლეს და ლოგია - მოძღვრებას. ე.ი. მთლიანობაში მეცნიერებას, რომელიც სწავლობს სიცოცხლისა და ცოცხალი ორგანიზმების განვითარების კანონზომიერებებს. საჭიროდ მიგვაჩინია ნარმოვაჩინოთ ფუტკრის ოჯახის წევრთა შემადგენლობა; ნორმალურ ფუტკრის ოჯახში უნდა იყოს ერთი დედა ფუტკარი, რამდენიმე ასეული მამალი და რამდენიმე ათასი მუშა ფუტკარი, ამასთან რაც უფრო მეტია მუშა ფუტკარი, მით უფრო ძლიერია ოჯახი.

მუშა ფუტკარი, ოჯახის სხვა წევრებთან შედარებით უფრო მომცრო ტანისაა, მისი სიგრძე 12-14მმ. აღნევს, მაგრამ როგორც იტყვიან: “ოქრო პატარაა, მაგრამ ძვირფასი” სწორედ ასეა, ბუდეში და ბუდის გარეთ ყველა სამუშაოს ის ასრულებს - ეს იქნება ბუდის დასუფთავება თუ მტრისაგან ბუდის დაცვა. ოჯახისა და თავის დასაცავად კი მუშა ფუტკარს საიმედო იარალი - შხამიანი ნესტარი გააჩინია, მაგრამ თუ მწერის დანესტვრისას ფუტკარი ნესტარს უკანვე იბრუნებს და სიცოცხლეს განაგრძობს, ადამიანის დანესტვრისას ამას ვერ ახერხებს, რადგან ნესტარის კბილანები კანის ქსოვილებს ედება და ის უკან აღარ უშვებს, ნესტარი შხამის ბუშტთან ერთად წყდება და ფუტკარიც იღუპება.

მუშა ფუტკრის სიცოცხლის ხანგრძლივობა წლის სხვადასხვა დროს სხვადასხვაა: ზაფხულში, მთავარი ღალიანობის პერიოდში, ის 30-35 დღემდე აღნევს; სუსტი ღალიანობის პერიოდში - გაზაფხულსა და შემოდგომაზე ორი თვის ფარგლებში, ხოლო უღალო პერიოდში გვიან შემოდგომიდან დაწყებული

გაზაფხულამდე კი, შეიძლება 7-8 თვემდე გაგრძელდეს.

მამალი ფუტკარი მუშა ფუტკარზე მოზრდილი, მაგრამ დედა ფუტკარზე უფრო მოკლე და მსხვილია. ის მხოლოდ დედა ფუტკარს ანაყოფიერებს, სკაში არავითარ სამუშაოს არ ასრულებს, მხოლოდ თაფლს შეექცევა, ამიტომაც შემოდგომით, ღალიანობის დამთავრების შემდეგ, მუშა ფუტკარები მათ სკიდან აძევებენ და ისინი შემშილისა და სიცივისაგან იხოცებიან; მამალ ფუტკარს ნესტარი არა აქვს და ამიტომაც თავის დაცვა არ შეუძლია.

დედა ფუტკარი წარგენელებული 20-25მმ. სიგრძის ტანით გამოიჩინება, ის გამოჩეულია მე-7-10 დღეს სკიდან გამოდის ე.წ. "საქორნინ გამოფრენაში". ასეთ გამოფრენას ის რამდენჯერმე იმეორებს და მას რამდენიმე მამალი ფუტკარი ანაყოფიერებს. ამის შემდეგ, ის სკაში მუდმივად რჩება და კვერცხის დებას იწყებს. კარგი დედა ფუტკარი, ზაფხულის ღალიანობის პერიოდში, დღე-ლამეში 1500-დან 3000-მდე კვერცხს დებს; ამასთან მუშა და დედა ფუტკარის უჯრედებში დებს განაყოფიერებულ კვერცხს, ხოლო სამამლე უჯრედში - გაუნაყოფიერებელს. კვერცხებიდან მესამე დღეს იჩეკებიან ჭიები, რომელთაც ძირა ფუტკარები რძით კვებავენ. ეს პროდუქტი წარმოიქმნება ახალგაზრდა მუშა ფუტკარის საყლაპავ მილსა და ზედა ყბის ჯირკვლებში. სამივე სახის ჭია პირველ სამ დღეს აღნიშნულ რძეს ღებულობს საკვებად, შემდგომში მუშა და მამალ ჭიებს რძის ნაცვლად თაფლისა და ჭეოს ნარევი ეძლევათ, ხოლო სადედე ჭიებს მთელი ჭიაობის პერიოდში საკვებად ისევ სადედე რძე რჩებათ. 5-7 დღის შემდეგ (სქესთან დაკავშირებით) ჭია ზრდას ასრულებს და ძირა ფუტკარები უჯრედის თავს ჭეონარევი ცვილით ბეჭდავენ. ჭია პარკუჭის რთვას იწყებს და ჭუპრად იქცევა. ჭუპრობის დამთავრების შემდეგ კი ის ფუტკარად გარდაიქმნება, ყბებით გამოღრღნის უჯოების გადაბეჭდილ თავს და გარეთ გამოდის. ბარტყის ნორმალური განთვითარებისათვის ბუდეში უნდა იყოს 34-35 გრადუსი ტემპერატურა, ამიტომ განსაკუთრებით გაზაფხულზე, როდესაც დედა ფუტკარის კვერცხმდებლობა იწყება, ბუდე კარგად უნდა იყოს დათბუნებული გვერდითა და ზედა ბალიშებით. ბარტყეს ასევე სჭირდება ჰერიც, რომელიც ბუდეს საფრენიდან მიეწოდება; ამიტომ საფრენი ხერელის სიდიდის რეგულირების დროს ეს უნდა გავითვალისწინოთ.

კვერცხის დადებიდან გამოჩეკვამდე დედა ფუტკარს 16 დღე სჭირდება, მუშა ფუტკარს 21, მამალ ფუტკარს კი 24 დღე.

მართალია, დედა ფუტკარი ხუთ წლამდე ცოცხლობს, მაგრამ პირველი ორი წლის შემდეგ ის საგრძნობლად ამცირებს

კვერცხმდებლობას, ამიტომ ორი სეზონის შემდეგ სასურველია ის ახალი დედით შეიცვალოს.

მეფუტყრეობის ზოგიერთ სახელმძღვანელოში მოხ-სენიებულია, რომ გაუნაყოფიერებლი დედა ფუტკარი იშვიათად ნესტრავს ადამიანს, ამასთან თითქოს ეს დანესტვრა სრულიად უმტკივნეულო იყოს და დანესტვრის ადგილზე მხოლოდ უმნიშვნელო ქავილს იწვევდეს. მაგრამ, როგორც პრაქტიკულმა გამოცდილებამ გვიჩვენა საქმე მთლად ასე არ არის.

ერთ ზაფხულს ერთ-ერთი ოჯახის შემოწება - ხილვა გარკვეული დროით დაგვიგვიანდა, აღმოჩნდა, რომ ოჯახი ბუნებრივი ბარტყყობისათვის გამზადებულიყო და სადედები მრავლად ჩამოეშენებინათ, ამასთან ახალგაზრდა დედები უკვე გამოსვლაზე იყვნენ და უჯრედების გადაბეჭდილი თავების გამოლრღნა დაეწყოთ. სხვა გზა არ იყო, საჩქაროდ დავიწყეთ ფიჭებიდან სადედების ამოქრა, რომ ისინი გალიებში ცალ-ცალკე მოგვეთავსებინა, მაგრამ როდი გვაცალეს, თითქოს პირი შეკრესო, ერთდროულად დაიწყეს მათ სადედე უჯრედებიდან გამოსვლა, მაშინ მათი დაჭერა ხელდახელ დავიწყეთ და მუშში ვაგროვებდით; ეტყობა ამ დროს ერთ-ერთი დედა შემთხვევით თითოს დაწოლის ქვეშ მოჰყვა და მან თავისი იარაღიც უმაღ გამოიყენა. დანესტვრის სიმპტომები იგივე აღმოჩნდა, როგორც მუშა ფუტკარის დანესტვრის დროს იცის; მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ დედა ფუტკარმა დანესტრილი ადგილიდან ნესტარი უკანვე ამოაძრო, რასაც მუშა ფუტკარი ვერ ახერხებს.

ფუტკარის ოჯახის სიძლიერეზე დიდად არის დამოკიდებული დედის ხარისხიანობა, ამიტომ ამ მიმართულებით საჭიროა მეტი ყურადღების გამახვილება. ასევე დროული ზომების მიღებაა საჭირო, როცა რაიმე მიზეზით ფუტკარის ოჯახი დედის გარეშე რჩება. ასეთ შემთხვევაში საჭიროა უდედოდ დარჩენილ ოჯახს მივცეთ სათადარიგო დედა. თუ უდედობის პერიოდი გაგრძელდა, მაშინ დაობლებული ოჯახის რამდენიმე მუშა ფუტკარი იწყებს გაძლიერებულ კვებას ფუტკარის სადედე რძით და მათ უვითარდებათ საკვერცხები. ისინი ცრუ დედებად გარდაიქმნებიან და იწყებენ გაუნაყოფიერებელი კვერცხის დებას. ასეთი კვერცხიდან კი მხოლოდ მამალი ფუტკარი იჩეკება და მათი რაოდენობა ოჯახში კატასტროფულად მატულობს. თუ დაობლებულ და ცრუ დედებიან ოჯახს მეფუტკარემ დროულად არ მიხედა, ის დაიღუპება.

ფუტკარის ოჯახში ძირითად საშენ მასალას ცვილი (სანთელი) წარმოადგენს. მართალია, ფუტკარი ამ დანიშნულებით დინდგებს - ფუტკარის წებოსაც იყენებს, მაგრამ ის ძირითადად ხმარდება ჭუჭრუტანებისა და სკის უსწორმასწორო ადგილების ამოლესვას, ასევე

საფრენი ხერელის დავიწროებას.

ფუტკარი ცვილს გამოყოფს საცვილე ჯირკვლებიდან, რომელიც მუშა ფუტკრებს მუცლის ბოლო ოთხ რგოლზე აქვთ მოთავსებული. საცვილე ჯირკვლებიდან გამოყოფილი ცვილი ჰაერთან შეხებისას ცივდება და ფირფიტისებურად ეკვრის ფუტკარს მუცელზე. ფუტკარი მას იძროს შუა ფეხებით, ნინა ფეხების დახმარებით კი ყებში იდებს და ღეჭავს დასარბილებლად, ხოლო შემდეგ ფიჭის ასაშენებლად იყენებს. ცვილის მაქსიმალურად გამოყოფის უნარი მხოლოდ 12-18 დღის ხნოვანების მუშა ფუტკარს შესწევს, ამდენად, ბუდეში ფიჭების აქტიური შენებისათვის საჭიროა ახალგაზრდა მუშა ფუტკრის დიდი რაოდენობა, ამასთან დაცული უნდა იყოს შესაბამისი მაღალი ტემპერატურაც, დაახლოებით 35 გრადუსის ფარგლებში და ბუნებაში უხვი ღალიანობა. ფიჭის მშენებლობის დროს ფუტკრები ძირითადად აშენებენ მუშა ფუტკრის უჯრედებს, მცირე რაოდენობით სამამლე უჯრედებში ნარმოებს მომავალი თაობის გამოზრდა, ამის გარდა მუშა ფუტკრის უჯრედში ინახავენ თაფლსა და ჭეოს.

ნლის სხვადასხვა დროს ბუდეში სხვადასხვა სითბური რეჟიმია დამყარებული: როდესაც ფუტკრის ოჯახში ბარტყია, მაშინ ფუტკრები ბუდეში იცავენ 34-35 გრადუს ტემპერატურას. თუ ტემპერატურა აღნიშნულის დაბლა ეცემა, მაშინ ფუტკრები თაფლით უხვად იკვებებიან, რაც ხელს უწყობს მის ორგანიზმში სითბოს გამომუშავებას და ბუდეში ტემპერატურის დონე ზევით იწევს, ზაფხულის დღეებში კი პირიქით, ფუტკრები ფრთების ინტენსიური ქრევით სკას ანიავებენ და ბუდეს გადახურებისაგან იცავენ. ზამთრის პერიოდში, როდესაც ოჯახში ბარტყი აღარ არის და ფუტკარი გუნდს კრავს - ნახევრად მიძინებულ მდგომარეობაში გადადის, ბუდეში ტემპერატურა მკვეთრად ეცემა და 14-25 გრადუსის ფარგლებშია. ამ დროს ფუტკარი გუნდში ნელ-ნელა გადაადგილდება გარედან, სადაც ტემპერატურა შედარებით დაბალია, გუნდის შიგნით სითბოსკენ და პირიქით; თბილ ადგილს სხვა “შეციებულ” თანამოძმეს უთმობს. ასეთი მოძრაობის წყალობით ფუტკარი ინარჩუნებს იმ მინიმალურ ტემპერატურას, რომელიც მის ორგანიზმს ნახევრად მიძინებულ მდგომარეობაში ცხოველმყოფელობისათვის სჭირდება.

ზამთრობით ფუტკარი ძირითადად თაფლით იკვებება, ხოლო გაზაფხულზე, როცა ის აქტიურ ცხოვრებას ბარტყის გამოკვებას, ნექტრის შეგროვებას და ფიჭების შენებას იწყებს, მარტო თაფლი მისი ორგანიზმის მიერ გახარჯული ენერგიის აღსადგენად საკმარისი აღარ არის და ის ჭეოსაც იყენებს საკვებად, რომელიც მდიდარია ცილებით, ასევე შეიცავს ცხიმებს, ვიტამინებს, მარილებს და ნახშირნყლებს,

ამასთან ფუტკარს ჭეო ბარტყის გამოსაკვებად სჭირდება.

როგორც აღვნიშნეთ, ფუტკარი აქტიურ ცხოველმყოფელობას გაზიაფხულიდან იწყებს; თაფლოვანი მცენარეების ყვავილობისა და ნექტარის გამოყოფის პერიოდში, იგი ღალაზე გადის და ოჯახში მცირე რაოდენობით სურნელოვანი ნექტარი შემოაქვს, ეს კი სტიმულს აძლევს დედა ფუტკარს და ის შესაბამისად უმატებს კვერცხმდებლობას; ხოლო აპრილის თვიდან დედა ფუტკარი განაყოფიერებულ კვერცხთან ერთად გაუნაყოფიერებლ კვერცხსაც სდებს და ოჯახში მამალი ფუტკარიც მრავლდება; ბუნებაში ღალიანობის მატებასთან კი დაკავშირებულია დედა ფუტკრის ინტენსიური კვერცხის დება და ბუდეში იმდენი ახალგაზრდა მუშა ფუტკარი გროვდება, რომ მათი რიცხვი ბარტყების აღსაზრდელად საჭირო ძინათა რაოდენობას საგრძნობლად აღემატება და ნაწილი უსაქმოდ რჩება. ბუდის ასეთნაირი გადატვირთვა კი ფუტკარს ნაყრიანობისაკენ უბიძგებს; ფუტკრები იწყებენ სადედე ჯამების მშენებლობას და დედა ფუტკარი კი თავის მომავალი მეტოქეების გამოსაზრდელად შიგ განაყოფიერებულ კვერცხს სდებს. ასეთნაირად ბუდეში მწიფდება სანაყრე სადედები. ნაყრიანობისათვის მზადების პერიოდში ფუტკრის ოჯახში კლებულობს აქტიური საქმიანობა. დედა ფუტკარი ამცირებს კვერცხმდებლობას, ხოლო მუშა ფუტკარი ნექტრის მოტანას. ისინი უსაქმოდ ჩამოყიდებული არიან ფიჭებზე და სკიდან დედის გამოფრენას ელოდებიან, რომ იყარონ, როდესაც ნაყარ ფუტკრის გუნდს მეფუტკრე ახალ სკაში მოათავსებს, იქ მკვეთრად იცვლება შრომისადმი დამოკიდებულება, ნაყარი ფუტკრის ოჯახი აქტიურად იწყებს ღალაზე მუშაობას, რომ დაზამთრებამდე მოასწროს ბუდეში თაფლის მარაგის დაგროვება.

მთავარი ღალიანობის დამთავრების შემდეგ, ფუტკრები სკიდან მამლების გამორეკვას იწყებენ, რაც იმის მაუწყებელია, რომ ბუნებაში ნექტარი ნაკლებად მოიპოვება და ფუტკრის ოჯახი მომავალი ზამთრის პერიოდისათვის ემზადება.

## სანაშაო საქმიანობა მეზუტპრეობაში

ფუტკრის ოჯახების პროდუქტიულობის გაზრდის ერთ-ერთი ძირითადი საშუალებაა სწორი და დროული სანაშენე-სასელექციო სამუშაოების ჩატარება საფუტკრეში, რაც გამოიხატება ფუტკრის ოჯახების გადარჩევა-გამოწუნებაში იმ მიზნით, რომ საფუტკრეში ძირითადად ვიყოლით სასარგებლო სამეურნეო ნიშან-თვისებების მქონე ძლიერი ოჯახები.

მიუხედავად იმისა, რომ სანაშენე საქმიანობის წარმოება დაკავშირებულია გარკვეული სახის სიძნელეებთან და შრომატევადია, ის მაინც უნდა იყოს მეფუტკრეობის დარგის. მუშაკების ერთ-ერთი უპირველესი ამოცანა, რადგანაც პრაქტიკაში ცნობილია, რომ ერთ და იმავე საფუტკრეში, სადაც ფუტკრის ოჯახებს ერთნაირი პირობები აქვთ შექმნილი, ყველა ოჯახი ერთნაირად ვერ ვითარდება, რის გამოც განსხვავებულია მათი პროდუქტიულობის მაჩვენებლებიც, ხოლო დაბალპროდუქტილი ოჯახების გამრავლებას საფუტკრე დაქნინებამდე მიჰყავს.

მეფუტკრეობაში ცნობილია სანაშენე-სასელექციო მუშაობის შემდეგი ფორმები: მასობრივი გადარჩევა, ინდივიდუალური გადარჩევა და შედარებით ნაკლებად გავრცელებული მეთოდი ჯიშთა შორის სამრეწველო შეჯვარებისა-ჰიბრიდიზაცია.

მასობრივი გადარჩევა წარმოადგენს შედარებით მარტივ და ხელმისაწვდომ ფორმას და მისი გამოყენება შესაძლებელია ყველა საფუტკრეში. მისი ძირითადი პრინციპია ჯიშთანი დედებისა და მამლების გამოყვანა და მაღალპროდუქტიული ოჯახების შექმნა.

საფუტკრეში რეკორდული დედებიდან გამოგვყავს დედა ფუტკრები ისეთი რაოდენობით, რომ ფუტკრის ოჯახებში შევცვალოთ დედები. ამ დედებს გაანაყოფიერებენ მამალი ფუტკრები, რომელთა ჯიშობრივი მაჩვენებლები ჩვენთვის უცნობია. როდესაც განაყოფიერებული დედა ფუტკრები კვერცხების დებას დაიწყებენ, ამ კვერცხებიდან ნარევი სისხლის მუშა ფუტკრები გამოვლენ, მამლები კი რეკორდული დედების წმინდა სისხლისანი იქნებიან, რადგანაც მამლები გაუნაყოფიერებელი კვერცხებიდან იბადებიან.

პირველ წელს საფუტკრეში გვეყოლება ორი ხარისხის მამლები: რეკორდული დედების წმინდა სისხლისა და დაბალი ხარისხის დედების სისხლისა. შემოდგომაზე ყველა ეს მამლები დაიხოცებიან.

მეორე გაზაფხულზე, როდესაც საფუტკრეში მხოლოდ რეკორდული დედები დაიწყებენ კვერცხის დებას, საფუტკრეში მხოლოდ ჯიშთანი მამლები გვეყოლება. ფუტკრის ოჯახებს ხელმეორედ უცვლით დედებს, რომელსაც უკვე ჯიშთანი მამლები გაანაყოფიერებენ და მუშა ფუტკრებიც წმინდა სისხლისა გვეყოლება.

პერიოდულად ასეთი სამუშაოების ჩატარების შედეგად შესაძლებელი ხდება საფუტკრეში მხოლოდ მაღალპროდუქტიული ოჯახების ყოლა. ყოველ 4-6 წელიწადში ერთხელ იმ რეკორდულ სკებში, საიდანაც საჯიშე დედები გამოგვყავს უნდა შევცვალოთ დედები სხვა საფუტკრედან ან დედა ფუტკრის გამომყვან სპეციალიზირებული მეურნეობიდან შეძენილი დედებით, რათა ადგილი არ ჰქონდეს

ფუტკრის ოჯახების ახლო ნათესაურ შეჯვარებას, აქედან გამომდინარე თავისი უარყოფითი შედეგებით.

იმისათვის, რომ მასობრივი გადარჩევისას მივიღოთ მაღალი შედეგები, საჭიროა სკებს შევუქმნათ ხელსაყრელი პირობები განვითარებისა და თაფლის შეგროვებისათვის, რაც იმაში გამოიხატება, რომ ფუტკრის ოჯახები უნდა ვამთაბაროთ ისეთ ადგილებში, სადაც მრავალნაირი და დიდხანს მოყვავილე თაფლოვანი მცენარეებია.

მასობრივი გადარჩევის წარმოებისას, ფუტკრის ოჯახები უნდა შევაფასოთ სამეურნეო და ბიოლოგიური მაჩვენებელების მიხედვით, რაც გამოიხატება: თაფლისა და ცვილის მიღებით, ოჯახის სიძლიერით, ყინვამდგრადობით, ბარტყიანი ფიჭების რაოდენობით და ხარისხით, მოღალე ფუტკრების აქტიურობით და დაავადებების მიმართ მდგრადობით.

აქტიური სეზონის პერიოდში უნდა ვანარმოოთ ყველა ამ მონაცემების აღრიცხვა და საფუტკრის უურნალში შეტანა. შემოდგომით კი, როდესაც საფუტკრეში სამუშაოები შეწყდება, აღნიშნული მონაცემების მიხედვით ფუტკრის ოჯახები უნდა დავყოთ სამ ჯგუფად: პირველ ჯგუფში შევლენ რეკორდული ოჯახები, რომლებმაც ყველაზე მეტი რაოდენობით თაფლისა და ცვილის მოსავალი მოგვცეს; მეორეში - საშუალო პროდუქტიულობის ოჯახები და ჯგუფდებიან; ასეთი ოჯახებიდან ფუტკარს აღარ გავამრავლებთ, მათ მხოლოდ თაფლისა და ცვილის მისაღებად გამოვიყენებთ; მესამე ჯგუფში შევიყვანთ იმ ოჯახებს, რომლებიც ვერ განვითარდნენ ცუდი ხარისხის დედების მიზეზით და მცირე მოსავალი მოგვცეს; ასეთ ოჯახებში საჭიროა დედები შეიცვალოს ხარისხიანი განაყოფიერებული დედებით და თუ ამის შემდეგ ასეთი ოჯახები მაინც ვერ განვითარდებიან მეორე ჯგუფის დონემდე, ისინი უნდა გამოვიწუნოთ, ფუტკარი და ფიჭები სხვა სკებს გავუნანილოთ.

ინდივიდუალური გადარჩევის მეთოდი მასობრივ გადარჩევასთან შედარებით უფრო სრულყოფილია, მაგრამ თავისი სირთულის გამო მისი გამოყენება მიზანშენილია სპეციალიზირებულ საფუტკრეებში, სადაც ერთი ჯიშის დიდი რაოდენობის ფუტკრის ოჯახებია, რომელთაც გამოცდილი მეფუტკრეები უვლიან.

ასეთი მეთოდის გამოყენების დროს დედა ფუტკარს და ფუტკრის ოჯახებს პროდუქტიულობისა და სხვა სამეურნეო ბიოლოგიურ-ხარისხობრივი მაჩვენებლების გარდა, აფასებენ შთავმომვლობითი მაჩვენებლების მიხედვითაც. ამას აკეთებენ იმ მიზნით, რომ გაიგონ ის თუ დედა ფუტკარი შთამომავლობას როგორ გადასცემს თავის ძვირფას ხარისხობრივ მაჩვენებლებს.

შეიძლება ფუტკრის ოჯახი რეკორდული პროდუქტიულობის მიერ, მაგრამ ეს პროდუქტიულობა მემკვიდრეობით არ გადაეცეს. ასეთი ოჯახი სანაშენედ არ გამოდგება.

ის დედა ფუტკარი, რომელიც შთამომავლობას გადასცემს თავის საუკეთესო სამეურნეო ნიშან-თვისებებს, სანაშენე რეკორდული დედა. რეკორდული დედების სანაშენე თვისებების განსაზღვრა შეიძლება შთამომავლობის ხარისხზე დედების შემოწმებით; სასურველია თითოეული რეკორდული ოჯახიდან 100-150 დედა იყოს მიღებული. ახალგაზრდა დედებს ვასახლებთ ნუკლეუსებში და გასანაყოფიერებლად მიგვყავს 8-10 კმ-ით საფუტკრიდან დაშორებულ იზოლირებულ ადგილას; იქვე მიგვყავს რამდენიმე სამამლე ძლიერი ოჯახიც; იმ შემთხვევაში, თუ ამის საშუალება არა გვაქვს, ვიქცევით შემდეგნაირად: ნუკლეუსებს, სადაც რეკორდული ახალგაზრდა დედებია, საფრენებში ვუკეთებთ გამომყოფ ბადურებს, რომლებშიაც მხოლოდ მუშა ფუტკრები გადიან, ასეთნაირადვე ვუკეთებთ ბადურებს იმ სკებს, სადაც რეკორდული დედის ჩამომავალი მამალი ფუტკრები იმყოფებიან.

საღამოს, როდესაც საფუტკრები მამალი ფუტკრების ფრენა შეწყდება, ბადურებს ვხსნით; ნუკლეუსებში დამწყვდეული დედა ფუტკრები გამოიმლერებენ, მათ გამოჰყვებიან რეკორდული მამლები და გაანაყოფიერებენ. თუმცა ასეთი მეთოდი ადრე განხილულთან შედარებით ნაკლებად სანდოა, მაგრამ მისი გამოყენება მცირე რაოდენობის რეკორდული დედების გამოსაყვანად დასაშვებია.

ჰიბრიდიზაციის მეთოდი - გამოყენებული იქნა აშშ-ში, სადაც გავრცელებულია ქართული, იტალიური და კრაინული ფუტკრის ჯიშები; ქართული და იტალიური ფუტკრის შეჯვარების შეფეგად მიიღეს ჰიბრიდები "სტარლიანისა" და "მიდლაინის" სახელწოდებით, რომელთა პროდუქტიულობა 15-20%-ით მეტია შეჯვარებულ ჯიშებთან შედარებით.

ასეთივე მეთოდი გამოიყენეს რუსეთში, სადაც შეაჯვარეს ქართული მთის რუხი ფუტკრის დედა ფუტკრები შუა რუსეთის ფუტკრის მამალ ფუტკრებთან. მიღებული ჰიბრიდი გამოირჩევა ძლიერი გამრავლების უნარითა და მაღალპროდუქტიულობით. ასეთი ოჯახები თაფლის მოსავალს აგროვებენ 40%-ით მეტს, ვიდრე ნაჯვარი ჯიშები. ამასთან გამოირჩევიან ბუნებრივი ნაყრიანობი-სადმი ნაკლები მიდრეეკილებით და სტაბილური მუშაობით ხანგრძლივი და საშუალო დალიანობის პერიოდში. ამასთან გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ასეთი ჰიბრიდები მაღალპროდუქტიულობით გამოირჩევიან მხოლოდ პირველი შთამომალობის

დროს, ამიტომ ფუტკრის ოჯახებში უნდა იყოს მხოლოდ წმინდას სისხლის ქართული მთის რუხი დედა ფუტკრები, რომლებიც შუა რუსეთის მამლებით იქნებიან განაყოფიერებული. ხოლო მათგან შერეული სისხლის დედები არ უნდა იქნენ გამოყვანილი.

ორი-სამი წლის შემდეგ, როდესაც საჭირო ხდება დაბერებული დედების შეცვლა, შემდეგნაირად იქცევიან: საფუტკრეში შემოჰყავთ შუა რუსეთის სუფთა ჯიშის დედა ფუტკრები, რომლებსაც გაანაყოფიერებენ ქართული მთის რუხი ფუტკრის მამლები.

ასეთნაირი მეთოდის გამოყენებით, როდესაც მორიგეობით იცვლება შესაჯვარებელ ჯიშთა დედა და მამალი ფუტკრები, შესაძლებელია საფუტკრეში მუდმივად იყოს პირველი თაობის ნაჯვარი ჯიშის ფუტკრის ოჯახები, რომლებიც მაღალი სამეურნეო თვისებებით გამოირჩევიან.

## როგორ შევამოგოთ ფუტკრის ოჯახები

პირველ ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ, რომ ფუტკრის ოჯახების შეერთება ძალიან უმტკივნეულოდ და მარტივად სრულდება გაზაფხულზე. შემოდგომით კი ეს გაძნელებულია. ამიტომაა, რომ ამ პერიოდში ეს სამუშაო ფაქიზად და დიდი სიფრთხილით უნდა შესრულდეს.

ამ მიზნით სასურველია გამოვიყენოთ წოლელა სკა, რომლის დიდი ფართი იძლევა ორი ოჯახის შეერთების საშუალებას. ამასთან ასეთ სკებს აქვთ ორი საფრენი და შუაში საკმაოდ მჭიდროდ დარში ჩასმული ტიხარი.

თუ ძირითადი ოჯახი ასეთ სკაშია მოთავსებული, ეს, რათქმა უნდა კარგია, რეზერვში გვაქვს, მაშინ სასურველია ეს სკა დავდგათ ძირითადი ოჯახის ადგილზე და გადავიყვანოთ ფუტკარი მასში. ხოლო უდედო ანდა დასუსტებული შესაერთებელი ოჯახი დავდგათ მის სიახლოვეს.

შეერთების ნებისმიერი ვარიანტის გამოყენებისას ძირითადი ოჯახის დედა ფუტკარი წინასწარ სადედე ხუფის ქვეშ უნდა მოვათავსოთ, რათა ჭოველგვარი შემთხვევისაგან დავიცვათ იგი. რამდენიმე დღეში ფუტკარი ფიქას გამოლრლნის და დედას გამოიყვანს, ან ჩვენ თვითონ გამოვუშვებთ მას.

სასურველია შეერთების წინ ორივე ოჯახს ერთნაირი სუნის მისაცემად შევაფრქვიოთ სახის პუდრი (ფერუმარილი), პიტნის ნაყენი ან სხვა სურნელოვანი საშუალება. ამ პროცედურის

ჩატარების შემდეგ მისაერთებელი ოჯახის ფუტკარს თავისივე ჩარჩოებით გადავიყვანთ წოლელა სკის ტიხარით გაყოფილ განყოფილებაში. ამ პროცედურის შემდეგ ორივე სკის ფუტკარი მშვიდად განაგრძობს საქმიანობას და რამდენიმე დღეში ღებულობს ერთნაირ სუნს. ამის შემდეგ საფარებელი ტილოს ქვეშ მოვათავსებთ რამდენიმე ღერ ჩხირს, რათა ფუტკარმა შესძლოს ერთი ოჯახიდან მეორეში გადასვლა. ასეთნაირად რამდენიმე დღეში ორი ოჯახი უმტკივნეულოდ გაერთიანდება.

თუ საფუტკრები რუსული სკები გვაქვს, რომლებიც კორპუსი კორპუსს ედგმება, მაშინ ქვედა სკას ჩარჩოების ზევიდან გადავხდით ტილოს და დავაფენთ ქალალდს ზევიდან კი დავადგამთ შესაერთებელი ფუტკრის ოჯახის სკას. ამასთან უნდა ჩავატაროთ ყველა ის მოსამზადებელი სამუშაო, რაც წინა შემთხვევაში იყო ჩამოთვლილი.

იგივე მეთოდი გამოიყენება, როცა ფუტკარი რუტის ან ფრანგული ე.წ. დელონის ტიპის სკებშია მოთავსებული.

შედარებით ძნელია ამ სამუშაოს შესრულება დადან-ბლატის სკის შემთხვევაში თუ კი აქ ფართის არსებობის საშუალება არაა. სკაში ორ შესაერთებელ ოჯახს შორის სასურველია ორი ან ერთი მაინც ცარიელი ფიჭა ჩაიდგას, რომ შეერთების დროს სხვადასხვა ოჯახის ფუტკარი უეცრად ერთმანეთს არ შეეჯახოს და რაღაცნაირად ნეიტრალური სივრცე შეიქმნას. ამ შემთხვევაში ფუტკრის ოჯახებს შორის გაზეთი უნდა ჩაიფინოს.

## ცრუდებიანი ოჯახების გამოსტონება

დედა ფუტკრის დაკარგვიდან 8-9 დღის შემდეგ ფუტკრის ოჯახში აღარ არის ღია ბარტყი, საიდანაც ფუტკრები დედას გამოიყვანენ. ამიტომ მუშა ფუტკრების გარკვეული ნაწილი იწყებს უხვი და მსუყე საკვებით კვებას, რაც იწვევს მათი საკვერცხების ნაწილობრივ განვითარებას და დაახლოებით 20-25 დღის შემდეგ იწყებენ გაუნაყოფიერებლი კვერცხის დებას, საიდანაც მხოლოდ მამალი ფუტკრები იჩეებიან. მათი რაოდენობა სკაში ზოგჯერ რამოდენიმე ასეულს აღწევს.

როგორ უნდა განვასხვაოთ ცრუ დედის და განაყოფიერებული დედის მიერ დადებული კვერცხები?

ნამდილი დედა კვერცხს დებს ფიჭის თითქმის ყველა უჯრედში მიყოლებით და თითო-თითოს, მაშინ, როცა ცრუ დედა კვერცხებს დებს გაფანტულად და თითო უჯრედში 2-3 ცალს.

ცრუ-დედიანი ოჯახის გამოსასწორებლად შემდეგნაირად

**იქცევიან:** თუ ცრუდედიანი ოჯახი ძლიერია, მაშინ ნორმალურ სკაში იქტერენ დედა ფუტკარს და მას გალიით ათავსებენ ცრუდედიან ოჯახში. შემდეგ ამ ორ ოჯახს ადგილებს უცვლიან. ღალიდან დაპრუნებული ნორმალური ოჯახის მფრინავი ფუტკარი შედის ცრუდედიან სკაში, სადაც თავის დედას პოულობს და ცრუდედებს გარეთ ყრის და ხოცავს. იმავდროულად ცრუდედიანი ოჯახის ადგილზე დადგმულ ნორმალური ოჯახის სკაში, რომელშიც ნორმალური ოჯახის მფრინავი ფუტკრებია დარჩენილი ადვილად ღებულობენ სათადარივო დედას.

თუ ცრუდედიანი ოჯახი სუსტია, მაშინ მის გვერდზე მდგომ მეორე ოჯახს უნდა შევუერთოთ.

მეფუტკრეებში გავრცელებული აზრი, რომ ცრუ დედების მოსაცილებლად საჭიროა სკის მოშორებით გატანა და დაპერტყვა. თითქოს ცრუ დედები ადგილზე რჩებიან და იხოცებიან, სწორი არ არის. ამ მეორედმა არ გაამართლა და მისი გამოყენება ტყუილად დროის ხარჯვაა და მეტი არაფერი.

## დედა ფუტკრის შეცვლა

პროფესიონალი მეფუტკრეების აზრით, ძლიერ ფუტკრის ოჯახში დედა ფუტკარი დიდ ენერგიას ხარჯავს. ამიტომ ის ყოველ წელს უნდა შეიცვალოს, ამასთან ახალგაზრდა დედები გვიან შემოდგომამდე დებენ კვერცხს და გაზაფხულზე ფუტკარი მოკლე დროში ძლიერდება. აღსანიშნავია, რომ ასეთ დედიან ოჯახებს ნაყრობისაკენ ნაკლები მიღრეულება აქვთ.

უვარგის დედებს ფუტკრის ოჯახებს ვართმევთ 2-3 საათით ადრე, ახალგაზრდა განაყოფიერებული დედის მიცემამდე, რომელსაც სკაში გალიით ჩავსვამთ საღამო ხანს, ფუტკრის ფრენის დამთავრების შემდეგ, თბილ, წყნარ ამინდში. 2-3 დღის შემდეგ, როცა დავრწმუნდებით, რომ ფუტკარი დედას ღებულობს ე.ი. საკვებს ანვდის მას გალიიდან გამოვუშვებთ.

თუ ღალიანობა არ არის, ფუტკარს სიროვი უნდა მივცეთ წინა დღეს, იმავე დღეს და დედის მიცემიდან მეორე დღეს.

თუ ფუტკრის ოჯახი დედას არ ღებულობს, მაშინ შუადღისას, როდესაც ფუტკარი გასულია ღალაზე, მცირეოდენ თაფლიან ჩარჩოზე, საიდანაც უკვე იჩეკებიან ახალგაზრდა ფუტკრები, სადედე ხუფის საშუალებით ვაძლევთ დედა ფუტკარს. დედა ფუტკარი ხუფისქვეშა არეალში იწყებს კვერცხის დებას, ოჯახის სუნსაც უფრო ადვილად ითვისებს, ამასთან ახლად გამოჩეკილი ფუტკრებიც მას ხალისით უვლიან.

დედის შეცვლა მწიფე სადედეებითაც შეიძლება, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს უნდა მოხდეს დედის წართმევიდან 2-3 დღის შემდეგ.

## გუნდის ნაყრის დაჭმრა და მოვლა

როდესაც ფუტკრის ოჯახი სანაყრედ ემზადება, იწყებს სადედეების ჩამოშენებას. როცა პირველი სადედე გადაიბეჭდება ფუტკრები მეორე ან მესამე დღეს ნაყრობენ. ნაყრის სეიდან გამოფრენა უმეტესწილად დილის 10-11 საათიდან დღის 3-4 საათამდე გრძელდება. შემდეგ საათებში ფუტკარი თითქმის არ ნაყრობს.

ბურგებრივი ნაყრიანობა თბილ და წყნარ ამინდში მიმდინარეობს. ფუტკრები სამი დღის საზრდოოთი მარაგდებიან და სწრაფი მოძრაობით იწყებენ სეიდან გამოფრენას და მის თავზე ზემოთ წრების მოხაზვას, რაც თავლნათლივ განსხვავდება ფუტკრის ჩვეულებრივი გამომღერებისაგან.

პირველი ბარტყობის დროს ძველდედიანი ნაყარი, დედის სიმძიმის გამო შორს ვერ მიფრინავს და იქვე ახლოს ბუჩქს ან ხის დაბალ ტოტს შეხვევა ხოლმე. ხოლო, როცა ნაყრის გამოსვლიდან მე-4-5 დღეს იგივე ოჯახი მეორედ ნაყრობს ახალგაზრდა გაუნაყოფიერებლი დედა-ფუტკარი ყოველთვის ცდილობს თავის სეიდან მოშორებით მაღალი ხის ტოტს მიეხვიოს.

მეფუტკრებში არის შემორჩენილი ისეთი აზრი, რომ ვითომ ხმაურით, კერძოდ, ლითონის საგნების ერთმანეთზე დარტყმით, ანუ ჭექა-ქუხილის პროვოცირებით შეიძლება მფრინავი ფუტკრის ნაყრის გუნდის შეჩერება, სადმე ახლოს ტოტზე შეხვევა, მართებული არ არის. უფრო დადებითად მოქმდებს წყლის შეხფები თუ არის ამის საშუალება, რაც წვიმის იმიტაციას ქმნის. ასეთი მიფრქვევით შეიძლება ერთ ადგილზე გავაჩეროთ ნაყარი, რომ არ აფრინდეს, სანამ სკას მოვიმარაგებთ და ჩამოვხსნით.

ფუტკრის ნაყარის პირველი ნაწილის გამოსვლის შემდეგ გამოდის დედა ფუტკარი, რომელიც აფრენამდე საფრენის ფიცარს ფეხით გაივლის. ამ დროს მეფუტკრეს შეუძლია მისი სადედე ხუფით დაჭერა და გალიაში ჩასმა. გალიაში ჩასმული დედა კავიანი სანაყრით უნდა ჩამოიკიდოს იქ, სადაც ფუტკარი ირევა, იგრძნობენ რა დედის სუნს, ფუტკარი მას მიეხვევა და გუნდად შეიკვრება.

თუ მეფუტკრე ვერ ახერხებს დედის დაჭერას, მაშინ უნდა დაელოდოს ნაყრის ტოტზე დახვევას, რის შემდეგაც იწყებს ნაყრის ტოტიდან მოხსნას.

თუ ნაყარი დაბლაა შეხვეული, მაშინ შეიძლება მისი პირდაპირ

სკაში ჩაბერტყვა, ხოლო თუ მაღლაა და კიბეზე ან ხეზე ასვლაა საჭირო შეცვლა მაშინ, სანაყრე უნდა გამოიყენოს, ამასთან, სასურველია თუ სანაყრეს შიგნიდან ბარამბოს წვენს ან სადედე რძეს გამოუსვამთ ის ფუტკარს მიიზიდავს და სანაყრეში ადვილად შევა.

ჩვენ გვქონდა პრაქტიკაში ასეთი შემთხვევა: ნაყარი დაახლოებით 10 მეტრის სიმაღლეზე ტანმაღალ, ტოტებასხეპილ ნაძვის ტოტზე ჩამოეკიდა. სასწრაფოდ დავამზადეთ შესაბამისი სიგრძის ჭოკი, რომელზეც ფიჭიანი ჩარჩო დავამაგრეთ და ნაყრის გუნდს შევუდგით, მაგრამ რამდენჯერაც ჩამოვიტანეთ ფიჭაზე დახვეული ფუტკარი და სკაში ჩავპერტყვეთ, იმდენჯერ აიშალა და ისევ ნაძვის ტოტს მიეხვია, სადაც დედა ფუტკარი ეგულებოდა. დრო არ ითმენდა. ამ დროს შემოვგესწრო გამოცდილი მეფუტკრე, გამოვგართვა ფიჭიანი ჭოკი და გამეტებით დაჰკრა ნაძვის ტოტს; ფუტკრის გუნდი ერთიანად აიშალა, მან კი ფიჭიანი ჭოკი საჩქაროდ იმ ადგილისკენ მიმართა, სადაც ადრე ფუტკრის გუნდი იყო დახვეული. ტოტიდან აშლილმა ფუტკარმა ისევ ძველ ადგილს მიაშურა, იქ, სადაც ადრე იყო ჩამოკიდებული და თავის დედიანად ერთიანად დაეხვია ფიჭიან ჩარჩოს, რომელიც ფრთხილად ნამოვილეთ და სკაში ჩავპერტყვეთ. ამის შემდეგ ფუტკარს სკა აღარ მიუტოვებია, რადგან იქ დედა ეგულებოდა.

სკაში ჩაბერტყვის შემდეგ ნაყარს სათანადო მოვლა სჭირდება, თორემ მან შეიძლება ის მიატოვოს და გაფრინდეს. ამიტომ ბუნებრივი ნაყარი უსუფთაო სკაში ან ისეთ ყუთში არ უნდა ჩავყაროთ, რომელსაც ზეთის, საპნის, ობის ან სხვა სპეციფიკური სუნი ახლავს.

ამ დროს ფუტკრის ნაყარი აღგზნებულ მდგომარეობაშია, ისინი ღელავენ, სცხელათ და ჰაერი არ ჰყოფნით, ამიტომ სკას ტილო მთლიანად არ უნდა დავახუროთ, არამედ მცირე ნაწილი ღიად უნდა დავტოვოთ, რომ ჰაერმა იმოძრაოს, ამასთან საჭიროა სკა გრილოში დაიდგას და თუ ასეთი ადგილი არ არის, შეძლებისდაგვარად დავაჩრდილოთ.

როცა ფუტკარი მთლიანად დაწყნარდება მერე დავახურავთ სკას სახურავს.

რასაკვირველია, ნაყარს ცარიელ სკაში არ ვათავსებთ, მასში ნინასწარ უნდა ჩავდგათ 3-4 მშრალფიჭიანი და 2-3 ხელოვნურფიჭიანი ჩარჩო, რომლებსაც ჯერ განზე გავწევთ, რომ ნაყარის ჩაბერტყვაში ხელი არ შეგვიშალოს, ხოლო შემდეგ ნაპირებიდან შუისკენ გამოვწევთ და ერთმანეთს მივადგამთ ისეთნაირად, რომ მშრალფიჭიანები უფრო შუაში მოვაქციოთ, სადაც ფუტკრის მეტი დაწოლა იქნება. ამით თავიდან ავიცილებთ

ხელოვნური ფიჭების ფუტკრის სიძიმისაგან ჩამოხევას სასურველად ამ ოჯახს 1-2 ჩარჩო ღია პარტყვანი ჩავუდგათ, მაშინ ის სკას აღარ მიატოვებს, მეორე დღეს უნდა დაცუკვირდეთ ფუტკრის საქმიანობას. თუ ფუტკარი მუშაობს და ჭეოს ეზიდება ე.ი. ყველაფერი კარგად მიდის, მაგრამ თუ ამ პერიოდს გვალვა ან უღალობა დაემთხვა, მაშინ ფუტკარს სიროფი უნდა მივცეთ, რომ საკვების მარაგი დაუგროვდეს.

### III - ფუტკრის ძირითადი დაავადებები და მასთან ბრძოლის მეთოდები

ფუტკრის დაავადებები ადამიანისათვის უხსოვარი დროიდან იყო ცნობილი, მაგრამ მან არ იცოდა მათი გამომწვევი მიზეზები და ამიტომ მკურნალობაც არ შეეძლო.

ფუტკრის ოჯახის დაავადებათა მეცნიერული შესწავლა მხოლოდ მე-19 საუკუნის 80-იანი წლებიდან დაიწყო, როდესაც 1882 წელს პროფესორმა სოროკინმა დეტალურად აღწერა ნოზემატოზის გამომწვევი პარაზიტი ნოზემა აპ; 1904 წელს ინგლისის კუნძულ ვაიტზე აღმოჩენილი იქნა აკარაპიდოზის გამომწვევი ტკიპი აკარაპის ვუდი, ხოლო იავაზე დაავადება ვაროვატოზის ტკიპა ვაროა.

1902-1907 წლებში ამერიკელმა მკვლევარმა უაიტმა აღმოაჩინა და შეისწავლა ამერიკული სიდამპლის გამომწვევი ბაცილა ლარვე, 1908-1912 წლებში კი ბაქტერია პლუტონი, რომელიც ევროპულ სიდამპლებს იწვევდა.

შემდგომში მეცნიერებმა ფუტკრის დაავადებები დაყვეს გადამდებ და არაგადამდებ დაავადებებად. გადამდებ დაავადებებს მიეკუთვნება ინფექტიური და ინვაზიური დაავადებები; ინფექციურია: ამერიკული და ევროპული სიდამპლე, პარატიფი, სეპტიცემია, მეღანოზი, პარკუჭა ბარტყი და სხვა; ინვაზიურია: ნოზემატოზი, ამიბიაზი, ბრაულოზი, აკარაპიდოზი, ვაროვატოზი და სხვა.

არაგადამდებ დაავადებებს მიეკუთვნება: კუზიანი ბარტყი, გაცივებული ბარტყი, ცრუ დედიანობა, ფუტკრის მონამვლა ქიმიური პრეპარატებით, მანანას თაფლით, ნექტრით, ყვავილის მტვრით და სხვა.

განვიხილოთ ფუტკრის ოჯახის ზოგიერთი დაავადება, რომელიც განსაკუთრებით დიდ ზიანს აყენებს საფუტკრეს.

## ამერიკული სიღამაღე

ეს დაავადება ძირითადად გადაბეჭდილ ბარტყები ვითარდება, მაგრამ თუ ავადმყოფობა ფუტკრის ოჯახს ძლიერ მოედო, მაშინ გადაუბეჭდავ ბარტყებაც აზიანებს. დაავადება თავს იჩენს უმთავრესად ზაფხულის პირველი ნახევრიდან, მისი გამომწვევი ბაცილა ლარვე ძალზე მოძრავი და გამძლე მიკრობია, წვრილი ჩხირების ფორმა აქვს და განვითარების ხელსაყრელ პირობებში ქმნის სპორებს.

სპორას მზის სხივები ელავს 28-41 საათის განმავლობაში, 2%-იანი ფორმალინი 30- წუთში, 100 გრადუსზე გაცხელებულ წყალში ის იღუპება 11 წუთში, ხოლო 100 გრადუსზე გაცხელებულ თაფლში 40 წუთში.

ამერიკული სიდამპლიტ დაავადებული ფიჭა აჭრელებულია, რადგან მასზე სხვადასხვა ხნოვანების ბარტყი იმყოფება, უმთავრესად გადაბეჭდილ ბარტყიან უჯრედებში, დაავადებული ბარტყის დაღუპვის შემდეგ უჯრედის სახურავი დაზნექილი ან ჩახვრეტილია. თუ უჯრედის სახურავს გადავსხით, დამპალი ბარტყის მასას ასანთის ღერით ამოვწევთ, ის ძაფის მსგავსად გაინტერება, მაგრამ თუ ბარტყი უჯრედის გადაბეჭდვამდე დაიღუპა, მაშინ ის მაგრადა მიკრული უჯრედის კედლებზე და ფუტკრებს ძალა არ შესწევთ მისი უჯრედიდან გამოტანისათვის.

დაავადებული ფუტკრის ოჯახის მკურნალობის დაწყებამდე საჭიროა მისი გადასხმა ახალ სკაში; თავდაპირველად უნდა მოვძებნოთ დედა ფუტკარი, მოვათავსოთ გალიაში და ისევ დავუბრუნოთ თავის ოჯახს, დღის ბოლოს კი, როცა მფრინავი ფუტკარი სკაში დაბრუნდება, ავადმყოფი სკა თავისი ადგილიდან უნდა გადავდგათ და მის ადგილზე დავდგათ დეზინფიცირებული სკა, რამდენიმე ხელოვნურფიქანი ჩარჩოთი, სკის წინა მხარეს გავშლით ქალალდს და ზედ დაბერტყყავთ ავადმყოფი ოჯახის ფუტკრებს, ფუტკრები ახალ სკაში ბოლის საშუალებით შეგვყავს; ფუტკრის ოჯახს ვართმევთ გალიაში ჩასმულ ძველ დედა ფუტკარს და მის სანაცვლოდ ახალგაზრდა განაყოფიერებულ დედას ვაძლევთ.

სკის წინ გაფენილ ქალალდს ვწვავთ, მის წინა და ირგვლივ მიწას ვბარავთ და ზედ 10%-იან კირის სსნარს მოვასხამთ. დაავადებული ოჯახის სკას და ჩარჩოებს დროებით ვინახავთ ისეთ შენობაში, სადაც ფუტკრებს შელნევა არ შეუძლიათ.

დაავადებული ოჯახის გადასმის შემდეგ დარჩენილი ფიჭები უნდა გავანადგუროთ.

სკები და ჩარჩოები კი უნდა გამოვწვათ სარჩილავი ლამპის აღზე, ხოლო გამოწურული თაფლი შევინახოთ ჰერმეტიულად

დახურულ ჭურჭელში, ასეთი თაფლის რეალიზაცია გვიან შემოდგომით ან ზამთარში შეიძლება.

დაავადებული ოჯახის მკურნალობა სასურველია დავიწყოთ გაზაფხულზე. სამკურნალოდ ვაძლევთ: 1:1 კონცენტრაციით დამზადებულ 1 ლიტრ შაქრის სიროფში გახსნილ რომელიმეს შემდეგი პრეპარატებიდან: პენიცილინი ან პოლიმიქსინი 900 ათ. ერთეული; ერითრომიცინი, მონომიცინი, ტეტრაციკლინი ან ნეომიცინი 400 ათ. ერთეული; სტრეპტომიცინი, ბიომიცინი 500 ათ. ერთეული; ნორსულფაზოლი - ნატრიუმი და ფურაზოლიდინი ერთი გრამი; სულფამიდი ორი გრამი. ასევე გამოიყენება უახლესი პრეპარატები ვესტა, ბაქტოციდი და სხვ.

თბილი სამკურნალო სიროფი ფუტკარს ეძლევა საღამოს 100-150მლ. გაანგარიშებით ერთ ჩარჩო ფუტკარზე, ყოველი 5-7 დღის ინტერვალით, გამოჯანსაღებამდე.

## მშრალი სიღამაღა

ევროპული სიდამპლე ფუტკრის ოჯახში ვითარდება გაზაფხულის ბოლოს და ზაფხულის დასაწყისში, ევროპული სიდამპლით ავადდება ღია ბარტყი 4-7 დღის ასაკში. მისი გამომწვევი ბაქტერია პლუტონი, სპორას არ იკეთებს და წყალში იღუპება 60 გრადუსით გაცხელების დროს 10 წუთის განმავლობაში; თაფლში 79 გრადუსით გაცხელებით 10 წუთში, მზის სხივები ამ ბაქტერიას 21-30 საათში სპორს.

დაავადების დროს ჭიას ჩვეულებრივი თეთრი ფერი ეცვლება და ყვითელ ფერს დებულობს.

ამერიკული სიდამპლისაგან განსხვავებით, მკვდარი ჭია არანებადია და მათ ფუტკრები ადვილად იღებენ უჯრედიდან. დაღუპულ ჭიას მჟავე სუნი აქვს, გადაბეჭდილ ბარტყიანი უჯრედების სახურავები მუქი ფერისაა და დაჩრდეტილია, თუ ასანთის ღერით ამოვნევთ მკვდარი ბარტყის მასას, ის მოკლე და სქელი ძაფის მსგავსად გაიწელება.

ამერიკული სიდამპლით დაავადებული ბარტყისაგან განსხვავებით, ევროპული სიდამპლით დაავადებული ბარტყი უჯრედის გადაბეჭდვისთანავე კვდება და პარკის ქსოვას ვერ ასწრებს.

იმისათვის, რომ გავარკვიოთ, თუ რომელ დაავადებასთან გვაქვს საქმე, საჭიროა დაავადებული ბარტყის ლაბორატორიაში გამოკვლევა.

ალნისნული დაავადების მკურნალობა იმავე მედიკამენტებითა და ისეთივე ნესით ნარმოებს, როგორც ამერიკული სიდამპლის დროს.

## ვარობატოზი

მეფუტკრეობის ისტორიას ალბათ არ ახსოვს, ფუტკრის ოჯახების ისეთი ვერაგი და გამანადგურებელი დავადება, როგორიც ვარობატოზია. ამიტომ მასთან ბრძოლა დღეისათვის მეფუტკრის უპირველეს ამოცანას და საზრუნვას წარმოადგენს.

ბრტყელი და ოვალური ფორმის ტკიპა მოწითალო-ყავისფერია, დედლის სიგრძე 1,1 მმ-ია, სიგანე კი 1,6 მმ. მამალი შედარებით მომცრო ტანისაა, მაგრამ მათი დანახვა შეუიარაღებელი თვალით შესაძლებელია.

დედალი ტკიპა 4-8 ცალ რძისფერ კვერცხს დებს ბარტყიანი უჯრედის კედელზე, სანამ მას ფუტკრები გადაბეჭდავენ, საიდანაც 2-3 დღის შემდეგ იჩეკებიან ჭიები, რომლებიც ბარტყს მიეკვრიან და მისი სისხლით იკვებებიან. პარაზიტებით დაზიანებული ბარტყი განუვითარებელი და ავადმყოფი იჩეკება ან კვდება; გადაბეჭდილი ფიჭის უჯრედიდან, ბარტყის გამოსვლის შემდეგ ფუტკრების მიერ უჯრედის სახურავის გადახსნის დროს, გამოდიან უკვე განაყოფიერებული დედალი ტკიპები, რომლებიც მახლობლად მყოფ ფუტკრებს მიეკვრიან და უკვე მოზრდილ ფუტკარზე განაგრძობენ პარაზიტულ ცხოვრებას. დაავადებული სკიდან ტკიპები სწრაფად ვრცელდებიან მთელ საფუტკრეში და მეზობელ საფუტკრეებში.

ტკიპები მრავლდებიან მხოლოდ იმ პერიოდში, როდესაც ფუტკრის ოჯახში არის ბარტყი, ეს იწყება ზამთრის ბოლოს და მთავრდება შემოდგომით.

დაავადების ადრეულ სტადიაში გამოვლენის მიზნით, უპირველესად უნდა შევამოწმოთ სამამლე ბარტყები და ჭუპრები, რადგანაც ტკიპა მათ უფრო ინტენსიურად ეტანება; თუ გადაბეჭდილ უჯრედს გადავხსნით და იქიდან პინცეტით ამოვიყვანთ სამამლე ბარტყს, მისი ტანის თეთრ ფონზე და, აგრეთვე, უჯრედის კედლებზე და ძირზე ნათლად ჩანს ახალგაზრდა ტკიპები. ზამთრის პერიოდში, როდესაც ბუდეში ბარტყი არ არის და ამასთან სკის ახდაც არ შეიძლება, დახოცილი ტკიპები შეიძლება აღმოვაჩინოთ სკის ძირიდან გამოხვეტილ ნაგავში;

ვარობატოზთან ბრძოლის დღეისათვის ცნობილი საშუალებები ძალზე შრომატევადია, საჭიროებენ დიდ დროს და მთლიანად ეფექტურნი არ არიან იმის გამო, რომ ტკიპები პარაზიტულ ცხოვრებას ეწევიან ერთდროულად, როგორც მოზრდილ ფუტკარზე, ასევე ბარტყზე. ვერავითარი წამალი ვერ აზიანებს გადაბეჭდილ ბარტყიან უჯრედებში მყოფ ტკიპების ახალ თაობას, მიუხედავად ამისა, ყოველწლიურად - გაზაფხულსა და შემოდგომაზე (როცა სკაში ბარტყი

შედარებით მცირეა და ტკიპები ძირითადად ფუტკრებზე არიან მიკრული) ფუტკრის ოჯახების ვაროატოზის საწინააღმდეგო წამლებით დამუშავება ამცირებს მის რაოდენობას იმ ზომამდე, რომ ისინი უკვე გავლენას ვერ ახდენენ ფუტკრის განვითარებასა და პროდუქტიულობაზე. ვაროატოზით დაავადებულ სკებში გამოიყენება ზომტექნიკური, ფიზიკური, ქიმიური, სამკურნალო და პროფილაქტიკური საშუალებანი, რომლებიც საერთო ჯამში გვაძლევენ მაღალ სამკურნალო ეფექტს.

ზომტექნიკური ღონისძიებები შემდეგნაირია:

1. სკის ძირზე იდგმება თუნუქის, მუყაოს ან სხვა მკვრივი მასალის ფუტცელი, რომელზეც თხელ ფენად წასმულია ვაზელინი. მას ზევიდან 3 სმ-ის დაშორებით დაედგმება ჩარჩოზე დაკრული ბადურა 2-3მმ-ის ზომის უჯრედებით. ფუტკრების ტანიდან ჩამოცვენილი ტკიპები ვაზელინიან ფენას ეკვრიან და იხოცებიან.

2. სკებში სპეციალურად უნდა ჩავაწყოთ სამამლე უჯრედებიანი ფიჭები ტკიპების მისატყუუბლად, როცა სამამლე ბარტყებს ფუტკრები გადაბეჭდავენ, ჩარჩო სკიდან უნდა ამოვილოთ და დავამუშავოთ.

3. დაავადებული სკიდან ფუტკარი გადაგვყვს სხვა სკაში, სადაც ჩადგმულია რამდენიმე ცალი ცარიელი ფიჭა; ფუტკარს რომელიმე ცნობილი მეთოდით ვამუშავებთ და ვაძლევთ ფიჭებს ჭეოთი და თაფლით. დაავადებული სკის ბარტყიან ფიჭებს ვუდგამთ სკა-ინკუბატორებს, ბარტყების გამოსაზრდელად, შემდეგ კი მათ იგვენესით დავამუშავებთ.

ფიზიკური მეთოდის გამოყენების დროს ფუტკრებს 12-15 წუთით ათავსებენ სპეციალურ თერმულ კამერაში, სადაც ტემპერატურა 46-48 გრადუსს აღწევს. სითბოს ზეგავლენით ტკიპები ფუტკრებს ტანიდან წყდებიან, ძირს ცვივიან და იხოცებიან.

ქიმიური საშუალებებით მკურნალობისას გამოიყენება შემდეგი პრეპარატები: ჭიანჭველმჟავა, თიმოლი, ფოლბექსი, ფენოთიაზინი, ვაროაბრაულინი, ვარუატინი, მჟაუნმჟავა, ბიპინიდა სხვა.

მჟაუნმჟავას სსნარი შემდეგნაირად მზადდება: 20გრ. მჟავას, რომელიც თეთრიფერის კრისტალურფენილს წარმოადგენს, ვხსნით ერთლიტრნებულში.

დასამუშავებელი სკიდან მორიგეობით ვიღებთ ჩარჩოებს და ფიჭებზე მყოფ ფუტკრებს ვასხურებთ მჟაუნმჟავას სსნარს აეროზოლური გამფრქვევის საშუალებით, ერთი ოჯახის დასამუშავებლად საკმარისია 150გრ. სსნარი.

ფუტკრის ოჯახების მკურნალობას ვაწარმოებთ აქტიური სეზონის პერიოდში 4-6-ჯერ, დამუშავებას ვიწყებთ გაზაფხულზე ფუტკრის პირველი გამოფრენისას, პროცედურის გამეორება

შეიძლება 12 დღის ინტერვალით. შემდეგი მუზურნალობა ტარდება მთავარი ღალიანობის დამთავრებისა და თაფლის გამოწურვის შემდეგ ორჯერადად, ხოლო თუ სკას ეტყობა დაავადების ნიშნები, მაშინ დამუშავება უნდა გავაგრძელოთ შემოდგომით.

მუზურნმუშავას ხსნარი მავნებელია ადამიანის ორგანიზმისათვის, ამიტომ მისი გამოყენების დროს უნდა ვიხმაროთ შემდეგი დამცველი საშუალებები: ხელთათმანები; სათვალე, რეზინის ნინსაფარი, რესპირატორი.

ვაროას ტკიპების ნინაალმდეგ ეფექტურად ითვლება პრეპარატი ბიპინი, მისი გამოყენება შეიძლება გვიან შემოდგომით, დაახლოებით ნოემბრის მეორე ნახევრიდან, როდესაც გარემო ტემპერატურა  $+5$ -დან  $9$  გრადუს ტემპერატურის ზღვრებშია, ფუტკრის ოჯახს გუნდი აქვს შეკრული და პრაქტიკულად ბუდეში ბარტყი აღარ არის. სწორედ ამასთანაა დაკავშირებული ბიპინის მაღალი ეფექტურობა, რომელიც 99 პროცენტს აღწევს.

პრეპარატის განზავებისათვის უნდა გამოვიყენოთ გადადუღებული წყალი, რომელიც უნდა ჩავასხათ სუფთა ჭურჭელში, შემდეგ თავი უნდა წავატეხოთ ბიპინის ამპულას და გულმოდგინე მორევით გავხსნათ წყალში. პრეპარატის განზავებისა და გამოყენების ოდენობის განსასაზღვრავად უნდა ვიხელმძღვანელოთ შემდეგი ცხრილით:

ბიპინი მლ.	წყალი - ლიტრი	ფუტკრის ოჯახი
10	20	200
5	10	100
2	4	40
1	2	20
0,5	1	10
0,2	0,5	5

ასეთნაირად განზავებული სამკურნალო ხსნარი, სკიდან ჩარჩოების ამოუღებლად შეფრქვევა ჩარჩოებს შორის ფუტკრის გუნდს, შპრიცის ან სხვა მოწყობილობების გამოყენებით, რომელიც სამკურნალო სითხის ხარჯვის განსაზღვრის საშუალებას მოგვცემს. უფრო მოსახერხებელი დიდი მოცულობის, დაახლოებით 100მლ.გრ., შპრიცის გამოყენება, რომ სამკურნალო წამლით ერთი ოჯახის შეფრქვევის დროს მისი რამდენჯერმე შევსება არ დაგვჭირდეს. თითო

ჩარჩო ფუტკარზე ბიპინის განზავებული ხსნარის ხარჯი 10მლ. უნდა შეადგენდეს. საფუტკრეში მუშაობისას სამკურნალო ემულსია პერიოდულად უნდა ვანჯღლიოთ წყალში, უკეთ განზავების მიზნით. გახსნილი და განზავებული სამკურნალო წამალი უნდა გამოყიყენოთ დღის განმავლობაში, მეორე დღისათვის იგი არ ინახება. შენამვლა წარმოებს ორჯერადად 7 დღის ინტერვალით.

პრეპარატ ბიპინის გამოყენებისას უნდა დავიცვათ სანიტარული და უსაფრთხოების ნებები.

დღეისათვის გამოსულია უახლესი და ძალზე ეფექტური პრეპარატები, ესენია: ვაროკომი, ტაქტიკი, ასკოვარი და სხვა. ასევე მეფუტკრეების მონონება დაიმსახურა ფირფიტიანმა პრეპარატებმა, რომლებიც სკაში ჩაკიდვით გამოიყენებიან, ესენია: ფუმისანი, აპიფიტი, აპისტანი და სხვა.

## ვაროტოზონან ბრძოლას მეტი ყურადღება

მ/წელს ფირმა “ჩემი მამულის” კონსულტანტ ბატონ როლანდ ზირაქაშვილს საკონსულტაციოდ მოყვარული მეფუტკრე ეწვია და თან დახოცილი ფუტკრებით სავსე პარკი მოიტანა.

როგორც საუბარში გაირკვა, ფუტკრის რამდენიმე ოჯახში ვაროატოზის საწინააღმდეგოდ ჩადგმული იქნა პრეპარატ აპიფიტის ფირფიტები. აღნიშნული სამუშაოს ჩატარებიდან რამდენიმე დღის შემდეგ, ერთ-ერთ ოჯახში შემჩნეულ იქნა ფუტკრის მნიშვნელოვანი ნაწილის დახოცვა. მაშინ, როდესაც სხვა ოჯახებში მდგომარეობა შედარებით ნორმალური იყო.

რასაკირველია მეფუტკრეს რეკომენდაცია მიეცა, დახოცილი ფუტკრის ნიმუშები წარედგინა ოქროყანის მეფუტკრეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ფუტკრის დაავადების განყოფილებაში, რადგან ვიზუალური შემოწმებით დახოცილ ფუტკრებს გამოკვეთილად რაიმე დაავადების ნიშნები არ აღმოაჩინდათ.

ისმის კითხვა: თუ ეს ყველაფერი პრეპარატის ბრალი იყო, ლოგიკურია, რომ მაშინ ფუტკარი ყველა სკაში მთლიანად უნდა დახოცილიყო, თუ არა და, მაშინ რატომ დაემთხვა პრეპარატით შენამვლას ერთ სკაში დიდი რაოდენობით ფუტკრის დახოცვა?

უნდა მოგახსენოთ, რომ გასულ წელს ძალზე ხშირად მოდიოდნენ ჩვენთან მეფუტკრეები ჩივილით, რომ ფუტკრის ოჯახები, განსაკუთრებით ძლიერი ოჯახები, მასობრივად ტოვებენ სკებს და უკვალოდ იყარგებიან.

ასეთი შემთხვევები განსაკუთრებით ხშირია ისეთ

საფუტკრეებში, სადაც ფუტკარი ვაროას ტკიპაზე ერთხელ ორჯერ ანდა საერთოდ არ იყო ნამკურნალევი.

ცნობილია, რომ ფუტკარი მხოლოდ მაშინ ტოვებს ბუდეს, როდესაც მას რაღაცა აწუხებს. ეს შეიძლება იყოს ჭიანჭველების ან კრაზიანების შემოსევა; მაგრამ ცნობილია, რომ ძლიერ ოჯახებს ამ მავნებლებისა არ ეშინიათ, ამიტომ რჩება მე-3 შემთხვევა, რადგანაც სწორედ ძლიერ ოჯახებში, სადაც ბარტყის დიდი რაოდენობაა, იქ ტკიპაც სწრაფად მრავლდება.

დავუბრუნდეთ ისეთ პირველ შემთხვევას - შენამვლის შემდეგ ფუტკრის ნაწილობრივ დახოცვას. ამ შემთხვევასთან დაკავშირებით მინდა გავიხსენო მოყვარული მეფუტკრეების დიდი მასწავლებლისა და პიროვნების ცხონებული შიო თოფურიძის სიტყვები: “როცა ფუტკარი ტკიპისაგან ძალზე დაკაბილია, დასუსტებულია და ტანზე ღია იარები აქვს, შენამვლის შემდეგ გამორიცხული არ არის დაზიანებული ფუტკრის გარევეული ნაწილის დახოცვა”.

როგორც ვხედვათ, ყველა შემთხვევაში ისევ ვაროას ტკიპთან მივდივართ. რა მდგომარეობაა ამ მხრივ პროფესიონალი მეფუტკრეების საფუტკრეებში? თვალსაჩინოებისათვის მე მხოლოდ ორ მათგანს გაგაცნობთ.

თემურ ღოლობერიძის ინფორმაციით მის საფუტკრეში ვაროას ტკიპა პრაქტიკულად არ არსებობს - იგი წამლობას ატარებს ნელინადში 6-ჯერ. ასეთივე სურათია ამ დარგის სპეციალისტის ფუტკრის დაავადებათა განცყოფილების გამგის ქალბატონ ვენერა სტეფანიშვილის საფუტკრეშიც - 5-6 წამლობა.

და ბოლოს ჩვენი პრაქტიკული გამოცდილებიდან გამომდინარე და იმ ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე, რომელიც საქართველოს სხვა და სხვა საფუტკრეებიდან მოგვენოდება, მიგვაჩნია, ვაროას ტკიპის საწინააღმდეგო მუურნალობა უნდა ჩავატაროთ მინიმუმ 4-ჯერ მაინც და თანაც მაქსიმალური ჯერადობით.

ამასთან არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავუშვათ ფუტკრის ოჯახების ნებისმიერი დაავადების მკურნალობა მთავარი ღალიანობის პეროდში და ის უნდა გავაგრძელოთ მხოლოდ ბოლო გამოწურვის შემდეგ - უახლოეს დღეებში.

ფუტკრის ოჯახების სოკოვან დაავადებათაგან განსაკუთრებით სახიფათოა: ასკოსფეროზი (ჩაკირული ბარტყი), ასპერგილოზი (გაქვავებული ბარტყი) და მელანოზი.

ასკლისფეროზი წარმოადგენს მუშა და მამალი ფუტკრის ჭიებისა და ჭუპრების დაავადებას, მაგრამ ის ზოგჯერ სადედებშიც აზიანებს ჭიებს. დაავადების წარმომქმნელი სოკო ბუდობს დაავადებულ და დაღუპულ ბარტყები, როდესაც ფუტკრები მათგან ასუფთავებენ ფიჭის უჯრედებს, ისინი უნებლივიდ იჭუჭყიანებენ სხეულს სოკოს სპორტით და დაავადება გადააქვთ არა მარტო ბუდის შიგნით, არამდე სხვა ოჯახებშიც; მეზობელ საფუტკრებში კი, იგი ქურდი ან მოხეტიალე ფუტკრების ოჯახების შეღწევის შედეგად ვრცელდება.

ჯანმრთელი ოჯახები შეიძლება დაავადებნენ მათ სკებში სხვა, არაკეთილსამედო ოჯახებიდან, ბარტყიანი და სხვა ფიჭიანი ჩარჩოების ჩადგმის შედეგად, ასევე სახითათოა მათთვის ამ ოჯახების თაფლი, ყვავილის მტვერი და ჭეო.

სოკოს სპორტი შეიძლება გავრცელდეს თვითონ მეფუტკრის მიერ, როდესაც ის არ იცავს სანიტარულ-ჰიგიენურ წესებს, იყენებს არადეზინფიცირებულ ინვენტარს და სკებს.

დაავადების გავრცელების მიზეზი ასევე შეიძლება გახდეს ფუტკრების სხვა ინფექციურ დაავადებათა წინააღმდეგ მიმართული ანტიბიოტიკების უკონტროლობ გამოყენება. ასეთ შემთხვევაში ითრგუნება ოჯახების ნორმალური მიკროფლორა და ამით სასურველი პირობები იქმნება დაავადებების წარმომქმნელი სოკოების ცხოველმყოფელობისათვის.

ასკლისფეროზით დაავადების სიმპტომები შეიძლება შევამჩნიოთ მეფუტკრეობის მთელი აქტიური სეზონის მანძილზე. მისი პირველი ნიშნებია - ფუტკრის ოჯახების სკების წინ მოთეთრო-მოშავო, ჭრელი ფუტკრის გამაგრებული ბარტყების გამოყრა. ასეთ ოჯახებში, ბუდის საკონტროლო შემოწმებისას, ბარტყიან ფიჭებზე ალაგ-ალაგ შეინიშნება უჯრედებში მიმმარი ბარტყი. დაავადება აზიანებს ფუტკრის ოჯახებს ჰაერის ტემპერატურის მკვეთრი ცვალებადობის, მაღალი ტენიანობის და ცილოვანი საკვების უკმარისობის დროს. ამ დაავადების მიმართ განსაკუთრებით მგრძნობიარენი არიან 3-4 დღიანი ჭიები. დაავადების დასაწყისში ისინი მუქდებიან, ინელებიან უჯრედის კედლის გასწვრივ და შეხებაზე არ რეაგირებენ, შემდგომში მკვრივდებიან და რუხი ფერისანი ხდებიან. უჯრედი გადაუბეჭდავი რჩება, ჭიის ტანზე წარმოიქმნებიან ობის უჯრედების ცალკეული თეთრი ფერის ძაფები, რომლებიც დროთა განმავლობაში მთლიანად ფარავენ მის ტანს. დაავადების ბოლო სტადიაში ჭიები ჩაიკირება და გადაიქცევა თეთრი და რუხი ფერის, ცარცისმაგვარ მოგრძო კენჭებად,

რომელთაც ფიჭის უჯრედის მოცულობის 2/3 აქვთ დაკავებული. ხშირად ისინი ძირს ცვივიან, ხოლო უჯრედებში დარჩენილები, ჩარჩოს დაქნევისას ჩხრიალის ხმას გამოსცემენ.

ხშირად ხდება, რომ ფუტკრის ოჯახები ერთდროულად დაავადებული არინ როგორც ასკოსფეროზით, ასევე ვაროატოზითაც. ამიტომ საჭიროა ვიცოდეთ, რომ ვაროატოზის საწინააღმდებოდ დამუშავების პროცედურები (მუზანმუშავას წყალხსნარის ნაგვიანევი გამოყენება) იწვევს ასკორფეროზის უფრო სწრაფ გარცელებას, რადგანაც ამ პერიოდში ფუტკრებს აღარ ძალუდო შეამცირონ ბუდის მაღალი ტენიანობა.

საფუტკრის პირობებში ასკოსფეროზის წარმომშობი სპორები სიცოცხლისუნარიანია 4 წლის განმავლობაში, მაგრამ ზოგჯერ უფრო ხანგრძლივადაც, დაახლოებით - 15 წლამდე; - 27 გრადუს ტემპერატურაზე სოკო ძლებს ერთი წლის განმავლობაში, მისის სპორები ასევე მდგრადია ქიმიური ნივთიერების ზემოქმედების დროსაც; ასე მაგალითაც: 1%-იანი ფორმალდეპიდი ხოცავს მათ 20 წუთის განმავლობაში; 1%-იანი წყალბადის პეროქსიდი (ზეუანგი) - 30, ხოლო 3%-იანი ქლორიანი კირის ხსნარი - 10 წუთის შემდეგ.

ასკოსფეროზის სამკურნალოდ გამოიყენება პრეპარატი ნისტატინი, რომლითაც მკურნალობა საჭიროა, რაც შეიძლება ადრიანად, აქტიური სეზონის დაწყებამდე, რათა დაავადებას ფართოდ გავრცელების საშუალება არ მივცეთ.

ამდენად, სასურველია აღნიშნული პრეპარატი ფუტკრის ოჯახს ზამთარში დაახლოებით იანვრის მეორე ნახევრიდან მივაწოდოთ ე.ი. იმ პერიოდში, როდესაც ვიწყებთ ფუტკრის ოჯახების კანდით კვებას. ნისტატინის აბები წიანსწარ უნდა დავნაყოთ და შემდეგ შევურიოთ კანდის მოსაზელად გამზადებულ ცომში. მოზელვის პროცესში, სამკურნალო ფხვნილი თანაბრად განაწილდება კანდის მთელ მასაში, ნისტატინი უნდა შევურიოთ ისე, რომ 1 კგ. ცომზე მოდიოდეს სამკურნალო წამლის 1 მლნ. მოქმედი ერთეული. თითოეულ ოჯახს სამკურნალო ცომის ლავაში ეძლევა ყოველ ჩარჩო ფუტკარზე 50-70 გრამის ოდენობით. აღნიშნული ცომის ათვისების შემდგ პროცედურა მეორდება.

ადრეულ გაზაფხულზე, როდესაც ფუტკარი ზამთრის “ძილიდან” აქტიურ მდგომარეობაში გადავა და სეიდან გამოფრენას დაიწყებს, მას უკვე შეიძლება მივცეთ შაქრის წყალხსნარი ნისტატინის ნაზავით, 1:1-ზე კონცენტრაციის; ერთ ლიტრზე ნისტატინის 500 ათასი მოქმედი ერთეულით. სამკურნალო ხსნარს თითოეულ ჩარჩო ფუტკარზე ვაძლევთ 100-150მლ. ოდენობით.

როდესაც თბილი ამინდები დადგება და ბუნებაში ღალიანობა დაიწყება, მეფუტკრეს შეუძლია ასკოსფეროზის საწინააღმდეგოდ კიდევ ერთი საშუალება გამოიყენოს, რომელიც, მართალია, ძალზე შრომატევადია, მაგრამ ამასთან ეფექტურია, დაავადებული ოჯახები უნდა გადაიყვანონ დეზინჯიცირებულ სკებში.

აღნიშნული პროცედურა შემდეგნაირად ტარდება: დღის ბოლოს დაავადებული ოჯახის სკის ადგილას დავდგამოთ დეზინფიცირებულ სკას ფიქტიანი ჩარჩოებით, საფრენზე ცერად დაყრდნობილ ქაღალდ-გადაფარებულ ფანერაზე დავბერტყყავთ დაავადებული სკიდან ამოღებულ ჩარჩოებზე დამსხდარ ფუტკარს, რომელსაც საბოლებლის გამოყენებით შევიყვანთ სკაში. შემდეგ ფანერაზე დაფარებულ ქაღალდს დავწვავთ, ხოლო ბარტყყიან ფიქტებს მოვათავსებთ ფუტკრის ოჯახ-ინკუბატორში, დანარჩენი ფიქტები გადამუშავდება. ოჯახს ვაძლევთ ახალგაზრდა, განაყოფიერებულ დედას და ყველა პირობას ვუქმინით მომძლავრებისათვის.

ზაფხულის პერიოდში, დაავადებულ ოჯახებს, აეროზოლური გამფრქვევის მეშვეობით ვასტურებთს სუსტი კონცენტრაციის - 20%-იან შაქრის წყალსნარში გახსნილ ნისტატინს, რომელიც შემდეგნაირად მზადდება: ერთ წილ შაქარსა და ხუთ წილ წყალზე მომზადებულ სნარში იხსნება ნისტატინის იმდენი რაოდენობა, რომ ყოველ ლიტრ ხსნარზე მოღიოდეს 500 ათასი ერთეული პრეპარატი. შაქრის წყალსნარის ხარჯი ერთ ჩარჩო ფუტკარზე 15-20მლ. უნდა შეადგენდეს, ფუტკარის დამუშავება წარმოებს სამჯერადად 3-4 დღის ინტერვალით, დაავადების რეციდივის შემთხვევაში მკურნალობა მეორდება.

ასკოსფეროზის სანინალმდეგოდ გარკვეული მნიშვნელობა ერიშტება პროფილაქტიკურ ღონისძიებებსაც.

სასურველია საფუტკრე მოვანყოთ მზით კარგად განათებულ და მშრალ ადგილზე. სკები უნდა შეიძგას არანაკლებ 30სმ. სიმაღლის სადგამებზე, ყოველწლიურად, სანახევროდ მაინც, უნდა შეიცვალოს დედები, ამასთან არ უნდა დავუშვათ საფუტკრეში უდედო და სუსტი ოჯახების შენახვა; ძველი, დაობებული და დახოცილ ბარტყიანი ფიჭები უნდა გადავამუშაოთ. არ შეიძლება ფუტკრის ოჯახების ხელოვნური კვებისას საერთო საკვებურების გამოყენება, ჯანმრთელ ოჯახებს არ შეიძლება მივცეთ არაკათილსამედო ოჯახებიდან მიღებული თაფლი და ჭერა.

ნიტროფუნგინი გამოიყენება ფუტკრიან და ბარტყიან ფიჭებზე დასხურებით. სამუშაო ხსნარი მზადდება ხმარების ნინ, ერთ წილ შაქარსა და ხუთ წილ წყალზე მომზადებულ 1 ლიტრ ხსნარში ხსნიან 80-100მ. რაოდენობით. ერთ ჩარჩოს ესხურება პრეპარატიანი ხსნარი 10-

15მლ. ერთი ლიტრი ხსნარი ყოფნის 10 ოჯახს. თაფლის გამოწურვა დასაშვებია პრეპარატის გამოყენებიდან 10-12 დღის შემდეგ.

ასკოცინი გამოიყენება საკვებთან ერთად და შესხურებით; 5 ლიტრ 1:1-ზე მომზადებლ შაქრის სიროფში უნდა გაიხსნას 1,2მლ. ასკოცინი. ერთ ჩარჩო ფუტკარს საკვებად ეძლევა 60-70მლ. პრეპარატიანი სიროფი, ხოლო შესხურებისას შესხურებისას ერთ ჩარჩო ფუტკარს უნდა შეესხუროს 10-15მლ. რაოდენობით. ასკოცინით მკურნალობა ტარდება 2-3-ჯერ 3-5 დღის შუალედით.

დღეისათვის ასკოსფეროზის სამკურნალოდ გამოიყენება ისეთი უახლესი და ძალზე ეფექტური პრეპარატები, როგორიცაა: ასკოვარი, ასკო, თიმოლი, უნისანი და სხვ.

ცალკე აღნიშვნის ღირსია პრეპარატი თიმოლი, რომელიც თითქმის ყველა დაავადებაზე გამოიყენება და, ასე ჩათვალეთ, ცვილის ჩრჩილის საწინააღმდეგოდაც კი, ხოლო რაც შეეხება პრეპარატ უნისანს, ასკორფეროზის და ასპერგილეზის გარდა გამოიყენება როგორც სამკურნალო-პროფილაქტიკური საშუალება სიდამპლეების საწინააღმდეგოდაც.

დაავადების წარმომქმნელი სოკოს სპორები ძალზე მდგრადია ბუნებაში; ამიტომაც დეზინფექცია ითვლება ერთ-ერთ ძირითად მეთოდად მის წინააღმდეგ საბრძოლველად. დაავადებული ოჯახების სკეპი, ჩარჩოები და სხვა ხის საგნები უნდა გასუფთავდეს ცვილის, დინდგელისა და ჭუჭყისაგან, ხოლო შემდეგ გაუკეთდეს დეზინფექცია ქვემოთ ჩამოთვლილ ერთ-ერთი მეთოდის გამოყენებით:

- 10%-იანი წყალბადის ჰეროქსიდისა და 0,5%-იანი ჭიანჭველამჟავას ხსნარით 4 საათის განმავლობაში.

- 15%-იანი ფორმალდეპიდისა და 5%-იანი კაუსტიკური სოდის ხსნარით 6 საათის განმავლობაში.

- 10%-იანი ქლორინი იოდის ხსნარით 5 საათის განმავლობაში.

- ლითონის საგნების, გასუფთავების შემდეგ, მუშავდება ორჯერადად ერთი საათის ინტერვალით ფორმალდეპიდის ტუტე ხსნარით, რომელიც შეიცავს 10%-იანი ფორმალდეპიდსა და 5%-იან კაუსტიკურ სოდას. აღნიშნული ხსნარით დეზინფექციის ჯამური დრო 6 საათის ტოლი უნდა იყოს.

დეზინფექციის შემდეგ ინვენტარს აუცილებლად სჭირდება გამდინარე წყალში გავლება და გაშრობა. სკის საფარებელი ტილო და ბალიში, უნდა ვხარშოთ 30 წუთის განმავლობაში, კალცინირებული სოდის ხსნარში, შემდეგ გავავლოთ გამდინარე წყალში და გავაშროთ.

## პბპაპილოზი

დაავადების გამომწვევი ტკიპა ცოცხლობს და მრავლდება ფუტკრის გულმკერდის პირველ წყვილ ტრაქეაში.

დედალი ტკიპის სიგრძე 0,16-0,19მმ. მამალის ტკიპის - 0,12-0,15 მმ-ია. ტკიპების შეუღლება ტრაქეაში ხდება. განაყოფიერებული დედალი ტკიპა ტრაქეაში შეჭრიდან 3-4- დღის შემდეგ იწყებს შთამომავლობის მოცემას - ისინი მრავლდებიან კვერცხების საშუალებით, რომელთა ზომა  $0,12 \times 0,06$  მმ-ს აღწევს. დედალი ტკიპა მთელი სიცოცხლის განმავლობაში დებს 7-10 კვერცხს. მეოთხე-მესუთე დღეს გამოიჩეკება ტკიპაზე დიდი -  $0,12 \times 0,22$ მმ. ზომის ექვსფეხა მატლი, რომელიც ისევე იკვებება, როგორც მოზრდილი ტკიპა.

ტკიპის განვითარების ბიოლოგიური ციკლი კვერცხიდან ზრდასრულ ფორმამადე მოიცავს 11-დან 16 დღემდე.

ტკიპები მთელ სიცოცხლეს ფუტკრის სასუნთქ სისტემაში ატარებენ და იკვებებიან ფუტკრის ჰემოლიმფით - სისხლით. ძლიერ ასუსტებენ ფუტკრის ორგანიზმს და ამცირებენ მის სიცოცხლის ხანგრძლივობას, რადგანაც გამოჰყოფენ მომწამვლელ ნივთიერებებს.

ფუტკრის ოჯახის შიგნით აკარაპიდოზი ვრცელდება ფუტკართა შორის მჭიდრო კონტაქტის დროს, როცა ფუტკარს გუნდი აქვს შეერული; აგრეთვე ადრე გაზაფხულზე ხშირი ნვიმების და სიცივეების დროს. ამ პერიოდში ტკიპა ერთი ფუტკრიდან მეორეზე გადაცოცდება ხოლმე.

დაავადების გავრცელებას ხელს უწყობს მოხეტიალე მამალების სკაში შეღწევა, ერთი ოჯახიდან მეორეში გაძლიერების მიზნით ფუტკრის გადასხმა, ფუტკრის ქურდობის დროს შესული ფუტკრები და სხვ.

პირველ ნლებში ოჯახში მცირე რაოდენობის ფუტკარი ავადდება და მათი დანაკლისი იჯახს არ ეტყყობა, შემდეგ ნლებში კი დაავადებული ფუტკრის რაოდენობა მატულობს და ხშირად დაგვიანებული მკურნალობა შედეგს აღარ იძლევა. ამიტომ მეფუტკრემა კარაპიდოზზე ეჭვის მიტანისთანავე ფუტკრის ნიმუშები უნდა გააგზავნოს ვეტლაბორატორიაში შესამოწმებლად.

აკარაპიდოზის ძირითად კლინიკურ ნიშნად ითვლება ფუტკრის ფრენის უნარის დაქვეითება, ამ დროს მათი ფრთები გაფარჩეულია, ერთი მიმართულია ქვევით და უკან, მეორე კი წინა და მაღლა. გაზაფხულზე კუჭის გასანმენდად გამოსული ფუტკარი მოწყვეტით ეცემა ძირს, დაცოცავს მიწაზე, აფრენას ვერ ახერხებს და სკის გარეთ იღუპება.

დიაგნოზი ისმება მხოლოდ მიკროსკორული გამოკვლევით.

ლაბორატორიაში თითოეული ფუტკერის ოჯახიდან იგზავნება 50 ცალამდე ცოცხალი ან მომაკვდავი ფუტკერები ასანთის ან რაიმე სხვა კოლოფით, იმ მიზნით, რომ ფუტკერები გზაში არ დაიჭყლიტოს, რაც დიაგნოსტიკას აძნელებს.

მკურნალობა. აკარაპიდოზის სამკურნალოდ გამოიყენება: ფოლბექსი, ეთერსულფონატი და თედიონი.

ფოლბექსს იყენებენ გაზაფხულ-ზაფხულის პერიოდში რვაჯერადად 7 დღის ინტერვალით.. იგი ნარმოადგენს მუყაოს ფირფიტას, რომელიც გაუდენთილია 15%-იან ბენზოლში გახსნილი ქლორბენზილატით. მკურნალობის დროს სკის საფრენები იყეტება 30 წუთით. პრეპარატი ხოცავს მავნებელს 10-40 წუთის განმავლობაში.

შემოდგომით ფოლბექსი არ გამოიყენება, რადგან გი ხოცავს დედა ფუტკერებს.

ფოლბექსის შემდეგ გამოვიდა პრეპარატი ფოლბექსი BA-ს ფირფიტები, რომლებიც გაუდენთილია ბრომპროპილატით, მისი გამოყენება შეიძლება გაზაფხულ-ზაფხულის და შემოდგომის პერიოდშიც. ეს პრეპარატი დედა ფუტკერს არ ვნებს. ფოლბექს BA გამოიყენება 6 ჯერადად 7 დღის ინტერვალით. სკის საფრენები იყეტება ერთი საათით.

ეთერსულფანატის თერმიული ტაბლეტები გამოიყენება თითო ცალი 8 ჯერ 6-7 დღის ინტერვალით. ამისათვის გამოიყენება თუნუქის ფირფიტა, რომლის ერთ ბოლოში გაკეთებულია პატარა ნახვრეტი ცეცხლის მოსაკიდებლად, ფირფიტა მბოლავი ტაბლეტით შეაქვთ სკის საფრენი ხვრელიდან და საფრენებს კეტავენ 2 საათით. პრეპარატი გამოიყენება გაზაფხულზე და შემოდგომაზე.

თედიონი - გამოიყენება გაზაფხულზე და ზაფხულში, როგორც ფხვნილის, ისე მბოლავი ფირფიტების და თერმიული ტაბლეტების სახით.

1 გრამ პრეპარატს წვავენ და დღეგამოშვებით 10 ჯერადად იყენებენ. საფრენებს კეტავენ 5 საათის განმავლობაში.

სამკურნალო პრეპარატების გამოყენებისას საჭიროა სკების პერმეტიულობის დაცვა.

მთავარი ლალიანობის პერიოდში აღნიშნული პრეპარატებით მკურნალობა არ ტარდება, რადგანაც თაფლი ინოვს პრეპარატების სპეციფიკურ სუნს. მკურნალობა ტარდება საღამოობით, როდესაც ყველა ფუტკერი სკაშია და გარემოს ტემპერატურა არანაკლებ 17 გრადუსია.

დაავადების სრული ლიკვიდაციისათვის საჭიროა მკურნალობის 2-3 წელი.

ბოლო პერიოდში გამოვიდა რიგი ახალი პრეპარატების, რომელთაგან უპირატესობა ენიჭება პრეპარატ „პოლისანს“.

## ცოდნებასთავი

ადრე გაზაფხულზე იჩენს ხოლმე თავს ამ დაავადების ნიშნები. ნოზემატოზით დაავადებული ფუტკრის ოჯახის დათვალიერებისას აშკარად ჩანს ფუტკრების ფერალური მასით დაბინძურებული ფიჭები, სკის შიგნითა და გარე კედლები, საფრენი ფიცარი, სახურავი და ა.შ.

ფუტკარს მუცელი გაბერილი აქვს, მისი შუა ნაწლავი მოთეთრო ფერისაა, სეგმენტაციის გარშე. ფუტკრის ოჯახის საგაზაფხულო გამოფრენა სუსტად მიმდინარეობს. ფუტკარი ძირს ცვივა და სკის გარშემო ცოცავს, მას ფრენის უნარი დაკარგული აქვს.

ნოზემატოზით დაავადებული ფუტკრის ოჯახი თანდათანობით სუსტდება, რადგანაც დაავადებული ფუტკრის სიცოცხლის ხანგრძლივობა მცირდება. ადრე გაზაფხულზე და ზაფხულის დასაწყისში ფუტკარი იხოცება მინდორში, ზამთარში კი სკაში.

ნოზემატოზი ვერაგი დავადებაა და თუ ის საფუტკრეში ძლიერ არის მოდებული შეიძლება ფუტკრის ოჯახების გარკვეული ნაწილი მთლიანად დაიხოცოს. ნოზემატოზი გადამდები დაავადებაა, ამიტომ საჭიროა დროულად სათანადო ზომების მიღება, ზუსტი დიაგნოზის დასასმელად საჭიროა დაავადებული ოჯახიდან შევაგროვოთ დახოცილი ან დაავადებული ფუტკრები 50-60 ცალამდე მოვათავსოთ ასანთის კოლოფში და შესამოწმებლად გავაგზავნოთ ვეტლაბორატორიაში.

ნოზემატოზთან პრძოლა ადვილი არ არის, ამიტომ მის სალიკვიდაციოდ უნდა გამოვიყენოთ ყველა ღონისძიება: პროფილაქტიკური, სანიტარულ-ჰიგიენური, სამკურნალო და ა.შ.

ფუტკართან მუშაობის დაწყებამდე და დამთავრების შემდეგ ხელები უნდა დავიბანოთ, ეს განსაკუთრებით საჭიროა დაავადებული ფუტკრის ოჯახების გასინჯვის დროს; რომლებთანაც მუშაობას ჯანმრთელი ოჯახების ხილვის შემდეგ ვინწყებთ. დაავადების წყარო ხშირად ძველი ფიჭებია, ამიტომ ყოველწლიურად თითოეულ ოჯახში 4-5 ფიჭა მაინც უნდა შევცვალოთ ხელოვნურ ფიჭიანი ჩარჩოთ.

საფუტკრეში უნდა გვყავდეს ძლიერი ოჯახები, ახალგაზრდა ჯანმრთელი დედებით, შემოდგომის დასაწყისში კი შაქრის წყალსხნარით გამაღიზიანებელი კვება უნდა ჩავუტაროთ, რომ დედა ფუტკარმა კვერცხის დება გააგრძელოს და ოჯახს ზამთარში ახალგაზრდა ფუტკარი შეჰვევეს.

ფუტკრის ოჯახები ზამთრისათვის კარგად უნდა დავათბუნოთ ზედა და გვერდითი ბალიშებით, ხოლო სამარაგო საკვებად გადაბეჭდილ

ფიჭიანი კარგი ხარისხის თაფლი დაცუტოვოთ.

ნოზემატოზით ძლიერ დავადებულ ფუტკრის ოჯახებს ერთმანეთს უერთებენ გაძლიერების მიზნით, რადგან ფუტკრის ძლიერი ოჯახი უფრო ენერგიულად ეპრძვის დაავადებას.

ნოზემატოზის გამომწვევია მიკროსკოპული სპორა, რომელიც საკმაოდ მდგრადია და სძლებს: ფუტკრის გამხმარ სხეულში ერთ ნლამდე, თაფლში 250 დღემდე, დინდგელში 2 ნლამდე, წყალში 115 დღემდე, ფიჭაში 3 თვიდან 2 ნლამდე.

სპორა იღუპება: 57-65° გაცხელებისას 10-15 ნუტში, მზის სხივებზე - 15-39 საათში, 80% ძმარმჟავას 16° პირობებში 5-7 დღეში, 10% ქლორიანი სოდაში - 10-12 საათში.

ნოზემატოზის სპორა საკვების მიღების დროს პირის ღრუდან შუა ნაწლავში ხვდება. პარაზიტები აზიანებენ შუა ნაწლავის ლორნოვანი გარსის უჯრედებს, რის შედეგადაც საკვების გადამუშავება და შეწოვა ირლვევა, ფუტკრის ორგანიზმი განიცდის შიმშილს, თუმცა იგი ამ დროს იღებს დიდადალ საკვებს, რომლის უმეტესი ნაწილი მოუნელებელი რჩება და ნაწლავში გროვდება, რაც იწვევს მის გაბერვას და ფალარათს, თუ გარეთ დაბალი ტემპერატარაა, მაშინ ფუტკარი ბუდეში ისუფთავებს კუჭს და დაავადებული ფუტკრის განავლით, რომელშიც მრავლადაა ნოზემას სპორები ბინძურდება სკის კედლები, ფიჭები, თაფლი, ჩარჩოები და ასევე ახლო მყოფი ჯანმრთელი ფუტკრები.

ამასთან ერთად პარაზიტის მიერ გამოყოფილი შხამებით და მოუნელებელი გახრენილი საკვებით ფუტკარი იწამლება და იხოცება.

თუ კარგი ამინდია და დაავადებულმა ფუტკარმა შესძლო გარეთ გამოფრენა, მაშინ ის შუა ნაწლავს სკის გარეთ გაიწმენდს და სპორებით ავსებს საფუტკრის ტერიტორიას.

ნოზემების განვითარების ხელსაყრელი ტემპერატურა ბუდეში 22-34°-ია. 22°-ზე ქვემოთ და 34°-ზე ზევით ნოზემები წყვეტენ თავიანთ გამრავლება-განვითარებას.

დაავადების განვითარებას ხელს უწყობს აგრეთვე ტემპერატურის ხშირი მერყეობა, დაგვიანებული გაზაფხული, ხანგრძლივი წვიმები და ხშირი ცივი ქარები, ტენიანობის მომატება სკაში, სუსტი ოჯახები, მანანა თაფლზე ან შაქრის სიროფზე დაზამთრება, ამუავებული ან დაუმნიფებელი თაფლით კვება, ჯანმრთელ ოჯახში დაავადებული მოხეტიალე ან ქურდი ფუტკრების შელნევა, საფუტკრის წყალსასმელში დაავადებული მევდარი ფუტკრების ჩაცვენა, ნოზემატოზით დაავადებული ფუტკრის ოჯახების ან ამანათნაყრების შეძენა და ჯანმრთელ საფუტკრეში მოთავსება და ა.შ.

ჩამოთვლილის გარდა ნოზემატოზით დაავადება შეიძლება გამოიწვიოს ფუტკრის ოჯახის ხშირმა აღელვებამ, რომელსაც იწვევს ხმაური, ბიძგები, რასაც სკაში შემძვრალი მინდვრის თაგვის “საქმიანობა” იწვევს.

ფუტკრის აღელვების დროს, ფუტკრების შეკრულ გუნდში მაღლა იწვევს ტემპერატურა ან გუნდი იშლება და ყოველივე ეს კი იწვევს საკვების მეტი რაოდენობით ხარჯვას და შესაბამისად ფუტკრის ნაწლავის გადატვირთვას.

ნოზემატოზით დაავადება უმეტესწილად გვხვდება დასავლეთ საქართველოში, ის პროგრესირებს ზამთრის პერიოდში და გაზაფხულზე. ნოემბერსა და ზამთრის დასაწყისში დაავადებულ ოჯახს ნოზემატოზის ნიშნები თითქმის სრულიად არ ეტყობა. მაგრამ შემდეგ დაავადება თანდათან ძლიერდება. ზამთრის ბოლოს დაავადებული ფუტკრის რაოდენობა 20%-მდე აღწევს, ხოლო პრილში 30-60%-მდე და უფრო მეტსაც.

ნოზემატოზით დაავადებულ საფუტკრეში ჩარჩოებს და ხის სხვა იწვენტარს გამოხარშავენ 2%-იანი ნაცარტუტის ან სარეცხის სოდის 2-3%-იან სხნარში. სკების სადეზინფექციოდ ძირითადად იყენებენ სარჩილავ ლამპას. სოდის ხსნარში უნდა გამოიხარშოს სკის საფარი ტილოები, სამუშაო ხალათები, პირბადე და ლითონის იწვენტარი.

კარგ შედეგს იძლევა ძმრის მჟავის ორთქლით ფიჭებით შევსებული პერმეტულად დახურული სკის დეზინფექცია. ამისათვის ჩარჩოების ზევიდან თავსდება 2 სმ-ის სისქის ქეჩის, ბამბის ან სხვა ქსოვილის ფენა, გაუღენთილი 80%-იან ძმარმჟავაში. 12 ცალ ჩარჩილე ძმარმჟავას ხარჯია 200მლ. 3-5 დღის შემდეგ ჩარჩოებს იღებენ სკიდან და 1-2 დღის განმავლობაში გამჭოლ ჰაერზე ანიავებენ.

მკურნალობის დაწყებამდე, დაავადებული ფუტკრის ოჯახი ახალ ან დეზინფიცირებულ სკაში უნდა გადავიყვანოთ საღფიჭიან ჩარჩილებზე და ახალგაზრდა ჯანსაღი დედა მივცეთ. თუ თაფლიანი ფიჭები არა გვაქვს, შაქრის წყალსნარით ვკვებოთ.

აღნიშნული სამუშაოების ჩატარების შემდეგ უკვე შეიძლება ფუტკრის მკურნალობის ჩატარება რისთვისაც გამოიყენება შემდეგი პრეპარატები: ფუმაგილინი, ნოზემატოლი, სულფადიმეზინი, ნოზემატი და სხვა.

ფუმაგილი სამკურნალოდ გამოიყენება გაზაფხულზე, ხოლო პროფილაქტიკისათვის შემოდგომაზე.

სამკურნალო დანიშნულებით ერთ ფლაკონ 20გრ. ფუმაგილინს ვხსნით 15 ლიტრ 1:1-ზე მომზადებულ სიროფში და ერთ

ოჯახს ვაძლევთ ყოველდღიურად 3 კვირის განმავლობაში 0,25 ლიტრის ოდენობით. თუ მკურნალობას ზამთრის ბოლოს ვატარებთ, როცა ფუტკარი შაქრის სიროვს ვერ იღებს, მაშინ კანდში შერევით, შემდეგი პროპორციით 20გრ. ფუმაგილინი 5კგ. კანდში. თითო ჩარჩო ფუტკარზე 100-150გრ. ანგარიშით 3-ჯერადად 10-15 დღის ინტერვალით. ამასთან კანდი გამოყენებამდე უნდა მომზადდეს არა უმეტეს 1-3 კვირისა.

პროფილაქტიკის მიზნით ერთ ფლაკონს ხსნიან 25 ლიტრ შაქრის სიროვში და თითოეულ ოჯახს აძლევენ 1-2 ლიტრის ოედნობით 3-5-ჯერ 7 დღის ინტერვალით.

სულფადიმეზინით (დიაზოლი) მკურნალობისას 1 ლიტრ შაქრის სიროვს უმატებენ 1გრ. პრეპარატს და თითოეულ ოჯახს აძლევენ 0,5 ლიტრის ოდენობით 3-4-ჯერ 4-5 დღის ინტერვალით. სულფადიმეზინს სიროვში შერევამდე ხსნიან 50მლ. ნელთბილ წყალში, რომელშიც წინასწარ არის გახსნილი 3-5 წვეთი ძმარმუავა.

სამკურნალოდ გაზაფხულზე და პროფილაქტიკისათვის შემოდგომაზე იყენებენ პრეპარატ ნოზემატოლს. წინასწარ ჩარჩოებს შორის მანძილს ზრდიან 2 სმ-ით და აეროზოლის ნაკადს ჩაასხურებენ ერთ ჩარჩო ფუტკარზე გაანგარიშებით 1,5 ნამის განმავლობაში 3-ჯერადად 3-4 დღის ინტერვალით, გარემოს ტემპერატურის არანაკლებ 14°-ის დროს.

ბოლო პერიოდში ნოზემატოზის სამკურნალოდ გამოვიდა რამდენიმე ახალი პრეპარატი და მათ შორის მოსკოვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ რეკომენდებული პრეპარატი “ნოზემატი”, რომელიც ნოზემატოზის გარდა, როგორც სამკურნალო-პროფილაქტიკური საშუალება გამოიყენება შერეული ბაქტერიალური დაავადებების წინააღმდეგაც.

აღნიშნული პრეპარატის გამოყენების მეთოდი შემდეგია: ადრე გაზაფხულზე პრეპარატის 5 გრამი შეერევა 10კგ. კანდს და მიეცემა თითოეულ ოჯახს 0,5კგ. ოდენობით. გაზაფხულზე კი, როდესაც ფუტკარი სიროვის აღებას შესძლებს 1:1-ზე დამზადებულ 20ლ. შაქრის სიროვში შეერევა 5 გრამი პრეპარატი, რომელიც თავდაპირველად უნდა გაიხსნას მცირე ოდენობის გადადულებულ და 30-40°C განელებულ წყალში.

ასეთაირად გამზადებული პრეპარატი მიეცემა თითოეულ ოჯახს ერთ ჩარჩო ფუტკარზე 100მლ. ოდენობით 2-ჯერადად 5-6 დღის შემდგომი განმეორებით.

## ზუტკრის მტრები, მანებლები და მათთან პროცესი საშუალებანი

ფუტკარი როდესაც უღრან ტყეში ბუდობდა, მისი ყველაზე საშინელი მტერი დათვი იყო, რომელმაც ფუტკრის ბევრი ოჯახი გაანადგურა: შემდგომში ადამიანმა დათვის რაოდენობა საგრძნობლად შეამცირა, მაგრამ სამაგიეროდ თვითონ დაიწყო გარეულ ფუტკარზე ნადირობა, ფუტკრის დახმცვა და თაფლისა და ცვილის მოპოვება. დროთა განმავლობაში ადამიანმა ფუტკარი მოიშინაურა და დაიწყო მისი მოვლა-პატრონობა, აცლიდა მხოლოდ ნამეტ თაფლს, სამაგიეროდ იცავდა დათვისა და სხვა მხეცების თავადსხმისაგან, მაგრამ ფუტკარს მაინც ბევრი მტერი შემორჩა. აი ისინიც: დათვი, კვირიონი, ფუტკარჭამია, თაგვი, ფუტკრის მგელი, ონავარი, ჭიანჭველა, კუზიანი ბუზი, ცვილის ჩრჩილი და სხვა. განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი, რომლებიც განსაკუთრებით დიდ ზიანს აყენებენ საფუტკრეს.

**პვირიონი -** მეტად ლამაზი ფრინველია, მისი ტანი მომწვანო ფერისაა, მკვერდი ყვითელი აქვს, ზურგი ყავისფერი, ნისკარტი გრძელი, ბუდეს იკეთებს ფერდობებზე, მდინარეებისა და ხევების ნაპირებზე. კვირიონები გუნდ-გუნდად დაფრინავენ და მოღალე ფუტკარს ჰაერში იჭერენ. თითოეულ მათგანს დღეში შეუძლია ათეული მოღალე ფუტკრის დაჭერა, რითაც ძლიერ ასუსტებენ საფუტკრეს. საფუტკრეს ისინი თავს ესხმიან უღალობის დროს ან მოღრუბლელ ამინდში. ასეთ შემთხვევაში გამოიყენება მაგნიტოფონზე ჩანერილი მათი საგანგაშო ჭყიპინის გამაძლიერებლით გადაცემა ან თოვის გასროლით დაფრთხობა.

**თაგვი -** საფუტკრები ჩნდება შემოდგომიდან და სკებში ძრება საფრენიდან, ნაპრალებიდან და გამოღრღნილი ადგილებიდან, ღრღნის ფიჭებს, ჭამს თაფლს და ზოგჯერ ფუტკარსაც შეექცევა. განსაკუთრებით საშიშია სკაში შემძვრალი თაგვი ზამთარში, რადანაც ამ პერიოდში ფუტკრის ოჯახს გუნდი აქვს შეკრული, ფუტკრები ნახევრად მიძინებულ მდგომარეობაში არიან და დანესტრვა არ შეუძლიათ. თაგვები არც საფტუკრის საწყობს ინდობენ, სადაც ანადგურებენ მშრალ ფიჭებს, ამასთან დაღრღნილ ფიჭას თაგვის სუნი ასდის და ფუტკრები მას აღარ ეტანებიან, რისთვისაც საჭირო ხდება მათი გადადნობა. მღრღნელების მოსასპობად გამოიყენება თაგვსაჭერები და მახეები. კარგ შედეგს იძლევა სხვადასხვა მისატყუებლის გამოყენება. თაგვების დასაფრთხობად, აგრეთვე შეგვიძლია გამოვიყენოთ მცენარე -

ძალლის ენა (ფუტკარი) და ლანცეტა მრავალძარღვას ფოთლები. ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში ცნობილი იყო, რომ თაგვები და ვირთხები ვერ იტანენ ამ მცენარის სუნს. სავარაუდოა, რომ მისი ფოთლების შემადგენელი ნივთიერებები შლიან მღრღნელების ცენტრალურ ნერვულ სისტემას და იწვევენ მათ სიკვდილს. ამიტომ სასურველია საფუტკრის სიახლოვეს ამ მცენარის მოშენება, ხოლო საწყობში შენახულ ფიჭიან ჩარჩოებზე მისი ფოთლების დაწყობა.

ფუტკრის მგელი - კრაზანას წააგავს, მაგრამ მასზე მოზრდილია. დედალი ფუტკრის მგელი ძუ მგელივით სწრაფია, მსუნავი და გაუმაძლარი. იგი იკვებება ნექტრით, თავის ბარტებს კი მნერებით კვებავს, უმეტეს შემთხვევაში კი ფუტკრით, რომელსაც თაფლოვანი მცენარეების ყვავილებზე ან ჰაერში ფრენის დროს იჭერს, ხოლო უღალობის პერიოდში საფუტკრესაც ესტუმრება ხოლმე. ის ფუტკარს ნესტრავს გულმკერდის ნერვულ კვანძში და ადამბლავებს, შემდეგ მუცელზე დააწვება, ჩიჩახვიდან ნექტარს წამოანთხევინებს და წუნწის. დადამბლავებული ფუტკარი მიაქვს თავის სოროში (რომელსაც მშრალ მინაში 30სმ. სილრმეზე იკეთებს) და გულალმა აწვენს. როდესაც ბუდის ერთ განცოფილებაში 5-6 ცალ ფუტკარს ასეთნაირად მოათავსებს, რაც ერთი ჭიის გამოსაკვებად საკმარისია, ის ერთ-ერთი ფუტკრის გულ-მკერდზე ერთ ცალ კვერცხს დებს და შემდეგ ბუდის სხვა განყოფილებაში გადაინაცვლებს, სადაც განაგრძობს იგივე საქმიანობას.

ფუტკრის მგელი განსაკუთრებით დაუნდობელად ულეტს და ანადგურებს ფუტკარს უღალობის დროს; ერთი სეზონის მანძილზე ერთ დედალ ფუტკრის მგელს შეუძლია 100-მდე მოღალე ფუტკარი მოსპონს.

ფუტკრის მგლის საწინააღმდეგო ღონისძიებებია: მისი ბუდების დანგევა, სოროებში შხამიანი ნივთიერებების ჩაყრა, მისით დასახლებული მიწის ფართობის გადახვნა და დატბორვა.

ჭიანჭველა - ძირითადად თავს ესხმის სუსტ ოჯახებს, იტაცემს თაფლს, ხანდახან შეიძლება კვერცხები და ბარტყებიც წაიღოს; ჭიანჭველების ძლიერი თადასხმის დროს შენუხებული ფუტკრები იძულებული არიან დატოვონ ბუდე, იმისათვის რომ ჭიანჭველებმა სკაში ვერ შეაღწიონ, საჭიროა სკის სადგომის ფეხები ჩავდგათ თუნუქის ქილებში და შიგ ჩავასხათ ნავთი ან სადგომის ფეხებს წავუსვათ კუპრიანი მაზუთი ან ამ ფეხებთან დავყაროთ კირი.

ფუტკრის ტილი ანუ ბრაულა - იკვებება თაფლით. ის ცხოვრობს მუშა ფუტკრების ზურგზე 1-5 ცალის რაოდენობით, დედა ფუტკრის ტანზე კი 10 ცალამდე პარაზიტი იყრის თავს.

როდესაც ტილს მოშივდება, ის გადარბის ფუტკრის თავზე,

მაგრად ჩაეჭიდება ფუტკარს პირთან ახლოს და თავისუფალი ფესით ფუტკრის ზედა ტუჩის მანამდე უღიტინებს, სანამ ის ენას არ გამოყოფს და ნექტარს არ მიაწვდის. ტილებისაგან შეწუხებული დედა ფუტკარი კვერცხების დებას უკლებს, შემდეგ მთლიანად წყვეტს და კვდება, ხოლო მუშა ფუტკრები შრომის უნარს კარგავენ და ღალაზე აღარ მიდიან. ბრაულა კვერცხებს დებს გადაბეჭდილ და ჩაშაქრებულ თაფლიანი უჯრედების ხუფებზე. კვერცხებიდან გამოსული ჭია იკვებება თაფლით და ჭეოთი.

ბრაულასთან საბრძოლველად კარგ შედეგს იძლევა დაავადებული ფუტკრის ოჯახის გადაყვანა ფიჭვის მასალისაგან გაკეთებულ სკაში. ფიჭვის სუნზე, ტილები სკის ძირზე დაფენილ ქაღალდზე ცვივდებიან და შემდეგ მას ვსპობთ.

ბრაულოზის სამურნალოდ ასევე ეფექტურია აკარაპიდოზისა და ვაროატოზის სანინაალმდეგო მედიკამენტოზური ღონისძიებების გამოყენება აეროზოლის მეთოდით, აგრეთვე თამბაქოს შებოლება;

ცვილის ჩრჩილი - ორი სახისაა: პატარა და დიდი, პატარა ჩრჩილის პეპელას ტანი ნაცრისფერია და მისი სიგრძე 10-12 მმ-ია, ის 8-9 დღის განმავლობაში დებს 100-450 კვერცხს. დიდი ჩრჩილის პეპელას ტანი ყავისფერია და მისი სიგრძე 15-20მმ. აღნევს. დედალი ჩრჩილი 2-14 დღეს ცოცხლობს და დებს 500-1500-მდე კვერცხს.

ორივე ჩრჩილის პეპელა ერთნაირ ცხოვრებას ეწევა - დღისით გარეთ იმალებიან, ლამით კი სკაში მიძვრებიან და კვერცხებს დებენ სკის ფსკერზე - ნაგავში, სკის ნაპრალებში და ფუტკრისაგან დაუფარავ ფიჭის ადგილებში. კვერცხებიდან გამოსული ჭიები ძალზე გაუმდლრები არიან, მათ შეუძლიათ დიდი რაოდენობით ფიჭების გაფუჭება, რადგანაც იქ ჭეო ეგულებათ. ჭიები ხრავენ ფიჭებს, ჩარჩოსა და სკის ხის ნაწილებს, სადაც იკეთებენ ბუდეებს დასაჭუპრებლად.

ფიჭებში უჯრედების ძირთან ახლოს ჭიებს გაჰყავთ ხვრელები, რომელშიც აბლაბუდას ქსელებს ხლართავენ, რათა ფუტკრები მათ ვერ მიუახლოვდნენ: როდესაც ხვრელების გზა ბარტყიან უჯრედებზე გადის, მაშინ ამ ადგილებში ბარტყი იღუპტება.

ცვილის ჩრჩილის სანინაალმდეგო უნდა გამოვიყენოთ როგორც პროფილაქტიკური, ისე სამურნალო ღონისძიებები: საფუტკრეში უნდა ვიყოლიოთ ძლიერი ოჯახები, ხშირად უნდა გავასუფთაოთ სკის ძირები და მოგროვილი ნაგავი დავწვათ, სკაში არ უნდა დავტოვოთ ზედმეტი ჩარჩოები, რომლებსაც ფუტკრები ვერ ფარავენ. ჩრჩილისაგან დაღრღნილი ფიჭები და ცვილის ნედლეული დროულად უნდა გადავადნოთ. საწყობში შენახულ

ფიჭებს დროგამოშვებით უნდა შევუბოლოთ გოგირდის ბოლი, მაგრამ რადგანაც ჩრჩილის კვერცხებზე ბოლი არ მოქმედებს, საჭიროა შებოლვა გავიმეოროთ 2-3-ჯერ 10 დღის ინტერვალით.

სკის კორპუსებში ჰერმეტულად შენახულ ფიჭებს ჩრჩილისაგან დასაცავად ვამუშავებთ შემდეგი პრეპარატიდან ნებისმიერით.

ენტერობაქტერინი - იგი მოყვითალო ფერის ფხვნილია და გამოიყენება წყალსსნარის სახით. ერთ კილოგრამ ნედლეულზე იხარჯება 10 გრამი პრეპარატი. ფიჭების დამუშავება უნდა განმეორდეს 10-12 დღის შემდეგ.

გოგირდის გაზით დასამუშავებლად ფიჭებს ვათავსებთ ჰერმეტულ სათავსოში და 18<sup>3</sup> მოცულობაზე გამოვიყენებთ 100 გრამ გოგირდს დაწვით. ასეთ გარემოში ფიჭებს ვტოვებთ 1-2 დღის განმავლობაში. 10-12 დღის შემდეგ დამუშავებას ვიმეორებთ.

ძმარმუავას 80%-იან სსნარს 18<sup>3</sup> მოცულობაზე ვიღებთ 200გლ. რაოდენობით, რომელსაც დავასხამთ ლამბაზზე და მოვათავსებთ ჩარჩოებს ზემოდან. ასეთ გარემოში ფიჭებს ვტოვებთ 3-5 დღის განმავლობაში, განმეორებას ვანარმოებთ 10-15 დღის შემდეგ. ერთი დღის განიავების შემდეგ შეიძლება ფიჭების გამოყენება.

პარადიქლორბენზოლი (ანთიმოლი) გამოდის ტაბლეტების სახით, თითო ცალი 8 გრამის ტოლია. 18<sup>3</sup> მოცულობაზე გამოიყენება 150 გრამის ოდენობით. ტაბლეტებს ფიჭების შენახვის მთელ ჰერიოდში ვაჩერებთ ჩარჩოებს შორის.

დისეპტინი გამოიყენება დოზით 30 გრამი, რომელსაც, 12 ჩარჩოიან სკაში მოვათავსებთ, შესანას ფიჭებს შორის ჩავკიდებთ. ფიჭების გამოყენება შეიძლება ერთი დღის განიავების შემდეგ.

მაისა ხოჭო - ორი სახისაა: ჩვეულებრივი და ჭრელი. ჩვეულებრივი ხოჭო შავი ფერისაა, მოლურჯო მბზინვარებით. გაზაფხულზე ხოჭო 4000-მდე კვერცხს დებს მინაში, საიდანაც 28-48 დღის შემდეგ 2მმ. სიგრძის ჭიები გამოდიან. ჭიები აცოდდებიან მცენარეზე და ყვავილებში იმალებიან. ყვავილზე დაფურენილ ფუტკარს ხოჭო ტანზე ეკვრის და ანუხებს, რაც ფუტკრის დასუსტებას იწვევს. განსაკუთრებით აზიანებს ფუტკარს ჭრელი მაისა ხოჭო, რომელიც მწვანე ფერისაა და გულმკერდზე წითელი ფერის ზოლი გასდევს, მისი ჭია ფუტკრის მკერდისა და მუცლის შეერთების ადგილში ძვრება, წუნის ფუტკრის სისხლს და ღუპავს მას.

ვინაიდან დღეისათვის ხოჭოებთან ბრძოლის ეფექტური საშუალება ცნობილი არ არის, ამიტომ მათ საწინააღმდეგოდ ადრე გაზაფხულზე, სანამ ხოჭოები გამრავლებას მოასწრებდნენ, ისინი, როდესაც მინაზე დაცოცავენ უნდა დავიჭიროთ და დავხოცოთ.

ამასთან საჭიროა სიფრთხილე, რადგანაც ჭრელი მაისა ხოჭო თავის დასაცავად გამოყოფს შხამიან სითხეს, რომელიც კანზე მოხვედრისას იწვევს ანთებას და დაჩირქებას.

მტრებისა და მავნებლების გარდა, ფუტკარს სანიტარი მეგობრებიც ჰყავს. ესენია: ცრუ მორიელი და ზღარბი.

**ცრუ მორიელი - პატარა 6 მმ-მდე სიგრძის მორიელის მსგავსი არსებაა, ის სკაში გვხვდება 2-5 ცალის რაოდენობით. ცრუ მორიელი ფუტკარს არ ერჩის, პირიქით, ის იკვებება ფუტკრის პარაზიტი, მცირე ზომის მწერებით: ბრაულით, ტკიპებით და სხვა. თავისი მარწევა ფეხებით, რომლის წვერებში წვრილი შხამიანი ჯირკვლებია მოთავსებული, იჭერს ცვილის ჩრჩილის მცირე ზომის ჭიებსაც, ყოველივე ამით მას დიდი სარგებლობა მოაქვს ფუტკრის ოჯახებისათვის.**

**ზღარბი - ძალზე სასარგებლო ცხოველია. მას დღისით სძინავს, საღამოს კი, დაბინდებისას, გამოდის სანადიროდ. იკვებება მკვდარი მწერებით, მათ შორის დახოცილი ფუტკრებით და სკიდან გამოყრილი ბარტყით, რითაც სპობს გადამდები ავადმყოფობის წარმომშობა კერებს. ზღარბი მუსრს ავლებს შხამიან გველებს, ხვლიკებს და თაგვებს.**

სანიტარულ-ჰიგიენური თვალსაზრისით საფუტკრეში ზღარბის ყოლა მიზანშენონილია. იგი ცოცხალ ფუტკარს არ ერჩის და საფუტკრის სასიამოვნო სტუმარს წარმოადგენს.

## პესტიციდებით ფუტკრის მოვამბლა

გაზაფხულზე ხეხილის ბალების მასობრივი შენამვლის დროს, როცა ამ სამუშაოს შესრულება მეფუტკრების გაუფრთხილებლად წარმოებს, იწვევს მოღალე ფუტკრის მასობრივ მოწამვლას. საფუტკრეში გვხვდება დახოცილი ფუტკრები. მოწამვლამ შეიძლება ძლიერი ფაღარათიც გამოიწვიოს, რომლითაც დასვრილია სკის წინა ნაწილი და საფრენი ფიცარი.

ზოგიერთ შემთხვევაში ფუტკარს მუცელი გადიდებული აქვს მუვაე, მოყვითალო ფაფისებური მასით გადავსების გამო, რომელიც მუცელზე თითის დაჭერით ადვილად გამოიყოფა.

საფუტკრეში პირველ რიგში ინამლება ძლიერი ოჯახები, შემდეგ კი თითქმის ყველა ოჯახი ნადგურდება.

როდესაც ფუტკრის მასობრივი დახოცვისას ეჭვი ჰესტიციდებზეა ხეხილის მკურნალობასთან დაკავშირებით, საჭიროა ვეტლაბორატორიაში შესამოწმებლად გაიგზავნოს 400-500 ცალი არა

უმეტეს 2-3 დღის მკვდარი ან მომაკვდავი ფუტკარი, ლია თაფლ 200 გრამი, ჭერი 5- გრამი და საფუტკრის ტერიტორიაზე არსებულ მცენარეთა მწვანე მასა 100-200 გრამის რაოდენობით, თანდართული განმარტებით თუ საფუტკრის ახლომდებარე ტერიტორიაზე რომელი სახის პესტიციდი იქნა გამოყენებული.

იმისათვის, რომ ხეხილის ბალების წამლობის პერიოდში თავიდან ავიცილოთ ფუტკერის მასობრივი დახოცვა საჭიროა ვიცოდეთ, თუ რომელი პრეპარატის გამოყენების დროს რა ვადით არის საჭირო ფუტკერის ოჯახების იზოლაცია - საფრენების ჩაკეტვა.

## ინსეპტიციული და აკარიციული:

აქტელიკი - 2 დღე, ანთოო - 2; დეცისი - 2; კარატე - 2-3; კარბოფოსი - 2; ლებაიციდი - 4; როვიკურტი - 3-4; სუმიალფა - 6; სუმიციდონი - 2-3; ფოზალონი - 1; ბი-58-3-4; ციანოკსი - 3-4.

სპეციფიური აქარიცხილები - მავრიკის, მიტაკის, ნისორანის გამოყენებისას ფუტკრის იზოლირება საჭირო არ არის.

**ფუნგიცილები:** პენომინის შემთხვევაში - 1 დღე; ბორდოული სითხის დროს - 4-5 საათი; ეუპარენის და ტოფსინის გამოყენებისას ფუტკრის იზოლირება საჭირო არ არის.

პერსიციდები: ატრაზინის, ბეტანალის, დიალენის, ტრეფლანის გამოყენებისას - 2 დღე; რეგლონის, 2,4 D ამინის მარილის, დეზორგონის და 2,4D ბუთილის ეთერის შემთხვევაში - 4-5 საათი. ბაზარგინი, ზენკორი, რაუნდაპი, ნაბუკი კი ფუტტერისათვის საშიში არ არის.

## მანავა თავისლით მომავალა

გვალვიან ამინდში თაფლოვანი მცენარეები წყვეტის სანექტრებიდან ნექტრის გამოყოფას და ტკბილ წვენს გამოყოფენ ფოთლებზე, რასაც მცენარეული მანანა ეწოდება.

ამ მცენარეულ მანანას საკვებად იყენებენ მცენარის ფოთლის ხედაპირზე მცხოვრები პარაზიტები, როგორიცაა: ფარიანები, მლიები, ბუგრები... მათგან გამოყოფილი ტებილი ექსკრემენტებისაგან შეგროვილი წვენი, რომელსაც ფუტკარი იღებს და ნექტრად გადაამუშავებს მცენარეულთან შედარებით ეს ცხოველური წარმოშობის მანანა თავისი რთული ქიმიური შემადგენლობის გამო ფუტკრისათვის საშიშ პროდუქტს წარმოადგენს, რადგანაც მას ფუტკრის ორგანიზმი ვერ ინელებს და მის მოწამვლას იწვევს. ამასთან მანანაში დიდი რაოდენობით მელიციტოზას არსებობა თაფლის ჩაკრიტალებას იწვევს და ფუტკარი მას ზამთრის პერიოდში ვერ

იყენებს, ის შიმშილობს და იხოცება.

მანანათი მონამლული ფუტკრის შუა ნაწლავი მოშავო, ან მოლურჯოა, გამოღებისას მალე წყდება. ფუტკარს ემართება ფალარათი, რაც ხელს უწყობს დაავადება ნოზემატოზის განვითარებას. ზაფხულში მანანათი გამოწვეული დაავადება იოლი ფორმით მიმდინარეობს, ხოლო თუ ზამთრის მარაგში მისი რაოდენობა ნახევრამდეა, ამან შეიძლება ფუტკრის ოჯახის დაღუპვა გამოიწვიოს. ამიტომ საჭიროა ზამთრის მარაგიდან ასეთი თაფლის შეცვლა ან სამარაგო თაფლიანი ფიჭით ან სიროფით.

მანანას გამოწყოფენ: იასამანი, მუხა, არყი, კაკალი, ნაძვი, ალუბალი, ატამი, ალვის ხე, წაბლი, ნუში, თელა, ვერხვი და ა.შ.

მანანა დიდი რაოდენობით გამოიყოფა ტყის ზონაში.

## IV - მაზუტპრემბის საპვეპი ბაზა

### ცემტარი

ნექტარი - ბერძნულ მითოლოგიაში, ღმერთების სასმელს - უკვედავების მარადიულ წყაროს ნიშნავს. ნექტარში შედის ყველა ის ელემენტი, რაც თაფლშია, მხოლოდ ლერნმის რთულ შაქარს ფუტკარი ღალაზე ფრენის დროს ნერწყვის შერევით გარდაქმნის მარტივ ყურძნისა და ხილის შაქრებად; მასში ასევე მეტია წყლის შემცველობა, თაფლში კი ნაკლები. ნექტრის შემადეგენერალ წყალს მცენარე ერთის მხრივ ჰაერიდან ორთქლის სახით ღებულობს, ხოლო მეორეს მხრივ, ნიადაგიდან ფესვთა სისტემით შეიწოვს.

ნექტრის გამოყოფაზე გავლენას ახდენს შემდეგი ფაქტორები:

1. გეოგრაფიული ფაქტორი. გამოკვლევებით დადგენილია, რომ მცენარის ღალიანობა და შაქრიანობა მატულობს სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ. ასევე იზრდება მცენარის შაქრიანობა ზღვის დონიდან რაც უფრო მაღლაა მისი ადგილსამყოფელი.

2. ამინდის პირობები. ნექტრის გამოყოფის მინიმალური ტემპერატურაა  $10-12^{\circ}$ , ოპტიმალური კი  $16-25^{\circ}$ -ის ფარგლებში. ხოლო  $38^{\circ}$ -ზე ნექტრის გამოყოფა მთლიანად წყდება, მაგრამ არის გამონკლისებიც: ასე, მაგალითად, ცაცხვი და ალუბალი  $7-8^{\circ}$ -ზეც გამოყოფენ ნექტარს. ტემპერატურის თანდათანობითი ზრდა, მხოლოდ მაშინ მოქმედებს დადებითად, როდესაც მცენარე საკმარისად უზრუნველყოფილია ჰაერისა და ნიადაგის ტენით.

წვიმიან ამინდში ჰაერის ტენიანობა 100%-ია, გვალვიანში კი 50%. ტენიანობის ოპტიმალური ზღვრებია 60-80%, მაგრამ აქაც ვხვდებით გამონაკლისს. მაგალითად: *indom*, ფაცელია და ზოგიერთი სხვა მცენარე გვალვის პირობებშიც გამოყოფს ნექტარს.

ყველაზე საუკეთესო პირობებია, როცა ღამით წვიმს და დღე მზიანია, ან თუ ხანმოკლე წვიმებს მზიანი ამინდები ცვლის; ხანგრძლივი წვიმების დროს კი ღალიანობა მთლიანად წყდება. დროს ფაქტორი. ზოგი მცენარე ნექტარს დილით გამოყოფს, ზოგი შუადლისას, ზოგი დღის ბოლოს. ასე მაგალითად: ფაცელია მხოლოდ დილით გამოყოფს ნექტარს, ხოლო სამყურა დილით და ნაშუადლევს უფრო მეტ ნექტარს *indom*-ია, ვიდრე შუადლისას.

## მანანა თაფლი

გარდა ნექტრის თაფლისა, არსებობს კიდევ ორი სახეობის თაფლი. ესენია: მცენარეული ნამის თაფლი და ცხოველური მანანა თაფლი.

მცენარეული ნამის თაფლი გამოყოფა გვალვანინ წლებში, როდესაც დღისით ცხელა და ღამით ცივა, ტემპერატურის ასეთი ცვალებადობის დროს მცენარეულობას ოდნავ უსკდება შტამპის კანი, ყლორტები ან ფოთლები, საიდანაც გამოუნავს ტკბილი ნამი. ტკბილი ნამის თაფლი მართალია, ნექტრის თაფლთან შედარებით მდარე ხარისხისაა, მაგრამ ადამიანისა და უუტკრისათვის საზიანო არ არის.

ცხოველური წარმოშობის - მანანა თაფლი მზადდება მწერების ექსკრემენტების - განავლისაგან, ესენია: ბუგრები, ფარიანები და ა.შ. რომლებიც გვალვიან ზაფხულში იკვებებიან მცენარის ტკბილი წვენით და მას გამოყოფენ ექსკრემენტის სახით მცენარის ფოთლებზე. თუ ამ პერიოდში ღალიანობა არ არის, მაშინ ფუტკარი ამ ტკბილ გამონაყოფს ეტანება და მისგან თაფლს ამზადებს.

მანანა თაფლი ადამიანისათვის მავნე არ არის, მაგრამ ფუტკარს არ უნდა შეუვეს ზამთრის საკვებად, რადგანაც მასში დიდი რაოდენობითაა ისეთი ნივთიერებები, რომლებიც ფუტკრისათვის ძნელად ასათვისებებლია.

მზის სხივები - ხელს უწყობს შაქრების წარმოშობას და ნექტრის გამოყოფას; მაგალივად, ცაცხვი 2-ჯერ მეტ ნექტარს *indom*-ის მზიან ადგილას, ვიდრე ჩრდილში; ასევე უმატებს ნექტრის გამოყოფას აკაციაც.

ეპი - თბილი, გრილი, ნელი, ყველანაირი უარყოფითად მოქმედებს მცენარეების მიერ ნექტრის გამოყოფაზე. ამ დროს სანექტრეები იკუმშებიან და ნექტრის გამოყოფას წყვეტენ.

## მათრობელა თავდა

მეფუტკრემ თაფლოვანი მცენარეების გარდა უნდა იცოდეს შხამიანი - მათრობელა მცენარეების ბიოლოგიაც, რადგანაც ამ მცენარეების ნექტრისა და ყვავილის მტვრისაგან ფუტკრები იხოცებიან. მონამვლის ნიშნებია: ფრენის და დანესტვრის უნარის დაკარგვა, მუცლის გაპერვა, მძიმე მოძრაობა და ა.შ. 20-25° ტემპერატურის პირობებში 2-3 დღის შემდეგ მონამლული ფუტკრები შეიძლება გამოჯანსაღდნენ.

როგორ უნდა მოიქცეს ასეთ დროს მეფუტკრე? იმისათვის, რომ ფუტკარი შხამიან მცენარეებს არ მიეტანოს, საჭიროა მისი დაგეშვა სხვა საღ თაფლოვან მცენარეებზე.

ფუტკარს თაფლი უნდა გამოვაცალოთ და რამდენიმე დღის განმავლობაში თხელი შაქრის სიროფით ვკვებოთ.

განვიხილოთ თუ როგორ მოქმედებს აღნიშნული სახეობის თაფლი ადამიანებზე.

მათრობელა თაფლის მომცემი მცენარეები გავრცელებულია მთიან ზონებში და უმეტესწილად დასავლეთ საქართველოში. ის ჩვეულებრივ თაფლისაგან არაფრით არ განსხვავდება, მაგრამ მისი ერთი ჩაის კოვზის მიღების შემდეგ ადამიანს უცივდება ხელ-ფეხი, ეწყება თავისი ტკივილი, კუჭის აშლა, პირდებინება, თავბრუხვევა და გონების დაკარგვა. ყოველივე ამის გამომწვევი მიზეზი არის ნივთიერება ანდრომეტრებისინი, რომელიც მათრობელა თაფლის შემადგენლობაში შედის.

ყველაზე მეტად საშიში შხამიანი მცენარეებია: იელი, წყლის იელი, შქერი, მაჯაღვერი, ფრინტა, ხარისთვალა, შორველა, ხარისძირა ციკუტა და შხამა.

მათრობელა თაფლის მაღალ ტემპერატურაზე 60°-ზე დამუშავებაც კი სასურველ შედეგს არ იძლევა და ამრიგად მისი გაუვნებლობა შეუძლებელია.

## მთავარი ღალიანობის თავდოვანი მცენარეები

არც თუ იშვიათად მეფუტკრეებს შორის იმართება კამათი, თუ რომელი მეფუტკრე უფრო საქმის მცოდნე პროფესიონალი თუ პრაქტიკოსია. ერთ-ერთ ასეთ თავყრილობაზე, როცა მეფუტკრეებმა ვერ გათვალეს-ამოირჩიეს უძლიერესი, ცნობილმა მეფუტკრეებმა

საგარეჯოდან მაღაზ აზარიაშვილმა ასეთი ვერსია წამოაყენა:  
“ყველაზე დიდი მეფუტკრე ის არის ვისაც შემოდგომით ბიდონებით  
თაფლი უწყვიაო და კამათიც შეწყდა.

მართლაც რომ ასეა, და ეს ყოველივე კი უმეტესწილად სხვა  
ფაქტორებთან ერთად დიდად არის დამოკიდებული მეფუტკრეობის  
საკვებ ბაზაზე, ანუ მარტივად რომ ვთქვათ, თაფლოვან მცენარეებზე  
და მეფუტკრის ცოდნაზე და ალლოზე, თუ სად, როდის და რა ადგილზე  
განალაგოს ფუტკრის ოჯახები, რომ მაქსიმალური რაოდენობით  
მოიწიოს თაფლის მოსავალი.

ყოველივე აღნიშნულთან ერთად კი აუცილებელია ცოდნა  
თაფლოვანი მცენარეების ბიოლოგიისა, ამიტომაც განვიხილოთ  
ისინი ცალ-ცალკე.

მეფუტკრეობის საკვებ ბაზაში იგულისხმება სხვადასხვა სახის  
თაფლოვანი მცენარეები. ესენია: ერთწლიანი და მრავალწლიანი  
მცენარეები. ამათგან ზოგი მხოლოდ ყვავილის მტვერს იძლევა, ზოგი  
ნექტარს. ხოლო გარკვეული ნაწილი ორივეს.

საფუტკრის ირგვლივ 3კმ. რადიუსით მდებარე ტერიტორიას  
ფუჟტრის სასარგებლო ფრენის რადიუსი ეწოდება და ამ ტერიტორიის  
უმეტესი ნაწილი თაფლოვანი მცენარეებით უნდა გამოირჩეოდეს, რაც  
დაახლოებით 2800 ჰექტარს უდრის.

ფუტკარმა რომ შეაგროვოს ერთი კილოგრამი თაფლი, უნდა  
ეწვიოს 2-3 მილიონზე მეტი ფაცხვის ყვავილს, ამიტომ, რაც უფრო ახლოა  
ფუტკარი თაფლოვან მცენარეებთან, იმდენად ნაკლები ენერგია და  
საკვები იხარჯება ნექტრის შეგროვებაზე.

საუკეთესო ვარიანტია, როდესაც თაფლოვანი მცენარეები  
საფუტკრიდან 1-1,5კმ. მეტად არ არიან დაშორებული.

ჩვენში გავრცელებულია 1000-ზე მეტი სახეობის თაფლოვანი  
მცენარე. აქედან სანარმოო მნიშვნელობა 100-150 სახეობას აქვს.

პირველხარისხოვანი, ანუ მთავარი ღალიანობის ბალახოვანი  
მცენარეებია: სალბი, დედაფუტკარა, ირმისმხალა, ღილილო,  
ვირისტერფა, ბაბუაწვერა, კლდისვაშლა, ნემსიწვერა, თავსისხლა,  
ლურჯი ძირნითელა ესპარცეტი, ფაცელია და ა.შ.

გაზაფხულის თაფლოვანებს ეკუთვნის: ლეგა აკაცია ანუ მიმზა,  
თხილი, ია, ენძელა, ვირისტერფა, ჩიტისთავა, შინდი, ტყემალი, ტირიფი,  
ნეკერჩხალი, აკაცია, ატამი, ქლიავი, პანტა, მაჟალო, ალუბალი, ნუში,  
ვაშლი, მსხალი, გარგარი, კუნელი, წყავი და სხვ.

ზაფხულის თაფლოვანებია: თეთრი სამყურა, იონჯა, სალბი,  
ესპარცეტი, მზესუმზირა, ბამბა, ძიძო, წანტა, მაჟალო, ალუბალი, ნუში,  
შემოდგომის თაფლოვანებია: დასავლეთ საქართველოში - თეთრი

სამყურა, წყალნაწყენი, დედაფუტყარა, ქონდარი, პიტნა და ა.შ. აღმოსავლეთ საქართველოში, ალაზნის ნაპირებზე - ცოცხი, მანანა, დედაფუტყარა, ფათალო-სურო და ა.შ.

ტყისპირებზე საფუტყარის მოწყობის დროს უნდა ვიცოდეთ, რომ ფუტყარისათვის უვარგისია ნინოვოვანი ტყე, სადაც ფუტყარს მხოლოდ მანანა-თაფლისა და მდარე ხარისხის ყვავილის მტკრის შეგროვება შეუძლია. კარგია შერეული და საუკეთესო ფოთლოვანი ტყე. ასევე კარგია თუ ტყე წაბლის, ცაცხვის და ნეკერჩხლის კორომებისაგან შედგება.

## თაფლოვანი მცენარეების საგარეულოები

ღალიანობა ხშირ ტყეში ნაკლებია, რადგანაც შეკრული საფარველის ქვეშ ქვეტყე და ბალახი ძალიან ცუდად ვითარდება. რაც შეეხება სუფთა ცაცხვის ტყეს ის ხანმოკლე პერიოდში (12-14 დღე) დიდი რაოდენობით იძლევა ნექტარს, რომლის ათვისებასაც ფუტყარი ვერ ასწრებს.

ტყისპირები და ტყე-ველები უფრო თაფლოვანია, რადგანაც დიდი განათება ხელსაყრელ პირობებს ქმნის ბუჩქებისა და ნაირბალახების განვითარებისათვის.

ნაკაფი ტყე ყველაზე უფრო თაფლოვანი ნაწილია, სადაც გაცილებით მეტი ბუჩქი და ბალახი იზრდება. ტყის დადებითი თვისება ის გახლავთ, რომ ღალიანობა ადრე გაზაფხულზე იწყება და მასზე გვალვები არ მოქმედებს. მეფუტყერებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მშრალ მდელოებს, რომელიც დაფარულია თეთრი და ვარდისფერი სამყურითა და ისეთი ნაირბალახებით, როგორიცაა ბაბუანვერა, შალგა, ლილო, ნემსინვერა და ა.შ.

ჭაობი თითქმის გამოუყენებელია ღალიანობისათვის, რადგან თაფლოვან მცენარეებს აქ მცირე ადგილი უკავიათ. მისი გამოყენება შეიძლება მხოლოდ ხანგრძლივი სიცხეების პერიოდში, როდესაც სხვა ადგილებში ნექტრის გამოყოფა შეწყვეტილია.

მდინარის, ნაკადულისა და წყალსაცავთა ნაპირები ფუტყარისთვის კარგ საკვებ ბაზას ნარმოადგენს, რადგანაც აქ ხარობს თაფლოვანი ნაირბალახები.

ფუტყარის მიერ ნექტრის შეგროვება სწარმოებს აგრეთვე გზისპირა ზოლებში, საძოვრებზე და მინდორშიც თუ იქ მოჰყავთ მზესუმზირა, წინიბურა, ბამბა, ქინძი, მდოგვი, ესპარცეტი, რაფსი, იონჯა, ფაცელია, სელი და ა.შ.

ბოსტნეული და ბალჩეული კულტურები ნაკლებ ღალიანია, თუმცა  
მოჰყავთ სათესლე კულტურები და გოგრისებრთა ოჯახის  
ნარმომადგენლები.

გარკვეული ღალიანობა ახასიათებთ ბალებს განსაკუთრებით  
სამხრეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის რაიონებში. ფუტკარი  
ღალას აგროვებს დასახლებული პუნქტების შემდეგი მცენარეებიდან  
როგორიცაა: თეთრი აკაცია, ტირიფი, ცაცხვი, კუნელი და სხვა.

## სე-მცენარეები

**აპაცია - ეკლის ხე,** ფართოდაა გავრცელებული  
საქართველოში, სწრაფი მოზარდია, მისი ყვავილები მდიდარია  
მაღალხარისხოვანი ნექტრით. რომელიც იძლევა უმაღლესი ხარისხის  
თაფლს 50-60% ფრუქტოზას და 30-35% გლუკოზას შემადგენლობით.  
იგი გამოიყენება კუჭის წყლულის, შაქრიანი დიაბეტის და სხვა  
დაავადებათა სამკურნალოდ. თაფლი წყლისფერია და არ შაქრდება.

ძირითადად ყვავილობს აპრილის ბოლოს და მაისის პირველ  
დეკადაში. 10-15 დღეს 1 ჰა ნარგაობისა იძლევა 1000კგ. თაფლს.

მისი უარყოფითი მხარეა არამდგრად ამინდებში ყვავილობა,  
როცა ხშირია წვიმები და ქარები. მაგრამ მეფუტკრეებს გარკვეული  
რისკის ფასად მაინც შეყავთ ფუტკარი აკაციის კორომებში და აქ უკვე  
გამართლებაზეა შედეგი. აღმოსავლეთ საქართველოში ასეთი ადგილი  
ტრადიციულად გარდაბნის ნაკრძალია.

**ცაბლი - ყვავილობს ივნისში, ცაცხვზე ადრე, მაგრამ ზოგჯერ  
მასთან ერთად აგრძელებს ყვავილობას.**

იძლევა მუქი ფერის მომნარო გემოს თაფლს, რომელიც ღვიძლისა  
და თირკმელების სამკურნალოდ გამოიყენება.

ნაბლის თაფლს სასიამოვნო გემო მიეცემა, როცა ცაცხვის თაფლს  
შეერევა ხოლმე. იშვიათად შაქრდება. უმეტესწილად სქელი ფაფისებური  
მასის მდგომარეობას ღებულობს. 1 ჰა-ზე იძლევა 300კგ. თაფლს.

**ცაცხვი - ყვავილობს ივნისში, ნაბლის შემდეგ. 15-20**  
ივნისიდან ივლისის ბოლომდე. ნექტარს გამოყოფს თბილ,  
მცირენვიმიან ამინდებში, როდესაც ღამით წვიმს და დღისით  
დარია. ნექტრის გამოყოფას წყეტის ცივ და ნისლიან დღეებში 1 ჰა-  
ზე იძლევა 1000კგ. თაფლს.

**გლეიდიჩია - ხეეპალა (ლობიოს ხე)** გამოიყენება ცოცხალ  
ღობეებში. იზრდება საშუალო სიმაღლის ხედ. ყვავილობს მაისიდან  
ივნისამდე უხვად გამოყოფს ნექტარს.

## ბუჩქობანები

**მაყვალი - ყვავილობს ივნისიდან აგვისტოს ბოლომდე. უხვად გამოყოფს ნექტარს და ყვავილის მტვერს. თაფლი თეთრიან მოყვითალო ფერისაა, სასიამოვნო არომატით. უმეტესწილად გავრცელებულია ველური კორომების სახით.**

**ძები - ეკლიანი ბუჩქია, აქვს დისკოსმაგვარი ყვავილები, ნექტრის გამოყოფაზე ჭირვეულია, მოსწონს მცირე წვიმიანი და შემდეგ დარიანი ამინდები. ძირითადად გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოს ხრიოკ ადგილებში.**

**კუნელი - წითელი კუნელი დასავლეთ საქართველოში ყვავილობს მარტში, შავი აკაციის ყავილობის დამთავრების შემდეგ. იძლევა ნექტარსა და ყვავილის მტვერს. თაფლი სქელი და წაბლისფერია, მაღვე კრისტალდება. ფიჭაში დაკრისალებული ძნელი გამოსაწურია.**

**კუნელის თაფლი სამურნალოა - განსაკუთრებით გულ-სისხლძარღვთა დაავადებების დროს.**

**ამორცა - იზრდება 2-30. სიმაღლის ბუჩქად. ყვავილობს ივნისში 10-12 დღეს. იძლევა ნექტარსა და ყვავილის მტვერს.**

## მინდვრის პულტურები

**ნითელი სამყურა - ყვავილის გაშლა იწყება დილის 10-11 საათიდან და იხურება ნაშუადლევის 3-4 საათზე. ყველა ჯიშის სამყურა დიდი რაოდენობით გამოყოფს ნექტარს. ნექტრის გამოყოფა მუდმივია, მაგრამ ვინაიდან მაღალ გვირგვინებშია მოთასებული, სანექტრეებს ფუტკრები ძნელად წვდებიან.**

**მისი თაფლი გამჭვირვალეა, ითვლება ერთ-ერთ საუკეთესო თაფლად. შეიცავს 30% გლუკოზას და 35%-მდე ფრუქტოზას 1 ჰა იძლევა 100-150 კგ. თაფლს.**

**პირველი გათიბევის შემდეგ გამოსულ ყვავილს შედარებით მცირე ნექტარი აქვს, მაგრამ ფუტკრისათვის უფრო ადვილი მისაწვდომია.**

**ლურჯი იონჯა - გვალვაგამძლე ბალაზია, გათიბევის შემდეგ კარგად იტანს სიცივესაც. ყვავილობს მაის-ივნისში, ზოგჯერ უფრო გვიანაც, ყვავილობს 10-14 დღეს. ყვავილი იშლება დილის 9-10 საათიდან 3 საათზე იხურება. იონჯას პირველ გათიბვამდე ფუტკრები ნაკლებად ეტანებიან. ფუტკრები ეტანებიან, მაშინ, როდესაც იონჯა**

უხვად გამოყოფს ნექტარს და ამავე დროს არ ყვავილობს სხვადასტუმრობას თაფლოვანი მცენარე.

იონჯას დიდი მნიშვნელობა აქვს მეფუტკრეობისათვის, ვინაიდან იგი მაის-ივნისში ყვავილობს.

იონჯის თაფლი თეთრი ან ქარვისფერია, კარგი გემოსია, მასში უმეტესწილად ლერწმისა და ყურძნის შაქარია.

ძიძო - ყველაზე უხვმოსავლიანია თეთრი ძიძო და ყვითელი ძიძო, რომელთა ყვავილობა გრძელდება სექტემბრის ბოლომდე. მისი თაფლი შეიცავს 32-36% გლუკოზას და 30% ფრუქტოზას.

ყვითელი ძიძო განსაკუთრებით უხვად გამოყოფს ნექტარს მეორე წელიწადს. ერთ ჰექტარ ფართობზე ველური ძიძო იძლევა 200კგ. თაფლს, ხოლო ნათესი 600კგ. თაფლი მოყვითალო ფერისაა, კარგი გემოთი და არომატით გამოიჩინა.

ესპარცეტი - მრავალწლიანი, საქონლის საკვები კულტურაა. ეს ბალახი ყვავილობს მაისში 1 ჰა იძლევა 60-დან 270კგ. თაფლს. მას წაგრძელებული ფორმის ყვავილედი აქვს. ყვავილობას იწყებს ძირიდან და თანდათანობით მიიწევს ხევით. ესპარცეტი ფუტკრისათვის მდიდარი საკვები წყაროა.

როდესაც ესპარცეტის ნათესები დიდ ფართობზეა, საფუტკრეები ერთმანეთს უნდა დავაშოროთ 1-1,5 კილომეტრით.

გზესუმზირა - ყვავილობს ივნის-ივლისში, ზოგჯერ აგვისტოშიც. ძირითადად გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოში. ყვავილობა 20-30 დღეს. ნექტარს გამოყოფს თბილ და ტენიან ამინდში. გვალვაში ნექტრის გამოყოფას წყეტს. 1 ჰა-ზე იძლევა 35-დან 60კგ. ოქროსფერ თაფლს. შაქრდება მსხვილ მარცვლებად.

## ფუტკრის საპპები ბაზის გაძლიერებისათვის სათმაზი ბაზასები

ამ სახის ბალახებს იმ დროს თესავენ, რომ მათი ყვავილობა უდალობის პერიოდს დაემთხვეს და ღალიანობის მიმდინარეობა ხელოვნურად გაგრძელდეს.

ლურჯი ძირჩითელა - ორწლიანი ველური მცენარეა. ყვავილის გაშლამდე ვარდისფერია, შემდეგ კი კაშკაშა ლურჯი ფერი ეძლევა.

ქარსა და სიცხეში წყვეტის ნექტრის გამოყოფას. კარგ ამინდში კი საკონტროლო სასწორმა 6-8 კილოგრამი მატება შეიძლება აჩვენოს.

თაფლი ქარვისფერი და მაღალხარისხოვანია, დიდხანს არ შაქრდება 1 ჰა-ზე იძლევა 400კგ. თაფლს.

ეგუება ნებისმიერ ნიადაგს და ამასთან გვალვაგამძლეა.

**გველთავა - ორწლიანი მცენარეა, ყვავილობს ივნისიდან სექტემბრის ბოლომდე. მისი ნექტარი ფუტკრისათვის ადვილმისაწვდომია. გვალვის დროს ნექტრიანობა კლებულობს, მაგრამ მთლიანად არ წყდება. 1 ჰა-ზე იძლევა 400კგ. თაფლს, რომელიც ღია ფერისა და კარგი ხარისხისაა.**

ჩამონათვალის გარდა საფუტკრის მიმდებარე ტერიტორიაზე შეიძლება დაითესოს შემდეგი მცენარეები. კიტრის ბალახიანუ კიტრისუნა, რომელიც ყვავილობს შუა ზაფხულიდან სექტემბრის ბოლომდე.

**ბარამპო - მრავალწლიანი მცენარეა, რომლის სუნი ძალზე იზიდავს ფუტკარს და მეფუტკრები სკაში გამოსასმელად ხმარობენ, განსაკუთრებით, მაშინ, როცა ახალი ნაყარია ან ფუტკარი ერთი სკიდან მეორეში გადაგვყავს და მათი დაწყნარება და დაბინავებაა საჭირო. ნექტარს უხვად იძლევა, მაგრამ ფუტკარი მას ძნელად წვდება.**

**უსუპი - ველური მცენარეა, ყვავილობს ივნისიდან გვიან შემოდგომამდე. მისი თაფლი მაღალი ხარისხისაა.**

**რაცისი - ჯვაროსანთა ოჯახის ზეთოვანი კულტურაა, ცნობილია საშემოდგომო და საგაზაფხულო სახეობა. საგაზაფხულო ყვავილობს მაისში და ყვავილობას აგრძელება 35 დღეს. საშემოდგომო ყვავილობს ივლის-აგვისტოში. 1 ჰა იძლევა 50კგ. მოთეთრო ფერის თაფლს და ასევე ყვავილის მტვერს. მისი ნაკლია ის, რომ ერთი და იგივე ადგილზე ითესება მხოლოდ 4 ნლის შემდეგ, ხოლო თუ მისი წინამორბედი შაქრის ჭარხალია, მაშინ აგრძელება 5-6 ნლის შემდეგ. მისი აგროტექნიკა იგივეა, როგორც ფაცელიასი, იმ განსხვავებით, რომ რაფსის ნათესებში დასაშვებია პერიფიდების გამოყენება სარეველების წინააღმდეგ.**

**ფაცელია - თაფლოვან ბალახებს შორის ფაცელია პირველხარისხოვანი მცენარეა, იგი განეკუთვნება წყლის ფოთლასებრთა ოჯახს და წარმოადგენს ერთწლიან მცენარეს.**

იგი ითესება, როგორც წმინდა სახით, ასევე შერეულად მარცვლოვან-პარკოსან კულტურებთან ერთად, ასევე ხეხილის ბალების რიგთაშორის სივრცეში.

ფაცელია ერთობ ყინვაგამძლე კულტურაა. შემოდგომით ის იტანს მინუს 7-9°C ტემპერატურასაც კი. ამასთან დაბალ ტემპერატურაზე იგი უკეთ გამოყოფს ნექტარს, ვიდრე სხვა ერთწლიანი საგაზფახულო თაფლოვანი მცენარეები.

ეს კულტურა ეგუება ნებისმიერ ნიადაგს, მაგრამ უფრო პროდუქტიულია მსუბუქ ჰუმუსითა და ნეშმომპალით მდიდარ სარწყავა ან ნალექებით საკმარისად გაჯერებულ ნიადაგებზე.

**აგროტექნიკა - სათესლედ ფაცელია ითესება სუფთა -**

## 1 ჰა-ზე თაფლოვანი მცენარეების ნექტარპროდუქტიულობა

თაფლოვანი მცენარეების დასახელება	თაფლი 1 ჰა-ზე, კგ	თაფლოვანი მცენარეების დასახელება	თაფლი 1 ჰა-ზე, კგ
აკაცია	1000	ნეკერჩალი	200
ქლიავი	10	ნაბლი	300
ალუბალი	30		
ცაცხვი	1000	ბუჩქოვანები	
გლედიჩია	250	მაყვალი	25
სოფორა	250	ძეძვი	35
ფშატი	80	შინდი	30
ვაშლი	15	კუნელი	200
ტყემალი	40	ჟოლო	50
ნუში	25	ბამბა	100
უნაბი	200	მინდვრის კულტურები	
მანდარინი	35	მზესუმზირა	40
ატამი	10	ნითელი სამყურა	145
ჭერამი	5	თეთრი სამყურა	50
ლიმონი	35	ვარდისფერი სამყურა	100
ფორთოხალი	80	ესპარცეტი	115
ტირიფი	150	ჭინჭარი	100
მსხალი	5	ბეგქონდარა	180
ყვითელი აკაცია	350	ბამბაცა	200

თაფლოვანი მცენარეების დასახელება	თაფლი 1 ჰა-ზე, კგ	თაფლოვანი მცენარეების დასახელება	თაფლი 1 ჰა-ზე, კგ
კიტრი	30	გოგრა	30
საზამთრო	15	ლურჯი ძირნითელა	400
მარწყვი	40	გველთავა	400
მდოგვი	75	რაფსი	50
მოცვი	150	ფაცელია	550
ქინძი	100		
სალბი	340	შალგი	10
ლაშქარა	70	შავწამალა	300
ფლორეცის ბალახი	40	კატაპინა	160
ღილილო	90	წყავი	20
გარეული ბოლოკი	10	იალლუნი	230
კლდის დუმა	100		

შეურეველი სახით. ის ძალზე მომთხოვნი არ არის წინამორბედი კულტურების მიმართ, მაგრამ მისთვის მისაღებია ისეთი კულტურები, რომლებიც თავის შემდეგ ნიადაგს სტოვებენ სარეველა ბალახებისაგან თავისუფალს.

ფაცელიას ძირითადად თესავენ შემოდგომით ან ადრე გაზაფხულზე. შემოდგომით ითესება მანამ, სანამ მიწა გაიყინებოდეს, და იმ ვარაუდით, რომ ნათესმა აღმოცენება ვერ მოასწროს, სამაგიეროდ გაზაფხულზე ასეთი ნათესი 10-12 დღით ადრე იწყებს ყვავილობას.

მისი თესვა შეიძლება ნაწვერალზეც, ხორბლის აღების შემდეგ, ამ შემთხვევაში ყვავილობს აგვისტოს ბოლოს, სექტემბერში. ამრიგად ფაცელიას თესვის ვადებისა და თიპვის რეგულირებით შესაძლებელია მთელი 6 თვე (მაისი-ოქტომბერი) მოყვავილე ფაცელიას ნათესების შენარჩუნება.

ეს კულტურა ყვავილობას იწყებს აღმოცენებიდან 40 დღეში ე.ი. მაისიდან უკვე იწყებს ყვავილობას და მისი ხანძლივობა 40-45 დღეა.

ფაცელიას გაზაფხულზე თესვა უნდა ჩატარდეს რაც შეიძლება ადრე, რადგან მოგვიანებით დათესვის დროს ყვავილობის პერიოდი იწელება და თესლის დამწიფება არათანაბარია და მოსავალიც ნაკლებია.

ნიადაგი იხვნება 25-27სმ. სიღრმეზე, ხოლო თესვის წინ უნდა ჩატარდეს ადრე საგაზაფხულო დაფარცხვა. შემდეგ ტარდება კულტივაცია და 6-8სმ. სიღრმეზე იმავდროული დატკეპნით. ნიადაგის მოსწორება აუცილებელია, რაც არა მარტო აუმჯობესებს დათესვის ხარისხს, არამედ აადვილებს შემდგომში მოსავლის აღებასაც.

ერთ ჰექტარზე თესვის ნორმა 10-12კგ. თესლის მისაღებად უკეთესია რიგთაშორისების დაშორება 45სმ. ამ დროს თესვის ნორმა 6-8კგ. შეადგენს.

თესვის სიღრმე არ უნდა აღემატებოდეს 2-3სმ. ვინაიდან სინათლე ამუხრუჭებს თესლის აღმოცენებას, ამიტომ თესვის დროს საჭიროა თესლი მთლიანად დაიფაროს ნიადაგის ფენით.

**სასუქები -** კარგი მოსავლის მისაღებად საჭიროა ნიადაგში მინერალური სასუქების აზოტის და კალიუმის შეტანა, განსაკუთრებით კი ფოსფორის.

ნათესის მოვლა - ფაცელიას რიგთაშორისები მექანიკურად უნდა დამუშავდეს სარეველების საწინააღმდეგოდ, რადგანაც როგორც პრაქტიკიდან ირკვევა ჰერბიციდების გამოყენებას დადებითის მაგიერუარყოფითი შედეგი აქვს - ფაცელიას სუსტი მდგადობა ახასიათებს ქიმიური პრეპარატების მიმართ.

მოსავლის აღება - თესლის აღების დროს ძალზე მნიშვნელოვანია

თესლის მომწიფების და შესაბამისად აღების ვადის განსაზღვრა, რადგანაც მომწიფების დროს ფაცელიას თესლი ადვილად ცვივდება და ეს რომ არ მოხდეს, საჭიროა 10-15 დღის შემდეგ როცა მასობრივად დამთავრდება ყვავილობა, საჭიროა ყოველდღიურად შემოწმდეს ნათესები და დროულად ჩატარდეს თიბვა.

როდესაც მცენარის სიგრძის 2/3 გამუქდება, ხოლო ბოლო ზედა ყვავილებიდან 3-4 ცალი კიდევ ყვავის, საჭიროა ადრიან დილით თიბვის დაწყება, მაშინ როდესაც ნაკლებია თავთავის სიმშრალე და თესლები არ ცვივა.

5-7 დღის შემდეგ, როდესაც ნათიბი კარგად შეშრება უნდა გაილენოს. გალენვის შემდეგ მიღებულ თესლოვან მასაში 40%-მდე არის შერეული სხვადასხვა მინარევები მაღალი ტენიანობით, რამაც შეიძლება გამოიწვიოს სხვადასხვა მიკროორგანიზმების განვითარება, ამიტომ გალენვისთანავე სათესლე მასალა უნდა გატარდეს გამწმენდ დანადგარში და გამოშრეს საშრობ მოწყობილობაში არა უმეტეს  $35^{\circ}\text{C}$  ტემპერატურაზე. ხოლო მზიან დღეებში შეიძლება მყარ ზედაპირიან სიბრტყეზე ჰაერზე გაშრობა. მეორე და ძირითადი განმენდა უნდა ჩატარდეს თესლგამწმენდ მანქანაზე “ჰეკტუს-გიგანტზე”.

თესლი ინახება მშრალ შენობაში, რომელიც ჰერიოდულად ნიავდება. ტომრებში მოთავსებული თესლი ენყობა 4-6 რიგ შტაბელებად. თესლის სინოტივე არ უნდა აღემატებოდეს 14%-ს.

ერთი ჰექტარი ფაცელიას ნათესი იძლევა 550კგ. ნექტარს, 400კგ. სათესლე მასალას და 200-300ც. მწვანე მასას, რომელიც შეიძლება გამოიყენოთ, როგორც საქონლის საკვებად, ასევე სასილოსედ ან სიდერატად ნიადაგში ჩასახვნელად.

ფაცელიას ყვავილები ლურჯი ფერის ხვეულებად არის შეკრული. დიდხანს ყვავილობს და ნექტარსაც უხვად იძლევა.

ფართორიგებიანი ნათესი 2-ჯერ მეტ თაფლს იძლევა, ვიდრე ვინორიგებიანი, რაგანაც კარგად იბუჩქება და ბევრ ყვავილს ივითარებს, რომლისგანაც ნექტრის გარდა ფუტკარი ყვავილის ლურჯ მტვერს აგროვებს.

უნდა გავითვალისწინოთ, რომ როცა PH-ი 5-ზე მეტია ნიადაგი უნდა გაკირიანდეს.

ფაცელიას თაფლი ღია მწვანე ან მთლიანად თეთრი ფერისაა, ნაზი არმატით და მიმზიდველი გემოთი; დაშაქრებული თაფლი ცომისებურია და არ ჩამოუკარდება ფაცხვის თაფლს.

მეფუტკერებმა გაბედულად უნდა მოჰკიდონ ხელი ფაცელიას გამრავლებას, რათა საფუტკერები უზრუნველყონ

გარანტირებული საკვები ბაზით. რითაც შესძლებენ თავი აარიდონ სადღეისოდ არნახულად გართულებულ და ხშირად გაუმართლებელ შორეულ მთაბარობას.

## V - მეცნიერების ინიციატივის პრინციპები და ზომები

### სპეცი და ჩარჩოები

ნათქვამია: ქვეყანაზე რამდენი მეცნიერება არის, იმდენი ფუტკრის მოვლის წესი არსებობსო.

ამ ხუმრობით ნათქვამ შეგონებაში სიმართლის მარცვალიც არის და არც არის გასაკვირი, რადგანაც ფუტკრის სამყარო ეს ხომ ფანტზიების, გამოგონებების, ცდების, დამარცხებებისა და გამარჯვებების უშრეტი წყაროა.

ამიტომაც არის, რომ ზოგს დადან-ბლატის სკები მოსწონს, სხვას წოლელა, ან მრავალკორპუსიანი-რუტი; ზოგი პროფესიონალი ეგრეთნოდებულ რუსულ სკებზე გადავიდა, სადაც კორპუსს ზევიდან ისევ კორპუსი ედგმევა. ამ ბოლო დროს კი თანდათან ფეხს იკიდებს ფრანგი როუე დელონის მიერ შექმნილი ე.ნ. „ალპური“ სკა, რომლის აღნერილობა და კონსტრუქცია ბრწყინვალედ არის მოცემული ბატონ დურმიშან ყიფიანის წიგნში: „ფუტკრის მოვლა და მოშენება“. არ შეიძლება არ აღინიშნოს ის გარემოება, თუ როგორი გასაოცარი პროდუქტიულობით გამოიჩინა ასეთ სკებში მოთავსებული ფუტკრის ოჯახები.

რაშია საქმე? საქმე კი იმაშია, რომ ფუტკარი იქნება, თუ სხვა სულიერი, მას კიარუნდა ნავართვათ, არამედ უნდა დავუბრუნოთ ისეთივე ბუნებრივი გარემო, რომელშიც ის მრავალი წლების მანძილზე ჩვენამდე იმყოფებოდა და ცხოვრობდა. სახელდობრ: ფუტკრის თავდაპირველი სამყოფელი, ხომ ხის ფულურობი იყო და ბუდის ვერტიკალური მიმართულებაც ფუტკრის ცხოველმყოფელობას უფრო მიესადაგება.

სკის და ჩარჩოების დასამზადებელი მასალა უნდა იყოს კარგად გამომშრალი, ნაკლებად როგიანი და კარგად გაშალაშინებული. სკა ყოველ 2-3 წელიწადში ერთხელ გარედან უნდა შეიღებოს თავდაპირველად ოლიფით, შემდეგ კი საღებავებით თეთრად, ღია-ლურჯად ან ღია ყვითლად ამ ფერებს ფუტკარი კარგად არჩევს და იმახსოვრებს. ფუტკარი ძნელად არჩევს წითელ, შავ და მწვანე ფერს.



ამასთან შეღებვა სკას მატებს გამძლეობას და სილამაზეს.

სკის და ჩარჩოების მასალად გამოყენება რბილმერქნიანი ხის ჯიშები: წინვოვანებიდან ნაძვი, სოჭი, ფიჭვი, კედარი, ხოლო ფოთლოვანებიდან - ცაცხვი, ალვის ხე, ტირიფი, ვერხვი და სხვა.


რა სისქის უნდა იყოს სკის კორპუსის ფიცარი; თუ რუსეთის პირობებში 35-40მმ-ია მიღებული, საქართველოსთვის 30-35მმ. სამკრისია და შეიძლება უფრო ნაკლებიც, გააჩნია ზონას, სად არის საფუტკრე განთავსებული. მაგალითად, სვანეთისთვის, ნალკისთვის, ყაზბეგის რიანისა თუ ხევსურეთისთვის 35მმ. უპრიანია, ხოლო დაბალ ზონებში და დასავლეთ საქართველოსთვის 30მმ და უფრო ნაკლებიც შეიძლება. ეს მასალის ხარჯვის ეკონომიას განაპირობებს. ასე გასინჯეთ ბატონი არჩილ ლოლუა სკის საკუჭნაოებს სულაც 10მმ. სისქის ფანერისგან ამზადებდა. ჯერ ერთი ასეთი საკუჭნაო ხომ მსუბუქია და ადვილად დასამზადებელი და სახმარადაც ადვილი, მეორეც, შემოდგომით ხომ ისინი სკიდან იხსნება და რა საჭიროა სქელი მასალა?

ჩარჩოების შესაკრავი ლურსმანი უნდა იყოს 30მმ. სიგრძის და 1,4-1,6მმ. დიამეტრის.


ჩარჩოს მავთული უნდა იყოს მოკალული, რბილი რკინისაგან დამზადებული 0,4-0,5მმ. დიამეტრის ტოლი. დაუშვებელია სპილენძის ან მოთუთიებული მავთულის გამოყენება, რადგანაც ის შედის თაფლთან რეაქციაში და ტოქსიკური ხდება. მოკალვის გარდა შეიძლება მავთულის გამდნარ სანთელში ამოვლება, მაგარი მავთული გამოყენებისას ხშირად წყდება, ამიტომ საჭიროა მისი მოშვება; გახურება განითლებამდე და მერე ჰაერზე გაციება.




სკის ბუდის ჩარჩოს ზომები




სკის საკუფნაოს ჩარჩოს ზომები




ფიცრების შეერთების ხერხები: а - მეოთხედში; б - კრტაში; გ - კილოსა და თხემში; დ - კილოში ლარტყით.




ჩასადგმელი ფიცრის ცალკეული ნაწილების შემჭიდროება: а - კილო; б - გამყოფი ფიცრის ფარი.




მრავალკორპუსიანი სკა (а - ჭრილი ჩარჩოების გასწრივ, б - ჭრილი ჩარჩოების გარდიგარდმო): 1 - дно; 2 - кроптусы; 3 - чарчо; 4 - книга; 5 - сабурчаги; 6 - книжный блок; 7 - сабурчаги (блоки измельченных листьев).




ორკორპუსიანი სკა, ბუდის 12 და საკუჭნაოს 24 ჩარჩოთი, (ა - ჭრილი ჩარჩოების გასწვრივ; ბ - ჭრილი ჩარჩოების გარდიგარდმო); 1 - ძირი; 2 - საფრენის შემზღვდველი; 3 - მისაფრენი ფიცარი; 4 - მისაფრენი ფიცრის ზედსადები; 5 - საყელური; 6 - ტრიალა; 7 - სკის კორპუსი; 8 - ცობოლა; 9 - ზედა საფრენის სარქველი; 10 - საკუჭნაოები; 11 - ბუდის ჩარჩო; 12 - საკუჭნაოს ნახევარჩარჩო; 13 - სახურავის ფარი, ზომები მოვალეობებშია).



თექვსმეტჩარჩოიანი წოლელა სკა ( ა - ჭრილი ჩარჩოების გასწვრივ; ბ - ჭრილი ჩარჩოების გარდიგარდმო): 1 - კორპუსი, 2 - ბუდის ჩარჩო, 3 - გამყოფი ფიცარი, 4 - საკუჭნაო, 5 - სახურავის ქვედა სარტყელი, 6 - საკუჭნაოს ჩარჩო, 7 - სახურავი, 8 - ზედა საფრენის შემზღვეველი, 9 - ქვედა შემზღვეველი (ზომები მილიმეტრებშია).



20 - ჩარჩოიანი ნოლელა სეა (ჭრილი ჩარჩოების გასწვრივ; ბ-ჭრილი ჩარჩოების გარდიგარდმო): 1 - ძირი; 2 - საფრენის შემზღვეველი; 3 - კორპუსი; 4 - საფრენი ფიცარი; 5 - საყელური; 6 - საფრენი ფიცრის ლითონის ზედსადები; 7 - ტრიალა; 8 - ბუდის ჩარჩო; 9 - ცობოლა; 10 - ჭერის ფიცარი; 11 - ზედა საფრენის სარქველი; 12 - სახურავი; 13 - სავენტილაციო სარქველი; 14 - საკუჭნაოს ჩარჩო (ზომები მილიმეტრებშია).



უკრაინული ოცხარჩოიანი წოლელა სეა (ჭრილი ჩარჩოების გასწვრივ; ბ - ჭრილი ჩარჩოების გარდიგარდმო): 1 - სკის კორპუსი; 2 - სახურავი; 3 - ძირი; 4 - ჩარჩოები; 5-6 - გამყოფი ფიცრები; 10 - შემამჭიდროებელი ლარტყა; 11 - საფრენი ფიცარი (ზომები მიღწეული მიღწეული მიღწეული).

## VI - მს საინტერესოა

გვალვილი ფელი ემჯოგებია თუ ხანგრძლივი წვიმებიანი?

რასაკვირველია, ხანგრძლივი წვიმებიანი, და აირატომ. გვალვიან წელს ბალახოვანი საფარი ხომ ერთიანად გადახმება და არც ხე-მცენარეებს დაადგებათ ხეირი; რადგანაც მაღალი ტემპერატურა და ჰაერის შეფარდებითი სინოტივის დაქვეითება არამცთუ მკვეთრად ამცირებს ნექტრის გამოყოფას, არამედ იწვევს სანექტრეების დეფორმაციასაც და შესაბამისად ნექტრის გამოყოფაც წყდება.

ასეთი არნახული გვალვიანი იყო 2000 წელი, როდესაც ხევსურეთში, კერძოდ, ბარისახოში და წალკაშიც კი ბალახოვანი საფარი ერთიანად გადახმა და მხოლოდ ხშირტყიან ზონებში - ყვარელსა და სხვა ადგილებში ოდნავ სულ ი მოითქვა ფუტკარმა.

აღნიშნულის სრული კონტრასტი იყო 2002 წელი, როდესაც ხანდაზმულ მეფუტკარებსაც კი არ ახსოვთ ასეთი გადაუღებელი წვიმები და დაბალი ტემპერატურა. ასეთ პირობებში გავიდა მაისი, ივნისის პირველი ნახევარი და, როცა საბოლოოდ ამოინურა ფუტკარის საკვებად გამიზნული თაფლისა და შაქრის სეროფის მთელი მარაგი, მხოლოდ მაშინ გამოიდარა და ...

წამოვიდა ნექტრის ნიაღვარი და ღალიანობა ივლისშიც გაგრძელდა, განსაკუთრებით დაბალ და საშუალო ზონებში, სადაც საკონტროლო სასწორებმა სეზონის დაწყებიდან 50-65 კილოგრამ მატების ზღვარს მიღავის. ესეც თქვენი ხანგრძლივი წვიმებიანი წელი!

ეხლა ერთი საინტერესო რამ ჩვენი პრაქტიკული გამოცდილებიდან: მარვალწლიანი დაკვირვებით გაირკვა, რომ, როცა მცენარე ნექტარს არ გამოყოფს, ის ყვავილებიდან ძალზე არომატულ სუნს გამოსცემს, თითქოს მას სურდეს გაძლიერებული სურნელით თავისი ყვავილებისაკენ მნერები მაინც მიიზიდოს. ეს განსაკუთრებით აღნიშნება აკაციას. მას ფუტკარი ამ დროს აღარ ეტანება ხოლმე.

და ზოგჯერ ერთი საოცრებაც გამოერვა: ჩვეულებრივი, არაფრით გამორჩეული წელი, მაგრამ თაფლოვან მცენარეებს ნექტრის გამოყოფა არ ახასიათებთ და პირიქით, როცა ნექტარი თაფლოვანებიდან პირდაპირ “იწველება”.

ჩვენი ვარაუდით ასეთი კონტრასტული და ამასთან აუხსნელი მოვლენები შეიძლება დაკავშირებული იყოს კოსმიურ გარემოში მიმდინარე პროცესებთან.

## როგორ დავიძილოთ ზეტყარი ტყევზი?

ამისათვის საჭიროა განვსაზღვროთ ფუტკრების უკან გაფრენის მიმართულება. თუ გვაქვს საშუალება ფუტკრის თავშეყრის ადგილის სიახლოვეს დავდგათ შაქრიანი სიროფი ის უფრო დიდი რაოდენობის ფუტკარს მიიზიდავს. ეს კი გაგვიადვილებს თვალთვალს. როდესაც ფუტკრის ბუდეს მივაგნებთ, პირველი საკითხი გადაწყვეტილი იქნება.

გატყიურებული ფუტკრის სკაში მოსათავსებლად უნდა მოვიმარაგოთ პირბადე, საბოლებელი და ნაყრის საჭერი ბადე.

თუ ფუტკრის ოჯახი ფულუროშია, მაშინ ფულუროს უკანა კედელი ბურლით უნდა გაიხვრიტოს. სასურველია ბუდის ზედა ნაწილში და აქედან უნდა შევუბოლოთ, ხოლო იმავდროულად წინა მხრიდან მივაფაროთ ნაყრის საჭერი ბადე; ბოლით შეწუხებული ფუტკარი საფრენის მიმართულებით გაედინება და ბადეში შეგროვდება. ასეთნაირად ფუტკარს სკაში მოვათავსებთ, ფულუროს ხვრელის გადიდებით კი შესაძლებელი იქნება ფიჭების ამოჭრა და ჩარჩოებში ჩამაგრება.

კლდეში დაბუდებული ფუტკრის ოჯახის გამოყვანა შედარებით რთულია. ასეთი გზით მოპოვებული ფუტკრის ოჯახი თავის ადგილსამყოფელს 10 კილომეტრის დაშორებით მაინც უნდა მოვაცილოთ. არა და ისევ უკან დაბრუნდება.

### ზეტყარის მარტივი საჭუროებები

ფუტკარს დიდი რაოდენობით წყალი სჭირდება. ის აუცილებელია ოჯახის ნორმალური არსებობისათვის. ფუტკრის სხეული უზვად შეიცავს წყალს. მაგალითად, მისი შემცველობა კუნთებში 75-80 პროცენტი, ხოლო ჰემოლიმფაში დაახლოებით 80 პროცენტია. მუშაობისას მწერი გამუდმებით კარგავს წყალს, ხარჯავს საკვები პროდუქტების გადამუშავებისას, ნივთიერებათა ცვლის შედეგად და სხვ.

ფუტკრის ოჯახი განსაკუთრებით ბევრ წყალს მოიხმარს გაზაფხულსა და ზაფხულში საკვების მოსამზადებლად და ამ თაფლიანი წყლით ბარტყის გამოსაკვებად. ისეთ პერიოდში, როცა სუსტი ღალიანობაა, ან სრულიად არაა ნექტარი, ფუტკრებს დიდი რაოდენობით წყალი მოაქვთ. მას ისინი იღებენ ნაკადულიდან, ჭაობიდან, რაც შეიძლება დაავადების გამომწვევ მიზეზად იქცეს.

ფუტკარი ჭუჭყიან წყალს ეტანება იმისათვის, რომ მარილის ნაკლებობას განიცდის.

გაზაფხულზე, ცუდ ამინდში ფუტკარს გარეთ გამოფრენა არ შეუძლია, თაფლში განზავებული წყალი კი დიდი რაოდენობით სჭირდება ბარტყის საკვებად. ამ დროს ხშირია შემთხვევა, როცა ფუტკრები უწყლობის გამო ღია ბარტყის გარეთ ყრიან. ზოგჯერ ისინი წყლის მოსახებნად დაბალ ტემპერატურაზე გამოდიან სკიდან (+6-8°) ცივდებიან და იღუპებიან.

ფუტკრებს წყალი მოაქვთ არა მარტო წყურვილის მოსაკლავად, არამედ ბუდის გასაგრილებლად და სკაში ტენიანობის გასაზრდებალდ, მწერი მოტანილ წყალს ფიჭის უჯრედებში კი არ ინახავს, არამედ გადასცემს სხვა ფუტკრებს შესანახად; ეს ფუტკრები ახლოს არიან ღია ბარტყთან და მხოლოდ წყლის მარაგს ინახავენ, სხვა სამუშაოს ისინი არ ასრულებენ. რამდენიმე ხნის შემდეგ სათაფლე ჩიჩასვში დაგროვილ წყალს უმატებენ თაფლს; ზოგიერთები მიღებულ თხელ თაფლს ათავსებენ ბარტყის გარშემო ნაპეურის სახით. იმისათვის, რომ ფუტკრები ტყუილუბრალოდ არ კარგავდნენ დროს, ენერგიას და წყლის ძებნაში არ იხოცებოდნენ, სასურველია და აუცილებელი საფუტკრეში მოეწყოს საწყურვებელი.

საწყურვებელი მრავალნაირია. მსხვილ საფუტკრეებში იყენებენ დიდ, დახურულ ჭურჭელს ონკანით, რომლიდანაც დახრილ, კლაკნილ ღარებიან ფიცარზე წყალი წვეთავს, ის მუდამ სველია და მწერიც იღებს წყალს, მაგრამ მას აქვს უარყოფითი მხარეც, ონკანს მეტად მოვუშვებთ, ჭურჭელი სწრაფად იცლება, მოვუკლებთ და ტემპერატურის ცვლილებასთან დაკავშირებით სულაც წყდება და ფუტკარი უწყლოდ რჩება.

ყველას ჯობია და ხელმისაწვდომია თეფშზე გადმობრუნებული მინის ქილა. ეს ასე კეთდება: ვიღებთ ჩევეულებრივ თეფშს (ფაიფურის ან პლასტმასის) და ასანთის სიმსხო გრძელ ჩხირს, რომელიც ქილის პირის დიამეტრს ჭარბობს. ამ ჩხირს დავადებთ წყლით სავსე ქილას პირზე, დავდგამთ ზედ თეფშს ზევითა მხრიდან და სწრაფად გადმოვაბრუნებთ. ამ მდგომარეობაში ვდგამთ საფუტკრის განაპირის, მოხერხებულ ადგილას ბრტყელ ქვაზე, ფიცარზე, აგურებზე, ტაბურეტზე ან სხვა ბრტყელ საგანზე. დიდ საფუტკრეში საჭიროა რამდენიმე ასეთი ქილა, პატარაში - ერთიც საკმარისია.

სასურველია ახალ-ახალი წყლის დადგმა. უმჯობესია და საჭიროც 3 ლიტრიან ქილა წყალში გაიხნას ერთი ჩაის კოვზი სუფრის მარილი. მაშინ ფუტკრები ჭუჭყიან წყალს აღარ მიეტანებიან.

## გაზი და ფუტკარი

რუსი მეცნიერი მიხეილ გლუხოვი წიგნში “თაფლოვანი მცენარეები” (გვ.154) წერს: “ვაზი ქარით დამმტვერავი კულტურაა. მაგრამ მისი ყვავილედების აგებულება კარგად მიესადა გება მწერებით დამტვერვასაც. ცნობილია, რომ ქარი ყოველთვის ვერ უზრუნველყოფს მცენარის მთლიანად დამტვერვას. ამიტომ მწერებით მისი დამტვერვა ყოველთვის სასურველია და ზოგიერთ შემთხვევაში აუცილებელიც, როცა საქმე გვაქვს ჯვარედინად დამტვერავ ჯიშებთან. ამით კი გამოირიცხება ისეთი არასასურველი მოვლენა, როგორიცაა მარცვლის განუვითარებლობა და ცვენა.

ამიტომაც არის, რომ ყურძნის მოსავლიანობის გასადიდებლად და მისი ხარისხის ასამღლებლად ვენახებში გამოიყენება ფუტკრის დაგეშვა. ამ მიზნით ფუტკრის ოჯახებს კვებავენ შაქრის სიროფში შერეული ვაზის ყვავილებით.

ხოლო, რაც შეეხება ყურძნის მნიშვე მარცვლებს ფუტკარი სიტყბოს წუნწის მხოლოდ დაზიანებული, გახეთქილი მარცვლიდან ან გვიან შემოდგომაზე რთველს გადარჩენილი გადამნიშვებული მტევნებიდან”.

მეორე მაგალითი წიგნიდან “მეფუტკრეობა” - ავტორები ს.ა. როზოვი და ა.ფ. გუბინი. გვ. 543. აქ ვკითხულობთ: “ყურძნის ყვავილები, რომლებიც ჯვარედინ დამტვერვას არ განიცდიან, გაუნაყოფიერებელი რჩებიან, ცვივა და ნაყოფს არ ისხამს, ვინაიდან ძვირფასი ჯიშების მნიშვნელოვან ნაწილს მხოლოდ მდედრობითი ყვავილები გააჩნიათ, მათვის ჯვარედინი დამტვერვა აუცილებელია. მართალია, ნაწილობრივი დამტვერვა ქარის საშუალებითაც წარმოებს, მაგრამ დამტვერვის ეს მეთოდი, როგორც ჯერ კიდევ დარვინი აღნიშნავდა, ნაკლებად სრულყოფილია. ყირიმის ერთ-ერთ მეურნეობაში, სადაც გამოყენებული იყო ფუტკრის დაგეშვა ვენახებში, მიღწეული იქნა მნიშვნელოვანი წარმატება. თითო ჰექტარზე გაანგარიშებით მოსავლიანობა 650 კგ-დან გაიზარდა 7200 კგ-მდე. როგორც ჩანს განსხვავება დიდია”.

ზემოთ აღნიშნულიდან გამოდინარე ცხადზე ცხადია, თუ რამდენი სიკეთის მოცემა შეუძლია ფუტკარს. ამიტომს ღვთის წინაშე დიდი ცოდვა იქნება, თუ ფრინველისა და კრაზანებისაგან დაზიანებული ყურძნის მარცვლებიდან გამონაუონი ტკბილის ათვისებას ამ კურთხეულ მწერს ბოროტებად ან ქურდობად ჩავუთვლით.

## პპირიონი კი არ დაპხროეთ, დაპავროთხოეთ

კვირიონი ლამაზი ფრინველია. მართალია, ის ფუტკარს ემტერება, ჰაერში იჭერს და ჭამს, მაგრამ ეს ხდება მაშინ, როცა სხვა საკვებს ვეღარ პოულობს.

ეს ფრინველი ყაპყაპისნაირთა რიგს განეკუთვნება. საკმაოდ მრავალრიცხვანი და მრავალფეროვანი ჯგუფია და 140-მდე სახეობას შეიცავს. საკუთრივ კვირიონისებრთა ოჯახში 23 სახეობა შედის. აქედან საქართველოში გავრცელებულია ორი სახეობა - ოქროსფერი და მწვანე. იკვებება მწერებით და მათი განადგურებით დიდ სამსახურს უწევს ბუნებას. ჩვენში უმეტესნილად ოქროსფერი კვირიონია გავრცელებული.

ეს ფრინველი ზამთარს თბილ ქვეყნებში ატარებს. ჩვენთან აპრილ-მაისში მოფრინდებიან და იწყებენ ბუდობისათვის მზადებას. ეტანებიან ხევებით, ხრამებითა და ფლატებით დასერილ ადგილებსა და გორაკებს, სადაც მეჩხერი ხემცენარეები და ბუჩქნარია. უამინდობის დროს, როცა მწერები მიმალული არიან, კვირიონები საკვების მოსაპოვებლად საფუტკერებს მიმართავენ. მეფუტკრე იძულებულია ამ დროს დაიცვას ფუტკარი რითაც კი შეუძლია, მათ შორის თოფითაც. მაგრამ მათი დახოცვა ნიშნავს ბუნებისათვის ზიანის მიყენებას.

მათი მოშორების ყველაზე ეფექტური მეთოდი ესაა დაფრთხობა. ბოლო დროს საზრიანმა მეფუტკრემ სამტრედიის რიაონის სოფელ ენერიდან ბატონმა ირაკლი დიდიძემ ასეთი ხერხი იხმარა: გრძელ ბანარზე ბაფთისებურად ჩაკვანდა მოგრძო ზომის ქსოვილის ნაჭრები შემდგი თანმიმდევრობით: წითელი, მწვანე, თეთრი. ეს ბანარი ანუ თოკი გააპა საფუტკრესთან ახლოს მაღალ ხეებზე. ნიავზე ბაფთები ირხევიან, ფრინველმა, ნახა რა ისინი, შეშინდა და გაერიდა აღნიშნულ ტერიტორიას. დაისვენა თოფმაც და ადამიანმაც. თუ კი ყველა მეფუტკრე გააკეთებს ამას, დარწმუნებული ვართ კვირიონები ფუტკარს ზიანს აღარ მიაყენებენ, ანდა ზარალი უმნიშვნელო იქნება.

## მოყვარული ეფუტებრი სიახლეს გვთავაზობს

როცა ორი მეფუტკრე საუბრობს, ეს ძალიან საინტერესოა, ხოლო თუ ლაპარაკში სამი და მეტია ჩაბმული, ეს უკვე მეცნიერებაზე მსჯელობაა. და აი, ერთ-ერთი ასეთი “კამათის” დროს, მოყვარულმა მეფუტკრემ სკის ჩარჩოს თავისებური კონსტრუქცია შემოგვთავაზა -

“გალიფე”. სანდაზმულებს ეხსომებათ - ადრე ასეთი ფორმის შარვლები იყო მოდაში, განსაკუთრებით სამხედროებში - ოფიცრებში.


ჰოდა “გალიფეს” კონსტრუქციის გვერდითი თამასების ფორმაც შემდეგნაირია: სიგანეში ის ზედა თამასასთან ჯერ ვიწროა, შემდეგ განივრდება და მერე ისევ ვიწროვდება.

ახლა განვიხილოთ, თუ რა უპირატესობა აქვს ახლებურ კონსტრუქციას ჩვეულებრივთან შედარებით.


როდესაც ფუტკარი იმყოფება ჩარჩოს ზედა ნაწილში და ამ ჩარჩოდან მეორე ჩარჩოზე უნდა გადასვლა, ის აუცილებლად უნდა ჩავიდეს ჩარჩოს ქვედა ნაწილში და ისე გადავიდეს მეორე ჩარჩოზე, რადგანაც გვერდითი თამასების გაგანიერებული ნაწილი ერთმანეთს ეკვრის და მას გადასვლის საშუალებას არ აძლევს.

სულ სხვა სურათია “გალიფე” ჩარჩოს დროს, ფუტკარს თავისუფლად შეუძლია მეორე ჩარჩოზე გადასვლა ფიჭის, როგორც ზედა ნაწილიდან ასევე ქვევიდან და ის გარკვეულწილად აღარ წვალობს დაბლა-მაღლა ასვლა-ჩასვლაზე და დროშიც იგებს.

საინტერესოა, რას იტყვიან ამ სიახლის შესახებ მეფუტკრეები და თუ მათი შეფასება დადებითი იქნება, მაშინ იქნებ შემდეგ ასეთი კონსტრუქციის ჩარჩოები დავამზადოთ?!



სტანდარტული  
გვერდითი თამასა



შემოთავაზებული  
გვერდითი თამასა

## ზუტპარმა აღამიათოან დაიღო ბინა

ნაღდ ქართველს, ბატონ გურამ სოფრომაძეს ხობის რაიონის სოფ. ჭალადიდში მამა-პაპისეული სახლი და კარ-მიდამო აქვს. რამდენიმე თავისუფალ დღეს რომ დაიგულებს, უმაღ მიაკითხავს ხოლმე წინაპართა ნაფუძარს, შრომობს და უვლის მამულს, ნარგაობას. მერე, ნაშრომ-ნაჯაფარი, მზეზე გარუჯული და დაკოურილი ხელებით, მაგრამ ბედნიერი ლიმილით გვესტუმრება ხოლმე რედაქციაში და თან ახლად გამოსულ გაზეთს შემოგვთავაზებს, სადაც თითქმის ყოველთვის მისი შინაარსიანი წერილები არის დაბეჭდილი. ერთხელ სოფელში ჩასულს მეზობლებმა აცნობეს, რომ მისი სახლის კედელში, ბლოკებს შორის ნაპრალში, ფუტკრები შედიან და გამოდიან, ეტყობა იქ ბინა დაიდესო. თუ მოისურვებთ გამოყვანაში დაგეხმარებითო. აქ მოვიდა გამოცდილი მეფუტკრეც ბატონი დათო ჯოჯუა მთელი აღჭურვილობით და დაიწყეს სამოქმედო გეგმის შედგენა.

ფუტკარი ბლოკის ნაპრალიდან პირველი სართულის ჭერსა და მეორეს იატაკა შორის ცარიელ სივრცეში განთავსებულიყო.

“შტურმის” მონაწილებმა ჭერის ფანერის ჩამოხსნას, რომელიც დიდი ზომისა იყო, მეორე სართულის იატაკის 6 ფიცრის აყრა ამჯობინეს. ფუტკარი დედა ფუტკრიანად სკაში ჩაბერტყეს და კედლის ძირას იმ ადგილას დადგეს, სადაც ფუტკარს ბლოკებს შორის საფრენი ჰქონდა მოწყობილი. ჭერში დარჩენილი ფუტკარი საბოლებლით გარეთ გამოდევნეს და ბლოკის ნაპრალი გარედან კარგად ამოგმანეს.

ნადავლმა - ფიჭებმა და თაფლმა რამდემე ვედრო შეგასო, ხოლო მისგან ხელით გამოწურულმა სუფთა თაფლმა 25 კილოგრამი შეადგინა.

ფუტკარი მეფუტკრეს არგუნეს, სურნელოვანი თაფლი კი მასპინძელმა და მეზობლებმა ძმურად გაინანილეს.

## თაფლისაგან მიღებული სასმელები

თაფლის ძმარი. თაფლის გამოწურვის სამუშაოების ჩატარების შემდგომ ციბრუტი, ფიჭის ასათლელი დანები და სხვა ინვენტარი ირეცხება და ვლებულობთ საქმიად ტკბილ წყალს, რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნეს სხვადასხვა სასმელების დასამზადებლად.

თუ 10 ლიტრ წყალზე 1,5-2,0გ. თაფლი მოდის მას დაემატება ერთი კოვზი საფუარი ან ჭეოს და შავი პურის ქერქის პატარა ნაჭერი და დაიდგმება თბილ ადგილას. დუღილის შემდგ მიიღება ტკბილი

სასმელი, რომელიც შემდგომში ძმარდება.

თაფლის ღვინო. ჩვენს პრაქტიკაში ბევრჯერ დაგვიმზადებია ტკბილი თაფლ-წყალისაგან შუშხუნა ღვინო, რომელსაც ხუმრობით შამპანიურსაც ვეძახით ხოლმე, რადგანაც შამპანურის ბოთლებში მზადდება ჰერმეტულად თავდახურული და ხვეული მავთულით გამაგრებული საცობი ისე, როგორც ეს ქარხნულ შამპანურს ახლავს.

მზა პროდუქციას საცობი ფრთხილად უნდა მოქსნას, რადგანაც დაგროვილი გაზი მას ტყვიასავით ისვრის. ასეთი წესით დამზადებული სასმელი, მართალია, დაბალ გრადუსიანია, მაგრამ ერთობ სასიამოვნო და სახალისო დასალევია.

თაფლის არაყი. თაფლ-წყალში ყრიან თაფლისაგან გამოწურულ ან ანათალ ფიჭის ნაჭრებს და აცლიან დადუღებას. დადუღების შემდეგ ჩვეულებრივ გამოხდით მიიღება ცვილის არომატისა და გემოს არაყი, რომელსაც ცვილის არაყს, თაფლის არაყს, ხოლო გურიაში კი ბუზის არაყს უწოდებენ. ის სამკურნალო დანიშნულებითაც გამოიყენება და ძვირადაც ფასობს.

## ფუტკარი ფოსტალიონი

უხსოვარი დროიდან ექვებდა ადამიანი მოხერხებულ საშუალებებს სიგნალების შორ მანძილზე გადასაცემად. ამ მიზანს ემსახურებოდა სხვადასხვა პირობითი ნიშნები, მთებზე გაჩაღებული ცეცხლი, კოშკებზე მოწყობილი მოძრავი ფრთები - ოპტიკური ტელეგრაფი, დაბოლოს, ელექტრული იმპულსების სადენებში “მოგზაურობა”.

განსაცვიფრებელი მიღწევებია მოპოვებული დღეისათვის კაშირგაბმულობის ტექნიკაში. მაგრამ, თურმე, ადამიანმა ცნობების სწრაფად გადაცემისათვის ფუტკარიც კი გამოიყენა.

ყველამ იცის, რომ ფუტკარს ძალზე განვითარებული აქვს ერთი შესანიშნავი ინსტიქტი - რაც არ უნდა შორს გაფრინდეს, გზა არ აებნენა და “მშობლიურ კერას” უბრუნდება.

პირველად 1880 წელს ფუტკარების ამ საოცარ უნარს ყურადღება მიაქცია ცნობილმა ფრანგმა მეცნიერმა ფაბრი. მას ეგონა, რომ აღმოაჩინა ფუტკარების “ორიენტირების ინსტიქტი”.

შემდგომ საბჭოთა მეცნიერმა კულაგინამ გადაწყვიტა შემოწმებინა ფაბრის პიპოთებზა. გამოირკვა, რომ მწერებს, საერთოდ, არა აქვთ “ორიენტირების ინსტიქტი”. ეს არის უბრალოდ შეგრძნების უნარი. ყოველი ფუტკარი გაფრენის დროს ტოვებს სუნის მექონე მატერიის ძალზე პანანინა ნაწილაკების თავისებურ “ძაფს”. სწორედ ეს

“ძაფი” ეხმარება მას, თუნდაც ქარმა სუნი ძალზე შორს გადაიტანს, შეურიოს ათასობით სხვა სუნს.

სწორედ ამ თვისების გამო დააკისრეს ფუტკარს “ფოსტალიონის” მოვალეობის შესრულება.

მსოფლიოში პირველი “ფუტკარის ფოსტა” მოაწყო ფრანგმა მეფუტკერემ ტაინაკემა და მისმა მეგობარმა, რომელიც მისგან ერთი საათის სავალზე ცხოვრობდა. ტაინაკე სრულიად არ ფიქრობდა რაიმე მეცნიერულ დაკვირვებაზე, მას უბრალოდ უნდოდა გამოეცადა ახალი “კავშირგაბმულობის საშუალება”.

მეგობრებმა ერთმანეთს გაუცვალეს ფუტკრები. მათ ნაკლებ საჭმელს აძლევდნენ. როცა საჭირო იყო დეპეშის გაგზავნა, მეფუტკე ფრთოსან ტყვეებს ოთახში შეუშვებდა, სადაც თაფლიანი თევზი იდგა. მშეირი ფუტკრები მაშინვე თაფლს ეტანებოდნენ და ვერც კი გრძნობდნენ, როგორ მოხერხებულად აწებებდა მათ მეფუტკე თხედ პაპიროსის ქაღალდს.. თაფლით დანაყრებული ფუტკრები ოთახიდან ქუჩაში გამოდიოდნენ და მშობლიური სკისენ - მეორე მეფუტკრისაკენ მიფრინავდნენ. სკების შესასვლელში გაკეთებული იყო წვრილი ნახვრეტები, რომლებშიც ფუტკრები ძლივ-ძლივობით ძვრებოდნენ. სწორედ ამ მომენტში მეფუტკრე ფრთხილად აცლიდა ზურგიდან დეპეშას, რომელზეც რაიმე ციფრი ეწერა; ციფრი კი პირობითი ნიშანი იყო. ასე, მაგალითად, 245 ნიშანვდა: “დღეს ჩემთან ვახშმად მოდი აუცილებლად”!

მალე ასეთი “ფოსტით” დაინტერესდნენ უურნალისტები და გაზეთებში ხშირად იბეჭდებოდა საინტერესო ცნობები ტაინაკის ექსპერიმენტებზე. ერთ-ერთი ასეთი წერილით დაინტერესდა გერმანიის სამხედრო დაზვერვა.

ახლოვდებოდა პირველი მსოფლიო ომი. ფრანგები გერმანიის საზღვართან თავს უყრიდნენ თავიანთ დივიზიებს: ქვეით, კავალერიისა და საარტილერიო ნაწილებს. მშვიდობიანი მოსახლეობა მიესალმებოდა თავის არმიას, უმასპინძლდებოდნენ მათ. მხოლოდ რამდენიმე “მეფუტკრე” იქცეოდა ძალზე უცნაურად. “მეფუტკრეები”, რომლებიც სინამდვილეში გერმანელების აგენტები იყვნენ, ფუტკრებს თაფლიან თევზებთან უშვებდნენ და ქაღალდის ნაცვლად წვრილ აბრეშუმის ძაფებს უკეთებდნენ: ნითელი ძაფი - ქვეით ჯარს ნიშნავდა, მწვანე - არტილერიის ნაწილს, ცისფერი - კავალერიას; შემდეგ ისინი ფარნჯვრებს აღებდნენ და ფუტკრებს გარეთ უშვებდნენ. “გულუბრყვილი” ფუტკრები მოკლე გზით ბრუნდებოდნენ გერმანიაში. აქ კი გერმანიის გენერალური შტაბის ოფიცირები ითვლიდნენ აბრეშუმის ძაფებს - იგებდნენ ჯარის რა ნაწილებს მოუყარეს თავის ფრანგებმა გერმანიის საზღვარზე...

მას შემდეგ მრავალი წელი გავიდა და ახლაც ყველას აინტერესებს, გადაიცემა თუ არა ფუტკრების დახმარებით შორ მანძილზე რაიმე სიგნალები. რასაკვირველია, გადაიცემა, მაგრამ უფრო “მაღალ ტექნიკურ დონეზე” - ფუტკარს ფრთაზე ძნელად შესამჩნევ მიკროსკოპულ ნიშნებს უკეთებენ, რომელსაც შემდეგ მიკროსკოპებს კითხულობენ.

რატომ სჭირდებათ ასეთი “ფოსტის” გამოყენება, როცა თანამედროვე რადიოტექნიკამ განსაცვიფრებელ ნარმატებებს მიღწია?

საქმე ისაა, მზვერავის მიერ რადიოთი გადაცემული ცნობა შეიძლება ხელთ იგდოს მონინააღმდეგებმ მძლავრი აპარატურის დახმარებით. განსაკუთრებით ძნელდება რადიოკავშირი ომის დროს. რადგანაც ათასობით სუსტი და მძლავრი რადიოსადგური მუშაობს, ბევრი მათგანი ახშობს ტალღებს, გამოსცემს ხმაურს, რათა ხელი შეუშალოს გადაცემებს.

ადამიანმა შეძლო, რომ ფუტკარი - ეს პანანინა მწერი, რომელიც ისედაც დიდ საქმეს აკეთებს - კავშირგაბმულობაში გამოეყენებინა.

ფუტკარი? ეს შესანიშნავი მოგონებაა - დღესაც ამბობენ თურმე ზოგიერთ ქვეყნის სამხედრო მზვერავები.

## VII - ზოგიერთი საპითხი მეფუტპრემბის თეორიიდან

ქართველი ხალხი უხსოვარი დროიდან მისდევდა მეფუტკრეობას, რომლის პროდუქტებით მარტო მოსახლეობის მოთხოვნილებები კი არ კმაყიფილდებოდა, არამედ ისინი ღვინოსთან, აბრეშუმთან, მატყლთან და სხვა პროდუქტებთან ერთად საზღვარგარეთაც გაპქონდათ.

ისტორიული წყაროებიდან ცნობილია, რომ ჩვენი წინაპრები მეფუტკრეობას ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხამდე IV საუკუნეში მისდევდნენ.

ასეთი ტრადიციების ქვეყანაში მეფუტკრეობამ თითქოს დაკარგა თავისი მნიშვნელობა. ალბათ, რომ არა ენთუზიასტების დაუღალავი შრომა, ქართული ფუტკარი გადაშენდებოდა კიდეც. არადა ქართული მთის რუხი ფუტკარის განსაკუთრებული ღირსებები და ჩვენი ღვთითკურთხეული ქვეყნის თაფლვანი მცენარეების მრავალფეროვნება იმის გარანტიას იძლევა, რომ ეს დარგი განვავითაროთ და შევქმნათ ფუტკრის პროდუქტების სიუხვე, რომელთა სასარგებლო და სამკურნალო თვისებები ამოუწურავია ადამიანისათვის.

## მეცნიერობის განვითარების ისტორია

ჩვენს პლანეტაზე არსებობს მილიონზე მეტი მწერის სხვადასხვა სახეობა, რომელთა შორის ადამიანმა თავის სასარგებლოდ მხოლოდ რამდენიმე გამოიყენა, მათ შორისაა თაფლის შემგროვებელი ფუტკარი.

30 - მილიონი წლის წინანდელი პერიოდის ცარცის შრეებში სხვადასხვა გაქავებულ მწერებთან ერთად ნაპოვნია ფუტკარიც, რაც მიგვანიშნებს, რომ იგი დედამინაზე გაჩნდა დაახლოებით 140 მილიონი წლის წინათ ე.ი. ადამიანზე უფრო ადრე. მისი პირველი ადგილსამყოფელი ყოფილა: ევროპა, ახლო აღმოსავლეთი, აფრიკა და კავკასია, შემდეგ კი გავრცელებულა მთელ მსოფლიოში.

6000 წლის წინათ ეგვიპტის მოსახლეობა შინაურ ფრინველებთან ერთად ფუტკარსაც აშენებდა; თუ რამდენად აფასებდნენ ეგვიპტელები ფუტკარს, გვიჩვენებს ისიც, რომ ფარაონებს ემბლემებზე და აკლდამებზე გამოსახული ჰქონდათ ფუტკარი.

ბერძნულ მითოლოგიაში თაფლის სასწაულმოქმედებაზე მრავალი ლეგენდა არსებობს. ჰომეროსი თავის უკვდავ ნაწარმოებებში “ილიადასა” და “ოდსეაში” უმღერის თაფლს და მის შესანიშნავ მკვებავ თვისებებს.

ესპანეთში, ვალენსიაში, მიკვლეული იქნა კლდის ფრესკა, რომელზეც გამოხატულია ფუტკრის ბუდეზე მონადირე ადამიანი; მკვლევართა აზრით აღნიშნული ფრესკა შესრულებული უნდა იყოს 15-20 ათასი წლის წინათ და ადასტურებს იმაზრს, რომ პალეოლითის ხანაში ადამიანისათვის ცნობილი იყო ფუტკრის პროდუქტების გამოყენება.

ისტორიული წყაროებიდან ირკვევა, რომ ქართველი ტომები შინაურ მეფუტკრეობას ძეველი წელთაღრიცხვის მე-4 საუკუნეში იცნობდნენ, ძველ ქართულ ხალხურ მედიცინაში თაფლი რეკომენდებულია სხვადასხვა დაავადებების სამკურნალოდ.

მეფუტკრეობა ინტენსიურად იწყებს განვითარებას ქრისტიანობის გავრცელების ეპოქაში, სწორედ მაშინ დაიწყო ფუტკრის ცვილის გამოყენება სხვადასხვა რელიგიური რიტუალების შესრულების საჭიროებისათვის.

უფრო მოგვიანებით, როცა კონტინენტებს შორის დამყარდა სახმელეთო და საზღვაო კავშირი, ფუტკრის სკები გადატანილი იქნა-ჩრდილოეთ ამერიკაში 1630 წელს, ავსტრალიაში 1830ნ., სამხრეთ ამერიკაში 1845წ., დღეისათვის კი მეფუტკრეობა გავრცელებულია მთელ მსოფლიოში.

დიდი ხნის წინათ გარეული ფუტკრის ოჯახები უღრანი ტყეების ხის ფულუროებში და კლდის ნაპრალებში ბუდობდნენ; ადამიანები

შემთხვევით გაეცნენ თაფლის გემოს იმ ფულუროიანი ხის მოჭრის ან მეხით მოტეხის დროს, რომელიმიაც ფუტკარი ბუდობდა და დაინყეს მასზე ნადირობა.

ადამიანი, პოულობდა რა ფუტკრის ბუდეებს, წყლის დასხმითა და დობოლებით ფუტკარს ხოცავდა, თაფლსა და ცვილს კი მთლიანად აცლიდა, მაგრამ დროთა განმავლობაში ფუტკარზე მონადირეთა რიცხვი გაიზარდა, ფუტკრის ოჯახთა რიცხვი კი საგრძნობლად შემცირდა. აი ამიტომ, შემდგომში ადამიანმა თავი დაანება ფუტკრის ოჯახების მოსპობას. იგი ფუტკარს საკვების მხოლოდ ნაწილს აცლიდა და ზამთრის მარაგს უტოვებდა, ამასთან, იცავდა მას დათვისა და სხვა მტრებისაგან.

როდესაც ადამიანმა ფუტკრის ოჯახის ცხოვრებაზე ცოტაოდენი ცოდნა შეიძინა, დაინყო ტყეში ხეებზე ფულუროების ამოჭრა, რომ შიგ ფუტკრის ოჯახები ჩასახლებულიყო. დროთა განმავლობაში კი დარჩნენდა, რომ ხეში ფულუროს ამოჭრაზე უფრო ადვილი იყო მოჭრილ მორში ფულუროს გაკეთება და შემდეგ ხეზე დამაგრება; ასეთ ფულუროიან მორებს გეჯები ანუ ბუკები ეწოდებოდა.

შემდგომში ადამიანებმა დაინყეს გეჯების ძირს დაწყობა, რისთვისაც ტყეში - შერჩეულ ადგილზე ხეებს გაჩეხავდნენ, შემდეგ ამ ადგილს მოასწორებდნენ, შემოლობავდნენ და შიგ გეჯებს დააწყობდნენ; ასე გაჩნდა პირველი საფუტკრეები.

თანდათანობით ადამიანმა ფუტკრის ოჯახის მოვლის სისტემა გააუმჯობესა, გეჯების მაგივრად კოდები (ხელოვნურად გამოფულუროებული უძირო მორი გააკეთა, შემდეგ წნული), წნელისაგან დაწნული გოდორი, შიგნიდან და გარედან თიხით გალესილი ყუთი, რომელსაც თანამედროვე სკის ფორმა მისცა.

თანამედროვე მეფუტკრეობის განვითარებას ხელი შეუწყო ამ დარგის სამა დიდმა გამოგონებამ:

- 1814 წელს გამოჩენილმა რუსმა მეფუტკრემ პროკოპოვიჩმა, პირველმა მსოფლიოში გამოიგონა დასაშლელი ჩარჩოიანი სკა. ჩარჩოიანი სკის გამოგონებამ კიდევ უფრო გაითქვა სახელი ხელოვნური ფიჭისა და ციბრუტის გამოგონების შემდეგ.

- 1857 წელს გერმანელმა მეცნიერმა იოჰანეს მერინგმა გამოიგონა ხელოვნური ფიჭა, რომელიც დაამზადა თვითნაკეთი წნეხით. წნეხი დამზადებული იყო მსხლის ფიცრისაგან, რომელზეც ამოკვეთილი იყო ფიჭის მსგავსი უჯრედები.

- 1865 წელს ჩეხმა ფრანც გრუშკამ, რომელიც სამხედრო მოსამსახურე იყო, პენსიაზე გასვლის შემდეგ, ხელი მოჰკიდა მეფუტკრეობას - გამოიგონა და დაამზადა სხვადასხვა

კონსტრუქციის თაფლის გამოსაწყის ციბრუტები.

ფუტკრის ოჯახის განვითარება და მეფუტკრის შრომის ნაყოფიერების გაზრდა ბევრად არის დამოკიდებული საფუტკრეში გამოყენებული სკების კონსტრუქციაზე. აღნიშნულის გამო დროთა განმავლობაში, საჭირო შეიქმნა პროკოპოვიჩის სკის გაუმჯობესება. (პროკოპოვიჩის სკა იღება გვერდიდან და სკის ბოლო ჩარჩოს გასინჯვისათვის საჭიროა დანარჩენი ჩარჩოების გარეთ გამოწყობა, რაც ფუტკართან მუშაობას აძნელებს).

- 1851 წელს გამოჩენილმა ამერიკელმა მეფუტკრემ ლორენცო ლანგსტროტმა გამოიგონა ზევიდან ასახდელი სკა, რაც საშუალებას აძლევდა მეფუტკრეს ნებისმიერი ჩარჩო ამოელო სკიდან და გაესინჯა. შემდგომში ამერიკელმა მეფუტკრემ რუტმა აღნიშნულ სკას ქვედა სართულის ზომის მეორე სართული მიუმატა, ასეთი სკა სწრაფად გავრცელდა მეფუტკრეობაში და მას ლანგსტროტ-რუტის სკა ეწოდა.

ამერიკაში გადასახლებულმა ფრანგმა მეფუტკრემ დადანმა ლანგსტროტ-რუტის სკაში ჩარჩოების რიცხვი 10-დან 11-მდე გაზარდა და მე-12 გადასატიხრი ფიცარი დაუმატა; აღნიშნული სკის ჩარჩოების ზომები შეცვალა შეციცარიელმა მეფუტკრემ ბლატმა და ასეთმა სკამ დადან-ბლატის სახელწოდება მიიღო. აღნიშნული სკები შედგება ბუდისაგან და ერთი ან ორი საკუჭნაოსაგან.

საქართველოში უმეტესნილად გავრცელებული ყოფილა გეჯური მეფუტკრეობა. (ფუტკრის ოჯახების მოთავსება ფულუროამოჭრილ მორებში); მეხეურმა მეფუტკრეობამ (გეჯების-ბუკების ხეებზე შემოწყობა) ჩვენში დიდხანს იარსება და დღესაც გურიასა და აჭარაში შეხვდებით ხეზე მოთავსებულ გეჯებს.

გამოჩენილლი ქართველი ისტორიკოსი და გეოგრაფი ვახუშტი ბაგრატიონი აღნიშნავს, რომ XVII-XVIII საუკუნეებში ფუტკარი გავრცელებული ყოფილა საქართველოს ყველა კუთხეში და ქართული თაფლისა და ცვილის რაოდენობა არა მარტო ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნილებას აკმაყოფილებდა, არამედ სხვა ქვეყნებშიც კი გაჰქინდათ.

ვახუშტი ბაგრატიონი საქართველოს საერთო დახასიათებისას წერს: “არამედ ფუტკარი სარგებლიანი, რომლისა თაფლი ვიეთთა ადგილთა ვითარცა შაქარი შეყინებული და სპეტაკი და ცვილთა და თაფლთა სიმრავლე არს”.

1860 წელს გურიის თავადს ნაკაშიძეს, თხოვნით მიუმართავს კავკასიის მეფისნაცვალისათვის, რათა მისთვის მიეცათ სესხი მეფუტკრეობის განვითარებისათვის. აღნიშნულ წერილობით თხოვნაში, ნაკაშიძე იტყობინებოდა, რომ ის სეზონზე იღებდა 500-დან

600 ფუთამდე თაფლს და 50-60 ფუთამდე ცვილს.

1890 წელს კარგად ორგანიზებული საფუტკრე ჰქონდა თავად ვაჩინაძეს სოფ. მეფის წყაროში (დედოფლისწყაროს რაიონში). მას ჰქონდა თაფლის გამოსაწური, ცვილის მზით სადნობი, საკონტროლო სკა და სხვა, ხოლო ფუტკრის ოჯახები მოთავსებული ჰყავდა დადანბლატის სისტემის სკებში და სოფელში 1900 წლისათვის 2000-მდე ფუტკრის ოჯახი ყოფილა აღრიცხული.

1890 წელს თბილისში შეიქმნა კავკასიის მეაპრეშუმეობისა და მეფუტკრეობის საცდელი სადგური, რომელმაც დიდი როლი შეასრულა საქართველოში რაციონალური მეფუტკრეობის განვითარების საქმეში. აღნიშნულ სადგურში ჩამოყალიბდა მეფუტკრეთა მოსამზადებული კურსები, მის განკარგულებაში იყო კარგად მოწყობილი საფუტკრე მეურნეობა.

1883 წელს ილია წინამძღვრიშვილმა საკუთარ მამულში, სოფ. წინამძღვრიანთკარში, თავისი ხარჯებით გახსნა სასოფლო-სამეურნეო სკოლა, სადაც სხვა საგნებთან ერთად მეფუტკრეობაც ისწავლებოდა. სწორედ აღნიშნული სასწავლებელი დაამთავრა ქართული მეფუტკრეობის სკოლის დიდმა მოღვაწემ აპოლონ წულაძემ, რომელმაც 1911 წელს ქუთაისის ციხეში ყოფნისას დაწერა პირველი სრულფასოვანი სახელმძღვანელო “ფუტკარი და მეფუტკრეობა”. აღნიშნული წიგნი, გამოცემამდე, ავტორმა წარუდგინა კავკასიის მეფუტკრეთა საზოგადოებას, რომელმაც 1912 წელს მოწყობილ გამოფენაზე ეს წიგნი დააჯილდოვა ოქროს მედლით.

აპოლონ წულაძის, ივანე მაისურაძის, დავით ბოჭორიშვილის და სხვა მეფუტკრეობის ენთუზიასტებისა და სპეციალისტების სახელმძღვანელოებზე და პრაქტიკულ გამოცდილებაზე აღიზარდა ქართველ მეფუტკრეთა მრავალი თაობა.

XIX საუკუნის დასასრულს საქართველოში თანდათან გავრცელდა ჩარჩინიანი სკები, ხოლო მეფუტკრეთა პრაქტიკაში დამკვიდრდა ხელოვნური ფიჭისა და თაფლის გამოსაწური ციბრუტის გამოყენება.

ჩვენში ძირითადად დაინერგა ორი სახის სკა: ვერტიკალური და ჰორიზონტალური; პირველი ტიპის სკის მოცულობის გაზრდა ზემოდან წარმოებს, მასზე რამდენიმე საკუჭნაოს ან კორპუსის დადგმით, ხოლო მეორე სახის სკაში - გვერდიდან, მასში ბუდის ან საკუჭნაოს ჩარჩოების ჩადგმით. ვერტიკალურ სკაში ჩარჩოების რაოდენობა 12-მდეა, ხოლო ჰორიზონტალურში - 16-დან 24-მდე.

საქართველოში მეფუტკრეობის განვითარება უპირველესად განაპირობა იმან, რომ ჩვენი ქვეყნის მრავალფეროვანი ბუნება საუკეთესო პირობებს ქმნის მისი დანრეგვისათვის.

საქართველოში მეფუტკრეობის განვითარების მიზნით, მეტად სასიცეთო ნაბიჯი გადაიდგა 1956 წელს, როდესაც სოფლის მეურნეობის სამინისტროში ჩამოყალიბდა მეფუტკრეობის რესპუბლიკური კანტორა, რომელიც 1958წ. მეფუტკრეობის სამმართველოდ გადაეკეთდა. ერთი წლის შემდეგ აღნიშნულ სამინისტროსთან შეიქმნა მეფუტკრეობის საცდელი სადგურიც.

ამ სამსახურებმა დღიდან დაარსებისა, წლების მანძილზე დიდი მუშაობა გასწიეს: ზაჰესის ტერიტორიაზე აიგო მძლავრი საწარმოო ბაზა, რომელიც დღესაც ასრულებს თავის ფუნქციებს. აյ მზადდება სკეპი, საფუტკრის სახლები, ხელოვნური ფიჭა და მეფუტკრეობის დარგისათვის საჭირო სხვადასხვა ინვენტარი. ასევე ნაყოფიერი სამეცნიერო საქმიანობა მიმდინარეობდა მეფუტკრეობის საცდელ სადგურშიც.

1976 წელს აღნიშნული სამსახურები გაერთიანდა ერთ ორგანიზაციაში - მეფუტკრეობის რესპუბლიკურ სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებაში. დღეისათვის საქართველოს მეფუტკრეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, რომელიც სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის პარალელურად სისტემატიკურ დახმარებას უწევს მეფუტკრებს, ფუტკრის მოვლა-მოშენებისა და დაავადებათა წინააღმდეგ საქმიანობაში.

საქართველოში ფუტკრის ოჯახების მთელი რაოდენობის თითქმის ნახევაზე მეტი მოყვარულ მეფუტკრებზე მოდის, ამიტომ ბუნებრივია, რომ დროთა განმავლობაში საჭირო გახდა შექმნილიყო ისეთი ორგანიზაცია, რომელიც მათ გააერთიანებდა. სწორედ აღნიშნულ მიზანს ემსახურება საქართველოს მეფუტკრეთა კავშირი, რომელშიც გაერთიანებული არიან, როგორც ცალკეული მოყვარული მეფუტკრები და მათი ამხანაგობები, ასევე მეფუტკრეობის დარგით დაინტერესებული ორგანიზაციებიც.

აღნიშნული კავშირის მიზანია დაეხსმაროს მოყვარულ მეფუტკრებსა და დაინტერესებულ პირებს მეფუტკრეობის პრაქტიკულ საქმიანობაში, მოამზადოს საფუძველი აღნიშნული კავშირის მეფუტკრეთა საერთაშორისო ორაგნიზაციაში შესასვლელად.

მსოფლიოს მეფუტკრეთა ურთიერთობავშირის, მეფუტკრეობაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვაში უდიდეს როლს ასრულებს მეფუტკრეთა მსოფლიო ასოციაცია “აპიმონდია”.

მეფუტკრეობის დარგის განვითარებაში ჯერ კიდევ დიდი და გამოუყენებელი რეზერვებია, რომელთა დროულად და გონივრულად ამოქმედება თავის წვლილს შეიტანს საქართველოს ეკონომიკური გაძლიერების საქმეში.

## ფუტპრის ჯიშები და ქართული ფუტპარი

მეცნიერების მრავალ ცდას, ფუტკრის ახალი ჯიშების გამოყვანის მიზნით, ჯერჯერობით სასურველი შედეგი არ მოჰყოლია, ამიტომ მეფუტკრების განვითარების წარმატებით გადაწყვეტაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება არსებული ფუტკრის ჯიშების გამოვლინებას და მათი ბიოლოგიური თვისებების შესწავლას.

ცნობილია, რომ ფუტკრის ოჯახი აერთიანებს, როგორც ერთეულად მცხოვრებ ფუტკრებს, ასევე ფუტკრებს, რომლებიც ოჯახურად ცხოვრობენ. ისინი დაახლოებით 12 ათას სახეობას შეადგენენ და ველურ (გარეულ) მდგომარეობაში არიან. მათ განეკუთვნება აგრეთვე მეთაფლია ფუტკარიც, რომლის გვარიც შემდეგ სახეობებად იყოფა: ინდოეთის დიდი ფუტკარი, ინდოეთის საშუალო ფუტკარი, ინდოეთის ჯუჯა ფუტკარი, უნესტრო ფუტკარი და მეთაფლია ფუტკარი. ინდოეთის დიდი და ჯუჯა ფუტკრები, აგრეთვე უნესტრო ფუტკარიც, ფუტკრის უმარტივესი სახეობაა და ჯერ კიდევ გარეულ მდგომარეობაში იმყოფებიან.

ინდოეთის დიდი ფუტკარი - ცხოვრობს ინდოეთში, კუნძულებზე იავასა და სუმატრაზე. იგი ყველა სახეობის ფუტკრებს შორის გამოირჩევა სიდიდით, მისი სიგრძე 18 მმ-ია. ბუდე წარმოადგენს ხის ტოტებზე ჩამოშენებულ ორმხრივ ფიჭას, რომლის სიგრძე 1-1,5 მეტრი, სიგანე 0,6-1 მ-მდე აღნევს. ხშირად ერთ ხეზე 30-დან 40-მდე ასეთი ბუდეა ჩამოშენებული. ზამთრობით, როცა აცივდება ისინი ტოვებენ თავიანთ ბუდეს და სამხრეთისაკენ მიემართებიან, ხოლო ზაფხულობით დიდი სიცხეების პერიოდში, ჩრდილოეთისაკენ გადაინაცვლებენ. ეს ფუტკარი იძლევა თაფლსა და ცვილს (სანთელს), მაგრამ მისი მოშინაურება ვერ ხერხდება.

ინდოეთის ჯუჯა ფუტკარი ტანით ძალზე პატარაა, ის ოთახის ბუზზე მომწროა. ბუდეს იკეთებს ხეების ან ბუჩქოვანი მცენარეების ტოტებზე, სადაც ჩამოშენებს ხოლმე ხელისგულისოდენა ერთადერთ ფიჭას. მისი პროდუქტიულობა ძალზე მოკრძალებულია და ამიტომ ამ ფუტკრის მოშიანურებას აზრი არა აქვს.

ინდოეთის საშუალო ფუტკარი - გავრცელებულია ინდოეთში, იაპონიაში, ჩინეთში, კორეასა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში. ბუდეს იშენებს ხის ფულუროებში, გამოქვაბულებსა და კლდის წაპრალებში. იგი თავის სამშობლოში ასრულებს ჩვენებური მეთაფლია ფუტკრის დანიშნულებას, მაგრამ ნაკლებად შრომის მოყვარეა. ამასთან ახასიათებს ძალზე ცუდი თვისება, თუ მცირე ღალიანი წელია ან ჭიანჭველებმა შეაწუხეს, ტოვებს საცხოვრებელ ადგილს და ახალი

ბუდის მოსაწყობად შორეულ ტყეებს მიაშურებს, რაც გარევეულ სიძნელეებს უქმნის ინდოელ მეფუტკრეებს.

უნესტრო ფუტკრები - საოცარია, მაგრამ თურმე ასეთი ფუტკრებიც არსებობენ. დაახლოებით 100-მდე სახეობის ასეთი ფუტკარი ბინადრობს ჩვენი პლანეტის ტროპიკებში - ამერიკასა და სამხრეთ აზიაში; რასაკვირველია თავდაპირველად ადამიანები შეცადნენ მათ მოშინაურებას. აბა ვის არ უნდა "უეკლო ვარდის" მოწყვეტა, მაგრამ ორი მიზეზის გამო ეს ვერ მოხერხდა. პირველი იმიტომ, რომ ეს ჯიში სხვა კლიმატურ პირობებს ვერ ეგუება; მეორეც იმიტომ, რომ მართალია, მათ შხამიანი ნესტარი ატროფირებული აქვთ, მაგრამ თავიანთი ბუდის დაცვისას, ისინი ყბებით ისე მტკიცნეულად იჩქმიტებიან, რომ ამ ადგილებში ჩნდება წყლულები, რაც შემდეგ შემანუხებელ ქავილსა და წვას იწვევს.

აგრესიულად განწყობილი უნესტრო ფუტკრები მასობრივად თავს ესხმიან თავიანთ მტერს და ცდილობენ შეძრნენ მის ყველაზე მგრძნობიარე ადგილებში - ილლიებსა, თვალის უბეებში და ა.შ. ისინი ისე მაგრად ჩაეჭიდებიან ხოლმე მტრის სხეულს, რომ მათი ჩამობერტყვა შეუძლებელია თუნდაც ტანიც რომ მოაწყვიტოთ. ასე რომ, ვისაც მათან ჰქონია საქმე, ჩვენებური ფუტკრის შხამიანი ნესტარი ერთობ „სიმპათიურ“ იარაღად მოეჩენება.

უნესტრო ფუტკრები (მელიპონები, ტრიგონები) თავიანთ ბუდეებში ფიჭებს აშენებენ ჰორიზონტალურად და შუაგულებით ერთმანეთან ამაგრებენ. ისინი ფიჭის უჯრედებში მხოლოდ ბარტყებს ზრდიან, თაფლისათვის კი სპეციალურ ჭურჭელს „კასრს“ ამზადებენ, რომლებიც ხანდახან ქათმის კვერცხის ზომას აღწევენ და ასეთანაირად ერთ ოჯახს ვკე. თაფლის შეგროვება შეუძლია.

მეთაფლია ფუტკარი - გავრცელებულია დედამიწის ყველა კონტინენტზე, საუკუნეების მანძილზე, მათმა ბუნებამ და ნაწილობრივ ხელოვნურმა შერჩევამ წარმოშვა სხვადასხვა პრიმიტიული ჯიშები, რომლებიც თავიანთი ბიოლოგიური და სამეურნეო სასარგებლო თვისებებით ძალზე განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი:

შუა რუსეთის ფუტკარი - კარგადაა შეგუებული ხანგრძლივ ზამთარსა და ხანმოკლე ზაფხულს. იგი იძლევა დიდი რაოდენობით თაფლსა და ცვილს, მაგრამ ამასთან ძალზე ავია, რის გამოც პირბადისა და საბოლებლის გარეშე საფუტკრეში მუშაობა შეუძლებელია.

ყირიმის ფუტკარს - ბევრი რამ აქვს საერთო ქართულ ფუტკართან, მაგრამ მისი ხორცულის სიგრძე საგრძნობლად მოკლეა და ტოლია 4,44 მმ-სა;

კურაინული ფუტკარის სამშობლო თუმცა იუგოსლავიაა, მაგრამ სასარგებლო სამეურნეო თვისებების გამო ფართოდ გავრცელდა ამერიკასა, ინგლისსა და აზის ბევრ ქვეყანაში. მას სხვა ჯიშებთან შედარებით, გარდა ქართული ფუტკარისა, აქვს გრძელი ხორთუმი. მის უარყოფით თვისებად ითვლება უსაზღვრო მიდრეკილება ბარტყობისადმი. დადებით თვისებად უნდა ჩაითვალოს მისი მდგრადობა დაავადებების მიმართ.

იტალიური ფუტკარი - ამ ჯიშის ფუტკარის პოპულარობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ იგი მსოფლიოს ბევრ ქვეყანაშია გავრცელებული, მათ შორის: აშშ, სამხრეთ ამერიკაში, ახალ ზელანდიაში, ავტრიალიაში, ატლანტისა და წყნარი ოკეანის კუნძულებზე, იაპონიაში, ჩინეთში, ინდოეთში, სამხრეთ აფრიკაში, შვეიცარიასა და ინგლისში. მისი ხორთუმის სიგრძე 6,23მმ აღნევს. კარგად მუშაობს ღალიანობის ხელსაყრელ პიროებებში, მაგრამ არახელსაყრელ პიროებებში ნაკლებად პროდუქტიულია. იტალიური ფუტკარი შედარებით თვინიერი და მშვიდია, არა აქვს მიდრეკილება ნაყრიანობისადმი.

ფუტკარის სხვა ჯიშებიდან ცნობილია: ბერძნული, სირიული, კვიპროსული, ფრანგული, შვეიცარიული, ინგლისური, ეგვიპტური და ა.შ.

ბარის კავკასიური ფუტკარი გავრცელებულია საქართველოში, სომხეთში და აზერბაიჯანში. მუცელზე აქვს ყვითელი ზოლი, შეგუებულია მოკლე ზამთარსა და სიცხეებს, მშვიდია; იგი ქართული რუხი და სპარსული ფუტკარის ნარევია. ახასიათებს ძლიერი გამრავლების უნარი.

მთის ქართული რუხი ფუტკარი გვხვდება დასავლეთ საქართველოს სამხრეთ კავკასიის მთიან ადგილებში: სვანეთში, აფხაზეთში, სამეგრელოში, ქართლ-კახეთის მთაგრეხილებზე, გურიაში.

მეტად საყურადღებოა ზოგიერთი იმ ძვირფასი სამეურნეო სასარგებლო თვისებების ჩამონათვალი, რომელიც ამ ჯიშის ფუტკარს ახასიათებს.

- მისი ხორთუმის სიგრძე აღნევს 6,6-დან 7,2 მმ-მდე.

- იგი მშვიდი და თვინიერია, მასთან შეიძლება პირბადის გარეშე მუშაობა;

- გამოირჩევა შორს ფრენით 5-6 კმ-ის რადიუსით, უშიშრად მუშაობს მცირე წვიმაშიც და სუსტი ქარის დროსაც.

- გამოირჩევა გამბედაობით, კარგად აქვს განვითარებული თავდაცვისა და თავდასხმის უნარი, ქურდ ფუტკარს ჰაერშივე უმართავს ბრძოლას.

- გამოირჩევა შრომის დიდი უნარით, მუშაობას იწყებს ადრიანად

და ამთავრებს დაბინდებისას;

- ხასიათდება ნაკლები ბუნებრივი ნაყრიანობით.

- ზოგჯერ, კარგ ამინდში ღამეს ათევს ბუდის გარეთ - ყვავილებზე, რაც სხვა სახეობის ფუტკრებს არ ახასიათებთ.

-უზრუნველყოფს სამყურას დამტვერიანებას, რაშიაც მას ვერ შეეძრება ვერც ერთი ჯიშის ფუტკარი.

- გამოიჩინა სადედებების ნაკლები რაოდენობის ჩაშენებით.

- ხასიათდება ორდედიანობით, ახალი დედის გამოჩევიდან 7-20 დღის განმავლობაში და ა.შ.

საქართველოს კინოსტუდიის ფონდის არქივში ინახება მოკლემეტრიაუანი ფირი სამეცნიერო-პოპულარული ფერადი ფილმისა “ქართული ფუტკარი”, რომელიც წარმოადგენს საყურადღებო თვალსაჩინო მასალას ქართული ფუტკრის ძვირფასი სამეურნეო სასარგებლო თვისებების შესახებ.

ფილმის სცენარის ავტორია კ. ჯავრიშვილი, რეჟისორი ირ. კანდელაკი, რედაქტორი ბ. თევზაძე. ფილმი გადაღებულია 1962 წელს.

კადრში მოჩანს საქართველოს მთიანი კუთხის სოფ. მუხური. აყვავებული ვაშლის ხეებს შორის ჩამნკრივებული სკები, ფილმის დირექტორი გვამცნობს, რომ ამ საფუტკრეში მოშენებულია ქართული მთის რუხი ფუტკარი, რომელიც შრომისმოყვარეა და მშვიდი ბუნებით გამოიჩინა.

ეკრანზე ვხედავთ, თუ როგორ მუშაობს ქართული ფუტკარი წითელ სამყურაზე, საიდანაც ნექტრის ამოღება სახელგანთქმულ იტალიურ ფუტკრებსაც კი არ ძალუდთ. მეტად ეფექტურად არის ნაჩვენები ის მომენტი, როდესაც დედა ფუტკარი ფიჭის უჯრედში დებს კვერცხს, მას თან ახლავს დიქტორის განმარტება, რომ დედა ფუტკარი დღე-დღამის განმავლობაში დებს დაახლოებით 2500-მდე კვერცხს, რაც მის წონას 3-4-ჯერ აღემატება. შემდეგ მოჩანს ღალიდან დაბრუნებული ფუტკრის “ცეკვა” ფიჭაზე, რითაც ის თავის მოძმეებს ატყობინებს ნექტრის ახალი წყაროს ადგილმდებარებას. იცვლება კადრი, მოსჩანს ხრამი, ხეობის კლდეები, ეს არის ქართული მთის რუხი ფუტკრის სამშობლო, სადაც ბუნებრივი შერჩევის გზით მიღებული იქნა ეს უნიკალური ჯიში, რომელიც საქართველოს მთიანი ხეობებიდან მსოფლიოს მრავალ ქვეყანას მოეფინა. ძალზე ეფექტურია ფილმის ფინალიც, მოჩანს თვითმფრინავი, რომელშიც იტვირთება ამანათ-ნაყრები ქართული ფუტკრით. შემდეგ კი მოჩანს მსოფლიოს რუკა, რომელზედაც საქართველოა. აქედან აფრენილი თვითმფრინავები როგორ მიემართებიან მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებისაკენ. მათ ქართული მთის რუხი ფუტკრის ამანათ-ნაყრები მიაქვთ.

ქართული მთის რუხი ფუკტრის ძვირფასმა და უნიკალურმა თვისებებმა, მრავალი გამოჩენილი მეცნიერისა და მეცუტყრეობის სპეციალისტის ყურადღება მიიპყრო, მათმა დაუღალავმა და მრავალნლიანმა გამოკვლევებმა დიდად შეუწყო ხელი ქართული ფუკტრის ბუნებრივი სასარგებლო თვისებების გამოვლენისა და შესაბამისად ამ ჯიშის ფუტკერის პოპულარიზაციას მსოფლიოში.

- ქართული ფუკტრის შესწავლა პირველად დაიწყო რუსმა ბუნებისმეტყველმა პ. პალასმა 1773 წელს; ამის შემდეგ გავიდა ერთი საუკუნე და 1877 წელს ცნობილმა რუსმა ქიმიკოსმა და მეცუტყრეობის მოყვარულმა, აკადემიკოსმა ა. ბუტლეროვმა განაგრძო პ. პალასის მიერ დაწყებული საქმე; მან აღნიშნა, რომ ეს ჯიში ხასიათდება განსაკუთრებული თვინიერებით.

- 1906 წელს ცნობილმა ამერიკელმა მკვლევარმა და მეცუტყრემ ბენტონმა მრავალი ქვეყანა შემოიარა გრძელხორთუმიანი ფუტკრის ძებნაში. საქართველოში ყოფნისას მან შეისწავლა ქართული ფუტკარი და დარწმუნდა, რომ ქართულ ფუტკარს ხორთუმის სიგრძით მსოფლიოში არც ერთი ფუტკარი არ შეედრება. მან ამ ჯიშის რამდენიმე დედა ფუტკარი თან წაიყვანა და ამით საფუძველი ჩაუყარა ქართული მთის რუხი ფუტკრის ექსპორტს მსოფლიოში.

- 1916 წელს ბუნებისმეტყველმა და ენტომოლოგმა - კ. გორბაჩიოვმა განასხვავა საქართველოს ბარის ყვითელ ზოლებიანი ფუტკარი მსოფლიო მნიშვნელობის მთის ქართული რუხი ფუტკრისაგან.

- 1924-30 წლებში კ. ალბატროვმა პირველად აღნიშნა, რომ ქართული ფუტკრის ხორთუმის სიგრძე მაღალმთიან რაიონებში სიმაღლის შესაბამისად მატულობს.

ქართულმა ფუტკარმა მსოფლიოში სახელგანთქმულ იტალიურ ფუტკართან შევიტრებაში რამდენჯერმე გაიმარჯვა.

1926-1931 წლებში ვაიომინგის შტატში (აშშ) ქართული და იტალიური ფუტკრების შედარებითმა გამოცდამ თაფლის პროდუქტიულობაზე დიდი წარმატებით ჩაიარა ქართული ფუტკრის სასარგებლოდ; ხუთი წლის მონაცემების მიხედვით ერთსა და იმავე პირობებში ქართულმა ფუტკარმა საშუალოდ 36 კგ-ით მეტი თაფლი დააგროვა, იტალიურმა ფუტკარმა კი ვერაფერი ვერ მიუმატა თავის თაფლის მარაგს.

ძვირფასი სამეურნეო სასარგებლო თვისებების გამო, აშშ-ში მეცუტყრეობის 50-55% ქართული ფუტკრის მოშენებას მისდევს.

ქართული ფუტკრის კიდევ ერთი დადებითი თვისებაა ის, რომ ღალიანობის დაწყებიდანვე იგი ნეტარს პირველ რიგში ბუდები აგროვებს, რითაც დედა ფუტკარს უზღუდავს მასობრივად კვერცხის

დების საშუალებას. ამით მუშა ფუტკარს საშუალება ეძღვა ღალაზე იმუშაოს და დრო არ დაკარგოს ბარტყის გამოზრდაზე. იტალიური და შუა რუსეთის ფუტკრები კი, პირიქით, ნექტრის დაგროვებას საკუჭნაოდან იწყებენ და დედა ფუტკარს საშუალება ეძღვა მაქსიმალურად ჩააკვერცხოს ბუდის ფიჭები, ეს კი მოღალე ფუტკრის მუშაობას აფერხებს და თანაც ფუტკრის ოჯახს ნაყრიანობისაკენ უბიძგებს.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ქართული ფუტკრის თვისებები, სრულად ვლინდება საქართველოს ფარგლებს გარეთაც.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს თაფლოვანი მცენარეები სიუხვით სხვა ქვეყნებს არ ჩამორჩება, იგი მეტად ცვალებადი კლიმატური პირობებით, მრავალფეროვანი რელიეფით, მთავარი ღალიანობის დროს ხანგრძლივი გვალვებით, ზოგჯერ მეტად გადაჭარბებული ნალექებით, ხშირი ქარებითა და ღამით ტემპერატურის საგრძნობი დაწევით გამოირჩევა, რაც ერთის მხრივ ამცირებს თაფლოვან ხე-მცენარეებში ნექტრის გამოყოფას, ხოლო მეორეს მხრივ ხელს უშლის მოღალე ფუტკარს ნექტრის შეგროვებაში.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ კლიმატურ ეკოლოგიური პირობების ხშირმა ცვალებადობამ თაფლოვანი მცენარეების ნაირსახეობამ, დასერილმა რელიეფმა და სხვა ფაქტორებმა განაპირობეს ქართულ ფუტკარში იმ ძვირფასი თვისებების გამომუშავება, რითაც მან მსოფლიო აღიარება ჰპოვა.

ცნობილია, რომ ქართული ფუტკარი შედარებით მდგრად კლიმატურ გარემოსა და თაფლოვან მცენარეთა სიუხვის პირობებში მსოფლიოში გავრცელებულ ყველა ჯიშის ფუტკართან შედარებით, უკეთეს პროდუქტიულობას ამჟღავნება.

1948 წელს საქართველოს რაიონებში მოწყო ქართული ფუტკრის შესასწავლი ექსპედიცია. აღმოჩნდა, რომ ქართული ფუტკარი ყველაზე "სუფთად" შემონახულია ხობისწყლის ხეობაში (ჩხოროწყუს რ-ნი).

ქართული ფუტკრის აფხაზური, მეგრული, სვანური, ქართული, კახური, იმერული და გურული პოპულაციების შესასწავლაზე წლების განმავლობაში მუშაობდნენ და მეტად საჭირო მასალები დააგროვეს საქართველოს მეფუტკრეობის დარგის მეცნიერ-მუშაკებმა: ს. ულენტმა, მ. ლევაბეგილმა, ა. ხიდეშელმა, ი. ლოქაბიძემ, ი. გაბუნიამ, ი. მუმლაძემ და სხვებმა. უნდა აღინიშნოს, რომ ქართული ფუტკრის მეგრული და აფხაზური პოპულაციები ჩვენებური ფუტკრის სხვა პოპულაციებისაგან, გამოირჩევიან ხორთუმის სიგრძითა და ფრთის სიგრძე-სიგანით, როგორც საუკეთესოები.

ქართული ფუტკრის ძვირფასი სამეურნეო სასარგებლო

თვისებების შემდგომი სრულყოფისა და შენარჩუნების საქმეში ნაყოფიერ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას ეწევა მეცნტრეობის რესპუბლიკური სამეცნიერო საწარმოო ცენტრი.

ქართული ფუტკარი ნარმოადგენს საუკეთესო სასელექციო მასალას; იგი გავრცელებულია მსოფლიოს 48 ქვეყანაში: ევროპაში, აზიაში, აფრიკაში, ამერიკის კონტინენტზე (აშშ, კანადა), ავსტრიაში, ინგლისში, საფრანგეთში და ა.შ.

ქართული ფუტკარის ძეირფასი თვისებები, რომელიც მას ბუნებით აქვს მომადლებული არ დარჩენილა სათანადო აღიარების გარეშე. მსოფლიოში მხოლოდ მას აქვს მინიჭებული სამი ოქროს მედალი.

- 1961 წელს - გერმანიის ქ. ერფარუტის მებალეობის საერთაშორისო გამოფენაზე.

- 1965 წელს - ბუქარესტში მეცნტკარეობის XX საიუბილეო საერთაშორისო კონგრესზე.

- 1971 წელს - მოსკოვის მეცნტკარეობის საერთაშორისო კონგრესზე მონცობილ გამოფენაზე.

მეცნტკარეობა და სამგზის ოქროსმედალისანი ქართული მთის რუხი ფუტკარი, ქართველი ხალხის ეროვნული სიმდიდრე და სიამაყეა.

## უსტკარი და კოსმეტიკა

“კოსმეტიკა” ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს “შემკობის ხელოვნებას”. ჯერ კიდევ უძველეს დროში, ადამიანები იყენებდნენ მცენარეული ნარმოშობის კოსმეტიკურ საშუალებებს, არა მარტო სახისა და ტანის კანისათვის სასიამოვნო შეფერილობის, სინორჩის, სილამაზის მისაცემად, არამედ მისი ჭკნობის, დაბერების თავიდან ასაცილებლად და ზოგიერთი ბუნებრივი ან შეძენილი ნაკლოვანების გამოსასწორებლად.

მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, ბოლო პერიოდში, დიდი ყურადღება ექცევა ბიოლოგიურად აქტიური პროდუქტების თვისებების შესწავლას და მათი სხვადასხვა დანიშნულებით გამოყენებას.

ფუტკარის პროდუქტების ბიოლოგიური აქტივობა მათ აქცევენ კოსმეტიკური პრეპარატების შეუცვლელ კომპონენტად. ფუტკარს რომ მრავალნაირი სიკეთე მოაქვს ადამიანისათვის, ეს კარგადაა ცნობილი, მაგრამ თუ მისი “ხელი” კოსმეტიკაშიც ერია, ეს შეიძლება ყველამ არ იცოდეს. ამიტომ მიზანშენილად მიგვაჩინია მკითხველს მივაწოდოთ ზოგიერთი საჭირო მასალა ფუტკარის პროდუქტების გამოყენებაზე სილამაზის შემოქმედებით სფეროში.

მეცნიერეობის შეიდი სახეობის პროდუქტიდან (თაფლი, ცვილი, დინდგელი, ყვავილის მტვერი, სადედე რძე, ჭეო, ფუკტრის შხამი) კოსმეტიკაში გამოიყენება მხოლოდ პირველი ხუთი.

ფუტკრის ცვილი (სანთელი) შედის ბევრი კოსმეტიკური საშუალების შემადგენლობაში. მას უმატებენ განსაზღვრული კონსისტენციის შესანარჩუნებლად, წევადობისათვის, საცხის, ემულსიის, კბილის პასტისა და სხვა ნანარმის დამზადებისას. ცვილის შემადგენლობაში შემავალმა ეთერზეთებმა, ორგანულმა მჟავებმა, ვიტამინებმა და ბაქტერიოსტატიკურმა ნივთიერებებმა, რომლებიც აფერხებენ მიკრობების ზრდასა და გამრავლებას, ის გახადეს კოსმეტიკური პრეპარატების შეუცვლელ კომპონენტად, ამასთან მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ ცვილი აბსოლუტურად უვნებელი ნივთიერებაა.

ფუტკრის სადედე რძე ადრე გამოიყენებოდა, როგორც სიბერის საწინააღმდეგო საშუალება, ამჟამად კი, როგორც უჯრედების აღმდგენს, იყენებენ რენტგენოლოგები და ის პირები, რომლებსაც საქმე აქვთ სხვადასხვა სახეობის დასხივების მოწყობილობებთან. რადგან სადედე რძე შეიცავს პროტეინს, ცხიმებს, შაქარს, ვიტამინების კომპლექტს, მინერალურ ნივთიერებებს, ჰორმონებს და მატონიზირებელ საშუალებებს. ის შედის ისეთი საცხების შემადგენლობაში, როგორიცაა: “ნექტარი”, “ლადა”. “სუაზიკა”, “მედოვი” და სხვ. ესენია: მკვებავი და მატონიზირებელი საცხები მშრალი და ნორმალური კანისათვის.

ბიოკრემების რეგულარული გამოიყენება კანს იცავს ადრეული ჭკნობისაგან.

მშრალი სადედე რძის დამატებით მზადდება შამპუნი “ლიციტინვი” და “როზოვი უემჩუგი”, ნაზი არომატის მქონე საპონი “ლესნაია ნიმფა”, მამაკაცებისათვის კრემი: “ჩაროდეიკა”, “ოდისეა”, “კონსული”. “სპუტნიკი” და სხვა.

ყვავილის მტვრის ექსტრატს შეიცავს კრემი “ნეუნოსტ” და ლოსიონი “ნადეუდა”. ყვავილის მტვერი მდიდარია ამინომჟავებით, ვიტამინებით, პროტეინით, ანტიბიოტიკებით და სხვა. ყვავილის მტვრის ექტრაქტის დამატებით, კოსმეტიკური საშუალებები მკვებავ თვისებებთან ერთად, იძენენ ანთების საწინააღმდეგო და მატონიზირებელ თვისებებს, იცავენ კანს ზედმეტი სიმშრალისაგან და ადრეული სიბერისაგან.

დინდგელის ექსტრატი გამოიყენება საბავშვო საცხების “კარლსონის” და კბილის პასტა “პროპოლისნაია”-ში. საცხისა და პასტის შემადგენლობაში დინდგელის დამატება, მათ აძლევს ანტიბაქტერიულ

და ანთების საწინააღმდეგო მოქმედების უნარს.

უნდა აღინიშნოს, რომ კანის დაავადებები და კოსმეტიკური ნაკლოვანებები შეიძლება იყოს სხვადასხვა ორგანოების დაზიანებისა და მათი ფუნქციების მოშლის შედეგი, როგორიცაა: ნივთიერებათა ცვლა, საჭმლის მომნელებელი ორგანოები, სისხლის მიმოქცევა, ასაკობრივი ცვლილებები და სხვ.

სწორედ ამიტომაც ეყრდნობა თანამედროვე კოსმეტოლოგია, ისეთ მოსაზღვრე მეცნიერებების მიღწევებს, როგორიცაა: თერაპია, ენდოკრინოლოგია, დერმატოლოგია, ფიზიოლოგია და სხვ. ხოლო მეფუტკრეობის დარგის ბიოლოგიურად აქტიურმა პროდუქტებმა, მედიცინის ამ ნაწილში, ჰპოვეს მართებული და ძალზე ეფექტური გამოყენება.

## ეპოლოგია და ფუტკარი

ეკოლოგია ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს - სახლსა და მოძღვრებას, ბიოლოგიურ ენაზე კი მეცნიერების იმ მიმართულებას, რომელიც ორგანიზმსა და მის გარემოსთან ურთიერთდამოკიდებულებას შეისწავლის. ე.ი. ყოველივე იმას, რაც საერთო ჯამში გვაძლევს ადამიანების, ცხოველთა სამყაროსა და საერთოდ, ყველა ცოცხალი არსებებისათვის საჭირო ჯანსაღ სასიცოცხლო გარემოს.

ალბათ ძნელია იმის წარმოდგენა, თუ რა გავლენის მოხდენა შეუძლია ეკოლოგიაზე ისეთ მწერს, რომლის საკუთარი წონაც 0,1 გრამს შეადგენს, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით.

თუ ფუტკრის "მოლვანეობას" და საერთოდ მეფუტკრეობის დარგს ამ საქმის სპეცისლისტების თვალთახედვით შევხედვათ, მაშინ დავრწმუნდებით, თუ რა შეუძლია ამ პატარა მწერს, როცა ის თავის ოჯახის წევრებთან ერთად ცხოვრობს და საქმიანობს, მათი რაოდენობა კი ხანდახან 100 ათასამდე აღწევს, რაც წონით გამოსახულებით უკვე 10 კილოგრამამდეა. სწორედ ამაზეა ნათქვამი: "ძალა ერთობაშია".

სასურსათო პროგრამის რეალიზაციის საქმეში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი ხილ-ბოსტნეულისა და სხვა საკვები კულტურების წარმოების გადიდებას, რის განსახორციელებლად სხვა აგროტექნიკურ ღონისძიებებთან ერთად, მნიშვნელოვანია მეფუტკრეობა, როგორც ენტომოფილური კულტურების ჯვარედინი დამტვერვით, მათი მოსავლიანობის საგრძნობლად გადიდების საშუალება.

ენტომოფილური ენოდება ისეთ მცენარეებს, რომელთა

ყვავილების დამტვერვა მწერების საშუალებით წარმოებს. ასეთი მწერებია: ხოჭო, პეპელა, კრაზანა, კელა, მეთაფლია ფუტკარი და სხვ.

ადრე გაზაფხულზე, როდესაც ენტომოფილური მცენარეების ყვავილობა იწყება, ბუნებრივი დამტვერვის შესაძლებლობა ძალზე მცირეა, ფუტკრის ოჯახებს კი, რომლებიც ჯგუფებად ზამთრობენ ამ დანიშნულებით, 100 ათასობით მოღალე ფუტკრის გაშვება შეუძლიათ. რის შედეგადაც მეთაფლიერ ფუტკრის მიერ ენტომოფილური კულტურების ჯვარედინი დამტვერვა 80-90%-ს შეადგენს, ხოლო გარეული მწერების მიერ კი, არაუმეტეს 10-20%-ს.

მეცნიერების მიერ დადგენილია, რომ ჯვარედინი დამტვერვის შედეგად უმჯობესდება ნაყოფის ხარისხობრივი მაჩვენებლები, იცვლება მისი შეფერილობა, მატულობს წონაში, ამასთან მიღებული დადებითი თვისებები მცენარეს მემკვიდრეობით გადაეცემა. ასე მაგალითად: ხეხილოვანი კულტურების მოსავლიანობა იზრდება 60-65%-ით, მრავალწლიანი ნათესი ბალახების თესლისა - 50-80%-ით, ბოსტნეულისა - 150-165%-ით, მზესუმზირისა - 30-50%-ით და ა.შ.

მსვილი ქალაქების შემოგარენში ძალზე ბევრია სასათბურე მეურნეობები, რომელთა ნახევარზე მეტი დათმობილი აქვს კიტრის კულტურას, რომელიც ჯვარედინ დამტვერვას საჭიროებს. წინათ აღნიშნულ სამუშაოს ხელით ასრულებდნენ, რაც მეტად შრომატევადია და ამასთან მიღებული ნაყოფი შედარებით დაბალი ხარისხისაა. აღნიშნულის გამო, დახურულ სათბურებში, დამტვერვისათვის, ფუტკრის ოჯახებს ათავსებენ, ფუტკრის დამტვერვის შედეგად კი, ნაყოფის ხარისხის გაუმჯობესებასთან ერთად, მოსავლიანობა 4-5-ჯერ მატულობს.

მეთაფლია ფუტკარი ჩვენი პლანეტის ყველაზე სასარგებლო მწერია, ფუტკრის გარეშე გაღარიბდებოდნენ ველ-მინდვრები და ტყეები, გადაშენდებოდა 100 ათასზე მეტი მცენარის სახეობა და ბუნებაში უსარგებლოდ დაიკარგებოდა ათასობით ტონა ნექტარი.

ზუტკრის ბიომასუმყებლობა - მსოფლიოს გამოჩენილი მეცნიერები, საუკუნეების მანძილზე, ცდილობდნენ მიეგნოთ ისეთი ხერხისათვის, რომელიც მათ საშუალებას მისცემდა წინასწარ გამოეცნოთ მინისცვრის დაწყება, რათა ადამიანებისათვის აეცილებინათ მისი მძიმე შედეგები, მაგრამ ჯერ-ჯერობით ეს ვერ მოხერხდა.

ათასეული წლების მანძილზე მომხდარი მინისცვრების გამო, ადამიანის ყურადღება მიიცია იმ გარემოებამ, რომ მინისცვრის დაწყების წინ ცხოველები და მწერები ავლენდნენ უცნაურ ქცევებს, რაც სხვა დროს მათ არ ახასიათებთ.

1975 წელს, ჩინეთში პროვინცია ხაიჩენგში, ცხოველთა

განსაკუთრებული ქცევის საშუალებით წინასწარ ცნობილი გახდა ძლიერი მინისტრის მოახლოება და საშიში ზონიდან მოსახლეობა გახიზნეს კატასტროფამდე 6 საათით ადრე, რითაც უამრავი ადამიანის სიცოცხლე გადაარჩინეს.

მეტად საინტერესო ბიომაუწყებლობის შემთხვევას ჰქონდა ადგილი სპიტაკის მინისტრის რაიონშიც.

1988 წლის 7 დეკემბრის წინა დღეს, სოფელ დაშტაშანში, მეფუტკრებს სკები შეჰქონდათ საზამთრო შენობაში - სახლის სარდაფში. მათ დღის ბოლომდე 60 სკის მომზადება და შეტანა მოასწრეს, ამდენივე დარჩათ მინდორში, მაგრამ შემოაღამდათ და შეწყვიტეს მუშაობა.

მეორე დღეს, როცა მეფუტკრებმა განაახლეს თავიანთი საქმიანობა, ისინი განაცვითრა მინდორში დარჩენილი ფუტკრის ოჯახების უწნაურმა ქცევამ, შემოდგომის ცივ ამინდში, ფუტკრებს დაეტოვებინათ სკები, საფუტკრის თავზე უაზროდ დაფრინავდნენ და შესაბრალისი ხმით ბზუოდნენ.

გავიდა რამდენიმე ხანი და გაისმა საშინელი გრუბუნის ხმა, ეს მინისტრის დაწყების მომასწავებელი იყო და თანაც ისეთი ძლიერის, როგორიც არასდროს არ უნახავს სომხეთის მინას, მაშინ კი მიხვდნენ მეფუტკრები, თუ რამ ააფორიაქა ფუტკრის ოჯახები.

ცნობილია ისიც, რომ ფუტკრები წინასწარ გრძნობენ თუ როდის წამოვა წვიმა ან სეტყვა, როდის ამოვარდება ძლიერი ქარი, ასეთ დროს ისინი ღალაზე აღარ მიფრინავენ და სკაში რჩებიან, მაგრამ თუ ფუტკარი წინასწარ გრძნობდა მინისტრის მოახლოებას, ეს მეფუტკრებმა არ იცოდნენ.

გავიდა რამდენიმე საათი, ფუტკრები დამშვიდნენ, დაწყნარდნენ, მაგრამ სტიქიური უბედურებისაგან გამოწვეული მღელვარების შედეგად, მინდორში მყოფი ფუტკრის ოჯახების ნახევარი დაიხოცა, როცა მეფუტკრებმა სახლის სარდაფის კარები გამოაღეს, სადაც წინა დღით ფუტკრის ოჯახები დააბინავეს, აქ უფრო მეტად სევდის მომგვრელი სურათი იხილეს, სარდაფში მყოფი სკებიდან ფუტკარი გარეთ გამოფრენილიყო და მთელი სარდაფი სავსე იყო დახოცილი მწერებით. აქ დანაკარგი უფრო მეტი იყო, ვიდრე მინდორში და დარწმუნდნენ მეფუტკრები, რომ ფუტკრები, სადაც არ უნდა იყვნენ ისინი მინდორში თუ შენობაში, წინასწარ გრძნობენ მინისტრის მოახლოებას, დაახლოებით 1 საათით ადრე სტოვებენ ბუდეს და იწყებენ საგანგაშო ფრენას, რითაც მიგვანიშნებენ ჩვენ - ადამიანებს მოსალოდნელი უბედურების მოახლოებას.

ფუტკარი და პიროვნება - მას შემდეგ, რაც ფუტკარი ადამიანის

თანამგზავრი გახდა, იგი მუდმივად იზიდავს მის ყურადღებას, ამ შესანიშნავ მნერს სწავლობდნენ ნატურალისტები, ფილოსოფისები, ბიოლოგები, ქიმიკოსები, ექიმები, პოეტები, ამდენად არანაკლებ მნიშვნელოვანია ფუტკრის როლი პიროვნების ჩამოყალიბების საქმეში. ადამიანი, რომელიც ფუტკართან არის დაკავშირებული, ემატება გამჭრიახობა და შრომის უნარი.

მეტად საინტერესო ცნობას გვაწვდის პროფესორი არჩილ ლოლუა თავის წიგნში - „საქართველოს მოყვარულ მეფუტკრეთა მატიანე“ პრიმიტიულ-გეჯური მეფუტკრეობის პერიოდის შესახებ, ჩოხატაურის რაიონში.

„ჩვენი საფუტკრე - გვიამპობს მამია ლომთათიძე (რესპუბლიკის დამსახურებული ზოოტექნიკოსი), შთამომავლობით მეფუტკრე გაუვალ ტყეში, სოფლიდან 10-12 კმ-ის დაშორებით იყო. ტყეში ნასვლისათვის წინასწარ ვემზადებოდით, საგზალი ყოველთვის ჭარბად მიგვქონდა, ცხენებით მივდიოდით ტყის პირამდე“. შემდეგ განაგრძობს: „მამაჩემი იყო მაღალი ტანის, ძალზე გამჭრიახი, დაუღალავი, გამბედავი, მოქნილი, ჭვივიანი გლეხი. ხეზე გავლის წინ კარგად მოემზადებოდა, ფეხზე გაიხდიდა, ტანისამოსს ისე მოირგებდა, რომ ასვლაზე ხელი არ შეეშალა. ხის შუა ტანს რომ მიაღწევდა, შეისვენებდა, თოკს ახსნიდა და თუ უფრო მაღლა ასვლა იყო საჭირო, ისევ თოკის გადაგდებით ავიდოდა. მამა ყაბალახით ისე შეისვევდა სახეს, რომ მარტო თვალები უჩანდა, ფუტკრის დანესტვრას ყურადღებას არ აქცევდა. თუ ავდარი ხელს არ შეგვიშლიდა, თან მიყოლებით თითქმის ერთ თვეს გრძელდებოდა ეს სამუშაო. ხან ისეთი მოსავლიანი წლები იყო, რომ 100-120 ფუთამდე თაფლს ვუყრიდით თავს.“

ამ პატარა მონათხრობში რამდენი ვაჟკაცური ელემენტია ასახული, რომელიც წინათ მეფუტკრისათვის აუცილებელი იყო.

საფუტკრის მიკროკლიმატი - ხშირად და სამართლიანადაც უწოდებენ საფუტკრეს ჯანმრთელობის კერას; საფუტკრის სუფთა, გამჭვირვალე ჰაერი, რომელიც გაუღენილია ახალი თაფლის სურნელებით, ყვავილის მტვრისა და დინდგელის არომატით, ადამიანის ჯანმრთელობისათვის მეტად სასარგებლო მიკროკლიმატის წარმოადგენს.

ფუტკრის მოვლა მოყვარულთა საფუტკრეებში აქტიური დასვენების წყაროა, რის შემდეგაც საგრძნობლად მაღლდება ადამიანის შრომისუნარიანობა.

ფუტკარს ადამიანისათვის მრავალნაირი სიკეთის მოტანა შეუძლია, ამიტომ მეტი ყურადღება უნდა დავუთმოთ ამ სასარგებლო მნერის მოვლა-მოშენებას, თაფლოვანი მცენარეების ნაირსახეობით მდიდარ ჩვენს მხარეში.

## VIII - ზუტპრის პროდუქტების მიღების ტექნილოგია და უნახვის პირობები

### ზუტპრის პროდუქტების მიღება და მოვლა

უძველესი დროიდან ადამიანები საკვებად, საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის და სამკურნალოდ იყენებდნენ ფუტკრის ისეთ პროდუქტებს, როგორიცაა თაფლი, ცვილი, დინდგელი და ფუტკრის შხამი; უფრო მოგვიანებით კი ადამინებისათვის ცნობილი გახდა ყვავილის მტვრის და ფუტკრის სადედე რძის ძვირფასი მკვებავი და სამკურნალო თვისებები.

ფუტკრის პროდუქტების სამკურნალო ეფექტი, რასაც განაპირობებს მასში სასარგებლო თვისებების მაქსიმალურად შენარჩუნება, ბევრად არის დამოკიდებული მათი მიღების ხერხებზე, დახარისხებასა და შენახვის წესებზე. ამიტომ აღნიშნული სამუშაოების მაღალკვალიფიციურად შესრულებას სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს.

ძველთაგანვე ფიჭიდან თაფლის გამოსაწურად რამდენიმე ხერხი იყო ცნობილი, მათ შორის: თაფლიანი ფიჭების დაწესვა, მაღალ ტემპერატურაზე გადნობა, თვითდინებით თაფლის დაწურვა და სხვა, მაგრამ ყველა ამ საშუალებით თაფლის მიღებას თავისი ნაკლი ჰქონდა. ფიჭის დეფორმაცია, თაფლის ხარისხის დაქვეითება, შესრულებულ სამუშაოზე დიდი დროის დახარჯვა და სხვა.

აღნიშნულმა გარემოებამ მეფუტკრების სპეციალისტები უფრო ეფექტური საშუალებების ძიების გზაზე დააყენა, რაც თაფლის გამოსაწური ციბრუტის გამოგონებით დამთავრდა.

თაფლის გამოწურვის დაწყებამდე ფიჭებს სპეციალური დანების საშუალებით, რომელსაც ორთქლით ან ელექტრო დენის საშუალებით ვაცხელებთ, უნდა ავაჭრათ ცვილის ფენა და შემდეგ ჩავანყოთ ციბრუტში, რომელსაც სახელურის საშუალებით დავატრიალებთ. ბნურვის შედეგად ნარმოშობილი ცენტრიდანული ძალების მოქმედებით, ფიჭებიდან თაფლი გამოიშევება და ციბრუტის კედლებიდან ფსკერზე ჩაედინება. დაგროვილ თაფლს ონკანის გაღებით სათანადო ჭურჭელში გადავიდებთ, რომელსაც ვადგამთ ლითონის საწურავს, თაფლი რომ მინარევებისაგან გასუფთავდეს. თუ თაფლი თხელია ჭურჭელს დოლბანდს შემოვაკრავთ და თავლია დავტოვებთ.

თაფლის შესანახად მოსახერხებელი და ჰიგიენურია მინის,

თიხის ან მომინანქრებული ჭურჭელი, ასევე შეიძლება გამოვიყენოს ხის კასრები, გარდა მუხისა და წინვოვანი ჯიშებისა. დაუშვებელია მისი შენახვა რკინისა და თუთიის ჭურჭელში, რადგანაც ასეთ შემხმევევაში თაფლის ორგანული მუავები რეაციას ახდენენ ჭურჭლის შიგა ზედაპირთან, რის შედეგადაც წარმოიქმნება შეამიანი შენაერთები, რომელიც შეიძლება მოწამვლა გამოიწვიოს.

თაფლთან ახლოს არ უნდა შევინახოთ ბოსტნეული, ხილი და მძაფრი სუნის ნივთიერებები.

თაფლი უნდა შეივნახოთ დახურული ჭურჭლით მშრალ სათავსოში, რადგანაც ნესტიან გარემოში ის იძენს ტენს და მუავდება. ეს პროცესი განსაკუთრებით აქტიურად მიმდინარეობს 15-20 გრადუს ტემპერატურაზე, ამიტომ თაფლის შენახვის ოპტიმალური ტემპერატურაა 5-10 გრადუსის ფარგლებში.

პრაქტიკაში ცნობილია, რომ შესაფერის პირობებში თაფლი ინარჩუნებს თავის სასარგებლო თვისებებს ათეული ნლების და უფრო მეტი ხნის განმავლობაში.

ცვილი საფუტკრეში დაგროვილი ნარჩენებისა და ძველი - შავი ფიჭების გადამუშავების შედეგად მიიღება. ლია ფერის ნედლეულის გადამუშავება მზის სადნობის საშუალებით წარმოებს, შედარებით მუქი ფერისა კი წამოდულებით და დაწნევით, რისთვისაც საჭიროა გადასადნობი ცვილი ჩავყაროთ ტომარაში, მოვაკრათ პირი, მოვათავსოთ საწნეების ქვაბში, დავასხათ წყალი და შემოვდგათ ცეცხლზე. გადნობის შემდეგ ქვაბს შევდგამო საწნეებში და დავწნეხავთ.

დაწნეების შედეგად მიღებულ ცვილს გადავიღებთ სალექარ ჭურჭელში. გაცივების შემდეგ, ცვილი აღნიშნული ჭურჭლის ფორმას მიიღებს, მას სალექარიდან ამოვიღებთ, გავაშრობთ და ვინახავთ ცივ და მშრალ სათავსოში, ტარის გარეშე.

მასთან ერთად არ უნდა შევინახოთ: მინერალური ზეთები, ნავთი, ბენზინი, შაბიამანი, შხამიანი პრეპარატები და სხვა.

დინდგელის შეგროვება მიზანშეწონილია მთავარი ღალიანობის დამთავრების შემდეგ. ამ დროს ის შედარებით რბილია და ადვილად სცილდება ხის ზედაპირს. სკისა და ჩარჩოების სხვადასხვა ნაწილებიდან მის ასაფხექად ვიყენებთ საფუტკრის საფხექ-ასტამს. თითოეული ოჯახიდან, სეზონის მანძილზე, შეგვიძლია მივიღოთ 100-150 გრამი დინდგელი.

შეგროვებულ დინდგელს ვაძლევთ 150-200გრ. სიდიდის ბურთულების ფორმას პერგამენტის ქაღალდში ვახვევთ და ვინახავთ დახურულ, ბნელ ადგილას, თავდახურულ ჭურჭულში.

ფუტკრის შხამზე მოთხოვნილების საგრძნობლად გაზრდასთან

დაკავშირებით, თანდათან დამუშავდა მისი მიღების მეთოდებიც.

თავდაპირველად ფუტკრებს ხოცადნენ და ისე იღებდნენ შხამს, შემდგომში დაინტერეს სკის საფრენთან ფუტკრების პინცეტით დაჭერა და საშრობი ქაღალდის შეხებით შხამის მიღება.

დღეისათვის საზღვარგარეთ და ჩვენშიც წარმატებით გამოიყენება მაღალმნარმოებლური შხამის მიმღები ხელსაწყო, რომელიც იდგმება სკაში ჩარჩოების ზევიდან და სუსტი ელექტროდენის საშუალებით წარმოებს ფუტკრების გაღიზიანება, რომელთავისაც ეს პროცედურა მავნე არ არის. შხამის გამოიყოფა მინის ზედაპირზე, შემდეგ მას აგროვებენ აფხევის საშუალებით და ინახავენ ჰერმეტულად დახურულ მინის ქილაში.

ნატურალური სახით ყვავილის მტვრის შეგროვება შესაძლებელი გახდა მტვერდამჭერის გამოყენების შემდეგ, აღნიშნული მოწყობილობა შედგება ნასვრეტებიანი ფირფიტისა და მტვრის შემკრები კოლოფისაგან. ფირფიტა მაგრდება სკის საფრენში, შემკრები კოლოფი თავსდება მის ქვემოთ.

ფირფიტის ხვრელის დიამეტრი ფუტკრის ტანის ზომაზეა გაანგარიშებული, ამიტომ მტვრით დაბრუნებული ფუტკარი მასში ვერ ეტევა, ნახვრეტში ნახევრად შესული ძალას ატანს და ფეხებიდან მტვრის გუნდები ცვივა, რომლებიც შემკრებ კოლოფში გროვდება. დღის ბოლოს შემკრები კოლოფები იცლება.

ტენის მოსაცილებლად ყვავილის მტვერი უნდა დაყვაროთ თხელ ფენად საცერისმაგვარ ზედაპირზე და მოვათავსოთ ბნელ სათავსოში, რომელიც ნიავდება. უფრო უკეთესია ყვავილის მტვრის გაშრობა სპეციალურ სითბურ კარადაში – თერმოსტატში  $40-45^{\circ}\text{C}$  ტემპერატურის პირობებში. გამშრალი მტვერი თავსდება მინის ქილაში და ჰერმეტულად ისუფება, რის შემდეგ ვინახავთ დაბალ ტემპერატურაზე მაცივარში.

მეცნიერები თვლიან, რომ ყვავილის მტვერი ერთი ნლით შენახვისას კარგავს თავისი მკვებავი ღირებულების 75%-ს, ორი ნლის შემდეგ კი უვარგისი ხდება.

ყველაზე უკეთ ყვავილის მტვერი ინახება ფუტკრის თაფლში დაკონსერვების გზით. შეგროვილ მტვერს  $1:1$  ან  $1:2$  თანაფარდობით შეურევენ დამნიფებულ თაფლს და შეზელავენ ერთგვაროვანი მასის მიღებამდე, შემდეგ ათავსებენ მინის ქილაში, ხუფავენ ჰერმეტულად და შემოახვევენ მუქ ქაღალდს.

ფუტკრის სადედე რძის შეგროვება წარმოებს მაისისა და ივნისის თვეებში, სასურველია ამ პერიოდს დაემთხვეს ძლიერი ღალანობა. მის მისაღებად საჭიროა შესრულდეს მეტად ფაქიზი, ზუსტი (ფიჭის უჯრედებიდან ხელოვნურ სადედებში ერთდღიანი ჭიების

დაუზიანებლად გადასაყვანად, საჭიროა უნაკლო მხედველობა და ამიტომ აღნიშნულ სამუშაოს მხოლოდ ახალგაზრდები ასრულებენ) და ამასთან შრომატევადი სამუშაოები. თავდაპირველად საფუტკრეში უნდა შევარჩიოთ შედარებით ძლიერი სკები და ისინი დავყოთ ორ ჯგუფად: სადედე და ძიძა სკებად. სადედე სკები და მიღებული ერთდღიანი ჭიები გადაგვყავს ხელოვნურ სადედეებიან ჩარჩოში და გამოსაკვებად უფლის ძიძა სკებს, სამი დღის შემდეგ აღნიშნულ ჩარჩოს ძიძა სკებს ვაცლით და ვიწყებთ ფუტკრის დედის რძის შეგროვებას, სადედე და ძიძა სკებს საჭიროა გავუკეთოთ ნიშნები, რომ ისინი ერთმანეთისაგან გავარჩიოთ.

სადედედ ვარჩევთ სკებს, რომლებშიც ფუტკრები ფარავენ არანაკლებ 5-6 ჩარჩოს, სკაში ვტოვებთ ერთ ჩარჩოს ღია და დახურული ბარტყით. მეორეს კი თაფლითა და ჭეოთი, მათ შორის კი ვდგამთ კარგი ხარისხის ფიჭიან ჩარჩოს ჩასაკვერცხად, დანარჩენ ფიჭებს ვაცლით, ფუტკარს კი ჩავძერტყავთ, რითაც სკის სიძლიერე არ მცირდება. სამაგიეროდ ფუტკრები ჩაკვერცხილ ფიჭას კარგად უვლიან; მე-4 დღეს შუაში ჩადგმულ ჩარჩოს, რომელშიაც უკვე ერთდღიანი ჭიები იქნება ვაცლით, ხოლო მის მაგივრად სანაცვლოს ჩავუდგამთ.

სადედე სკებში აღნიშნული სამუშაო ისეთნაირად უნდა ჩავატაროთ, რომ, როცა პირველ სკას ჩასაკვერცხად უფლის ცარიელ ფიჭას, მეოთხე სკიდან იმავე დღეს უნდა შეგვეძლოს ერთი დღის ხნოვანების ჭიებიანი ჩარჩოს ამოღება.

ასეთი მეთოდით ჩვენ საშუალება გვექნება სადედე სკებიდან ყოველდღიურად მივიღოთ ერთდღიანი ჭიების საჭირო რაოდენობა.

ძიძა სკაში ჩარჩო ერთდღიანი ჭიებით უნდა ჩაიდგას დედის მოცილებიდან 5-6 საათის შემდეგ, რათა ფუტკრის ოჯახმა კარგად იგრძნოს დაობლება.

სადედე და ძიძა სკებს, ღალიანობის შემცირების პერიოდში, სტიმულირებისათვის ყოველდღიურად კვებავთ 1:1-ზე დამზადებული შაქრის სიროფით. თუ კვების პერიოდში სადედე სკის ფიჭა მთლიანად შეივსო თაფლით, ის უნდა შევცვალოთ სხვა ნაკლებთაფლიანი ფიჭით. ხელოვნური სადედების ჩასამყნობი ჩარჩო შეიძლება დავამზადოთ ჩვეულებრივი ჩარჩოს ნახევარი სისქის (სკაში ჩასადგმელი ადგილის მოგების მიზნით). ჩარჩოზე, ერთმანეთისაგან თანაბარი დაშორებით, პორიზონტალურად მაგრდება სამი თამასა ისეთნაირად, რომ მათი შემობრუნება ღერძის გარშემო შესაძლებელი იყოს. ყოველ თამასას გამდნარ ცვილზე მიწებებით დაეკვრება 10-12 ცალი ხელოვნური სადედე ჯამი, რომელსაც ვამზადებთ გამდნარ ცვილიან ჯამში საჭირო დიამეტრის ზომაზე დამზადებული ხის ჩარჩოს ჩაყვინთვით და სწრაფად

ამოღებით, ამასთან ჩხირი ჯერ წყლიან ჯამში უნდა დავასველოთ, თორემის ისე სადედე ჯამი ადვილად არ მოსცილდება.

როდესაც ხელოვნურ სადედებებს ჩარჩოს თამასებზე დავაკრავთ, ის ერთი დღით უნდა ჩავდგათ სკაში, რათა ფუტკრებმა სადედე ჯამები კარგად გაწმინდონ და გააპრიალონ.

ასეთი გზით გასუფთავებულ სადედებში ვაწვეთებთ 10მლ. ფუტკრის დედის რძეს ან, თუ ამ დროისათვის ის ჯერ არა გვაქვს, თაფლს და სადედე სკიდან ამოღებული ჩარჩოდან სადედე ჯამებში, სპეციალური ფორმის მავთულის საშუალებით, გადაგვყავს ერთდღიანი ჭიები.

როცა ჭიების გადაგვანას დავამთავრებთ, მბრუნავ თამასებს შემოვატრიალებთ, სადედე ჯამებს მივცემთ ვერტიკალურ მდებარეობას.

ძინა სკაში ჩადგმულ ასეთი ჩარჩოს ხელოვნურ სადედებში ფუტკრები სწრაფად იწყებენ რძის ჩასხმას ჭიების გამოკვების მიზნით. ალნიშნულ ჩარჩოს სკიდან ვიღებთ 3 დღის შემდეგ და ვაწარმოებთ რძის შეგროვებას.

ხელოვნურ სადედე ჯამებში ჭიების გადასაყვანად უნდა შევარჩიოთ თბილი ოთახი, სადაც ტემპერატურა იქნება არანაკლებ 25 გრადუსი. ოთახში, საჭირო ტენიანობის მისაღებად, იატაკი სველი ტილოთი უნდა მოვწმინდოთ, ასევე შეიძლება კედლებთან გაბმულ ბანრებზე დავკიდოთ სველი ტილოები. ოთახი უნდა იყოს ნათელი და სუფთა. სამუშაო სრულდება ფანჯრის სიახლოვეს, სუფთად გარეცხილ მაგიდაზე, რომელზეც მზის პირდაპირი სხივები არ უნდა ხვდებოდეს. სამუშაო უნდა სრულდებოდეს სწრაფად იმ ვარაუდით, რომ სადედებში გადასაყვანი ჭიები ფუტკრის ბუდეს 30-40 წუთზე მეტხანს არ მოვაცილოთ.

ამავე ოთახში შეგვიძლია ვაწარმოოთ ფუტკრის დედის რძის ამოსაღები სამუშაოები, რომლის დროს უნდა დავიცვათ სანიტარულ-ჰიგიენური ნესები: ჭურჭელი და სამუშაო იარაღი უნდა იყოს სტერილიზებული, ტანზე უნდა გვეცვას თეთრი ხალათი, თავზე დოლბანდის თავსაფარი, პირზე დოლბანდის საფარი.

თავდაპირველად სადედებიდან ჭიები უნდა მოვაცილოთ, ხოლო შემდეგ მინის კოვზი-ნიჩაბის საშუალებით ვაწარმოოთ რძის ამოღება.

სადედე რძეს ვაგროვებთ მუქი ფერის მინის ქილებში, როდესაც ქილა პირამდე შეივსება, თავი უნდა დავახუროთ ჰერმეტულად და შეივნახოთ მაცივრის საიყნულე განყოფილებაში. აქ მისი შენახვა შეიძლება 10 დღის განმავლობაში, რის შემდეგ უნდა ჩაბარდეს გადამამუშავებელ საწარმოს.

ერთი სკიდან, საშუალოდ დღეში, შეგვიძლია მივიღოთ 2 გრამამდე სადედე რძე, ე.ი. 50 დღიანი სეზონის მანძილზე 100გრ. ამასთან უნდა

ვიცოდეთ, რომ მიღებული სადედე რძის რაოდენობა შესაბამისად იზრდება სკის სიძლიერესთან დაკავშირებით.

დღეისათვის ფუტკრის შხამის მიღების ყველაზე ოპტიმალური ტექნოლოგიური პროცესია აქტიური სეზონის მანძილზე ელექტრომონტებილობით აღება ღამის საათებში. აღნიშნული პროცედურის ჩატარება შეიძლება 7-10 დღის ინტერვალით. ამასთან ფუტკრის ოჯახის იმპულსური დენით სტიმულირება არ უნდა აღემატებოდეს 45-60 წუთს.

**შხამის შემკრები მოწყობილობა შედგება:**  
ელექტრომიმპულსატორის, ჩარჩოებისა და სადედებისაგან.

ერთი ელექტრომიმპულსატორი ერთდროულად ემსახურება რამდენიმე ათეული შხამის შემკრებ ჩარჩოს, უმეტეს წილად კი 40-50 ცალს. რაც შეეხება შხამის შემკრები ჩარჩოების კონსტრუქციებს, ყველაზე უკეთეს შედეგს იძლევა ფუტკრის ოჯახის ბუდის ზევიდან, საჟუჭნაოს მსგავსად, ვერტიკალურად განლაგებული შხამის შემკრები ჩარჩოები.

იმპულსური დენის ზემოქმედება და შხამის სუნის შეგრძნება, აგრესიულად განაწყობს ფუტკარს, ამიტომ ფუტკართან მომუშავე პირი დაცული უნდა იყოს დანესტვრისაგან სპეციალური ტანსაცმლით.

**ელექტრომიმპულსატორები იკვებებიან:** ზოგი კონსტრუქციის 220ვ. ცვლადი დენის ქსელში ჩართვით, ზოგი კი 12ვ. მუდმივი დენით.

თავის მხრივ ელექტრომიმპულსატორი შხამის შემკრებ ჩარჩოებს აწვდის 12ვ. ძაბვის იმპულსურ დენს. ჩარჩოებზე გაბმულ მავთულებზე შეხებისას, დენის ზემოქმედებით, ფუტკარი ლიზიანდება და ჩარჩოს მინაზე გამოყოფს შხამს. პროცედურის დამთავრების შემდეგ, შხამის თხელი ფენით დაფარული მოძრავი მინები, ჩარჩოებიდან ამოლაგდება და სპეციალურ დახურულ ბუნერში თავსდება, სადაც უსაფრთხო სამართებლის საშუალებით წარმოებს შხამის ფენის აფხევა; შეგროვილი შხამი თავსდება შავი ფერის ჰერმეტულად თავდახურულ მინის ქილაში და გამოყენებამდე ინახება ცივ და ბნელ ადგილას.

ალბათ საინტერესოა მიახლოებით მაინც ვიცოდეთ, თუ რა რაოდენობის ფუტკრის შხამის შეგროვება შეიძლება დღეს საქართველოში, სადაც როგორც საზოგადოებრივ, ასევე კერძო სექტორში, ერთად აღებული დახახლოებით 150 ათასამდე ფუტკრის ოჯახი ითვლება, თუ თეორიულად ერთ ფუტკრის ოჯახზე ერთ გრამს ავიღებთ, მაშინ ეს 150 კგ-ს შეადგენს, მაგრამ პრაქტიკულად სხვადასხვა მიზეზებთან დაკავშირებით ვიღებთ 15-20კგ-ს ფარგლებში.

ფუტკრის შხამის მედიცინაში გამოყენებას დიდი პერსპექტივები აქვს. მაღალია მისი საპაზრო-სავალუტო ღირებულება და ამიტომ

აუცილებელია ფუტკრის შხამი, როგორც ეროვნული სიმდიდრე, დროულად და სრულად ავითვისოთ, რათა ჩავაყენოთ ის ხალხის კეთილდღეობის სამსახურში.

## გარგია, თუ ცედი ჩაშაქრებული თავზღვი?

ხშირად გვეკითხებიან, ჩაშაქრებული თაფლი ნატურალურია, თუ შაქარი აქვს შერეული და ამიტომაა ასეთი? ასეთ გულუბრყვილო კითხვაზე არც თუ იშვიათად გვიწევს ახსნა \_ განმარტების მიცემა და სწორედ ამიტომ გადავწყივტეთ მცირედი ინფორმაცია მივაწოდოთ თაფლის მოვარულებს.

თაფლი შედგება 16-21% ნყლისაგან და 75% მშრალი ნივთიერებებისაგან \_ სამი სახის მარტივი შაქრისაგან, ესენია: ყურძნის შაქარი \_ გლუკოზა 35%, ხილის შაქარი \_ ფრუქტოზა 35% და ლერნმის შაქარი \_ სახაროზა არაუმეტეს 7%-სა. გარდა აღნიშნულისა თაფლი შეიცავს ბევრ მინერალურ და სხვა სახის ნივთიერებებს, როგორიცაა რკინა, კალიუმი, ფოსფორი და ა.შ.

სადაც არ უნდა შევინახოთ ფიჭიანი თაფლი, სკაში თუ საწყობში, იშვიათად დაშაქრდება, მაგრამ ციბრუტში გამოწურვის შემდეგ სულ მალე გადადის თხევადი მდგომარეობიდან სქელ მდგომარეობაში და ამ პროცესს დაშაქრება-დაკრისტალება ეწოდება. დაშაქრებული თაფლი სამი ხარისხისაა: მსხვილმარცვლიანი, წვრილმარცვლიანი და ქონისებური.

თაფლის დაშაქრებისას მისი ხარისხი და კვებითი ღირებულება არ იცვლება.

დაკრისტალების სისწრავე დამოკიდებულია იმ თაფლოვანი მცენარეების სახეობაზე, საიდანაც მიღებულია ნექტარი, ასევე გარემოს ტემპერატურასა და გამოწურული ფიჭიების მდგომარეობაზე (თუ ფიჭის უჯრედებში იმყოფებოდა დაკრისტალებული თაფლის ნარჩენები, ეს აჩქარებს თაფლის დაშაქრებას).

ამასთან, რაც უფრო მეტია თაფლში ყურძნის შაქარი, მით უფრო სწრაფად მიმდინარეობს დაკრისტალების პროცესი.

მსხვილმარცვლოვანი კრისტალები ნარმოიშობა მაშინ, როდესაც კრისტალიზაცია ნელა მიმდინარეობს. რაც უფრო სწრაფად მიდის დაშაქრება, მით უფრო მცირეა მისი კრისტალების მოცულობა. ქონისებური დაკრისტალება მიმდინარეობს მაშინ, როდესაც თაფლი იმყოფება 14° გარემოს ტემპერატურის ფარგლებში.

თუ ჩვენ არ გვსურს, რომ თაფლი დაკრისტალდეს, ან

დაშაქრებული თაფლი გადავიყვანოთ თხევად მდგომარეობაში საჭიროა ის გავათბოთ  $40\text{--}41^{\circ}\text{C}$ -ზე.

გამოწურული თაფლის მალე დაშაქრება, მის კარგ ხარისხზე მიგვანიშნება. ამასთან, დაშაქრებული თაფლი დიდხანს ინახება. ამიტომ შორ მანძილზე ტრანსპორტირებისას მიმართავენ თაფლის ხელოვნურ დაშაქრებას.

ფუტკრის საკვეპად ციბრუტში გამოწურული თაფლის მიცემისას ის მალე შაქრდება, ამიტომ მეფუტკრები შემოდგომით ასეთი პროცედურის ჩატარებას უნდა მოერიდონ. უმჯობესია გადაბეჭდილი თაფლიანი ფიჭების მიცემა.

რაც შეეხება ტემპერატურული რეჟიმის გავლენას თაფლის დაკრისტალებაზე, ცდებით დადგენილია, რომ თუ თხევადი თაფლი პერმეტულად არის დახურული მის დაკრისტალებაზე ტემპერატურის გავლენა არ აღინიშნება, უფრო სწორად თაფლი არ შაქრდება, ხოლო არამატიდროდ დახურულ ჭურჭელში ჩასხმული თაფლი მშრალ და თბილ ადგილზე შენახვისას შაქრდება უფრო სწრაფად, ვიდრე ცივ საწყობში. როგორც ეტყობა აქ დაშაქრება პირდაპირ დამოკიდებულებაშია თაფლიდან წყლის აორთქლებასთან.

ეხლა მცირედი რჩევა პრაქტიკული გამოცდილებიდან:

მინდვრის ყვავილების თაფლი მალე შაქრდება, შემდეგ მოდის ცაცხვი. აკაციისა და წაბლის თაფლი, თუ მათ სხვა მცენარეების ნექტარი არ ურევია, სუსტად ან საერთოდ არ შაქრდება. ასე რომ ნატურალური თაფლი შეიძლება იყოს როგორც თხევად, ასევე დაშაქრებულ მდგომარეობაში და ეს უკანასკნელი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მხოლოდ მის მაღალ ღირსებაზე მიგვანიშნებს.

## როგორ დაგივგათ თაფლი დამზადებისაგან

როგორც წესი თაფლი უნდა ინახებოდეს ჰერმეტულად დახურულ ჭურჭელში, მშრალ და კარგად განივებულ შენობაში. სათავსო დაცული უნდა იყოს ბუზების, ჭიანჭველების, მწერებისა და მავნებლებისაგან. თაფლთან ერთად არ უნდა შევინახოთ მტვრიანი და მძაფრი სუნის მქონე პროდუქტები: ფქვილი, მატყლი, ჩვრები, ცემენტი, სასუქი და სხვა ქიმიკატები, ნავთობის პროდუქტები, მწნილები და დამარილებული პროდუქტები.

უნდა გვახსოვდეს, რომ ჭურჭელი თაფლით პირამდე არ უნდა გავასოთ, რადგან გათბობის შემდეგ თაფლი მოცულობაში მატულობს და შესაძლებელია ჭურჭელი გახეთქოს.

არის შემთხვევები, როცა ცუდად შენახულ თაფლში სხვადასხვა

ბაქტერიების მოქმედებით წარმოიშობა დუღილის პროცესები. 17-18 პროცენტი წყლის შემცველობის მქონე მნიშვე თაფლს დუღილი არ შეუძლია, მაგრამ 21 პროცენტზე ზევით წყლის შემცველობის თაფლში დუღილისათვის ხელსაყრელი პირობები იქმნება. ასევე შეიძლება დუღილი-დამჟავება დაიწყოს მნიშვე თაფლმა, რომელიც ნესტიან შენობაზე ინახება, რადგან ის ჰაერიდან იღებს ტენს, თხელდება და დუღილი იწყება. ნესტიან საწყობში მჟავდება აგრეთვე გადა-ბეჭდილუიჭიანი თაფლი, რადგან ფიჭის უჯრედებშიც შეიძლება ტენის შეღწევა. თაფლი წყლით იუღინთება, იბერება, სახურავს ხეთქავს და იწყებს გამოყონვას.

ამას გარდა დიდი მნიშვნელობა აქვს ტემპერატურასაც. საერთოდ +4 გრადუსს ქვევით და +30 გრადუსს ზევით დაუმნიშვებელი თაფლი არ მჟავდება.

თაფლის შენახვის დროს დამჟავებისათვის ოპტიმალური ტემპერატურა +14-20 გრადუსია.

თაფლის დუღილი-დამჟავება მიმდინარეობს ორ ფაზად. პირველ ფაზაში თაფლის შაქარი საფუარის ბაქტერიების მოქმედებით იშლება ღვინის სპირტად და ნახშირმჟავად; თაფლის არომატი იზრდება, ნახშირმჟავას წარმოშობა და გამოყოფა იწვევს თაფლის მოცულობის გადიდებას, მის გათხელებას, გაფუება-ამონერვას, თაფლის ტარის გაფუჭებას, დაბეჭდილი თაფლის უჯრედების ფირფიტების დახეთქვას, თაფლის ზედაპირზე ქაფის გაჩენას და სხვ.

მეორე ფაზაში უკვე წარმოშობილი ღვინის სპირტი იუანგება და წარმოშობს ძმრის მჟავას, თაფლს უჩნდება მჟავე სუნი და საკვებად არასასიამოვნო ხდება, ამასთანავე ის საზიანოა მოზამთრე ფუტკრისათვის. ფუტკრის ოჯახში, სადაც ტემპერატურა +30 გრადუსსზე მაღალია, თაფლი არ მჟავდება თუნდაც ის დაუმნიშვებელი იყოს.

ასევე არ წარმოებს თაფლის დუღილი ზამთრობით, როდესაც ფუტკრის გუნდში ტემპერატურა 20 გრადუსზე ზევითაა. გუნდის გარეთ, სადაც ფუტკრები თაფლიან ფიჭას ვერ ფარავენ, შეიძლება მისი დუღილი თუნდაც ის დამნიშვებული იყოს. ამიტომაც არის საჭირო, შემოდგომით, როდესაც ფუტკრის ოჯახებს საზამთროდ ვამზადებთ, ის თაფლიანი ფიჭები, რომლებსაც ფუტკარი ვერ ფარავს ამოვაცილოთ და რეკომენდებულ ტემპერატურაზე შევინახოთ. ხოლო გაზაფხულზე საჭიროების მიხედვით დავუბრუნოთ.

თუ თაფლის დუღილი მაინც დაიწყო, მისი შეჩერება შეიძლება თუ კი თაფლს 30 წუთის განმავლობაში შევაცხელებთ +60 გრადუს ტემპერატურაზე, ჭურჭელში, რომლის კედლებს შორის წყალი იქნება

ჩასხმული. თაფლის გაცხელება იწვევს ხარისხის რამდენადშე გაუარესებას, ვიტამინებისა და სხვა საჭირო ნივთიერებების დაშლას, ამიტომ თაფლის გამოწურვის შემდეგ თუ ის დაუმნიფელია, უნდა მოხდეს მისი ხელოვნური მომზიფება: თაფლს ათავსებენ დაბალი სიმაღლის მქონე ღია ჭურჭელში შშრალ და განივებულ საცავებში და ანარმობენ მის პერიოდულ არევას თაფლის ზედაპირიდან ზედმეტი ტენის ასაორთქლებლად. ჭურჭელს ზემოდან უნდა შემოვაკრათ დოლბანდის საფარველი და დავიცვათ ჭიანჭველებისა და სხვა მწერების მოხვედრისაგან.

## IX - ვატპრის პროდუქტების გამოყენება ხალხურ მედიცინაში

ხალხის სიბრძნემ და დაკვირვებამ მრავალი ძვირფასი სამკურნალო საშუალება შესძინა მედიცინას, როგორიც არის: ქინაქინა, ატროპინი, კოკაინი, პენიცილინი და სხვა; მათ შორის ფუტკრის თაფლი, როგორც სხვადასხვა დაავადების წინააღმდეგ მნიშვნელოვანი სამკურნალო საშუალება. ფუტკრის სხვა პროდუქტები: ცვილი, დინდგელი, ფუტკრის შხამი და ა.შ. ასევე სასარგებლოა ადამიანისათვის, ხელს უწყობს ჯანმრთელობის დაცვასა და შენარჩუნებას, ძალის აღდგენას, სიცოცხლის გახანგრძლივებას. ამიტომ დამსახურებულად უწყობენ ფუტკრებს ფრთოსან ექიმებს.

დედამიწაზე მცხოვრები თითქმის ყველა ხალხი უძველესი დროიდან იცნობს თაფლის სამკურნალო თვისებებს. ამასთან თაფლი მნარე აბი კი არ არის, არამედ მეტად სასიამოვნო წამალია, რომელიც უშუალოდ სამკურნალო მოქმედებასთან ერთად, ხელს უწყობს ორგანიზმის დამცველი ძალების გაძლიერებას.

ისტორიამ იცის ბევრი მაგალითი, როცა თაფლის მუდმივად, თუნდაც მცირედოზით მომხმარებელი ადამიანები ხანდაზმულობამდეც კი ინარჩუნებენ ჯანმრთელობას და სიმხნევეს.

თაფლს ძალზე აფასებდნენ არაბები, XIV საუკუნეში ცნობილი იყო სამედიცინო ხასიათის შრომა სახელწოდებით: “პროფეტის მედიცინა” მასში ლაპარაკი იყო კანონებზე, რომელთაგან ერთ-ერთი შემდეგი შინაარსისა იყო: “ოთხი მოქმედება ბადებს საოცრებას: - დალიე თაფლი, უყურე წყალს, მწვანე ფერს და დატები ლამაზი სახის ცქერით”.

ძველ ინდუსთა წიგნში “აიურ-ვედაში” (სიცოცხლის წიგნი),

აღნერილია, რომ ადამიანის სიცოცხლის გახანგრძლივება შეიძლება დიეტით, რომლის შემადგენლობაში შედის თაფლი და რძე.

ალბათ, საინტერესოა ვიცოდეთ ჩვენი წინაპრები რომელ დაავადებებს მკურნალობრივ თაფლით; ამ მათი ჩამონათვალი: ანემია, ტუბერკულოზი, ჭრილობები, გულისა და კუჭნანლავის, ნერვული და კანის, თვალის დაავადებები და ა.შ.

თაფლი, მისი ანტიანემიური თვისებების გამო, ფართოდ გამოიყენება ხალხურ და მეცნიერულ მედიცინაში.

ფრანგი მეცნიერი კომპი წიგნში “მედიცინა ბავშვებისათვის” წერს, რომ თაფლი ძველად გაცილებით დიდი რაოდენობით გამოიყენებოდა, ვიდრე ამჟამად და ეს ერთ-ერთი მიზეზთაგანია იმისა, რომ წარსულში სისხლნაკლული ბავშვები ნაკლებად გვხვდებოდნენ.

უძველესი დროის ჩინელები, ინდოელები, ბერძნები და რომაელები თაფლს იყენებდნენ, როგორც დამამშვილებელ და ძილის მომგვრელ წამალს. მას შემდეგ, რაც გამოიკვლიეს თაფლის რთული შემადგენლობა, ნერვული სისტემის ზოგიერთი დაავადების მკურნალობისას მისმა გამოიყენებამ მეცნიერულად დასაბუთებული ხასიათი მიიღო.

თაფლში არსებული სხვადასხვანაირი მიკროელემენტები, ნერვული სისტემის უმაღლესი ცენტრების რეგულატორები და სტიმულატორები არიან.

ნევროზის მკურნალობისას, ფუტკრის თაფლის გამოყენებასთან ერთად, აუცილებელია ერთის მხრივ აღმოიფხვრას ავადმყოფის შემაწუხებელი ყველა უსიამოვნება, ჩამოშორდეს ორგანიზმის დამასუსტებელი მიზეზები, ხოლო მეორეს მხრივ პაციენტმა უნდა დაიცვას სწორი რეჟიმი. (გონებრივი და ფიზიკური დატვირთვა, კულტურული გართობა, წყარი ძილი და დასვენება).

თაფლის შხამსანინააღმდეგო მოქმედებას აღნიშნავდნენ ძველი ბერძნი, ინდოელი და ჩინელი ექიმები,

ჩეხი ავტორების ცნობით, სოკოთი მოწვმლისას, რაც გამოწვეულია მასში შხამიანი ჰისტამინების არსებობით, დაზარებულს, სამედიცინო პერსონალის მოსვლამდე, პირველი დახმარება შეიძლება გაეწიოს თაფლით, იგი რამდენიმე კოვზი ეძლევათ გრილ წყალთან ან თბილ ჩაისთან ერთად, ასეთივე ხერხი გამოიყენება სხვა კვების პროდუქტებით მონამვლის დროსაც.

უძველესი დროიდან დღემდე თაფლს წარმატებით იყენებდნენ ჭრილობების სამკურნალოდ.

მეცნიერული მედიცინის ფუძემდებელი ჰიპოკრატე თავის ნაშრომში: “ჭრილობების შესახებ”, გვირჩევს ვიხმაროთ ძიღვს

ასრესილი ფოთლები შერეული თაფლთან. რომაელი მნერალი და ისტორიკოსი პლინიუსი წერს, რომ თაფლით შეზავებული თევზის ქონი კარგად მოქმედებს ხანგრძლივი დროის მანძილზე შეუხორცებელ ჭრილობებზე.

ავიცენა თაფლში მოზელილი პურის ფქვილისაგან ამზადებდა კვერებს, რომელსაც ადებდა ჭრილობას და კარგ სამკურნალო შედეგს აღწევდა.

ყველაზე უძველეს ჩინურ წიგნში “მცენარეებისა და ბალახების ნაყოფიერების ღმერთის აღწერა” მოიხსენიება: “თაფლი შინაგან ორგანოებს, აძლევს ძალლონეს, ადაბლებს სიცხეს, მისი ხმარება ხანგრძლივად აკაუებს ნებისყოფას, სხეულს ანიჭებს სიმსუბუქეს, უნარჩუნებს სიახალვაზრდავეს, ახანგრძლივებს სიცოცხლეს.”

ქართულ ხალხურ მედიცინაში თაფლით მკურნალობას დიდი ხნის ისტორია აქვს.

XV-XVI საუკუნეების ქართველი მეცნიერები - ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილი და დავით ბაგრატიონი თავიანთ სამკურნალო წიგნებში - “სამკურნალო წიგნი კარაბადინი” და “იადიგარ-დაუდი” არა ერთხელ ახსენებს თაფლს, როგორც სხვადასხვა წამლების ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს.

ხელხურ მედიცინაში თაფლი დღესაც წარმატებით გამოიყენება: ციცების, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის, სასუნთქი ორგანოების, გულსისხარლვთა სისტემის, ნერვული სისტემის დაავადების, აგრეთვე კანის სნეულებათა დროს და ა.შ.

დინდგელის სამკურნალო თვისებები ადამიანებმა უძველესი დროიდან იცოდნენ. ეგვიპტეში, ჩვენს წელთაღრიცხვამდე რამდენიმე ათასწლეულით ადრე, დინდგელი კარგად იყო ცნობილი ეგვიპტელი ქურუმებისათვის, რომელთა ხელში თავმოყრილი იყო მედიცინა, ქიმია და ხალხური სამკურნალო საშუალებები.

ქართულ ხალხურ მედიცინაში ზოგიერთი დაავადების სამკურნალოდ წარმატებით იყენებდნენ დინდგელის მაღამოს, ნესად იყო მიღებული ახალდაბადებული ბავშვის ჭიშზე დინდგელის თხელი ფენის დადება და ბავშვის სათამაშოების დინდგელით განმენდა.

ბოლო წლებში, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გაგზავნილმა ექსპედიციამ, რომლის მიზანს შეადგენდა შეესწავლა ქართული ხალხური სამკურნალო საშუალებები, დაადგინა რომ, ქართულ ხალხურ მედიცინაში დღესაც წარმატებით გამოიყენება დინდგელით მკურნალობა.

ფუტკრის ცვილს ახასიათებს შემარბილებელი და ანთების სანინაალმდეგო თვისებები, ამიტომ ხალხურ მედიცინაში

წარმატებით გამოიყენებოდა ქრილობების, მოტეხილობების და კანის დაავადებათა სამკურნალოდ.

“თაფლია თუ თხიერი ოქროა, ცვილი ოქროს ზოდიაო”, - ამბობდნენ წინათ, შორეულ წარსულში. ცვილი შემთხვევით არ ასრულებდა ფულის როლს, იგი საზომი იყო საერთაშორისო ვაჭრობაში.

ხალხმა ჯერ კიდევ უძველეს დროში შეამჩნია, რომ ველურ ფუტკარზე მონადირებსა და მეფუტკრებს არ ტანჯავდათ სახსრების ტეივილი და ჩინებული ჯანმრთელობა პერნიათ. როგორც ირკვევა, მათ სწირად ნესტრავდნენ ფუტკრები. სწორედ ამიტომ, ხალხური მედიცინა ფუტკრის დანესტვრით ხსირად მკურნალობდა რევმატიზმისა და გაციებით გამოწვეულ დაავადებებს. ხალხს ტყუილად კი არ უთქვამს ფუტკარზე: “კიდეც ნესტრავს, კიდეც არჩენსო”,

მიზანშეწონილია გავითვალისწინოთ ერთი გარემოება: იმის მიუხედავად, რომ ხალხურ მედიცინაში დამკვიდრებულია ფუტკრის პროდუქტების მკურნალობის მეთოდის მრავალსაუკუნოვანი გამოცდილება, არ შეიძლება მისი ხელალებით - თვითმკურნალის გზით გამოყენება, შემდეგი მიზეზების გამო:

- ფუტკრის პროდუქტები ძალზე რთული და არაერთგვაროვანი შემადგენლობისაა და მათი მოქმედება ადამიანის ორგანიზმზე მეცნიერების მიერ ჯერ კიდევ მთლიანად არ არის შესწავლილი.

- არ არსებობს ისეთი სამკურნალო საშუალება, ბუნებრივი იქნება ეს, თუ ხელოვნური, რომელიც ყველა ორგანიზმზე ერთნაირად მოქმედებდეს.

- პრაქტიკაში ცნობილია შემთხვევები, როცა ფუტკრის პროდუქტებით მკურნალობის დროს, ზოგიერთ ადამიანს ალერგიული მოვლენები და სხვა უფრო მძიმე უარყოფითი სიმპტომები უვითარდებათ.

აღნიშნულის გამო, უნდა გვახსოვდეს, რომ ფუტკრის პროდუქტების მხოლოდ გონივრულმა გამოყენებამ შეიძლება მოგვცეს სასურველი სამკურნალო შედეგი, რისთვისაც საჭიროა მკურნალი ექიმის კონსულტაცია, რომელიც ჩვენი ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

## თაფლის სასარგებლო და სამკურნალო თვისტებები

თაფლი წარმოადგენს სამკაოდ რთული შემადგენლობის ნაერთს. იგი სხვადასხვა რაოდენობით შეიცავს სამი სახის: ყურძნის, ხილის და მცირე რაოდენობით ლერწმის შაქარს. მასში შედის

აგრეთვე ადამიანის ორგანიზმისათვის მეტად საჭირო მინერალური ნივთიერებები, როგორიცაა: ფოსფორი, რკინა, გოგირდი, მარგანეცი, კალციუმი, მაგნიუმი, კალიუმი, ნატრიუმი და სხვ. ასევე შეიცავს: ცილებს, ვიტამინებს, ფერმენტებს, მჟავებს, მთრიმლავ, სურნელოვან ნივთიერებებს და სხვ. თაფლში არის 14-20%-მდე წყალი. ამასთან, რაც უფრო ნაკლებია მასში წყლის შემცველობა, უფრო უკეთესი ხარისხისაა და კარგად ინახება.

საკმაოდ რთული შემადგენლობის მიუხედავად, თაფლი ადამიანის ორგანიზმისათვის ადვილად ასათვისებელი პროდუქტია, რადგანაც ფუტკრები ნექტრის თაფლად გადამუშავების დროს, რთული შემადგენლობის შაქრებს შლიან მარტივად და ადამიანის ორგანიზმს მათი გადამუშავებისათვის აღარ სჭირდება ფერმენტების გამოყოფა, რაც აუცილებელია ჩვეულებრივი შაქრის მიღების შემთხვევაში. აღნიშნულის გამო, თაფლი ძალიან სასარგებლოა ბავშვებისათვის, მოხუცებისათვის, დაავადებული და დასუსტებული ადამიანებისათვის, სპორტსმენებისათვის, მძიმე ფიზიკური და გონებრივი შრომით დაკავებული ადამიანებისათვის.

არომატის, გემოს, სუნის, ფერის, სასარგებლო და სამკურნალო თვისებების მიხედვით, თაფლი სხვადასხვა ხარისხისაა, რაც დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელი თაფლოვანი მცენარეებიდან არის მიღებული. უმაღლესი ხარისხისაა აკაციისა და ცაცხვის ყვავილების თაფლი, ასევე კარგია მინდვრის ყვავილების თაფლიც.

აკაციის თაფლი - ლია ფერისაა, იგი გამოიყენება უძილობის, ღვიძლის, ნაღვლის ბუშტის, თირკმელებისა და ნაწლავების დაავადებათა სამკურნალოდ.

ცაცხვის თაფლი - მოყვითალო მუქი ფერისაა, იგი შეიცავს მიკრობების საწინააღმდეგო ნივთიერებებს, ახასიათებს ანთებითი პროცესების საწინააღმდეგო თვისებები, გამოიყენება ბრონქიალური ასთმის, ბრონქიტის, გრიპის, ანგინის, საჭმლის მომნელებელი ორგანოების, ჭრილობებისა და დამწვრობის სამკურნალოდ.

მინდვრის ყვავილების თაფლი - ყვითელი ფერისაა, გამოიყენება სხვადასხვა დაავადებების სამკურნალოდ, განსაკუთრებით ეფექტურია ზედა სასუნთქი გზების დაავადების დროს.

ნაბლის თაფლი მუქი ფერისაა, გამოიყენება ღვიძლისა და თირკმელების დაავადებათა სამკურნალოდ.

თაფლის ანტიბიოტიკური და ანთებასანიაღმდეგო მოქმედება კარგ შედეგს იძლევა, ზემო სასუნთქი ორგანოების მკურნალობისას. ასეთ შემთხვევაში შევვიძლია გამოვიყენოთ მკურნალობის რამდენიმე მეთოდი:

- თაფლი მცირე დოზით (60-100გრ. დღეში) უნდა დაავაყოვნოთ

პირის ღრუში, რათა მოხდეს მისი შეწოვა პირის ღრუს ლორნოვანი გარსისა და ხახის მიერ.

- თაფლისა და ანესტეზინის ხსნარი უნდა ჩავიწვეთოთ ცხვირის ღრუში ორჯერ დილით და საღამოს.

- ნამოდულებული თაფლის წყალხსნარის ორთქლით უნდა ჩავიტაროთ აეროზოლური ინჰალაცია - დღეში ორჯერ 20 წუთის ხანგრძლივობით, ამ დროს შევისუნთქავთ ცხვირით და ამოვისუნთქავთ პირით. დადებითი შედეგებია მიღწეული თვალის დაავადებათა (კონიუქტივიტი, კერატიტი და სხვ.) მკურნალობისას. ასეთ დროს თვალში უნდა ჩავიწვეთოთ ნატურალური თაფლი ან გამოხდილ წყალში მისი 20-30%-იანი ხსნარი.

გულის დაავადებათა (სტენოკარდია, კორონარული უკმარისობა, მიოკარდიტი და სხვ.) სამკურნალოდ თაფლის ქიმიური შემადგენლობა, მისი ბიოლოგიური, მკვებავი და დიეტური თვისებები ნარმოადგენს შეუცვლელ საშუალებას, იგი არა მარტი ამაღლებს გულის მუშაობის უნარიანობას, არამედ მისი საკვებიც არის, ხოლო თაფლში არსებულ ნივთიერებას აცეტილქოლინს აქვს უნარი დაბლა დასწიოს სისხლის მაღალი წნევა.

კეთილყოფელ გავლენას ახდენს თაფლი ნერვულ სისტემაზე, ორგანიზმის ნივთიერებათა ცვლაში აქტიურად მონანილე ფუტკრის თაფლი, დამამშვიდებლად მოქმედებს ნერვულ უჯრედებზე. ამიტომ იგი გამოიყენება ნევროზის, ნევრასთენიის და ისტერიით დაავადებულთა სამკურნალოდ.

თაფლით კუჭ-ნაწლავის დაავადებების (გასტრიტი, კოლიტი, წყლულები და სხვა) მკურნალობის დროს, უნდა გავითვალისწინოთ კუჭის წვენის მუავიანობა, თუ იგი მაღალია, თაფლი უნდა მივიღოთ 1,5-2 საათით ადრე ჭამამდე ან ჭამიდან 3 საათის შემდეგ, ხოლო თუ მუავიანობა დაბალია, მაშინ ჭამის წინ.

კუჭისა და ოორმეტგოჭა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებების სამკურნალოდ კარგ შედეგს იძლევა თბილ წყალში გახსნილი თაფლი, მაგრამ საჭიროა ვიცოდეთ, რომ ამ დროს თაფლი კუჭის წვენის სიმუავეს დაბლა სწევს, ცივი თაფლ-წყალხსნარის მიღება კი პირიქით.

ღვიძლისა და ნაღვლის საღინარი გზების დაავადების დროს, თაფლი აქტიურად უწყობს ხელს ღვიძლში ნივთიერებათა ცვლის პროცესს, ამაღლებს მასში გლიკოგენის მარაგს და აძლიერებს მის დაცვით ფუნქციებს. ინფექციური სიყვითლით დაავადებისას ეფექტურია დილით და საღამოს ერთი ჩაის კოვზი თაფლის მიღება ვაშლის წვენთან ერთად.

თაფლის შემადგენლობაში შემავალი და P ვიტამინებს დიდი

მნიშვნელობა აქვს თირკმელების მწვავე და ქრონიკული ანთებითი პროცესების მკურნალობისათვის. განსაკუთრებით კარგია თაფლისა და ლიმონის წვენის ნაზავის მიღება.

თაფლი ბაქტიერიოციდულ თვისებას ამჟღავნებს ნაწლავების ბაქტიერიების (დეზინტერიის ჩხირები, პარტიფოზი და სხვ.) და ჩირქენარმოშობ მიკროორგანიზმების მიმართ (სტაფილოკოკი, სტრეპტოკოკი, ჩირქოვანი ჩხირები და სხვ.) ცნობილია, აგრეთვე, მისი სოკოვან დაავადებათა საწინააღმდეგო თვისებები.

თაფლი გამოიყენება ღრმა ტრამული და ჩირქოვანი დაავადებების სამკურნალოდ, რომელთა ნინასწარი დამუშავების შემდეგ, ჭრილობაში შეაქვთ ნატურალური თაფლი, საფენები უნდა გამოიცვალოს ყოველდღიურად.

თაფლის დღიური ნორმა მოზრდილი ადამიანისათვის 60-დან 100 გრამამდეა, ბავშვებს უნდა მივცეთ ჩაის კოვზით დღეში 3-ჯერ, რაც 30 გრამს უდრის. ამასთან გასათვალისწინებელია, რომ თაფლის საკვებად მიღება და სამკურნალოდ გამოყენება მიზანშეწონილი არ არის თაფლისადმი ალერგიულად განწყობილი ადამიანებისათვის.

გასაგებია, რომ თაფლის ზემოთ ჩამოთვლილი სასარგებლო და სამკურნალო დანიშნულების ეფექტიანობა მნიშვნელოვნად დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ხარისხის პროდუქტი გვაქვს ხელთ, რაც განპირობებულია ორი ფაქტორით: თაფლი უნდა იყოს ნატურალური და ინახებოდეს დადგენილი წესის მიხედვით.

თაფლის შესანახად მოსახერხებელი და ჰიგიენურია მინის, თიხის ან მომინანქრებული ჭურჭელი. თაფლის შენახვის ოპტიმალური ტემპერატურა 5-10 გრადუსია. გამონაკლის შემთხვევაში, როდესაც თაფლი თხელია (განსაკუთრებით აღრე გამოწურული - ჯერ კიდევ დაუმნიფებელი თაფლი), დროებით უნდა შევინახოთ თავღია, დოლბანდ გადაფარებულ ჭურჭელში, რათა ზედმეტი წყალი აორთქლდეს და შესქელდეს, რადგან ჰერმეტულად თადახურულ ჭურჭელში თხელი თაფლი დამუავდება.

## ცვილის გამოყავისა

ცვილის - (სანთელს) მუშა ფუტკრები გამოყოფენ ოთხი წყვილი ჯირკვლებიდან, რომელიც მოთავსებული აქვთ მუცლის ქვედა რგოლებზე. ქიმიური შედგენილობით ცვილი ახლოა მცენარეულ და ცხოველურ ცხიმებთან.

ცვილის საერთო შემოსავლის 80% ისევ მეფუტკრეობას უბრუნდება ხელოვნური ფიქის სახით, დანარჩენი 20% კი ხმარდება სახალხო

მეურნეობის 40-ზე მეტ დარგს, როგორიცაა: მეტალურგია, ავიაცია, გემთმშენებლობა, საავტომობილო წარმოება, ელექტროტექნიკა, საფეიქრო, ხის დამამუშავებელი მრეწველობა, მეპალეობა და სხვ.

თითქმის არ არსებობს მრეწველობის ისეთი დარგი, რომელიც გარკვეული რაოდენობით არ საჭიროებდეს ფუტკარის ბუნებრივ ცვილს, მაგრამ, სამწუხაროდ, მეფუტკრების დარგი დღეისათვის ვერ აკმაყოფილებს ამ მოთხოვნებს და ამიტომ მის ნაცვლად, ხშირ შემთხვევაში, ცვილისმაგვარ ნივთიერებებს ხმარობენ, რაც შესაბამისად ამცირებს პროდუქციის ხარისხს.

დღეისათვის ცვილი იხმარება მედიცინაში, ფარმაცევტულ მრეწველობაში, კოსმეტიკასა და პარფიუმერიაში.

ზემოსასუნთქი გზების (სურდო, ჰაიმორიტი და სხვ.) დაავადებების დროს, კარგ შედეგს იძლევა გადაბეჭდილი თაფლიანი ფიჭის ღეჭვა.

ცვილის ფალსიციკაცია ძალზე ადვილია მასში სხავადასხვა მინარევების შერევის გზით.

ტექნიკური მინერალური ცვილის შერევა ნატურალურ ცვილში, უფრო არბილებს მას, წვრილკრისტალური სტრუქტურა ასეთი ნადნობის ნატეხზე ქრება, გაცივებისას წარმოიქმნება ჩალუნული ზედაპირი, ამასთან ცვილის ფილის ნაპირები უფრო სქელია, ვიდრე შუაგული. ჩაქუჩის წვეტიანი თავის დარტყმისას, ასეთი ცვილის ფილაში, დარტყმის ადგილზე, წარმოიქმნება ღრმული, მაშინ როცა ნატურალური ცვილის ფილა ნატეხებად იმსხვრევა.

პარაფინშერეული ცვილი გაცივებისას ასევე ჩალუნულ ზედაპირს წარმოქმნის. თხელ ფენებში ის უფრო გამჭირვალეა, ვიდრე ნატურალური ცვილი, თითებს შორის გასრესისას ცხიმიანობა შეიგრძნობა.

ფუტკარის ცვილში გარეგანი ნიშნებით ძნელია მინარევის განსაზღვრა. ყველა იმ ნივთიერებების შენარევის განსაზღვრისათვის, რომელიც მინერალური ცვილების ჯგუფს განეკუთვნებიან, გამოიყენება სპირტიანი ხსნარი. ნატურალური ცვილი ამ რეაქტივში დუღილისას მთლიანად იხსნება, წარმოიქმნება ე.ნ. ცხიმოვანი ბუჭტუკები, რომელიც დუღილის შეჩერებისთანავე ზედაპირზე ამოტივტივდებიან და წარმოქმნიან "ცხიმის" ფენას, რომელიც ძირითადად ხსნარს გამოეყოფა.

## ყვავილის მტვრის სამძურნალო თვისებები

ყვავილის მტვერს ფუტკარი მცენარეთა ყვავილედებიდან აგროვებს, ოდნავ ასველებს მას ნექტრით და სპეციალური ჯირკვლებიდან გამოყოფილი სეკრეტით. ამ დროს ყვავილის მტვერი ერთმანეთს ეკვრის

და ღებულობს პატარა გუნდის ფორმას, მწერი მჭიდროდ ტკეპნის უკანა ფეხების ფოსოებში ე.ნ. "კალათებში" და მიაქვს სკაში.

როდესაც ფუტკარი დიდი რაოდენობით ეზიდება მას, მეფუტკრე სკის საფრენში ამაგრებს ყვავილის მტვრის დამჭერ მოწყობილობას, რომლის ხვრელებიან ფირფიტაში გაძვრომის დროს, ფუტკრებს ფეხებიდან სცვივათ ყვავილის მტვრის ფირფიტები და შემკრებ კოლოფში გროვდება.

თუ სკას ყვავილის მტვრის დამჭერი მოწყობილობა არ დავუყენეთ, ფუტკარი დაუბრკოლებლად შედის შიგნით, ყვავილის მტვერს ათავსებს ფიჭის უჯრედებში, თავით ტკეპნის, რომ შიგ ჰაერმა არ შეაღწიოს და არ გააფუჭოს. როცა ფიჭის უჯრედის ორ მესამედს შეავსებს მტვრით, ზევიდან თაფლის თხელ ფენას მოასხამს, რაც იცავს მას დაობებისაგან.

ამრიგად, ყვავილის მტვერში, რომელიც სამი მხრიდან ცვილით და ზევიდან თაფლით არის დაფარული, სხვადასხვა ფერმენტების ზემოქმედებით მიმდინარე რთული ბიოქიმიური პროცესით, ვლებულობთ ხარისხობრივად უფრო ძვირფას პროდუქტს - ჭეოს.

სამკურნალო დანიშნულებით ჭეო შესაძლებელია გამოვიყენოთ ისევე, როგორც ყვავილის მტვერი, ამასთან ჭეოს მიღება განსაკუთრებით სასურველია მაშინ, როცა გვინდა უფრო კარგ სამკურნალო შედეგს მივაღწიოთ დროის მოკლე პერიოდში, მისი დოზაა 10-15 გრამი დღეში ჭამის შემდეგ. ჭეოთი მკურნალობენ ანემიას, ქრონიკულ ჰეპატიტს, ღვიძლის ციროზით დაავადებას და სხვ.

ცნობილია, რომ ფუტკარი ყვავილის მტვერს ბარტყის საკვებად იყენებს, რადგან ის ხელს უწყობს ზრდის პროცესს. სწორედ ამან უბიძგა მეცნიერებს, გამოეყენებინათ ის ადამიანის საკვებად და სამკურნალოდ.

ამიზნით, აკადემიკოსმან ციცინმა შეისწავლა 100 წელზე უხესი ადამიანების კვებითი რაციონის შემადგენლობა და შრომითი საქმიანობა. აღმოჩნდა, რომ უმეტესი მათგანი მეფუტკრე იყო და საკვებად ფიჭიან თაფლს ღებულობდა, რომელმიც თაფლთან ერთად ჭეოც იყო.

ბიოქიმიურმა გამოკვლევებმა დაადგინა, რომ ყვავილის მტვრის შემადგენლობაში შედის პროცენტისა და ნახშირწყლების ძვირფასი კვებითი ღირებულება. იგი შეიცავს ყველაფერს, რაც კი სჭირდება ორგანიზმს არსებობისათვის. ესენია ვიტამინები - B<sub>1</sub>, B<sub>2</sub>, B<sub>3</sub>, C, A, PP, D და სხვ.

ცნობილი მეცნიერის ალენ კაიასის აზრით: "ყვავილის მტვრის საიდუმლოება, ეს იმავე დროს მცენარეთა საიდუმლოებაა, რომელსაც ბუნება ადამიანებს გაანდობს იმ მრავალ დაავადებათა სამკურნალოდ, რომლებითაც იტანჯება კაცობრიობა."

ფრნაგმა მკვლევარმა რემი შოვენმა ყვავილის მტკურში აღმოაჩინა ანტიბიოტიკები, რომლებიც განსაკუთრებით ბევრია სიმინდის, წაბლის და ბაბუანვერას ყვავილის მტკერში. უფრო მოგვიანებით ნახეს ზრდის სტიმულატორებიც.

მეცნიერები თვლიან, რომ ყვავილის მტკერი, რომელსაც ფუტკერები შეგროვების დროს ამუშავებენ სპეციალური ჯირკვლების სეკრეტით და ნეტტორით, კარგავს უნარს გამოიწვიოს ალერგიული რეაქცია. ლაბორატორიულმა ანალიზმა კი მის შემადგენლობაში გამოავლინა 50-ზე მეტი აქტიური ნივთიერება, რომლებიც მცენარეთა სახეობების მიხედვით შემდეგი თერაპიული მოქმედების უნარით ხასიათდებიან:

- აკაცია: დამაწყნარებელი საშუალება.
- წაბლი (ტკბილი): არეგულირებს სისხლის მიმოქცევას და კეთილმყოფელ გავლენას ახდენს ღვიძლზე და პროსტატის ჯირკვალზე;
- ცხენის წაბლი: არეგულირებს სისხლის მიმოქცევას და ამაგრებს კაპილარების კედლებს;
- რაფსი: კეთილმყოფელ გავლენას ახდენს ვარიკოზულ წყლულზე;
- ბაბუნვერას: შარდმდენი საშუალება, კეთილმყოფელ გავლენას ახდენს თირკმელებზე, არის მსუბუქი შემარბილებელი საშუალება;
- ვაშლი: კარგად მოქმედებს გულის მუშაობაზე, არის ორგანიზმის გასამაგრებელი საშუალება.
- ყვითელი იაპონური აკაცია: მის შემადგენლობაში შედის რუტინი, რომელიც ამაგრებს კაპილარულ სისხლძარღვებს, არეგულირებს გულის მუშაობას.
- სალბი: შარდმდენი და ოფლმდენი საშუალება, გავლენას ახდენს კუჭ-ნაწლავის ფუნქციონირებაზე;
- ცაცხვი: დამაწყნარებელი საშუალებაა.

როგორც სამურნალო საშუალების - ყვავილის მტკერის გამოყენება ადამიანის ორგანიზმზე მრავალმხრივია და ხმარობენ სისხლნაკლულობის, გასტრიტის, კოლიტის, ჰიპერტონიული დაავადების, ნევროზის, პროსტატის, ანთების, დიაბეტის, მამაკაცთა სქესობრივი უძლურობის (იმპოტენციის), ქალთა დაქვეითებული გრძნობის (ფრიგიდულობის) და სხვა დაავადებების დროს.

ყვავილის მტკერის მარცვალი ადამიანის ორგანიზმისათვის ძნელი მოსანელებელია, კუჭის წვენი ვერ შლის მის გარსს. ამიტომ მიღების წინ უნდა დავფქვათ ყავის საფქვავით. მიღება შეიძლება, როგორც ნატურალური სახით, ასევე განზავებული თაფლში 1:1 ან 1:2 შეფარდებით. ასეთი ნაზავი კარგად უნდა შევზილოთ ერთმანეთში,

რომ ერთგვაროვანი მასა მივიღოთ.

ყვავილის მტვრის სამკურნალო დოზა მოზრდილი ადამიანებისათვის შეადგენს დღეში 32 გრამს, ხოლო პროფილაქტიკური მიზნით 20 გრამს. პროსტატიტით დაავადების თავიდან აცილების მიზნით, სასურველია 50 წელზე უხნესმა მამაკაცებმა ყოველდღიურად მიიღონ დღის პირველ ნახევარში 15 გრამი ჭამის ნინ 15 წუთით ადრე. ბავშვებისათვის ყვავილის მტვრის დოზა შეადგენს 3-5 წლამდე - 12 გრამს, 6-12 წლამდე - 16 გრამს, ხოლო 12 წლის ზევით დღეში 20 გრამს.

ყვავილის მტვრით მკურნალობის ხანგრძლივობა 1-1,5 თვეა. პროფილაქტიკური მიზნით მისი მიღება შეიძლება მთელი წლის განმავლობაში, მხოლოდ ყოველი თვის შემდეგ უნდა შევისვენოთ ერთი კვირით.

ყვავილის მტვერი შეიძლება მივიღოთ როგორც ერთჯერადად უზმოზე, ასევე ნაწილ-ნაწილ (3-ჯერადად) ჭამის ნინ 15 წუთით ადრე, ამასთან სასურველია მოვერიდოთ სააღმოს საათებში მიღებას, რადგან შესაძლებელია ორგანიზმის აღგზნება და შესაბამისად მოუსვენარი ძილი გამოიწვიოს. ყვავილის მტვერი შეიძლება მივიღოთ წყალთან ერთად, რომელშიც გახსნილი იქნება შაქარი, თაფლი ან მურაბა.

ყვავილის მტვრის წონის განსაზღვრისათვის საჭიროა ვიცოდეთ, რომ ერთი ჩაის კოვზი ხუთი გრამის ტოლია, დესერტის კოვზი - 10, სუფრის კოვზი - 15 გრამის. კოვზი ივება ნაპირის დონემდე, ხოლო თუ თავმოდგმულად გავაესებთ, მაშინ წონა შესაბამისად გაიზრდება 8,15 და 24 გრამამდე. არასაკვირველია, ის უნდა იყოს მშრალი და დაფქული.

არასწორად შენახვის პირობებში, ყვავილის მტვერი მალე ფუჭდება (არ უნდა მოხვდეს წყალი და არ დანესტიანდეს) და ძალზე ტოქსიკურიც ხდება.

გამშრალი ყვავილის მტვერი მინის ქილით, ჰერმეტულად თავდახურული უნდა შევინახოთ ბნელ ადგილას, დაბალ ტემპერატურაზე.

## დიდგელის გამოყენება მედიცინაში

დინდგელი წებოვანი, ფისის მაგვარი ნივთიერებაა, რომელსაც ფუტკარი საფრენის შესავინროვებლად და სკაში ხერელების ამოსალესად იყენებს. გარდა ამისა, აინდგელს დიდი მნიშვნელობა აქვს სკაში სისუფთავისა და ზომიერი - ფუტკრისათვის მისალები ჰიგიენური კლიმატის შექმნისათვის. თუ სკაში შეაღწია თაგვმა, ხვლიკმა ან სხვა პატარა ცხოველმა, ფუტკრები მას დანესტრავენ და მოკლავენ, მაგრამ

სკიდან გარეთ გადმოგდება ვერ ძალუდთ და მისი გახრწნა რომ აიცილოს თავიდან, მას დინდგელის ან ცვილის თხელ ფენას გადააკრავენ ხოლმე.

წლების მანძილზე, მეცნიერებს შორის მიმდინარეობდა დავა იმის შესახებ, თუ რა გზით ღებულობს ფუტკარი დინდგელს. ერთნი თვლიან, რომ მას ფუტკარი ეზიდება ხის კვირტის გახსნისას, უფრო მეტად ტირიფის, არყის, ალვის ხის და სხვა მცენარეებიდან. მეორენი ფიქრობენ, რომ ის ფუტკრის მიერ ყვავილის მტვრის გადამუშავების შედეგად მიიღება.

დინდგელის შემადგენლობის ბიოლოგიურმა და ქიმიურმა შესწავლამ, პირველი დებულების სისწორე დაადგინა. იგი შეიცავს დაახლოებით 55% ფისის მაგვარ ნივთიერებას, ცვილისებურ შენართს, 8-10% ეთერზეთებს და 5% ყვავილის მტვერს. დინდგელი მდიდარია ვიტამინებით და ისეთი მიკროელემენტებით, როგრიცაა: ალუმინი, რკინა, კალციუმი, სპილენდი, მაგნიუმი და სხვ.

მიუხედავად იმისა, რომ დინდგელის შემადგენლობა ჯერ კიდევ მთლიანად არ არის შესწავლილი, იგი როგორც ნატურალური სახის სამკურნალო პროდუქტი, წარმატებით გამოიყენება მრავალი დაავადების სამკურნალოდ.

ქართულ ხალხურ მედიცინაში ზოგიერთი დაავადების სამკურნალოდ, წინათ და ახლაც, წარმატებით იყენებენ მის მაღამოებსა და ნაყენებს სხვადასხვა დაავადებების სამკურნალოდ.

გთავაზობთ რამდნიმე რჩევას დინდგელით მკურნალობისათვის:

- გაციებულ ავადმყოფს მტკივნეულ ადგილზე უნდა დაედოს გაცხელებული დინდგელის ლავაში. ასევე კიდურების რევმატიული ტკივილის დროს, ავადმყოფს მტკივნეული ადგილი უნდა შევუზვიოთ გაცხელებული დინდგელით და ასე დავტოვოთ მთელი ღამის განამვლობაში.

- ძირმაგარაზე გაცხელებული დინდგელის თხელი ლავაშის დადებიდან რამდენიმე ხნის შემდეგ იწყება ჩირქის გამოყოფა, ასეთ შემთხვევაში შეიძლება საჭირო გახდეს აღნიშნული პროცედურის განმეორება.

- კოჟრების მოსაცილებლად საჭროა ფეხები ჩავყოთ თბილ წყალში, შემდეგ დაკოჟრებულ ადგილზე დავიდოთ გამთბარი დინდგელის თხელი ფენა და შევიხვიოთ.

სხვადასხვა ქვეყნის ბევრი მეცნიერის ხანგრძლივი მუშაობისა და კლინიკური ცდების საფუძველზე დადგენილია, რომ დინდგელს ახასიათებს: ბაქტერიოციდული, ანტიტოქსიკური, ანტივირუსული, ანთების სანინაალმდეგო, მაანესტეზიორებელი და მასტიმულირებელი მოქმედების უნარი.

დინდგელის ბაქტერიოციდული თვისება ვლინდება 100-მდე მიკროორგანიზმის მიმართ, მისგან დამზადებული მაღამოებით და სხნარებით მკურნალობენ მიკრობული და ქრონიკული ეგზემის ფორმებს, კანის ორგანულ ქავილს, ზემო სასუნთქი გზების ანთებას, ტუბერკულოზს, სოკოვან და გინეკოლოგიურ დაავადებებს. იგი ხელს უწყობს ჭრილობებისა და დამწვრობის შეხორცებას. გამოიყენება კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის სამკურნალოდ და სხვ.

სტომატოლოგიაში გამოიყენება დინდგელის 2%-იანი სპირტიანი ექსტრაქტი, რომელიც ეფექტურია - პირის ღრუს რბილი ქსოვილის სოკოვანი დაავადებების, წყლულების და ღრძილების დაჩირქების სამკურნალოდ.

კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულით დაავადების დროს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საჭირო მკურნალობა შედეგს არ იძლევა და ქირურგიული ჩარევა კი დაუშვებელია (ორგანიზმის საერთო მდგომარეობის გამო), შეიძლება გამოვიყენოთ დინდგელის სპირტისა და ზეთის ნაზავით მკურნალობა. სპირტიანი ხანსრი უნდა მივიღოთ 15-20 წვეთის ოდენობით მცირე დოზის წყალში ან ადულებულ რძეში გახსნილი, დღეში 3-ჯერ 1-1,5 საათით ადრე საჭმლის მიღებამდე 18-20 დღის განმავლობაში. საჭიროების შემთხვევაში, მკურნალობის კურსი უნდა გავიმეოროთ ერთი ან ორი კვირის შესვენების შემდეგ.

დინდგელის ზეთი (უმარილო კარაქში გახსნილი დინდგელი) უნდა მივიღოთ თითო ჩას კოვზი, ისევე როგორც დინდგელის სპირტიანი სხნარით მკურნალობის დროს. ამასთან უნდა ვიცოდეთ, რომ ღვიძლის დაავადებისას ასეთი ზეთით მკურნალობა მიზანშენონილი არ არის.

ზუსტად უნდა დავიცვათ წამლის მიღების დოზა, რადგანაც მისი მეტი რაოდენობით მიღებამ შეიძლება გამოიწვიოს მადის დაქვეითება, ორგანიზმის საერთო ტონუსის დაწევა, სისხლში ლეიკოციტების მომატება და სხვა უარყოფითი მოვლენები.

ზოგიერთი ადამიანის ორგანიზმი დინდგელის მიმართ ავლენს ალერგიულ რეაქციას, რაც გამოიხატება საერთო მდგომარეობის გაუარესებით, გულის რევით, კანის ალერგიული ანთებით - იმ ადგილებში, სადაც წასმული იყო დინდგელის მაღამო და სხვა. განსაკუთრებით ფრთხილად უნდა იყვნენ ისინი, ვინც ალერგიულები არიან ფუტკრების ან მათი დანესტვრის მიმართ. ან დაავადებული არიან რომელიმე ალერგიული დაავადებით, როგორცაა: ბრონქიალური ასთმა, ეგზემა, დიათეზი, ჭინჭროვანი გამონაყარი და სხვ.

რა უნდა ვიღონოთ თუ მაინც განვითარდა ალერგიული რეაქცია, უპირველეს ყოვლისა უნდა შევწყვიტოთ დინდგელით მკურნალობა კანის განითლებისა და ქავილის დროს, რომელიც გამოწვეულია

დინდგელთან უშუალო კონტაქტის შედეგად, ვიქცევით შემდეგნაირად:

დინდგელით დაზიანებული ადგილები უნდა მოვიპანოთ საპნით და წყლით, ხოლო შემდეგ დავიზილოთ ორი წილი ამიაკისა და რვა წილი გლიცერინის ნარევით. ცნობილია, რომ დინდგელი ამიაკში იხსნება, ამიტომ რამდენიმე ხნის გასვლის შემდეგ, ეს ადგილები წყლითა და საპნით განმეორებით უნდა დავიპანოთ.

დინდგელი ძლიერ მოქმედი ნივთიერებაა და მის შესასწავლად კვლევითი სამუშაოები ჯერ კიდევ მიმდინარეობს, ამიტომ ყოველ ცალკეულ შემთხვევაში, მისი სამკურნალოდ გამოყენების დროს, საჭიროა ექიმი სპეციალისტის რჩევა და კონტროლი.

დინდგელით მკურნალობას უნდა მივაქციოთ სათანადო ყურადღება, რადგანაც ბევრ შემთხვევაში ის ეფექტური საშუალებაა მაშინ, როდესაც ჩვეულებრივი სამკურნალო მეთოდებით მკურნალობა შედეგს არ იძლევა.

## ღიცდგელის სამპუნიალო ნაზავის ღამზაღვა

მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ქ. სვერდლოვსკის ორ ქირურგიულ კლინიკაში დინდგელი ეფექტურად გამოიყენეს ჩირქოვანი, ტრავმული და ნატყვიარი ჭრილობების სამკურნალოდ. დინდგელი ფართოდ გამოიყენება სავეტერინარო მედიცინაშიც. სასოფლო-სამეურნეო ცხოველების ნეკრობაცილების მკურნალობისას, აგრეთვე ჩირქოვანი და ტრამვული ჭრილობების, ეგზემების, ძროხის ვესტბულო-ვაგინიტის, ტოქსიკური დისპესიის და სხვა დაავადებათა მკურნალობისას.

ცხოველების მკურნალობისას დინდგელი გამოიყენება გარეგანად (საცხი) და შინაგანად (ექსტრაექტები) ზოგიერთი ექიმი გვირჩევს დინდგელის საინჯიციო გამოყენებას.

## ჩაზელილი ღიცდგელის საცხი (პასტა)

ნატურალურ დინდგელს ასუფთავებენ მინარევებისაგან და სრესენ ფაიფურის როდინში, მომინანქრებულ ჭურჭელში დებენ ვაზელინს, აცხელებენ 45 გრადუსამდე და მას უმატებენ გახეხილ დინდგელს, ურევენ ერთგვაროვანი მასის მიღებამდე. ფილტრავენ ორმაგ დოლბანდში. ვაზელინის მაგივრად შეიძლება გამოვიყენოთ ლანოლინი. (დინდგელის საცხი საკმაოდ ეფექტური აღმოჩნდა ზოგიერთი გინეკოლოგიური დაავადებების მკურნალობისას).

## ღინდგელის რძე

სასოფლო-სამეურნეო ცხოველების მკურნალობისას დინდგელის რძეს ღებულობენ შემდეგნაირად: 1 ლიტრ რძეში დებენ 50-100გრ. დინდგელს, აცხელებენ ნელ ცეცხლზე და ურევენ ხის კოვზით 10 წუთის განმავლობაში, შემდეგ ფილტრავენ დოლბანდში.

## ღინდგელის ცყლიანი ექსტრაქტი

მინარევებისაგან გასუფთავებულ და გასრესილ ან წვრილად დაჭრილ 100გრ. დინდგელს უმატებენ 100მლ. დისტილირებულ წყალს და რამდენიმე საათით წყლიან აუზში ათავსებენ და ერთი საათის განმავლობაში აცხელებენ, ამის შემდეგ ნარევს ცხელ მდგომარეობაში ფილტრავენ ნალექის მოსაცილებლად. (დინდგელის ექსტრაქტი ბაქტერიოციდულად მოქმედებს ტუბერკულოზის ბაქტერიებზეც).

## ღინდგელის ზეთი

ერთ კილოგრამ ძროხის კარაქს ადნობენ 80 გრადუსამდე მომინანქრებულ ჭურჭელში, შემდეგ ანელებენ, უმატებენ გასუფთავებულ და გასრესილ 140გრ. დინდგელს და ნარევს ურევენ ლითონის კოვზით, მანამდე, სანამ არ მიიღება ერთგვაროვანი მასა. შემდეგ კვლავ აცხელებენ იმავე ტემპერატურამდე და რამდენჯერმე მოურევენ. სანამ ზეთი ჯერ კიდევ თბილია, ფილტრავენ დოლბანდში ან ლითონის საცერძი, ასხამენ ქილებში, კარგად ხუფავენ და ინახავენ ბნელ, ცივ და მშრალ ადგილას.

## ღინდგელის სპირტიანი (20-30%) ხსნარი

100გრ. წვრილად გახეხილ დინდგელს ყრიან მინის ქილაში და თანდათანობით უმატებენ 500მლ. 96 პროცენტიან სპირტს, ანჯლრევენ 30 წუთის განმავლობაში და ინახავენ ბნელ ადგილას. ნარევი დროდარო უნდა შეინჯღრეს. 2-5 დღის შემდეგ ნარევი უნდა გაიფილტროს დოლბანდში. ასეთიანირად მომზადებვლი და სწორად შენახული ხსნარი ნლობით არ ფუჭდება.

აი როგორ იყენებს თბილისელი ბატონი ბექა ალავიძე დინდგელს და მისგან დამზადებულ სპირტიან ნაყენს:

დღევანდელ პერიოდში როცა ნამლები საშინლად ძვირია და არც

იშოვება, ოჯახში ბავშვებისა და მოზრდილების სამკურნალოდ ვიყენებთ ნატურალურ დინდგელს და მისგან დამზადებულ სპირტიან ნაყენს. ზამთარში განსაკუთრებით ადამიანების საშინელი მტერია გრიპი. ამიტომ ეს წამალი ყოველთვის მომზადებული მაქვს. სურდოს ან გრიპის დაწყების დროს ძალზე ეფექტურია დინდგელის დაღეჭვა ანდა დინდგელის მცირე, ლობიოს მარცვლის ოდენა ნაჭრის პირის ღრუში დიდხანს გაჩერება. მე პირადად კბილებზე ენის წვერით მიკრული მაქვს დინდგელი მთელი დღის განმავლობაში. რის შემდეგ თავს კარგად ვგრძნობ და თავიდან ვიცილებ გრიპის შემდგომ მოვლენებს. ასევე კარგია სასუნთქი გზების ან ბრონქების დაავადების დროს დინდგელის სპირტიანი ნაყენის გამოყენება. დღეში სამჯერ ჭამის შემდეგ თხუთმეტი წვეთი უნდა განვაზაოთ ოცდაათ გრამ წყალში ან რძეში და დავლიოთ. გრიპის დაწყებისას ასევე კარგია ნესტორების დაზელვა დინდგელის სპირტიანი ნაყენით.

## ზუტპრის საღედვე რძის სამპურნალოდ გამოყენება

ფუტკერის სადედე რძე წარმოიქმნება - 4-15 დღის მუშა ფუტკერების საყლაპავი მილისა და ზედა ყბის ჯირკვლებში. აღნიშნული რძით ძირა ფუტკერები კვებავენ ყველა სახეობის ჭიებს, ამასთან მუშა და მამალი ფუტკერის ჭიებს მხოლოდ სამი დღის განმავალობაში, ხოლო სადედე ჭიებს 5 დღის მანძილზე, ე.ი. მთელი ჭიაობის პერიოდში და შემდეგ მისი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე - მხოლოდ კვერცხმდებლობის დროს.

იგი წარმოადგენს მოთეთრო ფაფის მაგვარ ნივთიერებას, სპეციფიკური სუნითა და მომჟავო გემოთი. მისი ქიმიური შედგენილობა ჯერ-ჯერობით დადგენილი არ არის, ამასთან მის შემადგენლობაში შემავალ ნივთიერებათა ოდენობა, სხვადასხვა მიზეზებთან დაკავშირებით, ყოველთვის ერთნაირი არ არის. მიუხედავად ამისა, მისი მიახლოებითი შემადგენლობა ასეთია: სადედე რძე შეიცავს 66% წყალს და 34% მშრალ ნივთიერებებს, აქედან დაახლოებით 18%-მდე ცილოვანს, 9-დან 18%-მდე ნახშირნყლებს, 1,73-დან 5,68%-მდე ცხიმებს და 1%-ზე მეტ მინერალურ მარილებს. გარდა ამისა, მასში შედის ფერმენტები და ჰორმონის მსგავსი ნივთიერებები.

სადედე რძის ცილოვან ფრაქციიაში აღმოჩენილია 22 სახეობის ამინომჟავა, რომელთაგან ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია: არაგინინი, ასპარაგინი, ასპარაგინის მჟავა, ვალინი, გლიკოკოლი, გლიუტამინის მჟავა, გლიუტამინი, ლიზინი, ლევცინი, მეთიონინი, ოქსიპროლინი, პროლინი, სერინი, ტრეონინი, ტრიაპტოფანი, ფენილალალინი,

ჰისტიდინი, ცისტეინი. სწორედ ამ შემადგენლობის საშუალებით, იგი ხდება ბიოლოგიურად აქტიური და მაღალხარისხოვანი საკვები პროდუქტი. სადედე რძეში შედის ვიტამინების შემდეგი რაოდენობრივი შემადგენლობა:  $B_1=1,2-1,3$ ,  $B_2=6-8$ ,  $B_3=2-10$ ,  $PP=48-125$ , ვიტამინი  $B_C$  ფოლიევის მუავა = 0,5-22,  $H=1,6-4$ ,  $B_5=180-200$ ,  $C9=2-4$ ,  $B_{12}=150$ ; საერთო ჯამში, სადედე რძის შემადგენლობაში შედის დაახლოებით 120-მდე სხვადასხვა ნივთიერება და ელემენტი.

სადედე რძეში აღმოჩენილია ისეთი სახის მაკრო და მიკროელემენტები, როგორიცაა: რკინა, გოგირდი, მაგნიუმი, მანგანუმი, კალციუმი, ქრომი, ნიკელი, კობალტი, თუთია, ვერცხლი, ფოსფორი. სადედე რძეში შედის აგრეთვე: აცეტილიქოლინი, პოლინესტერაზა, ფერმენტები, ფრუქტორზა, გლუკოზა.

ცილებისა და ნახშირნყლების შემცველობა სადედე რძეში უფრო მაღალია, ვიდრე ადამიანის, ძროხისა და ცხვრის რძეში. იგი დიდი რაოდენობით შეიცავს ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს, რითაც ის ადამიანისათვის წარმოადგენს შეუცვლელ სამკურნალო საშუალებას.

ჩვეულებრივ პირობებში - ოთახში ფუტკრის სადედე რძე, სინათლის ზემოქმედების გამო, სწრაფად იწყებს დაშლას, ამიტომ ზოგიერთი სპეციალისტი გვირჩევს თაფლში 1:100 კონცენტრაციის ან 40-45 გრადუსიან სპირტში დაკონსერვებას. საგულისხმოა, რომ აღნიშნულ მეთოდს მონინააღმდეგენიც ჰყავს, რადგან მათ მიაჩნიათ, რომ თაფლი სადედე რძის ელემენტების ინატივირებას ახდენს. ასევე უარყოფითად მოქმედებს სპირტიც. ის ადედებს მის შემადგენელ ცილებს და აქვეითებს მიკრობსანინააღმდეგო თვისებებს.

იმისათვის, რომ სადედე რძემ დიდი ხნის მანძილზე შეინარჩუნოს თავისი ძვირფასი თვისებები, მიმართვავენ მის ლიოფილიზაციას.

ლიოფილიზაცია ეს არის, ნატურალური სადედე რძის ხელოვნურად გამოშრობის მეთოდი, სადედე რძე თავსდება ლიოფილიზაციის აპარატის მბრუნავ მოწყობილობაში და -30, -50 გრადუს ტემპერატურაზე ვაკუუმქვეშ წარმოებს მისი გაუწყლოება, ლიოფილიზაციის შედეგად მიღებული მზა პროდუქტი წარმოადგენს მოყვითალო კრისტალურ ნივთიერებას, რომელიც უნდა შევინახოთ მუქი ფერის მინის ქილაში, ჰერმეტულად თავდახურული. ლიოფილიზაციის პროცესი, სადედე რძის შემადგენელ ნივთიერებებში ცვლილებებს არ იწვევს, სამაგიეროდ მასში წყლის შემცველობა 5%-ზე ნაკლებია; ამდენად 3-ჯერ იზრდება მისი შენაერთების კონცენტრაცია, ვიდრე ეს არის ახალ სადედე რძეში.

როგორც ცნობილია, ბუდეში ფუტკრები სადედე რძით კვებავენ სამივე სახეობის ჭიებს, მაგრამ მეცნიერებმა გამოიკვლიეს, რომ თურმე

სადედე ჭიისათვის განკუთვნილი სადედე რძე უფრო სრულფასოვანია, მეტი რაოდენობის პანტოტელის მუავის შემცველობის გამო, რომელიც ზრდის სტიმულატორს წარმოადგენს.

ნეიროპორმონი - აცეტილჰოლინი, სადედე რძეში შედის თითქმის 100-ჯერ უფრო მეტი რაოდენობით, ვიდრე თაფლში. აი, რატომ წარმოადგენს სადედე რძე ძვირფას პროდუქტს, როგორც პორმონალური ზემოქმედების სამკურნალო საშუალება.

ფუტკრის სადედე რძე არეგულირებს ნივთიერებათა ცვლას, აუმჯობესებს გულის მიოკარდისა და კორონალური სისხლძარღვების მოქმედებას, აძლიერებს ორგანიზმის გამძლეობას ინფექციების მიმართ. იგი დადებითად მოქმედებს საჭმლის მომნელებელი ორგანოების მუშაობაზე, გამოიყენება კანის დაავადებების, ჰეპატიტის, ქრონიკული წყლულის, ჭრილობების, დამწვრობისა და სხვა დაავადებების დროს. ასევე წარმატებით გამოიყენება კოსმეტიკური საცხების დასამზადებლადაც.

კუჭის წვენის მოქმედებით, სადედე რძე იშლება და იკარგება მისი სამკურნალო ეფექტი, ამიტომ წატურალური ფუტკრის რძე ან “აპილაკის” აბი უნდა დავიდოთ ენის ქვეშ, ასეთნაირად ის ნელ-ნელა გაიხსნება და შეიწოვება სისხლში.

უკეთესია, თუ სადედე რძეს მცირე დოზებით მივიღებთ პირდაპირ საფუტკრებში. ამისათვის კი საჭიროა, გადაუბეჭდავის სადედე ჯამებიდან მოვაცილოთ სადედე ჭიები და აქედან გამოვილოთ რძე.

სადედე რძეს გააჩნია მიკრობსანინაალმდეგო თვისებები, რაც ახდენს ბაქტერიოსატატიკურ და ბატერიოციდულ მოქმედებას. იგი სპობს ტუბერკულოზის მიკრო ბაქტერიებს. ასევე იღუპებიან გრიპის ვირუსები 1:10-ზე განზავებულ სადედე რძეშიც კი.

ვენის გზით მიღებული სადედე რძე დაბლა სწევს არტერიულ წნევას, აფართოებს სისხლძარღვებს. სადედე რძის მიღების შემდეგ შაქრით დაავადებულ ავადმყოფებს, სისხლში დროებით დაბლა ენევათ მისი რაოდენობა. ბაშვებისათვის სადედე რძე წარმოადგენს ბიოლოგიურ სტიმულატორს, რადგანაც იგი ააქტიურებს დაუძლურებული ორგანიზმის ყველა სასიცოცხლო პროცესს. ზოგიერთი ატორი, გვამცნობს სადედე რძის წარმატებით გამოყენების ფაქტებს ბავშვთა პოპოტროფის მკურნალობისას, ეს დაავადება ხასიათდება კვებისა და განვითარების მოშლილობით, სისუსტით, დაუძლურებით, ცუდი ძილითა და უმადობით.

გერმანელმა მკვლევარმა შმიდტმა, ყურადღება მიაქცია სადედე რძის მოქმედებას ხანდაზმულ ორგანიზმზე, მისი აზრით, ყველა ბიოლოგიური სტიმულატორიდან, სადედე რძე ყველაზე უფრო

ეფექტურია, რადგანაც მას ახასიათებს ტროპიკული, მატონიზებელი და ანტისპაზმური მოქმედების უნარი, იგი აუმჯობესებს მოხუცი ადამიანის მხედველობას, მესაიერებას და მადას.

არსებობს გრიპის პროფილაქტიკის შემდეგი მეთოდი: სადედე რძის სპიტრიანი ემულსია წავისვათ ცხვირის ლორწოვან გარსზე და მისი 20 წვეთი მივიღოთ ენის ქვეშ ან შევისხუროთ პირის ღრუში. აღნიშნული პროცედურა უნდა განმეორდეს დღეში 3-ჯერ, 2-3 დღის განმავლობაში.

სადედე რძის გამოყენების ორიგინალურ ხერხს გვთავაზობენ ფრანგი და რუმინელი მეცნიერები: 1 გრ. სადედე რძე უნდა განვაზავოთ 10 გრ. თაფლში და ნახევარი ჩაის კოვზი (ანუ დაახლოებით 50 მგ-მდე რძე) მივიღოთ ენის ქვეშ ან პირის ღრუში დაყოვნებით. მკურნალობის ერთი ციკლისათვის საჭიროა 1-დან 5 გრამამდე სადედე რძე.

ლიოფილიზაციის საშუალებით მიღებული სადედე რძისაგან მზადდება სამკურნალო პრეპარატები: GR-50 (საფრანგეთი) გამოიყენება 1-2მგ. დოზით კანქვეშ, აპლიკუმი (რუსეთი) 10-20-30 მგ-იანი ტაბლეტები გამოიყენება ენის ქვეშ დაყოვნებით 2-4-ჯერ დღეში, არსებობს აგრეთვე ცვილის ფორმის პრეპარატები სწორ ნაწლავში გამოსაყენებლად, Z-114 (ჩეხეთი), აპიტონინი (გერმანია), რომელიც 20-50-60 მგ-იან კაფსულებშია მოთავსებული და გამოიყენება შინაგანი ხმარებისათვის.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პრეპარატი უნდა შევინახოთ ჰერმეტულად თავდასურულ ჭურჭელში, სიბნელეში და დაბალ ტემპერატურაზე - მაცივარში არა უმეტეს 0 გრადუსის პირობებში.

მიუხედავად იმისა, რომ სადედე რძეს გააჩნია ანტიმიკრობული თვისებები, ის მაინც ითვლება არამდგრად პროდუქტად და სწრაფად იცვლის არა მარტო გარეგან შეხედულებას, არამედ დამახასიათებელ თვისებებს, არასწორი მეთოდით შენახვისას. ლაბორატორიული გამოკვლევები ადასტურებენ, რომ, როდესაც ოთახში იყო შენახული სადედე რძე, მან დაკარგა ზოგიერთი ფასეული ბიოლოგიური თვისება.

სადედე რძე, როცა ის დღის სინათლეზე ინახება და მასში აღწევს ჰაერის ნაკადი, მოთავსებულია ჰერმეტულად თავდასურულ ან ლითონის ჭურჭელში და ნესტიან შენობაში, კარგავს თავის ბიოლოგიურ თვისებებს. ნახევარი წლის მანძილზე სადედე რძე კარგად ინახება მაცივრის საყინულები -2-დან -5 გრადუს ტემპერატურაზე, ხოლო -15-დან -18 გრადუსზე, სადედე რძე ინარჩუნებს თავის თვისებებს ერთი წლის განმავლობაში. გარდა შესაბამისი ტემპერატურული რეჟიმისა, ის უნდა ინახებოდეს ჰერმეტულად თავდასურულ მუქი ფერის მინის ჭურჭელში.

ასევე გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ სადედე რძე

უკუჩვენებას იძლევა შემდეგი დაავადებების დროს: ადისონის, მწვევე  
ინფექციური და თირკმელზედა ჯირკვლის დაავადებებისა და სადედე  
რძის მიმართ იდიოსინკრაზის დროს.

უკუჩვენება და მისი თანმხლები მოვლენები ხასიათდება შემდეგი  
ალერგიულ რეაქციებით: ჭირნჭროვანი გამონაყარი, ადგილობრივი  
ანთება, შენითლება, ქავილი, მუცლის ტკივილი, საჭმლის მონელების  
მოშლილობა, პირღებინება, ფალარათი. სადედე რძის მიღება საღამოს,  
ძილის ნინ, მიზანშეწონილი არ არის, რადგანაც იგი ხშირად იწვევს  
ორგანიზმის აღგზნებას და უძილობას.

სადედე რძის სამკურნალოდ გამოყენების, ყოველ ცალკაულ  
შემთხვევაში, აუცილებელია მივმართოთ მკურნალ ექიმს  
კონსულტაციისათვის, ხოლო დადებითი პასუხის მიღების შემთხვევაში  
მკურნალობა უნდა ჩავიტაროთ სისტემატური სამედიცინო  
კონტროლის ქვეშ.

## ფუტკრის შხამი და მისი სამკურნალო გამოყენება ეპიციიაში

ფუტკრის შხამი მოთავსებულია მწერის ტანის ბოლო  
ნაწილის დიდსა და პატარა ჯირკვლებაში, რომელიც შხამის  
ნესტარით ბოლოვდება.

შხამი ნარმოადგენს უფერო სითხეს, მკვეთრი სუნითა და მაღალი  
მუავიანობით. იგი შეიცავს დაახლოებით 50-70%-მდე ნიცალს და 30-50%-  
მდე მშრალ ნივთიერებებს, რომლებშიც აღმოჩენილია 50 სხვადასხვა  
სახეობის ნივთიერება და ელემენტი, ესენია: ფერმენტები, ამინომჟავები,  
ნახშირნყლები, ორგანული მჟავები და სხვ.

მინერალური ნივთიერებებიდან აღსანიშნავია: მაგნიუმი,  
კალციუმი, კალციუმი, რკინა, სპილენდი, თუთია, მარგანეცი, ფოსფორი,  
გოგირდი, იოდი, ქლორი, ნახშირნყლებიდან - გლუკოზა და ფრუქტოზა.

ფუტკრის შხამში დიდი რაოდენობით შედის მაგნიუმი, რომელიც  
ახდენს ნერვული ცენტრების დამბლის განვითარებას. ცილოვან  
ნაწილში კი აღმოჩენილია ტრქესიკური ბუნების ცილა, რომელიც შლის  
სისხლის ნითელ ბურთულებს და აქვეითებს სისხლის წნევას. ცილების  
ნაწილში შედის კიდევ ორი ფერმენტი: გიალურნიდაზა, რომელიც  
სინის მსხვერპლის შემარეთებელი ქსოვილის ძირითად ნივთიერებებს,  
რაც ხელს უწყობს შხამის გავრცელებას ორგანიზმში და  
ფოსფორიპაზა, რომელიც აგრეთვე შლის სისხლის წითელ

ბურთულებს და აქვეითებს მის შედედების უნარს.

რომ იტყვიან ხოლმე „ჯოხს ორი ბოლო აქვსო“, სწორედ ფუტკრის შხამზეა მორგებული. თუ მას დოზირებულად და სათანადო სამედიცინო წესების დაცვით გამოყიურებთ, ადამიანს მრავალი შემანუსებელი დაავადებისაგან გაათავისუფლებს და შვებას მოჰკვრის, მეორეს მხრივ უნებლიერ და თანაც მრავალჯერადმა დანესტვრამ შეიძლება მძიმე ტრამვა მიაყენოს მის ორაგნიზმს.

როგორ უნდა მოვიქცეთ დანესტვრის შემთხვევაში? უპირველეს ყოვლისა უნდა ვეცადოთ, რომ რაც შეიძლება სწრაფად ამოვიძროთ კანიდან ნესტარი დანის პირით ან სხვა ბასრი საგნის გამოყენებით. ასეთნაირად, ჩვენს ორგანიზმში ნაკლები რაოდენობის შხამი მოხვდება, დაუშვებელია ნესტრის ორი თითოთ ამოძრობა, რადგანაც ამ შემთხვევაში ჩვენ თითებით ვაწვებით შხამის ბუშტს, რომელიც ნესტართან ერთად სწყდება ფუტკარს და ჩვენდა უნებლიერ, უფრო მეტი რაოდენობის შხამი შეგვყავს ორგანიზმში.

უნდა მოვერიდოთ დანესტრილი ადგილის ხელით შეხებას ან დაზელვას, რადგანაც ამით ხელს შევუწყობთ შხამის შემდეგომ გავრცელებას ორგანიზმში და ძლიერ შესივებას. დანესტრილი ადგილი უნდა მოვიპანოთ: ნიშანურის სპირტით, კალიუმის პერმანგანატის სსნარით, ღვინის სპირტით ან ძმრით, ნივრის წვენით. კარგია თუ წავისვამთ თაფლს ან იოდს. დანესტრილ ადგილზე ყინულის ნატეხის დადება ამცირებს ტკივილის შეგრძნებას.

განსაკუთრებით სახიფათოა პირის ღრუსა და სასუნთქ გზებში დანესტრვა, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს ამ ადგილების შესაება და სუნთქვის შეფერხება. ამიტომ ასეთ შემთხვევაში, საჭიროა სასწრაფოდ მივმართოთ სამედიცინო პერსონალს, რადგანაც მძიმე შემთხვევაში შეიძლება საჭირო გახდეს ქირურგიული ჩარევაც.

მძიმე შედეგები აქვს თვალში დანესტვრასაც, რაც უმეტესწილად სიპნელეში ხდება, რადგანაც სინათლეზე, თვალის ქუთუთო მოიერიშე ფუტკრის მოახლოვებამდე ასწრებს დასურვას და ასეთნაირად თვალის კაკალი უვნებელი რჩება, ხოლო უშუალოდ თვალში დანესტვრა იწვევს მის ძლიერ ანთებასა და დაჩირქებას.

ფუტკრის შხამის მოქმედება დამოკიდებულია მის რაოდენობაზე, გავრცელების გზებზე, ადამიანის ორგანიზმის მგრძნობიარობაზე.

ჩვეულებრივ, ორგანიზმი ცდილობს გაანეიტრალოს შხამი სისხლით, ლიმფითან ღვიძლით, მაგრამ თუ შხამი ბევრია და ის პირდაპირ მოხვდა სისხლში, მაშინ იწვევს ორგანიზმის მთლიან მოწამელას.

თუ ფუტკრის შხამის გავლენის შედეგად, ორგანიზმის საერთო მოწამვლა ან ალერგიული მოვლენები განვითარდა, საჭიროა

დაუყოვნებლივ მივმართოთ სამედიცინო პერსონალს. მაგრამ თუ რაიმე მიზეზით (თუ ვიმყოფებით დასახლებული ადგილიდან დიდი დაშორებით, ფუტკრის მთაბარობის ან სხვა გარემობის გამო) ამის საშუალება არ არის, ან ძლიერ ყოვნდება, შესაძლებლობის ფარგლებში უნდა შესრულდეს შემდეგი მაშველი სამკურნალო პროცედურები:

რეკომენდებულია დიდი რაოდენობით ნყლისა და ჩაის სმა, 10 წვეთი ნიშადურის მიღება ცენტრალური ნერვული სისტემის რეფლექსური აგზნებისათვის. ამ დროს აუცილებელია ავადმყოფისათვის წოლითი რეჟიმი, მას უნდა მივცეთ 25-30გრ. არაყი ან ყოველ 3-4 საათში ერთხელ 150-200 გრამი ხსნარი, რომლის ერთი ლიტრი შეიცავს 20-100 გრ-მდე თაფლს, 200 გრამ არაყის, 0,5-1,0გრ. ვიტამინს ან ახალ რძეს, კეფირს. პრეპარატებიდან კი უნდა მივიღოთ დიმედროლი, ასეთ დროს გამორიცხული არ არის გულსისხლდარღვთა მუშაობის უკმარისობა, რისთვისაც საჭიროა კოფეინის, კამფორას ან კორაზოლის ინექციები, ნერვული დაძაბულობის მოსახსნელად კი პრეპარატები ლუმინიალი და ვერონალი.

მედიკოსები, ფუტკრის დანესტვრის შემთხვევაში, იყენებენ გისტამინის ან ადრენალინის ინექციას, ხოლო ალერგიულმა ადამიანებმა, პროფილაქტიკური მიზნით, უნდა გაიკეთონ კალციუმქლორის ინექცია.

იმისათვის, რომ ალერგია არ განვითარდეს, საჭიროა მივიღოთ 40%-იანი სპირტის წყალსხნარი ან არაყი 50 გრამი. ამიტომაც არის მიზანშეწონილი, რომ მეფუტკრის აფთიაქში ყოველთვის იყოს სპირტის ან არაყის საჭირო რაოდენობა.

იმ შემთხვევაში, თუ ალერგიული მოვლენები მაინც განვითარდა, საჭიროა დანესტვრის ადგილზე კანქვეშ გაკეთდეს 0,5მლ. ოდენობით ან სხვა ადგილას 0,3მლ. დოზით 0,1%-იანი ადრენალინის ინექცია, ვენაში კეთდება კალციუმი და ასკორბინის მჟავა, მკურნალობა ტარდება იგივე მეთოდით, როგორც საერთო მოწამვლის დროს.

ფუტკრის შეამი, უძველეს დროში, ნარმატებით გამოიყენებოდა ხალხურ მედიცინაში და ამან საფუძველი შექმნა იმისათვის, რათა იგი ჩართული ყოფილიყო თანამედროვე ექსპერიმენტალური და კლინიკური მედიცინის არსენალში. ძველად მას იყენებდნენ ტკივილების გამაყუჩებელ საშუალებად, თმების ცვენის დროს და ჭრილობების სამკურნალოდ, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ჭრილობის შეხორცება ძნელად მიმდინარეობდა.

დღეისათვის ფუტკრის შეამით მკურნალობა რეკომენდებულია: პერიფერული ნერვული სისტემის, რევმატული დაავადებების დროს (რადიკულიტი, ნევრალგია, ნეფრიტი), ზოგიერთ სისხლდარღვთა

დაავადებების დროს (ტრომბოფლებიტი, კიდურების სისხლძარღვთა ათეროსკლეროზი), ტროპიკული წყლულების, ბრონქიალური ასთმის, ჰიპერტონიული და თვალის ზოგიერთი დაავადების სამკურნალოდ. იგი ასევე გამოიყენება რევმატიზმისა და ანთების, ხერხემლის ცვლილებების სამკურნალოდ.

ფუტკრის შხამი დაბლა სწევს არტერიულ წნევას, პროფილაქტიკურ გავლენას ახდენს და ხსნის პაროქსიზმული ტაქიკარდიის შეტევებს.

ფუტკრის შხამი, მართალია, ვერ ხსნის ბრონქიალურ სპაზმებს, მაგრამ იგი ამცირებს მის კლინიკურ სურათს და შეტევების სიხშირეს.

სამკურნალო დოზებში, ფუტკრის შხამი მასტიმულირებელ გავლენას ახდენს სისხლნარმოქმნაზე, გულის მუშაობაზე, აფართოებს ნვრილ არტერიებს და კაპილარებს, ადაბლებს სისხლის სიბლანტეს, ამცირებს სისხლში ქრონიკული რაოდენობას, აუმჯობესებს უჯრედებისათვის სისხლის მიწოდებას და ნივთიერებათა ცვლას, აუჯობესებს ადამიანის შრომისუნარიანობას, საერთო განწყობილებას, ძილს, მადას, ამსუბუქებს და ხსნის ტკივილებს, აძლიერებს ორგანიზმის დამცველ ძალებს.

როგორც ბიოქიმიურმა და ფარმაკოლოგიურმა გამოკვლევებმა გვიჩვენეს, ფუტკრის შხამი შეიცავს ისეთ კომპონენტებს, რომლებიც გამოირჩევიან მრავალმხრივი ანთებასა და ანინაალმდეგო თვისებებით.

ამდენად, ფუტკრის შხამით მკურნალობა, თუ ის ექიმის დანიშნულების მიხედვით და სამედიცინო პერსონალის მეთვალყურეობის ქვეშ ტარდება, ბევრ შემთხვევაში იძლევა სასურველ შედეგს.

ფუტკრის დანესტვრით მკურნალობა ეფექტური თერაპიული საშუალებაა, რასაც წარმატებით იყენებენ საზღვარგარეთის ქვეყნების აპითერაპიის კაბინეტებში.

დღეისათვის არსებობს ფუტკრის შხამზე დამზადებული მრავალრიცხვოვანი სამკურნალო პრეპარატები, ესენია: "აპირევენი" (რუმინეთი), "იმენინი" (ავსტრია), "ვერაპინი" (ჩეხეთი), "ფორნაპინი" (გერმანია), "აპიტოქსინი", "ვენაპიოლინი" (რუსეთი) და სხვ.

პრეპარატები დანიშნულების შესაბამისად კეთდება, როგორც ინექციის სახით - კანქვეშ, კუნთში, სახსრებში, ასევე ინჟალაციის მეთოდითაც. მკურნალობა ტარდება, ასევე, დაზელვის საშუალებითაც, როდესაც საჭიროა პრეპარატის მაღამოს შეყვანა კანში, ამ დანიშნულებით გამოიყენება აგრეთვე ელექტრული ძაბვის ან ულტრაბგერების მეთოდი.

აღნიშნული კი შეუმუბუქებს ტანჯვას პოლიარტრიტით,

რადიკულიტით, მიოზიტით და სხვა დაავადებებით შეწუხებულ ავადმყოფებს.

ფუტკრის შხამის უშუალოდ დანესტვრით გამოყენების დროს, ორგნიზმში ხვდება სხვა უცხო ნივთიერებები, ამიტომაც არის, რომ ბევრ ქვეყანაში მზადდება გასუფთავებული ფუტკრის შხამი.

ფუტკრის შხამისაგან დამზადებული მაღამოები შეიცავენ სილიციუმის მჟავას და ნვრილ კრისტალებს, რომლებიც შეზელვის დროს კანზე ტოვებს მიკროსკოპულად მცირე ჭრილობებს, საიდანაც ფუტკრის შხამი შედის ორგანიზმში.

იმ შემთხვევაში, თუ ავადმყოფი ცუდად ღებულობს პრეპარატს, საჭიროა მას შესვენებით ვუმეურნალოთ, ამასთან მკურნალობა დიდხანს არ უნდა გაგრძელდეს, ზუსტად უნდა დავიცვათ ექიმის მიერ დადგენილი მკურნალობის ვადები.

იმისათვის, რომ მკურნალობის პერიოდში არ დავუშვათ ჯანმრთელობის მდგომარეობის გართულება ან ორგანიზმის უარყოფითი რეაქციები, საჭიროა პერიოდულად ჩატარდეს სისხლისა და შარლის ანალიზები და საეჭვო მდგომარეობის შემთხვევაში შეწყდეს მკურნალობა. მკურნალობის პერიოდში არ შეიძლება ალკოჰოლური სასმელების მიღება, ასევე სასურველია შეწყვიტოთ თამპაქოს მოწევაც.

ერთდროულად ორი სხვადასხვა მეთოდით მკურნალობამ, როგორიცაა: პრეპარატების დამზადება-გამოყენება, რომლებიც შეიცავენ ფუტკრის შხამს და უშუალოდ ფუტკრის დანესტვრით მკურნალობამ საშუალება მისცა სამედიცინო მეცნიერებას დაეგროვებინა მდიდარი კლინიკური გამოცდილება ფუტკრის შხამის გამოყენების შესახებ სხვადასხვა დაავადებების დროს.

წლების მანძილზე მეფუტკრეთა ჯანმრთელობის მდგომარეობის აღნუსხული საანკეტო მონაცემების ანალიზი საფუძველს გვაძლევს დასკვნისათვის, რომ ფუტკრის შხამი წარმოადგენს არა მარტო საუცხოო სამკურნალო საშუალებას ზოგიერთი დაავადების დროს, არამედ ეფექტურ პროფილაქტიკურ საშუალებასაც.

ცნობილია, რომ მეფუტკრები, რომლებიც საფუტკრეში მუშაობისას ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე განიცდიან ფუტკრების დანესტვრას, როგორც წესი რევმატიზმით არ ავადდებიან.

ფუტკრის შხამით მკურნალობის საკითხში მეცნიერების მიერ ჯერ კიდევ მთლიანად არ არის ყველაფერი გამოკვლეული, არ არის დადასტურებული თუ ავადმყოფის ორგანიზმში რა ინვესტიციების სამკურნალო ეფექტს, უშუალოდ შხამის შემადგენელი ნივთიერებები, თუ მათი მოქმედების შედეგად გამოწვეული ორგანიზმის რეაქციები, რომლებიც ახდენენ ორგანიზმის დამცველი ძალების მობილიზებას.

შესავალი .....	3
<b>I - დამწყები მეფუტკრის ანბანი და კალენდარი</b>	
თუ მეფუტკრეობას აპირებთ .....	5
ფუტკრის რაციონალური კვება .....	5
ძველი ფიჭების შეცვლა ხელოვნურ ფიჭიანი ჩარჩოებით .....	8
ფუტკრის ოჯახების მთაბარობის სიკეთე .....	13
ალერგია ფუტკარსა და დანესტვრაზე .....	13
მეფუტკრის კალენდარი .....	16
იანვარი .....	18
თებერვალი .....	20
მარტი .....	21
აპრილი .....	24
მაისი .....	27
ივნისი .....	29
ივლისი .....	30
აგვისტო .....	30
სექტემბერი .....	33
ოქტომბერი .....	35
ნოემბერი .....	37
დეკემბერი .....	37
<b>II - მოყვარულ მეფუტკრეთათვის</b> .....	38
ფუტკრის ოჯახის მიერ სკის მიტოვება .....	38
ფუტკრის ოჯახის ბიოლოგიის ზოგიერთი საკითხი .....	40
სანაშენო საქმიანობა მეფუტკრეობაში .....	44
როგორ შევაერთოთ ფუტკრის ოჯახები .....	48
ცრუდედიანი ოჯახების გამოსწორება .....	49
დედა ფუტკრის შეცვლა .....	50
ბუნებრივი ნაყრის დაჭერა და მოვლა .....	51
<b>III - ფუტკრის ძირითადი დავადებები და მასთან ბრძოლის მეთოდები ..</b>	53
ამერიკული სიდამპლე .....	54
ევროპული სიდამპლე .....	55
ვაროატოზი .....	56
ვაროატოზთან ბრძოლას მეტი ყურადღება .....	59
ასკოსფეროზი .....	61

აკარაპიდოზი .....	65
ნოზემატოზი .....	67
ფუტკრის მტრები, მავნებლები და მათთან ბრძოლის საშუალებანი .....	71
ჰესტიციდებით ფუტკრის მოწამვლა .....	75
მანანა თაფლით მოწამვლა .....	76
IV - მეფუტკრეობის საკვები ბაზა .....	77
ნექტარი .....	77
მანანა თაფლი .....	78
მათრობელა თაფლი .....	79
მთავარი ღალიანობის თაფლოვანი მცენარეები .....	79
თაფლოვანი მცენარეების სავარგულები .....	81
ხე-მცენარეები .....	82
ბუჩქოვანები .....	83
მინდვრის კულტურები .....	83
ფუტკრის საკვები ბაზის გაძლიერებისათვის სათესი ბალაზები .....	84
1 ჰა-ზე თაფლოვანი მცენარეების ნექტარპროდუქტიულობა .....	86
V - მეფუტკრეობის ინვენტარის კონსტრუქციები და ზომები .....	90
სკები და ჩარჩოები .....	90
VI - ეს საინტერესო .....	96
გვალვიანი წელი უმჯობესია თუ ხანგრძლივი წვიმებიანი? .....	96
როგორ დავიჭიროთ ფუტკარი ტყეში? .....	97
ფუტკრის მარტივი საწყურვებელი .....	97
ვაზი და ფუტკარი .....	99
კვირიონი კი არ დავხოცოთ, დავაფრთხოთ .....	100
მოყვარული მეფუტკრე სიახლეს გვთავაზობს .....	100
ფუტკარმა ადამიანთან დაიდო ბინა .....	102
თაფლისაგან მიღებული სასმელები .....	102
ფუტკარი ფოსტალიონი .....	103
VII - ზოგიერთი საკითხი მეფუტკრეობის თეორიიდან .....	105
მეფუტკრეობის განვითარების ისტორია .....	106
ფუტკრის ჯიშები და ქართული ფუტკარი .....	111
ფუტკარი და კოსმეტიკა .....	117
ეკოლოგია და ფუტკარი .....	119

VIII - ფუტკრის პროდუქტების მიღების ტექნოლოგია და	
შენახვის პირობები .....	123
ფუტკრის პროდუქტების მიღება და მოვლა .....	123
კარგია, თუ ცუდი ჩაშაქრებული თაფლი? .....	129
როგორ დავიცვათ თაფლი დამუავებისაგან .....	130
IX - ფუტკრის პროდუქტების გამოყენება ხალხურ მედიცინაში .....	132
თაფლის სასარგებლო და სამკურნალო თვისებები .....	135
ცვილის გამოყენება .....	138
ყვავილის მტვრის სამკურნალო თვისებები .....	139
დინდგელის გამოყენება მედიცინაში .....	142
ფუტკრის სადედე რძის სამკურნალოდ გამოყენება .....	147
ფუტკრის შხამი და მისი სამკურნალოდ	
გამოყენება მედიცინაში .....	155